# ჭოროხი

გამოცემის 57-ე წელი | სექტემბერი-ოქტომბერი | №5 | 2015 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
**დავით თედორაძე**

სარედაქციო საბჭო
**ცისანა ანთაძე**
**როინ აბუსელიძე**
**გიორგი (იური) ბიბილეიშვილი**
**გენრი დოლიძე**
**ანა დუნდუა**
**რამაზ სურმანიძე**
**ბელა ქებურია**
**ვახტანგ ღლონტი**
**თინა შიოშვილი**
**მალხაზ ჩოხარაძე**
**ამირან ხაბაზი**
**ნანა ხახუტაიშვილი**

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2015

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

მთავარი რედაქტორი
**სანდრო ბერიძე**

რედაქტორი
**ლალი კონცელიძე**

პროზისა და პოეზიის
განყოფილების გამგე
**ანზორ კუდბა**

კრიტიკის, თარგმანისა და
პუბლიცისტიკის განყოფილების გამგე
**გენრიეტა ქუთათელაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**მალხაზ ფალავა**

გამომცემელი
**საქართველოს მწერალთა**
**კავშირის აჭარის ორგანიზაცია**

**ჟურნალი გამოდის**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით**

ჟურნალი დაიბეჭდა
ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“
პოლიგრაფიულ ცენტრში,
ბათუმი, კლდიაშვილის, 27

**ავტორთა საყურადღებოდ:**
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8).
ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

# ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

## ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲐᲠᲘ


რეზო ჭეიშვილი ........................................ 3


## ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ


**ᲯᲔᲛᲐᲚ (ᲡᲐᲠᲒᲘᲡ) ᲯᲐᲧᲔᲚᲘ** – მოთხრობები ........................................ 4

**ᲒᲘᲖᲝ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ** – ლექსები ........................................ 19

**ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲗᲐᲕᲑᲔᲠᲘᲫᲔ** – ხუთი ამბავი ........................................ 25

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲝᲒᲔᲨᲕᲘᲚᲘ** – ლექსები ........................................ 45

**ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲠᲔᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ** – ლექსები ........................................ 48

**ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔ** – ლექსები ........................................ 50

**ᲙᲝᲑᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ** – ლექსები ........................................ 52

**ᲓᲐᲗᲝ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ** – ლექსები ........................................ 53


## ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ


**ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ** – ლიტერატურული ფრაქტალების ძიებისათვის ........................................ 55

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲐᲑᲐᲫᲔ** – უსათაუროდ და უმისამართოდ (გაგრძელება) ........................................ 60

**ᲜᲐᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ** – ანდრე მორუა – მწერალი, მოაზროვნე ........................................ 67

**ᲐᲜᲖᲝᲠ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ** – ცოლქმრული სიყვარულის საგალობელი ........................................ 72


## ᲔᲡᲔ


**ᲓᲔᲜᲘᲖᲐ ᲡᲣᲛᲑᲐᲫᲔ** – ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად (ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში) (გაგრძელება) ........................................ 76


## ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ


**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲙᲐᲠᲐᲫᲔ** – მარეთი და მარეთლები ........................................ 94

# სამძიმარი



საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია და ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი დროის ბრწყინვალე მწერალი და საზოგადო მოღვაწე **რეზო ჭეიშვილი**.

ბატონი რეზო მისივე ანდერძის თანახმად დაიკრძალა ქუთაისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გთავაზობთ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარის დავით თედორაძის გამოსამშვიდობებელ სიტყვას.

ქალბატონებო და ბატონებო!
თანამოდარდეებო!

ჩვენი წუხილი უსაზღვროა,
ჩვენი ტკივილი მოუშუშებელია.

გულდამძიმებულები ვემშვიდობებით ბრწყინვალე მწერალს, ბრწყინვალე პიროვნებას, საქართველოს ბრწყინვალე შვილს, მსოფლიო რანგის ნაწარმოებების ავტორს ბატონ რეზო ჭეიშვილს.

ბატონი რეზოს თხზულებების ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ. ჩვენ, ყველას გვჯერა, სანამ ქართული იარსებებს, ეს თხზულებებიც სულ წასაკითხი და შესაცნობი ექნება ქართველობას. მათში უამრავი ფიქრია გამჟღავნებული, ხანდახან წინასწარმეტყველურიც. „ცისფერმა მთებმა“ ხომ დაგვარწმუნა ამაში.

ასეა, დიდი შემოქმედნი შორს, ძალიან შორს იცქირებიან.

რეზო ჭეიშვილის ჰორიზონტიც ქართულ ცასავით უსაზღვრო და დაუსაბამო იყო.

ბატონო რეზო, სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებულო დიდოსტატო, უაღრესად გულწრფელო, ქართული ხიბლით სავსე, ალალ-მართალო შემოქმედო, სრულიად საქართველოსთან ერთად შენი ნიჭის დამფასებელი, შენზე შეყვარებული, შენით ამაყი, შენი საყვარელი აჭარაც თვალცრემლიანი გემშვიდობება უკვდავებისკენ მიმავალს და ნატრობს შენისთანები კიდევ დაუზარდოს სამშობლოს ქართველმა დედებმა.

მშვიდობით ბატონო რეზო, მშვიდობით!



# ჯემალ (სარიბის) ჯაყელი

## იმხანად*

**იმხანად** მოდაში იყო პოეტური შეხვედრები ქარხნებში, ფაბრიკებში, სკოლებში, რაიონულ ცენტრებში. ლიტერატურული საღამოები იმართებოდა ხშირად, მეტადრე როცა მოახლოვდებოდა „პოეზიის დღე, რუსთაველის დღე...“

ბათუმელმა პოეტებმა „ავიკარით გუდა-ნაბადი“ და შევუდექით რაიონებში „მოგზაურობას“ ლიტერატურული საღამოების გასამართავად. მარშრუტი იყო: ქედა, შუახევი, ხულო, ადიგენი, ახალციხე, ასპინძა... ეს სამთავრობო ღონისძიება იყო და ჩვენ ამ ღონისძიებაში აქტიურად ვიყავით ჩართული. ადგილობრივი რაიონები მოვითავეთ და ჩავედით ადიგენში. ადიგენის შემდეგ გველოდნენ ახალციხეში. ადიგენში ნამეტანი დავბრკოლდით, მეტადრე ბანკეტზე. მე ძალიან აუტანლად მეჩვენებოდა (და ახლაც ასე ვფიქრობ) ოფიციალური შეხვედრის შემდეგ, რასაც სჭირდებოდა საათნახევარი-ორი საათი, ბანკეტზე ვრჩებოდით დიდხანს, სამ, ოთხ საათს. მაპატიეთ, ერთი წუთი გადავუხვევ პირდაპირ სათქმელს და დაგისახელებთ ხულოს მაგალითს: ხულოში ბანკეტზე დავრჩი ერთი საათი და მერე გავიპარე, მომბეზრდა ეს ზღვარსგადაცდენილი სადღეგრძელო-დიფირამბები.

თამადამ (არ დავასახელებ მის ვინაობას) „აფრინა“ კაცი ჩემს მოსაძებნად. მომძებნა, იძულებული ვიყავი წავყოლოდი. ჩემს შენიშვნაზე, ნამეტანი გვიჭიანურდება ბანკეტებზე ყოფნა მეთქი, თამადამ ნახევრადხუმრობით თქვა: ახლა შუაღამეა, სანამ ჩვენ ფანჯარაში მზე არ შემოანათებს, აქ უნდა ვიყოთ, ვიქეიფოთო. მაშინ რატომღაც კარგ ტონად ითვლებოდა ღვინის დაძალება. ერთმანეთს „ჟანდერმესავით“ ედგნენ თავს და აკონტროლებდნენ, ვინ დალია და ვინ არა, ან ვინ მიატოვა ჭიქაში ღვინო. ამიტომ გაჩნდა ფრაზა: „ვსვამთ დაცლილი ჭიქის გაგორებით“. თამადა ბრძანებდა, – ამოიწურა ეს სადღეგრძელო? უპასუხებდნენ – დიახ, ამოიწურა. ხანდახან გაამხელდნენ იმას, ვინც არ დალია ან „წვეთი“ მოიტოვა. ამ შემთხვევაში თამადა გამოიყენებდა სასჯელის უკმაცრეს ზომას – ერთი ან ორი ჭიქით დაჯარიმება ზარმაცი დამლევის მიმართ.

...როგორც იქნა ჩავაღწიეთ ადიგენში, საათნახევარში მოთავდა გამოსვლები, ლექსების კითხვა. მოდაში იყო „პოლიტიკური რეპერტუარი“. ჯერ ლენინზე უნდა წაგეკითხა ლექსი, მერე – სტალინზე და ბერიაზეც დაიწყეს ლექსების წერა. ამ სასაცილო ტრადიციას დიდი პოეტებიც იცავდნენ. აქაც ერთი წუთით გადავუხვევ და გავიხსენებ ერთერთი დიდი პოეტის ლექსს ბერიაზე:

„მე არ ვიქნები იმავ დღეს მოსკოვს,  
როცა ხმას მოგცემს შენი უბანი,  
როცა შენს სახელს აზიზად მოქსოვს  
ლექსი, სიმღერა თუ საუბარი“.

ადიგენში ბანკეტმა წაიღო ძალიან დიდი დრო. ახალციხეში ჩავედით გვიან ღამით. დი-

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №6, 2014; №3, 2015.

ლიდანვე რაიკომის პირველი მდივანი ბატონი შალვა გრძელიშვილი სასტუმროს წინ მიმოდის და გველოდება როდის ავდგებით, რომ საუზმეზე მიგვიწვიოს. როგორც იქნა, ჩვენ დღის თორმეტ საათზე „ვიკადრეთ“ ადგომა.

ბატონი შალვა გაგვეცნო და იქვე, სასტუმროს რესტორანში მიგვიწვია საუზმისათვის. როგორც კი შევედით, ძალიან მრავალფეროვანი სუფრის თავში მაღალი კაცი დგას და ლექსს კითხულობს ზეპირად. ყველანი ჩავმწკრივდით კედელთან და ვუსმენთ. ეს წარმოსადეგი, მაღალი კაცი კითხულობს მთელი გატაცებით, რიხიანად, საინტერესოდ. პირველ ხანებში გავოცდი, – ლექსი გავს ჩემს ლექსს... და ეს ასეც იყო. იმხანად გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დავბეჭდე გურამ ფანჯიკიძესთან საპოლემიკო ლექსი „ასე მოვდივარ უხსოვარ დროიდან“.

„ოთხას წელიწადს იჯდა არაბი
და მეტეხიდან უმზერდა მექას,
სამას წელიწადს იჯდა ხონთქარი
და კახაბრიდან უმზერდა მექას.
...ვით შენ არ დაგრჩა ძმაო არაბის,
მეც არრა დამრჩა მომხდური თურქის...“

ეს საკმაოდ დიდი ლექსია. დაამთავრა კითხვა და გამოიხედა ჩვენკენ. ჩვენი მწკრივის თავში ბატონი შალვა გრძელიშვილი იდგა. იკითხა, რომელია მანდ ჯემალ ჯაყელიო. სანამ ვინმე შეეპასუხებოდა, თვითონვე თვალი დარმწუნებით გამისწორა და თქვა: აი, ეს იქნება ჯემალ ჯაყელიო. მე ახალციხელი ვალიკო ჯაყელი ვარ და სიყვარულით დავისწავლე ეს ლექსიო. მე მივედი ბატონ ვალიკოსთან და კეთილად მოვიკითხე, თან მადლობა გადავუხადე.

ბატონმა შალვამ ძალიან კარგად დაახასიათა ვალიკო ჯაყელი, როგორც ომის ვეტერანი, ახალციხის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, ცნობილი თამადა სიტყვის მთქმელი. ერთი ჭიქა ღვინო დალია, გვადღეგრძელა და წავიდა.

თამადობდა ბატონი ვალიკო ჯაყელი...

მოგვიანებით შესანიშნავი ლიტერატურული საღამო ჩატარდა.

მეორე დღეს ბატონმა ვალიკომ წამიყვანა რაბათში და დამათვალიერებინა ჯაყელ ათაბაგთა უზარმაზარი და ულამაზესი ციტადელი.

ბატონმა ვალიკო ჯაყელმა მითხრა: „ილია ჭავჭავაძეს ჩემი მამიდასთვის უთქვამს: „– ნუ გეფიქრებათ ძვირფასო კნეინა, ქვეყანა მალე გაიგებს, რომ შოთა რუსთაველი ჯაყელი იყოო...“

ეს ძალიან ბევრს გვავალებს ჩვენ ჯაყელებს.

სწორედ ამის შემდეგ დავწერე ლექსი „წინაპართა ციტადელში“:

„წმინდათა წმინდა, როგორც კანდელი,
როგორც ხატი და როგორც ტაძარი,
საუკუნეთა მწვანე სარკმელი,
მუდამ ფიცხი და მუდამ მწყაზარი,
დიდი პატივის გრძნობით სათქმელი,
მოკეთის მზე და მტრისთვის თავზარი;
ბევრს, ბევრს მავალებს გვარი ჯაყელი,
გვარი ძველი და უზარმაზარი!

**იმხანად** მესხეთის ვოიაჟის მარშრუტში შედიოდა ქვაში ნაკვეთი ქალაქი ვარძია. სანამ ვარძიაში გავემგზავრებოდით ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა ბატონმა ისაკაძემ რუსთავი დაგვათვალიერებინა. ვნახეთ ულამაზესი და მეტად თვალსაჩინო რუსთავი, საიდანაც წარმოდგება რუსთაველის გვარი. ოდნავ შეფერდება ადგილას გაშენებულია მესხეთის რუსთავი ულამაზესი ვაშლის ბაღით. სულში რაღაც ისეთი ვიგრძენი, რაც შეიძლება იგრძნოს მშობლიურ, მამაპაპურ მიწაწყალს დანატრებულმა ადამიანმა მისი ნახვისას.

ვერ დავიჩემებ, მაგრამ საკმაოდ თავდაჯერებულად შემიძლია ვთქვა, რომ თითქოს იგრძნო ჩემი სულის მოძრაობა, ბატონმა ისაკაძემ, მომიახლოვდა და მეუბნება:

– ბატონო ჯემალ, გინდა ამ ვაშლის სურნელოვან ბაღში აგიშენო პატარა ოდასახლი? იქნებ შენი აქ გადმოსვლით ჯაყელები დაინტერესდნენ თავიანთი ისტორიული მიწაწყლითა და გადმოვიდნენ ასპინძაში...

მე, რა თქმა უნდა, გულითადი მადლობა გადავუხადე და განვუმარტე მიზეზები, თუ რატომ არ შემეძლო გადმოსვლა. მანამდე კი სახლიკაცებს (გვარიკაცებს) ბევრჯერ ვუთხარი, ვისაც ორი ან სამი ვაჟი ჰყავს, ერთი უნდა გადმოსახლო მესხეთში მეთქი...

იქიდან წავედით ვარძიაში.

„პოეზიის დღე, რუსთაველის დღე" ტარდებოდა.

ეს იყო უდიდესი ზეიმი, თანაც მესხეთში...

სწორედ ვარძიის მოპირდაპირე მხარეს გააკეთეს სცენისმაგვარი ფიცარნაგი. დადგეს მიკროფონები, ამფითეატრივით ოდნავ შეფერდებაზე განაწყეს ძელსკამები, რაც პოეზიის ზეიმზე შეკრებილ ხალხს ვერ იტევდა.

ჩემი გვარის გამო მესხეთში მომეტებული ყურადღებით ვსარგებლობდი. ჩემი გამოსვლის რიგი დადგა. მივედი მიკროფონთან. ზოგიერთი აუცილებელი ზოგადი ფრაზის შემდეგ ვახსენე დიდი თამარის შემწისა და საიმედო დასაყრდენის კრავაი ჯაყელის გვარით ნათესაობა შოთა რუსთაველთან, რამაც დიდი როლი შეასრულა თამართან რუსთაველის დაახლოებაში. სწორედ კრავაის მეშვეობით დაუახლოვდა იგი თამარს და შეიქმნა გენიალური ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი".

ამის შემდეგ წავიკითხე ლექსი ვარძიაზე.

სასწაულ სიამოვნებასა და სიამაყის გრძნობას განვიცდი, როცა მსოფლიო საოცრების ვარძიის გასაგონად ვკითხულობდი ლექსს „ვარძია":

**...დიდი ხილდების გამდინარებავ**
**და საოცრებად აღზევებულო**
**ბობოქრობავ და იდუმალებავ**
**უკვდავებასთან დაზავებულო**
**ხარ მესხური მზე ჯერ არ ჩასული**
**და მეც შენსავით დუმილს ვაპირებ**
**და მივსდევ შენი დიდი წარსულის**
**სამარადისო მწვანე ნაპირებს.**

**იმხანად** დოკუმენტურ ვიდეოფილმებს ვიღებდი მესხეთზე. დავწერე საკმაოდ წარმატებული სცენარი. გადავიღეთ ოთხივე სერია. ეს ფილმი თბილისის ტელევიზიამაც გადმოსცა და ბათუმის ტელევიზიამაც.

ტიტრებზე სწერია:

სცენარი ჯემალ ჯაყელისა

რეჟისორი პაატა კაკაურიძე

ოპერატორი სპარტაკ ანთაძე

მხატვარი იაგო ახობაძე და სხვები.

ძალაინ დიდი პატივი ხვდა ამ ფილმს. მასში ზოგი ადგილი, სასულიერო თუ სტრატეგიული ძეგლი, ჯერ კინოობიექტივის უნახავი იყო. ერთერთი ასეთი იყო ერთნავიანი სახურავის უდიდესი ტაძარი აგარა. მას არათუ კინოობიექტივი, არამედ ფოტოაპარატის ობიექტივი არ ენახა. მისასვლელი გზა არ იყო, ყველაფერი გატყევებული იყო. მდინარეზე გაღმა მხარეს გასასვლელი, აღმართს რომ შევდგომოდით, აგარის ხიდი არ იყო. მომხდარა სასწაული, მდინარის ახლოს ხე მოიგლიჯა და ზედ მდინარეს ხიდივით გადაედო. ხე კიდევ „ცოცხალი" იყო. ჩვენ სწორედ ამ სახელდახელოდ ბუნებისგან „გაკეთებულ" ხიდზე გადავედით. ეს ძალიან კარგად ჩანს ჩემს ფილმში, თუ ვინმე დაინტერესდება, მობრძანდეს, ოთხივე სერიას ვაჩვენებ სიამოვნებით.

იმხანად ბოლო კადრები ასპინძაში გადავიღეთ. შემოგვაღამდა.

ეს არის 1992 წელი.

საქართველოში გაჩაღებულია დაყაჩაღება.

იტაცებდნენ მარტო მანქანებს კი არა, ბანდები ეჭრებოდნენ ხალხს ოჯახებში, ხვდებოდნენ გზებზე, ძარცვავდნენ, კლავდნენ. მოკლედ ეს იყო საქართველოს ყველაზე ბინძური დრო. უკვე წაქცეული იყო კომუნისტური ბელადების ძეგლები. როგორც იტყვიან, „ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა".

ასპინძაში შემოგვაღამდა.

მასპინძლები გვეუბნებიან – დარჩით, დაისვენეთ და ხვალ დილით წახვალთო.

კაკაურიძემ დაიჩემა, – წავიდეთო. მას აჰყვნენ სხვებიც. მე ყველას ვუთხარი:

მანქანა ჩემია, ვიდეოკამერა ჩემი, ჩემი სცენარით გადაღებული კადრები ჩემია – აჰ-

არატშია, გადაღებისა და მონაწილეობისთვის დაფინანსება ჩემია. მე რომ დამაყაჩაღონ, ამას ყველაფერს ვკარგავ, თქვენ კი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, როგორც ახლა ხართ, ისევე იქნებით. ყველაფერს წაიღებენ ფულთან ერთად. თანმხლებლებმა დაიწყეს ბუზღუნი.

...მიუხედავად ამისა, მაინც წავედი ასპინძიდან ახალციხეში.

გზისგან ცოტა მოშორებით დავინახეთ, დგას ოთხი კაცი და მუშტრის თვალით გვიყურებს.

გვანიშნეს გაჩერდითო.

გავჩერდით.

რატომღაც არ მიგრძვნია ის, რასაც ველოდი.

– ვინა ხართ? – იკითხა ერთმა.

– მწერალი ჯემალ ჯაყელი, – ვუთხარი რიხით.

– წაბრძანდით! – გაიგონა ყველამ, გაუხარდათ. მე გავთამამდი და ყასიდად ვიკითხე:

– მშვიდობა ხომაა, ბიჭებო, რაიმე პრობლემა ხომ არა გაქვთ? რამე ხომ არ გინდათ?

– არა!... ბედნიერად! – იყო ბოლო სიტყვა.

წავედით...

ერთხანს ბიჭები ყურებჩამოყრილი მიყურებდნენ.

* * *

ამის შემდეგ გავიდა სამი წელი.

მე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვარ და ჩემი მძღოლია აკობ ოგანესოვი.

მოვდივართ თბილისიდან.

ღამეა.

ვილაცა აგვედევნა.

აკობი მათ მანქანას არ უშვებს წინ, როგორც კი გასწრებას დააპირებენ, აკობი სწორედ იმ კუთხეს გასწევს მანქანას.

მოგვიახლოვდნენ.

უცებ მოგვწყდნენ და ჩამოგვრჩენ.

ჩვენი მანქანის სახელმწიფო ნომრებმა შეაშინათ. მთავრობის მანქანააო, მიდგნენ და ჩააქრეს შუქი.

**იმხანად** ლია ჯაყელი მოინათლა სამების საკათედრო ტაძარში, მონათლა უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ.

...პატრიარქის კურთხევით ჩემი ორთხმოცი წლის იუბილე ჩატარდა სწორედაც თბილისის სამების საკათედრო ტაძარში. აქედან კარგად დაამახსოვრდა პატრიარქს ჩემი სახელი.

ლია ჯაყელი რომ ინათლებოდა, პატრიარქმა კითხა – ვინააო შენი ნათლიაო.

ლიამ უპასუხა, რომ ჩემი ნათლია არის მწერალი ჯემალ ჯაყელიო. ეს პასუხი ძალიან მოეწონა პატრიარქს და ინტერესით ჰკითხა:

– აქ ბრძანდება ჯემალ ჯაყელი?

– არა, – უპასუხა ლიამ, – შეუძლოდ იყო და ველარ წამოვიდაო. მისი რწმუნება კი მე მაქვსო.

მეტისმეტი სიამოვნებით დამამახსოვრდა პატრიარქის სიტყვა „აქ ბრძანდება?" როცა შეეძლო უფრო უბრალოდ ეთქვა. ესეც ერთი მაგალითია მრავალთა შორის, რომელიც ამ ღმერთის კაცის თავმდაბლობასა და ღვთაებრივ კულტურაზე ლაპარაკობს.

დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ!

**იმხანად** საკმაოდ გახმაურდა ჩემი ლექსი სათაურით „დროო მკურნალო". ერთ დღეს ცნობილმა მსახიობმა, მრავალი ღირსეული როლის შემსრულებელმა ბატონმა ოთარ კობერიძემ მოულოდნელი სიურპრიზი შემომთავაზა, – ზეპირად წაიკითხა მთელი ლექსი.

შემდეგ დაწვრილებით წაიკითხა რამდენიმე სტროფი, რომელმაც ეტყობა, განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა მასზე. მისი მსახიობური მღელვარებით სავსე ცხოვრებაზე. მის დადებით და უარყოფით მხარეებზე. გთავაზობთ რამდენიმე სტროფს ამ ლექსიდან:

*...დრო მკურნალო, იმედიც დროა*
*და გეკითხები ახლა ტიტანო,*
*სულში ხსოვნათა ნამსხვრევის გროვას*
*რა ვუყო, როგორ გამოვიტანო.*

სად ავადუღო მირონი წმინდა,
თავად მზეო და თავად წმინდანო.
ხსოვნის ამდენი ჯართი და წიდა
სისხლიდან როგორ გამოვიტანო.
აღარც ნაკლები და აღარც მეტი
განვვლე სოფელი საიადონო.
აქ გელოდები მე, პაციენტი,
დროო მკურნალო, დროო ბატონო,
დროო მაღალო, დროო საჩინო,
უნდა დაგირჩე შენთვის და შენად.
მითხარი კიდევ რაა საჭირო,
წამებულ სულის გადასარჩენად.
როდის მოაწევს ჩემამდე მისი...
ზეღვთაებრივი ნაზი სურნელი.
დროო მკურნალო, ვინც არის ღირსი,
დროზე განკურნე განსაკურნელი!

*1991*

მეგობართა წრეში, ბანკეტზე თუ საძმო თავყრილობაზე ამ ლექსს კითხულობდა დიდი წარმატებით.

ბატონი ოთარ კობერიძე ფილმ „ბაში აჩუკიდან“ დაწყებული ცხოვლად დაამახსოვრდა საზოგადოებას, მათ შორის – მეც.

ოთარს საოცრად უყვარდა ასევე ცნობილი მსახიობი მშვენიერი ლია ელიავა. ბევრი აღარ დაახანა და იგი ცოლად შეირთო.

...ეს ალბათ 1965 წელი იქნებოდა, მაშინ მოსკოვში ვსწავლობდი და კინოხელოვნებაზე ლექციებს „დომ კინო“-ში გვიტარებდნენ გასარჩევი ფილმის ფრაგმენტების ჩვენებით.

სწორედ იქ, კინოს სახლში შევხვდი ქალბატონ ლია ელიავას. მაშინ ლია იყო ახალგაზრდა და მშვენიერი. ძალიან გამიხარდა და მივაფართქალდი. ეს მიფართქალება მეტისმეტი ჩემეული მოტივით იყო დატვირთული. ლია მაშინ უკვე გათხოვილი იყო, ჩვენს შეხვედრაზე მიიხედ-მოიხედა და გამაფრთხილებლად მითხრა:

– ოთარი აქ არის...

მე გამიხარდა... აქედან დაწყებული ოთარი საკმაოდ გვიან გავიცანი. ჩემი დეპუტატობის დროს ჩამოდიოდა ბათუმში, ასლან აბაშიძე ხშირად ხვდებოდა მას.

ლია ელიავას გარდაცვალება ძალიან მტკივნეულად მიიღო ოთარმა. ის იყო ოთარის არა მარტო ცოლი, არამედ დიდი მეგობარი, თანაც კოლეგა...

**იმხანად** გამომცემლობის დირექტორად ვმუშაობდი. მწერალთა კავშირში მითხრეს, რომ ერთი შუახეველი ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა, ინსტიტუტი ახლახან დაამთავრა, ლექსებს წერს. თუ დროს გამონახავ, წაიკითხეო. ეს ბიჭი შოთა ზოიძეაო.

გავიდა დრო. ვიკითხე, შოთა ზოიძე სადმე მუშაობს თუ არა მეთქი. არსად არ მუშაობს, დადის ქალაქში ხელებჩამოშვებული, უსამსახურო, უფულო, მოწყენილი. სკოლაში ვერსად მოეწყო, რაიონში არ წავიდაო.

მომიყვანეთ შოთა ზოიძე მეთქი, ვთქვი.

მეორე დღეს შოთა ზოიძემ მორიდებით შემოაღო ჩემი კაბინეტის კარები და იკითხა, – მითხრეს, გიბარებსო.

– დაწერე განცხადება სამუშაოს დაწყების შესახებ, – ვუთხარი.

დაწერა. შევიყვანე რედაქტორების ოთახში, მივუთითე რედაქტორის მაგიდაზე და ვუთხარი:

– შენ დღეიდან ხარ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ ერთერთი რედაქტორი. ხელფასი გექნება ამდენი და ამდენი. შენი მოვალეობა იქნება გამოსაცემი წიგნების რედაქტირება. ახლა ყველგან მუშაობის რეჟიმს აკონტროლებენ, არ გააცდინო, არ დააგვიანო, იმუშავე კარგად!

დაიწყო მუშაობა.

მოვატანინე ლექსები და საგამომცემლო გეგმაში შევიტანე. აიწყო და დაიბეჭდა, მაგრამ ჯერ ტირაჟი არ იყო მზად. ამ დროს დაიგეგმა შუახევის რაიონულ ცენტრში შემოქმედებითი შეხვედრა. ბათუმიდან წავედით შემოქმედებითი ჯგუფი და ბათუმში მომუშავე შუახეველი წარმომადგენლები, მინისტრები, სხვადასხვა სამსახურების პირები. მე შოთა ზოიძის წიგნის ეკზემპლარი სასწრაფოდ გავაკეთებინე და წა-

ვიღე შუახევში. ამის შესახებ არაფერი არ იცოდა შოთა ზოიძემ.

ხალხით გადაჭედილ კულტურის სახლში, სადაც რაიონის სოფლებიდან ჩამოსული მშრომელები ესწრებოდნენ, გამოვედი როგორც მწერალი და როგორც გამომცემლობის დირექტორი. სიტყვის დასასრულს ჯიბიდან ამოვიღე შოთა ზოიძის სახელდახელოდ გამზადებული წიგნი, დარბაზს ზეაწეული ხელით ვაჩვენე და ვუთხარი, – ეს ლექსების წიგნი თქვენი რაიონის ახალგაზრდა პოეტის შოთა ზოიძისაა. თქვენთან ერთად ვულოცავ ამ პირველი წიგნის გამოსვლას.

ამ ფაქტმა დიდი სიხარული გამოიწვია ხალხშიც და თვითონ წიგნის ავტორშიც. რადგან ეს იყო მისთვის ძალიან დიდი სიურპრიზი.

* * *

გავიდა დრო...

ერთხელ დამირეკეს და ნიშნის მოგებით მითხრეს, თქვენი თანამშრომელი სამსახურში დაგვიანებით დადისო. ვიფიქრე, ალბათ ერთხელ შეცდა და დააგვტანაო. მთვრალი იყო. მაშინდელი კომუნისტური რეჟიმის მიხედვით სამსახურის გაცდენა-დაგვიანებისათვის თანამშრომელი ულაპარაკოდ ისჯებოდა.

მინდოდა თუ არა, იმ დღეს დავწერე ბრძანება შოთა ზოიძის გამომცემლობის რედაქტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

ერთი თვის შემდეგ მოვიკითხე, შოთა ზოიძე სად არის მეთქი. მითხრეს – დადის ქალაქში უმუშევარი, უფულო.

იმავე დღეს მოვაყვანინე და გამომცემლობაში მისივე სკამზე დავსვი რედაქტორად. თანამდებობაზე აღვადგინე.

ჩემთვის მთავარია სიკეთის ქმნა!

**იმხანად** ნოდარ ძირკვაძისა და ჯემალ ხოფერიას შესახებ მითხრეს, – სტამბაში მუშაობენ, პატარ-პატარა მოთხრობებს წერენო.

ჩემთვის უმთავრესი მნიშვნელობა ქონდა ახალგაზრდებზე დახმარებას.

დავიბარე.

წიგნების გამოცემა დავუგეგმე.

ჯემალ ხოფერია გამომცემლობაში წამოვიყვანე გამომშვებად.

დიდხანს და კარგად იმუშავა.

მწერლის სახელი მოიპოვა.

ჯემალ ხოფერია ძალიან ერთგული ბიჭი იყო, უფროსის დამფასებელი. სიგარეტს ეწეოდა ძალიან ინტენსიურად. მიუხედავად იმისა, რომ ფეხი ტკიოდა, სამსახურს არ აცდენდა, არც აგვიანებდა.

სამწუხაროდ, ახლახან გარდაიცვალა.

**იმხანად** ვახტანგ ახვლედიანი მოვიდა ჩემთან მახინჯაურში და მითხრა, სიმღერაც მეხერხება, ხატვაც და წერაცო, რას მირჩევ, რომელზე გავამახვილო ყურადღებაო.

ჩემთვის მწერლობა უფრო გასაგები იყო და ვუთხარი, მაჩვენე რა მოთხრობა დაწერე-მეთქი.

მომიტანა. მოთხრობა სუსტი იყო, მაგრამ წავახალისე, ამ მიზნით დავუბეჭდე კიდეც.

ძალიან ესიამოვნა და ხელი მიჰყო წერას. მკითხველმა კარგად იცის რას წერდა და როგორ. ეს კიდევ არაფერი, გადმოვიყვანე გამომცემლობაში სამუშაოდ. გამომცემლობაში კიდევ უფრო გაუღრამავდა სურვილი, რომ მწერალი გამხდარიყო. წიგნები გამოვაცემინე.

გავიმეორებ, – კარგი ქენი, წინ დაგხვდებაო. ძალიანაც დამხვდა, თუ როგორ დამხვდა ეს აქ საჭირო არაა.

აქვე გავიხსენებ, – „...რომელი ჭამდა პურსა ჩემსა, მან განადიდა ჩემ ზედა ტყუილი“ (ფსალმუნი დავითის, 40).

**იმხანად** ჯემალ ქათამაძე მუშაობდა ციხისძირის ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში. მე მაშინ ვიყავი მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის ხელმძღვანელი. შემომთავაზეს ჩემთვის უცნობი პიროვნების ჯემალ ქათამაძის ლექსების განხილვა პოეზიის სექციის სხდომაზე.

გარდა იმისა, რომ ამ ლექსების ავტორი ციხისძირელია და იქვე მუშაობსო დასასვენებელ

სახლში, არაფერი არ ვიცოდი. ლექსებში ჩავიხედე. მომეჩვენა, რომ არა უშავდა, ერთი იყო რომ მომეტებული გულწრფელობის გამო ეს ლექსები მეტისმეტად სიმსუბუქემდე ეშვებოდა. მაინც გადავწყვიტე განმეხილა იგი სექციის სხდომაზე. დავნიშნე სხდომის დღე და საათი. მითხრეს, ამა და ამ დროს შემოივლისო. არ შემოიარა. მაშინ ტელეფონებით სარგებლობა ჭირდა. ადგილზე თუ მიხვიდოდი, ის იყო.

იძულებული ვიყავი ჩავსულიყავი ციხიძირში და მომეძებნა ჯემალ ქათამაძე სხდომაზე დასასწრებად. ვერ ვნახე. სხდომა მაინც ჩავატარე. იმ განსხვავებით, რომ ავტორის მაგივრად მის ლექსებს მე ვკითხულობდი და მერე სხვათა აზრს ვისმენდი...

ჯემალ ქათამაძე მისი ლექსების განხილვის შემდეგ გავიცანი. იყო საშუალო პოეტი და დიდი მეგობარი.

**იმხანად** მგონი რამდენიმეჯერ გავიდა თბილისის ტელეეკრანებზე ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლი. ბათუმისთვის ასეთი რამ უცხო ხილი იყო. ერთ მშვენიერ და დასამახსოვრებელ დღეს თოჯინების თეატრის რეჟისორმა, ლექსების, საბავშვო სპექტაკლებისთვის შესანიშნავი პიესის ავტორმა, ამავდროულად მსახიობმა და ვიოლინოზე დაკვრის მოყვარულმა ქალბატონმა ნინო დავითაშვილმა მითხრა, – ვამზადებ ერთი მსახიობის პოეტურ სპექტაკლს თქვენს ლექსებზეო.

მე მადლობის გარდა არაფერი სათქმელი არ მქონდა, ერთი შეკითხვის გარდა:

– როგორია თქვენი ჩანაფიქრი?

– ეს იქნება სპექტაკლი სათაურით „თუ იგრძნო წამი“ თქვენი ლექსების მიხედვით: მზე, პოეზია და სიყვარული, უსათაურო, ანბანი, გულო, იყო რამე? ნეტავი, უსათაურო, ასე რატომ, ცისფერ ჭაღზე, სადაც ინებო, უსათაურო, ცოტა მაცალეთ, მზისა და წვიმის სერენადა, მიწაო მარადისობავ.

ეს ლექსები სიუჟეტურად დავალაგე. პროექტი წარვუდგინე აჭარის კულტურის სამინისტროს და ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრს.

მოიწონეს და მეც შევუდექი ბოლო აკორდის დაზუსტებას. ყველა ეს თვრამეტი ლექსი ზეპირად დავისწავლე და მხატვრულად წავიკითხე. იქ დაცული იყო ხმის ტონი, ხმის ელფერი, ხმის ძალა, ტემპი, რიტმი, მახვილი და პაუზა.

სათანადო დახმარება გამიწიეს: დამდგმელმა რეჟისორმა რევაზ ბაინაზიშვილმა, მხატვარმა ირინა გურგენიძემ, სტენოგრაფმა ეთერ ბალაძემ, მუსიკალურად გამფორმებელმა ვაჟა ტუღუშმა, კომპიუტერული გრაფიკა შეასრულა გოჩა ფუტკარაძემ.

ნინო დავითაშვილის საავტორო საღამოს ეგიდით ეს სპექტაკლი დაიდგა.

დიახ, ის ერთი მსახიობის თეატრალური სპექტაკლი პირველად შედგა 2001 წლის 12 ივლისს თოჯინების თეატრში. სხვა დროს ხსვაგან განმეორდა.









სპექტაკლმა უდიდესი წარმატება მოიპოვა.

ამის შემდეგ ნინო დავითაშვილსა და ჩემს შორის შემოქმედებითი მეგობრობა აქტიურად გაგრძელდა, მეტადრე – ჩემს საიუბილეო საღამოებზე. ქალბატონი ნინო კითხულობდა ჩემს ლექსებს. ამით ერთი-ორად ამრავალფეროვნებდა საღამოებს. მისი ბოლო გამოსვლა ჩემი ლექსების კითხვით შედგა ბათუმის ხელოვნების სახლში ჩემი 85 წლის იუბილეზე, რასაც ესწრებოდნენ თბილისიდან ჩამოსული ინტელიგენციის წარმომადგენლები, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი მწერალი ბატონი თამაზ წივწივაძე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი გენო კალანდია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე და სხვ.

**იმხანად** ბევრს ლაპარაკობდნენ აღმსარებლობაზე. ზოგი რას ამბობდა და ზოგი – რას. ღვთისმსახურებაზე საუბრის დროს საკმარისია გავიხსენოთ დიდი დავით აღმაშენებლის პირადი მაგალითი. იგი ყველა სამლოცველოში შედიოდა და მორწმუნეებს, რა აღმსარებლობაც არ უნდა ქონოდა, დიდ პატივს მიაგებდა, რამეთუ ღმერთი ერთია და მისდამი მსახურების სხვადასხვაობა მას არაფერს არ აკლებს.

ამ მხრივ ცოტა რთულადაა საქმე მართლმადიდებლობასა და კათოლიკობის ურთიერთდამოკიდებულებაზე. წინასწარ მინდა განვაცხადო, ქრისტიანობის ეს ორი მიმართულება ნაწილობრივ განსხვავდება ერთი მეორისაგან. განსხვავება ზოგჯერ ისე უბრალოა, რომ ღიმილს იწვევს, მაგალითად, პირჯვრის გადაწერის დროს კათოლიკი მარცხენა მხრიდან გადმოიწერს მარჯვენა მხარისკენ. მართლმადიდებელი პირიქით – მარჯვნიდან მარცხნივ. მაჰმადიანებს მიცვალებული დასაკრძალავად ისე მიჰყავთ, რომ ქვედა კიდურები ანუ ფეხები წინ აქვთ, ქრისტიანებს პირიქით, მიცვალებული მიჰყავთ თავით წინ.

აქ ისევ კათოლიკებსა და მართლმადიდებლებზე მინდა გავიხსენო ერთი საინტერესო მაგალითი.

ჩემს მამისეულ ეზოში იდგა ერთი ხე. მას ორი ჯანსაღი ვარჯი ქონდა. ერთი – ერთი ჯიშის მსხალს ისხამდა, მეორე – მეორეს.

როგორც უკვე მიმიხვდით, ახალგაზრდა, მოზარდ ძირზე დაამყნეს ორი სხვადასხვა ჯი-

შის „კალამი“, ანუ კვირტი, ამის გამო ისინი გაიზარდნენ, მსხომიარენი გახდნენ და სხვადასხვა ჯიშის ხილს იძლეოდნენ. ორივე ჯიშის მსხალი იყო გარეგნულად ლამაზი და სურნელოვანი, ორივე ისინი იდგნენ ერთმანეთზე.

მართლმადიდებლობა და კათოლიკობა ერთ დიდ, ლამაზ, ღვთაებრივ ძირზე, ქრისტიანობაზე დგას. რა აქვთ ერთმანეთს შორის მწვავე საკამათო?

მე ჩემს ოთხსერიან დოკუმენტურ ფილმში გადავიღე სრულიად მესხეთის საკულტო და სტრატეგიული მატერიალური კულტურის ძეგლები. მათ შორის ჩემი დიდი წინაპრების ციტადელი რაბათში, მეტადრე სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები. ამ ექსპონატებს შორის გამოირჩეოდა მეტად ლამაზი, ქრისტიანული თემატიკით გამორჩეული სტატუეტები, ქანდაკებები. ეს ლამაზი ფიგურები, სახეები იყო და არის ულამაზესი, მაღალი, ჭეშმარიტი ხელოვნების პრინციპით შესრულებული. ასეთი ნამუშევრები ერთხანს გამოფენილი იყო ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. შვენოდა იქაურობას. მას თავისი გამართლება ქონდა. 1898-1902 წლებში სპეციალურად მოწვეული იტალიელი არქიტექტორის პროექტით აშენდა კონსტანტინე ზუბალაშვილის კათოლიკური ეკლესია. კომუნისტების დროს ამ ეკლესიას მრევლი ყავდა. იქ ახლა ფუნქციონირებს მართლმადიდებლური ეკლესია უამრავი მრევლით. მალე შემოიკრიბნენ კათოლიკები და მთავრობის დადგენილებით აშენდა პატარა, მაგრამ საკმაოდ კარგი არქიტექტურული კათოლიკური ეკლესია, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია ფუნქციონირებს.

ისმება კითხვა, სად წავიდა ბათუმის მუზეუმიდან კათოლიკური ექსპონატები? პასუხი უბრალოა. ვიღაც პარტიულმა ფუნქციონერმა „ბრძანა“ – ჩაიტანეთ ეგ ექსპონატები მუზეუმის სარდაფშიო. ჩაიტანეს.

მგონი დროა გამოვიჩინოთ ღვთაებრივი გულისხმიერება, ქართული მამულიშვილობა და ბათუმის კათოლიკურ ეკლესიას დავუბრუნოთ იგი. ამით ღმერთი შეგვეწევა და ჩვენც ავმაღლდებით.

**იმხანად** რატომღაც მოდაში შემოვიდა ისეთი თამაშები, რომლებსაც ბევრი არაფერი საერთო არა აქვს კულტურასთან, შემეცნებასთან, აღმზრდელობით პრინციპებთან.

ერთმანეთში აირია ეგრეთწოდებული „ეკივოკი“. რაში მდგომარეობს მისი მთავარი არსი? უაზრობაში. წინასწარ ჩაიწერენ პატარა ბავშვების „ლაპარაკს“, ტიტინს, ბუტბუტს და ყველაფერ იმას, რასაც ბავშვის მეტყველება, „ლაპარაკი“ ქვია. სტუდიაში (დარბაზში) დამსწრეთა თვალწინ ჩართავენ ჩანაწერს და... ეს საუბარი უნდა გაარჩიოს ორმა წყვილმა მოთამაშემ. თამაშში ერთობა პირველი წყვილი. თუ ისინი გამოიცნობენ რა სიტყვები წარმოთქვეს და რისი თქმა უნდათ ბავშვებს, მოიგებენ დაწესებულ თანხას. თამაშში ერთობა მეორე წყვილი. ერთმანეთს ეჯიბრებიან, გამარჯვებული მოიგებს ფულს, გარკვეული რაოდენობის ლარს. ერთი წყვილი იგებს და მეორეს... დასცინის.

გასაოცარია. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჩვენს დაძაბულ დროში, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრების პირობებში, მოსახლეობას, მთელ შეჭირვებულ ერს სთავაზობენ სასაცილო თამაშს და არც მეტი და არც ნაკლები, საარსებო ზღვარს დაბლა დაქანებულ ხალხს, ძალიან გაბედულად და ძალიან ხმამაღლა, ვიტყოდი, მასხრად იგდებენ.

სამაჩაბლოში ადამიანი თავისიანის საფლავზე ან ყანაში რომ მივიდეს, მთელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, უბრალოდ რომ ვთქვათ, ოსები დაიჭერენ და აპატიმრებენ, ბრალდებით – საზღვარი დაარღვიეო. ქართლის შუაგულში ხმალია გარჭობილი და ამ დროს მთელი ქვეყანა ისმენს თუ რას ბუტბუტებს სამი-ოთხი წლის ბავშვი. ვის უნდა ეს, რა არის ეს? ეს არის უზრუნველი, მოცლილი, უპრობლემო ბედოვლათის უაზრო გართობა. ამ თამაშს ბავშვების მიმართ რაიმე აღმზრდე-

ლობითი მნიშვნელობა რომ ქონდეს, კიდევ არა უშავდა, მაგრამ აუტანელია ის, რომ სერიოზული, საინტერესო სპეციალობის მქონე კაცები და ქალები ამით ლაზღანდარობენ, ერთობიან, ფულსაც იგებენ.

დღევანდელი ოსეთის, დღევანდელი აფხაზეთის დამარცხებული „პატრონი", ახლახან თბილისში მომხდარი ტრაგედიის პირობებში კაცი რომ შევა სტუდიაში და ბავშვის ბუტბუტის გამოცნობისათვის სასაცილო თამაშით გაერთობა, ან მთელ ერს შესთავაზებს ასეთ გართობას, დანაშაულია.

არის, აგრეთვე, ალფაბეტით „თამაში". ეკრანზე იწერება არეული ასობგერები და იქედან მოთამაშემ სიტყვა უნდა შექმნას. ეს თამაში სწრაფ და სწორ აზროვნებას უკავშირდება, მაგრამ მაინც არასერიოზულია, მით უფრო, აქაც ფულის მოგება-წაგებასთან გვაქვს საქმე.

აქ აღარ ჩამოვთვლი კიდევ სხვა თამაშებს, ძალიან უაზროსა და სირცხვილიანს, მაგალითად, ლუდით სავსე ტოლჩის (ბაკალის) გრძელ მაგიდაზე გაცურება ისე, რომ ის ბოლომდე მივიდეს, არ გადავარდეს ან არ დაიღვაროს.

აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი.

გულისტკივილით მინდა დავასახელო კიდევ ერთი თამაში, რომელსაც „ყველაზე ჭკვიანი" ქვია.

ამ თამაშის არსზე აქ არაფერს ვიტყვი. კარგია რომ ეს თამაში ბავშვებს აჩვევს სწორი და სწრაფი აზროვნების „ხელოვნებას". მაგრამ... ბავშვს დინჯად და გასაგებად უნდა ეძლეოდეს შეკითხვა. აქ შეკითხვის დასმა ხდება მეტად სწრაფად, რაც არაა გამართლებული.

გარდა ამისა, ერთ დიდ უხერხულობასთან და უტაქტობასთან გვაქვს საქმე, როცა ამ თამაშში გამარჯვებულს ვუწოდებთ ყველაზე ჭკვიანს. ის ყველაზე ჭკვიანი კი არა, ყველაზე უფრო ნაკითხი, მცოდნე და ნიჭიერია. მეგობართა შორის ერთს რომ ყველაზე ჭკვიანი უწოდო, ეს იწვევს ეგოიზმს.

თამაში „ყველაზე ჭკვიანში" „დამარცხებული" იწვევს დიდ უხერხულობას. ყველა მონაწილე ძალიან ჭკვიანი, ნაკითხი, განათლებული და მცოდნეა, მაგრამ ყველა შეჯიბრებაში გამარჯვებულის ერთი ადგილი არის და ერთ მათგანს მოუწია ეს ადგილი.

სპორტის სხვა სახეობებში გამარჯვებულს რომ ყველაზე ჭკვიანი ეწოდოს, ეს შეჯიბრების თანამონაწილისათვის შეურაცხმყოფელია.

**იმხანად** (ზღაპრის სტილში, მაგრამ ძალიან სერიოზულად) მოდაში იყო „ის ერთი კაცი" და ზღაპრის დასასრული „მელა იცინის, იცინის, კვდება სიცილითა..."

**იმხანად**, ერთერთ ქალაქში, რომლის სახელწოდება იწყება „ბ" ასობგერაზე (მაგალითად, ბათუმი), „იმ ერთი კაცის" გამო მოაწყვეს კაბარეს ტიპის უსახელო დაწესებულება და იგი დააკომპლექტეს სხვადასხვა ასაკისა და კომპლექციის ახალგაზრდა ქალებით. „ის ერთი კაცი" პრინციპულად არ შევიდა იქ.

დაწესებულება გააუქმეს დიდი მორალური დანაკარგით.

„მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილთა".

**იმხანად**, ერთი ხუთ-ექვს კვადრატულ მეტრიანი პატარა, ბუჭულია მაღაზია გადააკეთეს ე.წ. მარკეტად, რომ „ის ერთი კაცი" დაინტერესებულიყო და შესულიყო იქ რამის სათქმელად ან საყიდლად. მაღაზიას ქართულ და უცხო ენაზე დააწერეს „მარკეტი" (სასაცილოა). მის შესასვლელში გამომწვევად სხდებიან ვიღაც-ვიღაცები და შეფიცულივით ყველანი ერთი მიმართულებით იყურება.

„ის ერთი კაცი" არ შევიდა იქ. შორიდან ერთობა.

„მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილთა".

**იმხანად** მოაწყვეს ოფისის მსგავსი რაღაც თურქული წარწერით, მეჩეთად გადაკეთებული ქრისტიანული ტაძრის შეხედულებით. სხვადასხვანაირი სიმბოლოებით, ჰერალდი-

კით, დროშებით და ხსვა ატრიბუტებით. საჩვენებლად, „იმ ერთი კაცის“ გამომწვევად. ასევე გამომწვევად სხდებოდნენ კიბეებზე და ლაზღანდარობდნენ. ისხდნენ სიცხეში და სიცივეში „იმ ერთი კაცის“ ყურადღების მისაპყრობად.

ამაოდ. „ის ერთი კაცი“ არ შევიდა, არც დაინტერესებულა თუ რა არის იქ და ქალაქში ასე უაზროდ რატომ ააჭრელეს კედელი, რომელიც გამვლელებში იწვევს გაოცებას, ღიმილსაც.

დიახ, „ის ერთი კაცი“ არ შევიდა იქ, არც დაინტერესდა, მან ეს მიიჩნია არასერიოზულ თამაშად.

„მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილთა“.

**იმხანად** მოაწყვეს საპარიკამახერო ანუ სტილის დარბაზი გამომწვევი ქმედებით...

„ის ერთი კაცი“ არ შევიდა იქ.

„მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილთა“...

**იმხანად** ძალიან ბევრი უმსგავსობა გაუჩნდა მელიას სასაცილოდ, მაგრამ ამ სიცილით ნეკნები და ფილტვები აეწვა და თავი შეიკავა. არაფერი გამოუვიდა, ლამის სული შეეხუთა სიცილის შეკავების გამო და ამიტომ...

„მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილთა“.

ალბათ კიდევ ბევრ ხანს იცინებს. კარგია, გაერთობა...

**იმხანად** ვამბობდი და ახლაც ვამბობ, – ყვავილი არის მიწის პოეზია, სილამაზისა და სიყვარულის უკვდავება. კეთილ ადამიანებს, მით უფრო მწერლებს, ყვავილი მშვენიერების სიმბოლოდ მიაჩნიათ, სიამოვნებით ჩუქნიან ერთმანეთს. ტიციან ტაბიძე პიჯაკის ღილკილოთი ატარებდა იმას და ძალიანაც შვენოდა. ილიას უხაროდა: „აყვავებულა მთელო“... აკაკი ეკალშიც ვარდს უმღეროდა, ვაჟას უყვარდა ყვავილები, ერთ პატარა იას მიუძღვნა ლექსი, ამ ლექსს კითხულობდნენ და მღეროდნენ. დიდი წარმატებით მღეროდა ჰამლეტ გონაშვილი: „თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი იაო...“ ვაჟამ სიკვდილის ხანს მინდვრის ყვავილები ინატრა...

კიდევ რამდენს უყვარდა ყვავილები?... ყველას, ვისაც სილამაზის შეგრძნება აქვს. ყვავილი, ქალი და სიყვარული პოეტის სულის ნაწილია. დიახ, ჩემი სულის ნაწილი და სურნელებაა ყვავილი. ეს გაიგო ჩემმა უბედურმა ოპონენტმა და დაინტერესდა, თუ რატომ მიყვარს მე ის, მუდმივად რატომ მიდევს ლარნაკში. ხალხი დააეჭვა ამაში, თვითონ კი ფარული, შენიღბული გზებით და საშუალებებით ცდილობდა შემძულებოდა ის. იმას ტვინი გადაბრუნებული აქვს და ვერ გაიგო, უფრო სწორედ, არ გაიგო, რომ ყვავილი, ქალი და სიყვარული პოეტის სულის ნაწილია.

**იმხანად** მახინჯაურში დასასვენებლად ჩამოვიდნენ უცხოელი ტურისტები, მოგზაურები, დამსვენებლები. მათ შორის ივყნენ: შვეიცარიელები, პოლონელები, სერბები (60 სერბი), ბალტიისპირელები, ბელორუსები, უკრაინელები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები. აგრთვე თბილისელები და სხვა.

მთელი სეზონის განმავლობაში ეს უცხოელები ჯინჭარაძის ქუჩაზე დადიოდნენ დღეში ორ-სამჯერ. მანქანების ინტენსიური მოძრაობის გამო ქუჩის გასწვრივ ღობის ძირებში დადიოდნენ, რადგან ტროტუარი აყრილი იყო და იქ არ გაივლებოდა. ის ტროტუარი სულ რაღაც ასი მეტრის მანძილისაა, მაგრამ... არ გააკეთებინა სწორად იმ ერთმა ვაიმოსამსახურემ, ვაითანამშრომელმა, რომელსაც დიდი სურვილი ქონდა მის მიერ კბილდასობილი „იმ ერთი კაცის“ პროტესტი გამოეწვია და ეს პროტესტი აეყვნა იმ ბინძურ დონემდე, რა დონეზეც თვითონ იდგა...

მახინჯაურში დასასვენებლად ჩამოსულმა უცხოელებმა აჭარის, იგივე საქართველოს მიმართ წაიღეს ძალიან საეჭვო შთაბეჭდილება.

დიდი მიზნისთვის შეიძლება რაიმე წარმატებული გააკეთო, მაგრამ რა არის ის, რაც საკუთარ სამშობლოს ჩრდილს აყენებს ასობით უცხოელის მასხრად აგდებით.

**იმხანად** ინტერვიუსათვის მოვიდნენ ჩემთან. მე არად ჩავაგდე. გათავზობთ კითხვებსა და ჩემს პასუხებს.

1. ახლა რომ 25 წლის ჯეელი იყოთ, რას გააკეთებდით, რაც დღემდე ვერ გააკეთეთ?

– შვიდ გაშლილ ნაბადზე გადავახტებოდი.

2. მზე როგორ შემოდის თქვენს პოეზიაში?

– უკითხავად, ფეხაკრებით (დაიწერა თავად მზე ჩემს შემოქმედებაში. წაიკითხეთ)

3. რა არის სიყვარული თქვენთვის?

– სიყვარული იგივ ღმერთია.

4. მარტოობას თუ შეუშინებიხართ ოდესმე?

– პირიქით, მარტოობას ეშინია ჩემი და „ხმაურობს“...

5. ბედნიერი ხარ თუ ისევ ეძებ ბედნიერებას?

– ბედნიერება არის ძიება (იხ. ჩემი ლექსი).

7. მე პირადად როგორ მიცნობთ და რას მისურვებდით მომავალში?

– კარგად! გისურვებთ შვილების ბედნიერებას.

8. ნატვრის თვალი რომ გქონდეთ, რას ინატრებდით?

– იგივეს, რაც პირველი პასუხი.

9. როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი ქვეყნის მომავალი ჩვენს შემდგომ?

– მომავალი ყოველთვის ახალია. ახალი სჯობს ძველს.

10. ყველაზე მეტად რას ნანობთ?

– ეს კითხვები აქამდე რომ არ მიმიღია, იმას.

# სობორო

**(დოკუმენტური მოთხრობა)**

...და ბრძანა იმპერატორმა ბათუმში ისეთი ტაძრის აშენება, რომელიც არქიტექტურული გააზრებით გაუთანაბრდებოდა მსოფლიოს ანალოგიურ არქიტექტურულ ძეგლებს. ეს იქნებოდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდგომ ყველაზე დიდი სიახლე და სილამაზე სამასი წლის მანძილზე კარებდახშული აჭარისათვის. მითუმეტეს, ამ მშვენიერ მხარეში დასახლებას აპირებდნენ მართლმორწმუნე რუსი გენერლები და ოფიცრები.

...მშენებლობის სამსახურის უფროსმა მიიღო მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო დავალება შავიზღვისპირა თეთრ ქალაქში, ბათუმში უნიკალური ტაძრის აშენების შესახებ. მოიწვია მაღალარქიტექტურული სასახლეების, ტაძრების დაგეგმარების ცნობილი მშენებელ-ხუროთმოძღვარი ბატონი პეტრე კამენოგრაფოვი და გამოგზავნა ბათუმში.

...და ჩამობრძანდა ბათუმში ცნობილი რუსი ხუროთმოძღვარი კამენოგრაფოვი თავისი მდიდარი დიზაინით, გამოცდილებით. იგი იმდენად განათლებული და ალღოიანი იყო, რომ ქვაში შენახულ წარსულსაც კითხულობდა და ქვის წყობა-შენების ისტორიასაც წერდა. ჩამობრძანდა და დაბინავდა მაშინდელი სანაპიროს, ახლანდელი გოგებაშვილის ქუჩაზე მშვენიერ არქიტექტურულ და პრესტიჟულ სასტუმრო „ორიენტალში“.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის გამგებლის მითითებით შეირჩა ადგილი, სადაც უნდა აშენებულიყო ტაძარი.

არქიტექტორის მიერ დაგეგმილი იყო ტაძარი ხუთი გუმბათით. ამ გუმბათებს შორის ერთი იქნებოდა დიდი და მასიური, მეორე – ოდნავ მცირე, მაგრამ სვეტზე დაშენებული ჯვარით, ის სიმაღლეში უსწრებდა დანარჩენებს.

არქიტექტორი პეტრე კამენოგრაფოვის თხოვნით მოწვეული იქნა ახალგაზრდა ნიჭი-



ერი არქიტექტორი გიორგობიანი, რომელიც მთავარ არქიტექტორს ყველანაირ თანადგომას გაუწევდა.

...და შეუდგენ ამ სახელოვანი ტაძრის მშენებლობას.

* * *

1878-2004 წლები ხასიათდებოდა ბათუმის აღმშენებლობისა და ბათუმისადმი სახელოვანი ადამიანების ყურადღებით. ამ წლებში დაიწყო ახალი ეტაპი ბათუმის მშენებლობაში. ეს იყო კულტურული გარდაქმნების დასაწყისი. ბათუმში პირველი მატარებლის შემოსვლამ დიდი გარდამქმნელი სიახლე შემოიტანა. ეს იყო 1883 წელი. მაშინ დამთავრდა სამტრედია-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა.

ამ განახლებათა ფონზე საკმაოდ ულიმლამოდ გამოიყურებოდა ბათუმის საზღვაო პორტი. ამიტომ სწორედ 1883-87 წლებში ჩატარდა პორტის რეკონსტრუქცია დაწყებული ბურუნტაბიის მარჯვენა სანაპიროდან.*

ქალაქის განაშენიანებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე ზღვისპირა ბულვარის მშენელობამ. იგი დაიწყო 1884 წ.

ბათუმის ოლქის იმდროინდელმა სამხედრო გუბერნატორმა სმეკალოვმა გადაწყვიტა მოეწვია გერმანელი ცნობილი მებაღე, რესლერი ნურიის ტბის ირგვლივ ლამაზი ბაღის გასაშენებლად.

თითქოს სპეციალურად წინასწარ ლამაზდებოდა ზღვისპირა ბულვარი და ნურიის ტბის ირგვლივ ბაღი. მეტადრე ბულვარი, რადგან სწორედ ამ ბულვარის მთავარ შესასვლელთან უნდა აშენებულიყო ტაძარი.

ამ განახლებათა სანახავად, უპირველესად ტაძრის, შემდგომ სობოროს მშენებლობის დასაწყისისათვის ბათუმში ჩამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე მესამე თავისი თანმხლები პირებით. მან საინტერესო შეფასება მისცა ბათუმში თურქეთის სამასწლოვანი ბატონობის შემდეგ ასეთ აღმავალ განახლებად პროცესებს, რომელსაც დააგვირგვინებდა სობორო!

ტაძრის მშენებლობას 1888 წელს ჩაუყარეს საფუძველი. მისი აგების გარანტი იყო იმპერატორი ალექსანდრე III. ზღვისპირა ბულვარი რომელშიც იმპერატორმა ხეები დარგო, შემდგომ ეწოდა და ახლაც ქვია ალექსანდროვის ბაღი. მან აქ განაცხადა, რომ სობორო, რომელიც აშენდებოდა, იქნებოდა ალექსანდრე ნეველის სახელობისა. ამ სახელის წინასწარ მინიჭებამ ენთუზიაზმით და პასუხისმგებლობის გრძნობით აავსო მშენებლები, მუშები, ინტელიგენცია.

ყველას აინტერესებდა სამასწლოვანი თურქული ბატონობისგან გათავისუფლებული ბათუმი, უპირველეს ყოვლისა ქართველ და რუს ინტელიგენციას. ამ ინტერესს ემატებოდა იმპერატორის ვიზიტი და ტაძრისადმი ალ. ნეველის სახელის წინასწარ მინიჭება.

პირველად 1894 წელს ბათუმს ეწვია აკაკი წერეთელი. ამ დროს ტაძარი აშენებული იყო (1894 წ.).

ამავე ინტერესით ბათუმს ეწვია დიდი რუსი მწერალი ოსტროვსკი, რომლის სახელსაც

* ბურუნ – თურქულად ცხვირი. სწორედ ე.წ. ბურუხტაბიის ნახევარკუნძული ზღვის სიღრმეში შეჭრილია და დიდ როლს ასრულებს ჭოროხის მიერ ნატანის შეჩერებაში. ბათუმის პორტი ამიტომ ბუნებრივად ღრმაა და ადვილად შემოდიან დიდი გემები. „ბათუს“ - ბერძნულად ღრმას ნიშნავს.

ატარებს მოსკოვის MXAT-ი. მას ძალიან მოეწონა ბათუმის კლიმატი, ზღვა, ბუნება... მან დიდი შეფასება მისცა აჭარის მთავარ ქალაქს ბათუმს.

იქნება ამ საინტერესო დახასიათებამ კეთილი გავლენა მოახდინა დიდ რუს მომღერალზე, შალიაპინზე, რომელიც ბათუმს ეწვია და აქ იმღერა თავისი მდიდარი რეპერტუარიდან.

სწორედ სობორომ დაუდო სათავე ბათუმში არქიტექტურული მშენებლობების დიდ საქმეს. ეს უპირველეს ყოვლისა იგრძნობოდა ძმების – ზუბალაშვილების გადაწყვეტილებაში – ბათუმში აეშენებინათ კათოლიკური ტაძარი. 1898-1902 წლებში სპეციალურად მოწვეული იტალიელი არქიტექტორის პროექტით აშენდა კონსტანტინე ზუბალაშვილის კათოლიკური ეკლესია, სადაც ამჟამად განთავსებულია ღვთისმშობლის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია. არქიტექტურული თვალსაზრისით იგი მეტად ლამაზია.

* * *

ბათუმი საინტერესო გახდა როგორც ტურისტებისათვის, ასევე გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისათვის. მათ აინტერესებდათ, თუ როგორ გამოიყურებოდა ბათუმი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ. იგი საინტერესო გახდა იმპერატორის ვიზიტით, პორტის მშენებლობით, ნურიისა და ზღვისპირა ულამაზესი ბაღის მშენებლობით. ყველას უნდოდა ენახა ანგელოსური მშვენიერების ტაძარი – სობორო. ამ მიზნით ბათუმს 1924 წელს ეწვია დიდი რუსი მწერალი პასტერნაკი. 1925 წელს ჩამობრძანდა ნობელის პრემიის ლაურეატი, დიდი ნორვეგიელი ჰუმანისტი ფრიტიოფ ნანსენი,* 1930 წელს აგრეთვე ნობელის პრემიის ლაურეატი რაბინდრანათ თაგორი, 1931 წელს ცნობილი მეცნიერი ანდრეი სახაროვი, ჟორეს ალფიონოვი, იოსებ ბროდსკი, მიხეილ შოლოხოვი... მათ ჩამოუსწრეს სობოროს და როცა გაიგეს თუ რა ბედი ეწვია სობოროს, დიდი სინანული გამოქთვეს.

* * *

სწორედ ოციანი წლების დასასრულიდან და ოცდაათიანი წლების დასაწყისში გაჩნდა და აქტიურად იმუშავა კომუნისტების მომაკვდინებელმა ფრაზამ: „мир хижинам, война дворцам“.

ეს უკეთური მოწოდება, უკეთ რომ ვთქვათ, პარტიული დავალება გაისმა თუ არა, ანგელოსურ სობოროს თითქოს შეაჟრჟოლა. იმ ღამეს წამოვიდა საშინელი თავსხმა ქარიშხალთან ერთად. სობოროს სვეტის თავზე დატანებული ჯვრის კუთხეებში ქარს სტვენა-გრიალი გაჰქონდა. რამდენიმე დღეს იწვიმა, თითქოს ცრემლი სდიოდა ყველა სილამაზეს იმ მოსალოდნელი უპრეცედენტო მოვლენის მოლოდინში, რაც ემუქრებოდა ტაძარს.

გამოდარებისთანავე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ცენტრიდან წამოსული უბადრუკი მითითებით გადაწყვიტა სასწრაფოდ დაენგრიათ და მიწასთან გაესწორებინათ ულამაზესი ტაძარი. მისი არსებობა იდეოლოგიას ხელს უშლიდა, რადგან ის მეფემ ააშენა.

ტაძარი ისე მტკიცედ და კეთილად იყო ნაშენები, რომ მისი ქვათაწყობის საიდუმლოება მისმა არქიტექტორმა იცოდა. მის გარეშე ან უნდა აეფეთქებინათ, ან დაეშალათ და ამ ვანდალური პროცესისათვის ეყურებინათ ხალხისათვის.

ამ დროისათვის არქიტექტორი კამენოგრაფოვი აღარსად იყო. მისი ხელმძღვანელობის დროს მოწვეული და დამხმარე ახალგაზრდა არქიტექტორი უკვე სამოცს გადაცილებული იყო. 1937 წლის გაზაფხული იყო. ერთ ძალიან არასასურველ დღეს დაიბარეს ეს ადგილობრივი ხელოვანი, დაიბარეს და ყოველგვარი შესავლის გარეშე როყიოდ და ნახევრად ცი-

* 1999 წელს გადმომეცა დიდი ნორვეგიელი ჰუმანისტის ნობელის პრემიის ლაურეატის ფრიტიოფ ნანსენის საერთაშორისო მედალი. სათანადო დოკუმენტში წერია: „за широкую творческую, научную. благотворительную деятельность...“

ნიკურად უთხრეს – ტაძარი უნდა დაანგრიოო. შენ იცი, სად რა როგორ დევს, შენს მეტი ვერავინ დაანგრევსო.

– ვერ დავანგრევ! – გადაჭრით და ყველას გასაგონად თქვა სობოროს მშენებლობის ხელმძღვანელ-არქიტექტორმა.

ამ კატეგორიულმა და გაბედულმა უარმა ყველაფერი შესძრა.

– უნდა დაანგრიო, ეს არის დროის მოთხოვნა, – თითქოს გადაწყვეტილების მიზეზი განუმარტეს.

– ვერ დავანგრევ! – ახლაც იგივე პასუხი იყო.

– რატომ ჯიუტობ, პარტიას ეჯიუტები?

– ტაძარი ყველა დროის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლია, რა დრო უნდა მოვიდეს იმისთანა, რომ მასზე ხელი აღიმართოს.

– უნდა დაანგრიო! – ვაიმბრძანებელს მუქარა შეეპარა ხმაში.

– მიწა გამისკდება იმას რომ ბოროტად შევახო ხელი.

– მიწა ახლაც გაგისკდება!

– მე მშენებელი ვარ და არა მნგრეველი. ჩემი საქმეა შენება და არა ნგრევა. ნგრევას სხვანაირი გული უნდა, შენებას კი – სხვანაირი.

– გახსოვდეს, ეს 1937 წლის დროის მოთხოვნაა.

– კვლავ გეუბნებით, მე ნგრევა არ შემიძლია ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთზე ხელი არ მომიბრუნდება, ნგრევას სხვანაირი გული და ფსიქიკა სჭირდება. ჩემში ასეთი რამ არასოდეს ჩასახლდება. აშენებაა ჩემი საქმე, მითხარით და უნიკალურ ნაგებობებს აგიშენებთ.

– გაიყვანეთ! – თქვა უბადრუკი დავალების შემსრულებელმა კაცმა, რომელიც ერთხელ „ობობას" მარკის ავტომანქანის მძღოლის გვერდით იჯდა და რომელსაც ასეთი საქმეები ებარა.

– „გაიყვანეთ" – ეს სიტყვა დაამახსოვრდა დიდოსტატს. გაიყვანეს. ამის შემდეგ არც მას წარმოუთქვამს სიტყვა და არც არავისი სიტყვა გაუგონია.

ეს იყო ავადსახსენებლი 1937 წელი.

...სობორო აღარსად იყო. არც მისი ამშენებელი.



# ბიჭო თავაძე

უფალმა რომ შეგიყვაროს,
ამისთვის იყავ მზაო,
ბევრს რომ უყვარხარ, ნაღდია
და მეც მიყვარხარ, ძმაო!...

## ავტოპორტრეტი

(დაღმართისაკენ)

დაღმართისაკენ მიდიხარ,
გაგისპეტაკდა წვერი,
მადლობა უფალს, არა ხარ,
იმ პარტიათა წევრი,

სამშობლო რომ გაასხვისეს
და შეგვიბღალეს რწმენა,
სხვათა ენა რომ არჩიეს,
ღვთაებრივ დედა ენას.

კვლავაც აკაკის მეტრფე ხარ,
კვლავ ხშირად სტუმრობ ჩარგალს,
ვერასდროს ვერ წამოგაგეს,
მედროვეებმა ჩანგალს.

ერთგულებ ძმას და მეგობარს,
ძმობის ხიდი ხარ ისევ,
ბავშვის ცრემლივით კამკამებ,
ჩხავერით თასს რომ ივსებ.

გიყვარს ბელურა ჩიტი და,
ძაღლი და წაბლა ცხენი,
კიდევ, ქალი და, ქალი და,
ქალის ტუჩები ცხელი...

სარეველები მომრავლდნენ,
კვლავაც ალესე ცელი,
თუმც დაღმართისკენ მიდიხარ,
გაგისპეტაკდა წვერი;

## გახსოვდეთ!

„ქალი არ უნდა მოკლა!“
*პიქტების კანონი*

თებრონე მიდის წყალზე,
მხარზე უდგია კოკა,
უჩა დაუხვდა გზაზე,
უჩა, ქალი არ მოკლა!

სოკოზე მიდის თეო,
ტყეში ჩასაფრდა გოგლა,
შენ დაიფარე ტყეო!
გოგლა, ქალი არ მოკლა!

გოგოსთვის ატყდა შფოთი,
ვნებები დაიგორგლა...
ყბების დალეწვა მოდის,
ქალი არ უნდა მოკლა!

ხვიჩამ გალახა გოჩა,
აქცია გოგლი-მოგლად...
ევა სხვას გაჰყვა, – მორჩა,
ქალი არ უნდა მოკლა!

თუ დაიურვებ ფაშატს,
მერე შესძახე ჰოპლა!
რომ დაგსვან ქვეყნის ფაშად,
ქალი არ უნდა მოკლა!

ჰეი, შენ ჩემო უჩა,
ჩემო ძმობილო გოგლა,

დაგილეჭიათ ქუჩა,
ჯაჭვები გადაგიხრავთ,

ოღონდ გახსოვდეთ, ძმებო,
ქალი არ უნდა მოკლათ!
ქალი არ უნდა მოკლათ!
ქალი?..
მე უნდა გითხრათ?!!

„ქალს?
ქალს, მარტო ნუ დატოვებთ,
სანამ ქვეყნად ვარსებობთ,
ქალი?
ქალი საფერებლად
გაჩენილა კაცებო“.

## გამარჯობა ბათუმო!

ბათუმელ პოეტებს – ლექსის ბიჭებს

პოეზიით ინთები
(თუმც სხვა მხრივაც გიტევენ...)
მოდარაჯე რითმები
ღამეს გამოგითევენ...

გფარავს შუშის ფერები,
როგორც ზეცას ქორები,
ქუჩებს შუქნიშნებივით
ავსებს მეტაფორები...

ხარ კარიბჭე დროებით,
იქითაც ვიხედებით...
ზეთისხილის რტოებით
მოჩანს ტაოს ხედები.

ციტრუსების სურნელში
მწიფს ლელვი და გულაბი,
ჩანან უკვდავ სულებში
ფრიდონი და ზურაბი...

ზღვა – გემების ხაფანგი,
მახე და კაკანათი,
მლაშე ხმებით დაგვბანგავს
და „ჰოიდა ნანათი“...

სავსე ლექსის ბიჭებით,
დიდგულობ და ბათქუნობ,
აბა, ასწით ჭიქები,
გამარჯობა ბათუმო!

*ციკლიდან „ვაი ჩვენს პატრონს!“*

## ერთობ ძნელია!

(სახუმარო)

ვისაც უნახავს თმა-წვერი შავი
და ვინაც დღემდე ვერ დამივიწყა,
ვინაც იწვნია ვნებების შვავი,
დაისაკუთრა ვინაც ირგვლივ ცა...

ვისაც უნახავს ის ბიჭი ხმელი
და ვინაც დღემდე ვერ შემელია,
იმ სიგიჟეებს თუ ვინმე ელის,
უნდა გამოვტყდე, ერთობ ძნელია!...

## კვადოურა – მცირე მდინარე ხარაგაულში

სახსოვრად ეკას

ზღაპრული ხალიჩა ხატაური,
ყვავილი, ხე, წყარო, მწვერვალი,
ფერხთით გაწოლილი კვადოურა, –
ერთობ წელწვრილი მწევარი...

მოარაკრაკებს ღვთიურ ჰანგებს
(კრინია – გალოკილი კენჭები...)
ლოდებს მორევიათ ძილის ბანგი,
თხმელებს მიწოლიან ბეჭებით...

მზის სხივი ჩაპარული ჩუმად ხევში,
ერთობა გალუმპული ხის შრობით...

ლექსსა და ლექსს შუა, შუალედში,
ბაცდება, ითენთება ქვიშრობი.

ხომ არ მოგენატრა ხევსურეთი, –
მღვრიე არღუნის გრუხუნი,
მინდვრის ყვავილების მღერა ფერთა,
ჩემო მეგობარო ქურხულო.

წამო, გველოდება კვადოურა, –
ყვავილი, ხე, წყარო, მწვერვალი,
ზღაპრული ხალიჩა ხატაური, –
ერთობ წელწვრილი მწევარი...

## ლიტერატურული ამინდი

არ გამოზაფხულდა, ჯერ ნიბლია,
ისევ აკანკალებს საწყალ ლიტ-ხეს!...
ახლა მოდაში ხომ ვერლიბრია,
ჭროლა ბელურები მომიკითხე!

ზღვიდან ქარბორბალა მოგვდგომია,
შტორმიც ბუნებრივი მოვლენაა,
დედაბერს მარწყვი რომ მოუნდება,
ესეც ერთდაგვარი ნოველაა...

მავანს გროშიც არ აბადია,
აქაც ბევრია მოშიმშილე,
დღეს მარგალიტის საბადოა,
დოკუმენტური პროზის შვილი...

რამდენჯერ თავი წაგვიგია,
ყელში დაგვწყდომია ხმის მყესები,
აბსურდის თეატრი გაგვიგია,
აგრეთვე აბსურდული პიესები!...

თვალსა და ხელს შუა გვიობდება.
ბოდბის და სხვა ფოლიანტები...
სტოკჰოლმშიც თანდათან იოლდება,
დაჩეკვა ნობელიანტების!...

კბილები რაც უნდა აილესო
რას გარგებს, თუ გიტევს კარიესი,
როგორ მომენატრა კაი ესე,
კაი მოთხრობა და კაი ლექსი!

დღის წესრიგშია ხმამაღლა თქმა:
პრეზიდენტი თუ პრემიერი?
მაგათაც ხომ არ ჩამოვკიდოთ,
ლიტერატურული პრემიები.

არ გამოზაფხულდა ჯერ ნიბლია,
ისევ აკანკალებს საწყალ ლიტ-ხეს!...
ახლა მოდაში ხომ ვერლიბრია,
ჭროლა ბელურები მომიკითხე!

## მინდა აჭარაში მოვიძიო

როი აბუსელიძეს

ერთ დროს ვიყავი მეკობრე და,
მერე ბევრი რამ შევინანე,
ჩემო უმრწემესო მეგობარო,
უნდა გამაცნო შენი ნენე!

ახლა ყველაფერი გაიაფდა,
ღმერთო, იქით წასვლა შემინელე!
იქნება ჩემი დაია და,
ჩემი მეგობარი, შენი ნენე.

ზოგჯერ იმერულად მოვუქციოთ:
„სადაურელი ხარ, ბიჭო შენე!“
მინდა აჭარაში მოვიძიო,
უსათნოესი შენი ნენე.

ო. რარიგ თბილია ჩვენი ფაცხა
ჯვალოს სამოსელსაც ჭერში ფენენ...
მინდა შენაც რომ დაიფიცო,
უკვე მოხუცი ჩემი ნენე!

როი, დაგვყურებენ დიდი მთები
და მე ბევრი რამ შევინანე,
არიან ძმაო, ტყუპი დები,
ჩემი ნენე და შენი ნენე!...

## რა მალე თენდებოდა ღამე...

ვნებებმა იწყეს გახამება,
ჭრელი პერანგი რო ცრემლით ნამე,
როგორ ველოდით დაღამებას,
ხელში გვადნებოდა ღამე...

ახლა ვულკანები ჩამქრალია,
იქნებ მოვიფიქროთ რამე,
დეკემბერშიც კი ამალია,
რა მალე თენდებოდა ღამე...

ის სისხლი ისევ მდუღარეა,
ჯერაც ფიცხი და კისკასია,
თმა-წვერი თეთრი და მწუხარეა,
შენ რომ გიყვარდა, – ის კაცია...

ვნებები ისევ ფრთამალია...
გულები კვლავაც აინთება
და ბევრი ღამე ამალია,
ხელში ჩაგვაკვდება, დაინთქმება...

## საგალობელი ნენეს

შენი ხორბლისფერი ტანი,
ტკბილი ზანდური და მახა...
მკერდი –– სავანე თუ ვანი,
როცა ამ თვალებმა ნახა,

იდგა წელი, ქრისტეს აქეთ
ექვსი (ათასწლეულებით)...
ხელაპყრობილებმა ვაქეთ
ჩვენში ახალწვეულები...

დღემდე მომდევს თაკარება,
ემაგ ვნებიანი სუნთქვის...
„ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,
კარვის კალთა“, ყველა სულთნის...

ჰარამხანა ყველა შაჰის,
დაყურსული შენს თვალებში,
ჰეი, მსურველებო რახის,
მე ვერ გავძლებ მზის გარეშე...

მე ვერ გავძლებ უუშენოდ
ჩხავერო და ოჯალეშო,
ყელზე, სადაც ჯვარი გშვენის,
უგონოდ რომ გავილეშე...

ნეტავ რა გამომაფხიზლებს
ნენევ, ბებოს ტკბილო კვერო...
შემოგახვევ რძისფერ ნისლებს,
ნისლის პერანგს შეგიკერავ...

შენი ხორბლისფერი ტანი,
ტკბილი ზანდური და მახა...
მკერდი – სავანე თუ ვანი,
ოდენ ამ თვალებმა ნახა.

## ფერმილეული ხელები

**N-ს**

ადრე ჭკუას ვკარგავდი ფერმილეულ ხელებზე,
„ოდა ხელებს“ (ბალადა) ამოვლექსე
გულიდან,
მერე სიტყვებს ვრითმავდი შუმერზე და
ხალიბზე,
ოდეს მქონდა საბრალო თავი დაკარგული და,

არეული დავთარი, როგორც ხელნაწერები, –
საცოდავი ლექსები, ქარში მიმოფანტული,
ჩემი ბედის ბორბალი ქროდა ანაწერაზე,
როგორც ამოუხსნელი ბერმუდი და ფანტომი...

აწლა მოდგა ზამთარი კანკალის და ციების
და მომინდა ფერება ფერმილეულ ხელების,
მახსოვს ჩვენი სულების მლვრიე მედიტაცია
და თვალებში ვნებების ასთმიური ხველება...

ისევ, ისე ვაბოდებ შუმერზე და ხალიბზე,
ისევ, ისე ვლოცულობ ფერმილეულ ხელებზე,

ვიცი, მომენატრება თაკარება ხვალის მზის,
როგორც ჩხავერს გათოშილს, გაკიდებულს
თხმელებზე...

ღმერთო, შენ დამაძინე, ფერმილეულ ხელებზე...

## საქართველოში?!

„საქართველოში იბადებოდნენ“...
*ლადო ასათიანი*

საქართველოში,
ყველა შვილი არაჩვეულებრივია!
– ყოველი მამა პატიოსანი!
– დედა უმწიკვლო!
– წინაპრები, – მთის ბროლნი!
– ნათესავები, – კეთილშობილნი!
– მეგობრები, – უსპეტაკესნი!
– ყოველი კაცი და,
ყოველი ქალი,
მამულიშვილნი!..
ამ დროს,
ქ ვ ე ყ ა ნ ა ს
სუყველა ძარცვავს!..
თავად ს ა მ შ ო ბ ლ ო,
უდედმამო და უნათესაოა!...

## ქვრივის ბალადა

როგორ გაფრინდნენ წლები,
წლები ძაძების დარი,
ისევ მარტოკა წვები,
აუნთებელი კვარი...

ვიღაც ყოველღამ მოდის
სიზმრად და გახევს პერანგს,
მამაკაცური კოდი, –
როგორ გავს იმ ბუმერანგს,

რომელიც შენკენ მოქრის
და ველარ აიცილებ...
გაღვიძებს შიშის ოფლი,
დიდხანს ვერ დაიძინებ.

დილით, შხაპის ქვეშ ნაბავ
თვალებს და ისრეს კერტებს
და წყალს გაატან (ნაბანს),
მოხეთქილ ვნების ბელტებს...

მერე ელ-ფოსტას ჩითავ,
თან წრუპავ თურქულ ყავას,
დანამულ ტანზე ჩითის
იცვამ კაბას და გავას

ათვალიერებ მუშტრის
თვალით და ალებ კარებს,
გშვენის თვალები კუშტი
და შეღებილი „კარე“.

ათი წელია თითქმის –
(სხეული კვლავ გაქვს მკვრივი),
ეჰ, რა ადვილად ითქმის, –
რაც რო დაგერქვა ქვრივი.

ნახევარ საუკუნეს,
მიუკაკუნებ მალე,
სხვები იწერენ ქულებს,
შენ კი... მიდი და თვალე,

რამდენმა გთხოვა ხელი,
ხელი კი არა, დახლი,
დაგმანე ყველა ხვრელი,
შენი გულის და სახლის.

რა ჩქარა ჩამოთოვა,
აწი დადგება თოში,
ნიადაგ ფიქრობ, მოვა,
დაგახრჩობს ვნების ტბორში...

ბებო გადასცდა ასხუთს,
მერე რა, სულ არ გიკვირს,
ყოველღამ იხდი აზღუდს,
ყოველდღე იცვლი ბიკინს...

როგორ გაფრინდნენ წლები,
წლები ძაძების დარი,
ისევ მარტოკა წვები,
აუნთებელი კვარი...

მუდამ ვიღაცას ელი,
ღამით ღია გაქვს კარი
და რა ხანია, ლელი,
არ გესიზმრება ქმარი!...

## შემოდგომის გზაზე დამდგარი კაცის სააპრილო ლექსი

ბევრი ვირბინე აღმა და დაღმა,
სიტკბო ვიგემე სრულიად ბალღმა;

და ვერასოდეს დავთმე სიამე,
მიყვარდა: ანა, ლელა, ია მე!...

ბრძოლაში ვიყავ, თოვლში თუ ქარში,
ოი, რამდენი ვაჭენე რაში...

სტეპში, ტუნდრაში თუ უდაბნოში,
მთის მწვერვალზე თუ ხრიოკ დაბლობში;

მატარებელში, გემში, ავტოში,
ვიყავ ნატოსთან, ანუ ნატოში...

რიდი არ მქონდა ქვეყნად ევასი,
დღესაც აგრე ვარ, თუ „დამევასა“,

ვინმე ანეტა, ანდა ნაბული,
მათთან ვბანაობ თვალმინაბული...

* * *

ბევრი ვირბინე აღმა და დაღმა
და ვიდრე გავალ მარილზე, გაღმა,

მზის ასულებო, ზებო, ალბუნეთ,
შემომენთეთ და მომესალბუნეთ!...

ო, როგორ მიყვარს თვალთა სინამე,
ვერასდროს დავთმე მე ეს სიამე...



# ელგუჯა თავბერიძე

## ხუთი ამბავი

**(ციკლიდან – ძველი ამბების ქრონიკა)**

### რა ქნას კარგმა მონარდემა...

1884 წლის თებერვლის „დროებაში“ დაბეჭდილი ამბავი, ვიქტორ იურკევიჩი რომ მოგვითხრობს ანეტას ფსევდონიმით, ნოველაა, თანაც ისეთი, გადმოწერის მეტი რომ არაფერი სჭირდება. ამას ჩემზე უკეთ სხვა იზამდა და თავს სულაც არ შევიწუხებდი, ნოველის დეტექტიურ თხზულებად გარდაქმნის სურვილს რომ არ შევეპყარი, ანუ, მინდა, უსახელგვაროდ, ამბავში რალაც მინიშნებებით ნახსენები პერსონაჟები ამოვიცნო.

მაშ ასე, 1884 წელი, 10 თებერვალი, ქუთაისი. უქარო დილა. თებერვლისათვის უჩვეულოდ თბილი. წინა დღეები ქარიან-წვიმიანი; საარჩევნო მიეთ-მოეთი, შეპირება, გადაგდება, ჭინჭყლი, აყალ-მაყალი, გრძელი სუფრები და მისვლა-მოსვლა გათავდა. ამინდიც ჩაწყნარდა. ხალხსაც კაიხნობით მხოლოდ არჩევნების დროს მომხდარზე – ლუკა ასათიანს მოწინააღმდეგედ რომ ვერავინ გამოუნავარდეს, სამაგიეროდ, ივანე მესხს ლუკაშევსკი და ქვარიანი რომ შეუტოლეს, უნდა ელაპარაკა, მაგრამ იმ უქარო დღეს ისეთი რამ მოხდა, წინა დღეების ამბები ყველას დაავიწყდა.

ერთ უგანათლებულეს თავადს, დიდი ქონების პატრონს, ფრიად ჩინოსანს, საცოლოდ თუმცა ხნიერს, მაგრამ ისევ ფრიად სასურველს, ანუ ამ ამბის მთავარ პერსონაჟს ვინ არ შეტრფოდა, გულში ვის არ ჩავარდნოდა; თავადისა და აზნაურის ზოგიერთი ასული არც მალავდა, ზოგს გულში ჩაემარხა და გასამჟღავნებლად შესაფერ დროსა და მომენტს ელოდა, სხვებისა კიდევ მშობლები ფართიფურთობდნენ, წვეულებებს მართავდნენ... უგანათლებულესს პატიჟებდნენ, სასიძოდ სანატრელობას გადაუკრავდნენ... ვერ ვიტყვით, დიდჩინოსანი წვეულებებზე უარს ამბობდაო, პირიქით, ყველასთან მიდიოდა, ილხენდა, ცეკვავდა, შაირებშიც ტოლს არავის უდებდა, მაგრამ გულში არავინ ჩავარდნია. ამას, უპირველეს, დამპატიჟებლები გრძნობდნენ, თუმცა იმედს მაინც არ ჰკარგავდნენ.

მდიდარი უგანათლებულესი თავადის სტუმრობის ამბავს სხვა გვარის თავადთა გასათხოვარი ქალების მშობლები რომ შეიტყობდნენ – ის დაუწუნებია, იქნებ ჩვენი შვილი იყოს მისი საბედოო, ახლა ესენი პატიჟებდნენ, აქაც იგივე ხდებოდა.

შვილის – ანეტას სახელს ამოფარებული ვიქტორ იურკევიჩი არც იმას მალავს, გასათხოვრებზე არანაკლებ გათხოვილი ქალებიც რომ შეჰფოფინებდნენ მის უგანათლებულესობას, მცირედნი – თვალებით, უფრო მეტნი – სიმორცხვითა და დაბნევით ამხელდნენ, ჩინოსანი მათთვისაც სასურველი რომ იქნებოდა.

მაგრამ ხნიერი სასიძო ყველას ყურადღებით, მოწიწებით ექცეოდა და მეტი არაფერი.

10 თებერვალს, საღამოს ნათესავთან მივიდა. ხშირად ხდებოდა ასე, თუ არავისთან იყო მიწვეული, ან აქეთ იწვევდა ნათესავებს ან იქით ესტუმრებოდა ხოლმე. იმდროინდელი ქუთაისის ცხოვრებაც ხომ უამისოდ, ანუ მისვლა-მოსვლის გარეშე, არაფერი გახლდათ.

ჰოდა, იმ დღეს, ნათესავთან სტუმრად მისულმა საცოლოდ ატროვებულმა უგანათლებულესმა გაიცნო ერთი თავადის ქალი. ორივეს, შეხედვისთანავე, სამხრეთული სისხლი აუჩქროლდა. ნარდს ჩაუსხდნენ. რა ნაძლევზე ვითამაშოთო? – შეჰკადრა ცოლობის მდომმა, „რაც ორივეს უფრო გვინდაო" – მისმა უგანათლებულესობამ, – მაგალითად, მე ცოლი მინდა და თუ მომიგებთ ნარდს – ვისაც მიბრძანებთ, იმას შევირთავო! ქალმა ტაქტიკურად უპასუხა – ბატონი ბრძანდებით... და თუ თქვენ მომიგეთ, ვისაც თქვენ ამირჩევთ, იმას გავყვებიო... „გაისმა მღერა ნარდისა, შეიქმნა ტოკვა გულისა"...

იტყოდა უგანათლებულესი – ფანჯი-სეო, კამათელი გადაგორდებოდა და ზუსტად ფანჯი-სე დაჯდებოდა. ხანდახან ასეც ჩაურთავდა: შენ უკეთ იცი, კამათელო, რაც მინდაო და ყველაზე სასურველს დაუსვამდა არსთა გამრიგე. ერთი-ორჯერ თავადის ქალმაც ამოიკნავლა: ჩარი-დუ, კამათელოო, მაგრამ შენც არ მომიკვდე. პირველი ხელი უცებ მოუგო ჩინოსანმა და მდიდარმა მისმა უგანათლებულესობამ; მეორე ზანტად დაიწყო, თავადის ქალი განგებ დააწინაურა, მაგრამ ბოლოში სულ წყვილ-წყვილი აგორა და უცებ ამოყარა ქვები. ორჯერ მოგების შემდეგ უგანათლებულესმა თავადმა ჰკითხა „ბრწყინვალებას" – პირობაზე როგორა ხართო? – ძალიან კარგად, მზად ვარ, სანაძლეო შევასრულო, როგორც თქვენ ამირჩევთო.

მოსწრებული სიტყვის თამაში გამოუვიდაო, გვეუბნება ვიქტორ იურკევიჩი, მართლაც ასეა. ნათქვამის გაგება ორნაირად შეიძლება: ერთი – თქვენ თუ ამირჩევთ და მეორე – თქვენგან არჩეულსო. ბატონი ბრძანდებითო! – მიუგია უგანათლებულეს თავადს, აუღია ალბომი, თავის სურათზე დაუდევს თითი და უთქვამს: თქვენთვის ეს კაცი ამირჩევია და იგი მზადაა, ახლავე ჯვარი დაიწეროსო. – რა ვქნა, – სინაზით უპასუხებს სასიამოვნოდ დამარცხებული, – უნდა აღვასრულო ჩემი სიტყვა... გამარჯვებული გადაეხვევა თავის საცოლეს, საცოლო – საქმროს და პირდაპირ ნარდის თამაშობიდან ეკლესიაში გასწევენ და ისკვნიან გვირგვინს მეუღლეობისას"... ეს „დროებაა". თუნდაც იმის საილუსტრაციოდ მოხმობილი, როგორ შთამბეჭდავად ყვებოდა ამბავს ვიქტორ იურკევიჩი.

ორი წლის წინათ უგანათლებულესს ერთი ქალისთვის ლექსი გამოუთქვამს:

*„წყალგაღმა ბუ იძახოდა,*
*წყალგამოღმა – ოლოლიო,*
*ყოველ ქალს თითო ქმარი ჰყავს*
*................ ოროლიო!"*

ახლა გულ-ნატკენმა ქალებმა სასიძოს წარსული ცხოვრება მოიგონეს და ეს გამოუთქვეს:

*„აჭარაში სხარტულია, იმერეთს აკანათი,*
*ბევრ კაცს თითო ცოლიც არ ჰყავს...*
*........................ კი ათ ათი!.."*

აქ მთავრდება ნოველა. ახლა ჩვენ უნდა დავიწყოთ, გამოვიძიოთ, ვინ არიან მოქმედი პირები. უპირველესად, დადიანთა და შარვაშიძეთა საგვარეულოს უგანათლებულესი წარმომადგენლები გაკრთებიან გონებაში, მაგრამ, ისეთს ვერ ვიგუმანებთ ქუთაისში დაფუძნებულთაგან, ხნიერს ახალგაზრდა ცოლი რომ შეერთოს... მდიდარსა და ჩინოსანს, მეტნაკლებად, კი აღმოვაჩენთ, მაგრამ მაძებრობაში მარტო ეს არ გამოგვადგება და ამით გაქარწყლდება ეჭვი, სასიძო დადიანი ან შარვაშიძე ხომ არ იყოო.

დეტექტიურ არსენალში ყველაზე საიმედო მეტრიკული წიგნების გადაჩხრეკა იქნებოდა, საიმედოც, მაგრამ რთულიც, რამეთუ იმდროინდელ ქუთაისში ყველა თუ არა, რამდენიმე ეკლესიის დავთარი მაინც იქნებოდა გადასამოწმებელი. და მერე, რა გარანტია გვქონდა, მაინცდამაინც იმ რამდენიმეში რომ აღმოვაჩენდით სასურველს, ამიტომ, საბოლოოდ, ყველა ეკლესიის მეტრიკული წიგნები უნდა გვენახა და ეს გზა ჯობდა, რადგან მათში თუ ვერ აღმოვაჩენდით სასიძოს და საპატარძლოს, იმას მაინც ვიფიქრებდით, ვიქტორ იურკევიჩმა მოიგონა უცნაური ქორწინების ამბავიო.

უგანათლებულეს თავადს, სავარაუდოდ, ქალაქის გარეუბნის ეკლესიაში არ უნდა დაეწერა ჯვარი. რაკი ჯვრისწერის თვე მიახლოებით ვიცოდით, პირველად საკათედრო ტაძრის დავთრები გადავიკითხეთ, მაგრამ თებერვალში ამდაგვარს არავის დაუწერია ჯვარი. იანვარ-თებერვალში სობოროში ორად-ორი ქორწინებაა ჩანიშნული: პირველი – 35 წლის კოლეჟსკი ასესორის ივანე თედორეს ძე ტატარენკოსი 21 წლის მაკრინე კეჟერაშვილზე და მეორე – 30 წლის ოზურგეთის მაზრის სოფელ ნიგოეთში მცხოვრებ თავად ივანე ალექსანდრეს ძე მაჭუტაძისა 24 წლის ანა ერისთავზე.

მთავარანგელოზის ეკლესიაში, ზემოთ ნახსენებ ორ თვეში, შვიდი წყვილისთვის დაუწერიათ ჯვარი, აქედან ოთხი გლეხია, ერთი მეშჩანი, ერთი ბერძენი და ერთიც სპარსეთის ქვეშევრდომი გრიგორიანული სარწმუნოების სომეხი. მათი ჩამოთვლა ტყუილი გარჯა იქნება.

ამის მერე წმინდა გიორგის ეკლესიასა და პოლკის ტერიტორიაზე არსებულ სალოცავზე ვგუმანობდით. ორიდან უპირატესობას მეორეს ვანიჭებდით, რადგან რუსთა მოერთგულე ბევრი თავადი და აზნაური სწორედ აქ ბედნიერდებოდა, ანუ იფსკვნიდა ჯვარს. მაგრამ მათშიც ვერ მივაკვლიეთ ჩვენთვის საინტერესოს, არც უგანათლებულეს ვინმეს და არც ხნიერს დაუწერია ჯვარი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სხვა, იმდროინდელ ქუთაისში მოქმედი ეკლესიების დავთრებიც საგულდაგულოდ გადავჩხრიკეთ, ვეძიეთ, ვერ ვიპოვნეთ... ყველაზე ნაკლებად პეტრე-პავლეს ეკლესია მიგვაჩნდა უგანათლებულესი თავადის ჯვრისწერის ადგილად და აქ არ აღმოჩნდა?!

1884 წლის 10 თებერვალს პეტრე-პავლეს ეკლესიაში ჯვარი დაუწერიათ 50 წლის უგანათლებულეს თავადს, გენერალ-მაიორ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ადჟარსკის და 25 წლის თავადის ქალს დავარ გლახუას ასულ მიქელაძეს. ახალშეუღლებულთათვის ჯვარი მღვდელ გიორგი მაჭავარიანს დაუწერია, მედავითნედ ვასილ კანდელაკი ყოფილა.

სიძის მხრიდან თავდებნი – თავადი ნიკოლოზ ბეჟანის ძე ჩხეიძე და კოლეჟსკი ასესორი როსტომ ბაგრატიონი, დედოფლის მხრიდან – მომრიგებელი მოსამართლე ივანე პეტრეს ძე ჯაიანი და თავადი ნიკოლოზ ბესარიონის ძე ფალავა.

დეტექტიური თხზულება აქ შეგვეძლო დაგვესრულებინა: მეფე, ანუ ნარდის ერთი მოთამაშე, უგანათლებულესი თავადია, გენერალ-მაიორია (მეტი ჩინოსნობა რაღა გინდა), მეორე მოთამაშე – თავადის ქალია და ახალგაზრდა... ახლა იმას არ იკითხავთ, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ადჟარსკი ვინ იყო?! ვინ და შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. მის თურქმოძულეობაზე, ქართულ ცნობიერებასა და მამულის თავგადაკლულ სიყვარულზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ აჭარის დედა საქართველოსთან შემოერთების დროს შერიფ-ბეგის ნათქვამი სიტყვები ისე პატრიოტულია და ჟრუანტელის მომგვრელი, მისი გაუხსენებლობა არ იქნება: „ღმერთმა ჰქნას, მეცა და ჩემთა თანამოძმეთაცა საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება; შევერთებულიყოთ მტკიცე ძმურად ჩვენს დიდის ხნის აქეთ დაშორებულ მრავალ რიცხვს ძმათათანა, სულითა და გულით და ყოველ კეთილგანწყობილებითა ხელი-ხელს მოგვეცეს და გარდაგვედგას ის გმირული ნაბიჯები, რითაც განთქმული იყვნენ ქრისტიანობითა ჩვენნი წინაპარნი საქვეყნოდ, ეხაროსთ დიდი ხნის მიღმა იმათ ღრმად მიძინებულს სულ-გულსა და იშვებდნენ ჩვენის ღირს მემკვიდრეობითა, რომლით წინ წავა ქვეყნის მაშენებლობა. განახლდებიან ციხე-ტაძარნი, სამოქალაქო ვაჭრობა, ხელოსნობა, სწავლა-მეცნიერებაზე კეთილობით, ერთიათასად და ათიათასად წარიმართება მიწის შემუშავება, ნერგვა, წინდვა, მყვნა-გამრავლება, ყოველი საზრდო გაგვიეფდება, რომ ყოველი კაცი ბედნიერების გზა-კვალს დაადგეს ღვთის მსახურებით, სიმართლით და კაცთმოყვარეობითა“.

გიორგი ყაზბეგისეულ დახასიათებასაც ვერ გამოვტოვებთ: „45 წლისაა, საშუალოზე

მაღალი ტანის, ნამდვილად ქართველის ტიპისა, ჭკვიანი კაცის გამომეტყველება აქვს, კარგი მოსაუბრეა. თავისებურად ნასწავლია. იცის ყოველი დარგის ხელობა, ხმალი, რომელიც მას წელზე ჰქონდა, მისი გაკეთებულია და აგრეთვე მის მიერვე ვერცხლითა და ოქროთი მოვარაყებული. მან ჩამოასხა სპილენძის ზარბაზანი, ჰქონდა თავისი ხელით ნიგვზის ხისაგან დამზადებული ავეჯი, გარდა ამისა, სცოდნია შელესვა და შეღებვაც და სხვა ხელობაც".

ისიც შთამბეჭდავი ამბავია, იმპერატორს მოსწრებულად რომ უთხრა: კავკასიის მეფისნაცვალს გადაეცი, ჩინოვნიკი „ხვალე" იქაურობას მოაშოროსო. თარჯიმან ანჯაფარიძეს ვერ უთარგმნია შერიფ-ბეგის თხოვნა. მაშინ თვითონ მას, თავისი დამტვრეული რუსულით, გაუგებინებია, რასაც ნიშნავდა ჩინოვნიკი „ხვალე". ამის მერე შერიფ-ბეგის თხოვნას „ხვალეთი" აღარ ისტუმრებდნენ.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ადჟარსკის, ანუ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიაში ბევრი რამაა სადეტექტივო. დაბადების თარიღს სხვადასხვას წერენ – 1829, 1833, 1834 წლები. თუ პირველს ვირწმუნებთ, მაშინ მღვდელ გიორგი მაჭავარიანისთვის დაუმალავს ასაკი, რაც საეჭვოა. დავარის დაბადების თარიღიც არასწორადაა მითითებული მიქელაძეთა გენეალოგიაში, 1851 წლის მაგიერ 1859 წელი უნდა ეწეროს.

შერიფ-ბეგის ქრისტიანად მონათვლის თარიღიც არაა დაზუსტებული, ზოგი თვლის, 1879 ან 1880 წელს მოინათლაო, სხვები კიდევ 1883 წელს იჟინებს, ყველა აღიარებს, ნათლია იმპერატორი რომ იყო, მაგრამ მონათვლის თარიღების სხვადასხვაობით, ერთ შემთხვევაში – ალექსანდრე II, მეორეში კიდევ – ალექსანდრე III ყოფილა ნათლია.

შერიფ-ბეგის ცოლების რაოდენობა და სახელებიც არაა დადგენილი. ზოგი წერს, ხუთი ცოლი ჰყავდაო – პირველი ასლან-ბეგის ქალიშვილი ნარგული იყოო. გერმანელ თანამეცხედრეს, რუსეთის დედოფალ მარია ფიოდოროვნას ბიძაშვილს, დანიის მეფის ძმისშვილსაც არ ივიწყებენ. ზოგი იმასაც წერს, შერიფ-ბეგის მეხუთე ცოლი მემედ-ალა მიქელაძის და, მესუდე-ხანუმი იყოო. გამოდის, ორი მიქელაძე ყოლია ცოლად. მეუღლეების დათვლა რა ჩვენი საქმეა. მთავარია, მრავალი ცოლი ჰყავდა, ამიტომაც გამოუთქვეს განაწყენებულმა ქალებმა ზემოთმოყვანილი ლექსი, რომელშიც გამოტოვებული ადგილიც შეგვიძლია შევავსოთ:

*„აჭარაში სხარტულია, იმერეთს აკანათი,*
*ბევრ კაცს თითო ცოლიც არ ჰყავს,*
*ალექსანდრეს კი ათ-ათი!"*

იმ ქალის ვინაობა, ვისაც შერიფ-ბეგი შეესიტყვა, ძნელი დასადგენია. ერთი სახელი შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რატომ, იმდროინდელ ამბებში სულ ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანი ადვილად მიხვდება:

*„წყალ-გაღმა ბუ იძახოდა,*
*წყალ გამოღმა ოლოლით:*
*ყოველ ქალს თითო ქმარი ჰყავს,*
*აგრაფინას ოროლით!"*

დეტექტივს სავარაუდო სიმართლე არ უყვარს. დარწმუნებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რაც პეტრე-პავლეს ეკლესიის დავთარში წერია – ეს ქორწინება ალექსანდრესთვისაც და დავარისთვისაც პირველიაო. გამოდის, მონათვლის შემდეგ შეურთავს გლახუა მიქელაძის ქალიშვილი, რომელსაც ნარდი არ წყალობდა, შაში დროზე არ მოუდიოდა, თორემ, იქნებ, თვითონ დაედო ალბომში თითი თავისი სურათისთვის და თვალებდახრილს მინაზებით ეთქვა მდიდარი სასიძოსთვის: „მინდა, ეს ქალი შეირთოთო".

## ფერადი ბაირაღი

ქუთაისის ბაზარში, მწვანილისა რომ ერქვა და, ბოლოს მწვანე შერჩა სახელად, 1893 წლიდან, ქალაქის მამების გადაწყვეტილებით, ჩარჩებს, დღის თორმეტ საათამდე არაფრის

ყიდვის (ბუნებრივია, არც გაყიდვის) უფლება არა ჰქონდათ. მათ ახლოს (ძველი სასწორის გარშემო, იჯარით გაცემულ ალაგას), ხის მაღალ ბოძზე, ფერადი ბაირაღი ფრიალებდა, ნიშნად იმისა, ვითომ არც გასაყიდად, არც გასაგზავნად იძენდნენ რაიმეს, სინამდვილეში, რაც უნდოდათ, ყიდულობდნენ, რაც უნდოდათ, ყიდდნენ. დავაკონკრეტოთ – ბაზრის ოთხივე კუთხეში ხვდებოდნენ სოფლელებს, მეათედ ფასში ართმევდნენ ნაჭირნახულევს, ზოგს – წონაში, ზოგს ფასში ატყუებდნენ და მერე ქუთათურებს (რომელთაც „ამ ჩვენი ვაჟბატონ-ჩარჩების (უმეტესად ურიებია) წყალობით“ მესამე და მეოთხე ხელიდან უწევდათ მამასისხლად ყიდვა) ძარცვავდნენ. ქალაქელები უყვიროდნენ, ლანძღავდნენ და თათხავდნენ ჩარჩებს, მაგრამ ისინი მაინც თავისას ერეკებოდნენ. სოფლელის მომტყუებელი ცოტას უმატებდა და სხვაზე ჰყიდდა, ის კიდევ სხვაზე, ის კიდევ... და ხშირად საქონელი ხუთჯერ და მეტჯერაც გადასულა ხელიდან ხელში, რასაკვირველია, ფასიც იზრდებოდა და იზრდებოდა.

ქალაქის ძველი სასწორი იჯარითაა გაცემული. მოიჯარადრე აწონაში ფულს იღებს, მაგრამ საქონლის საწყობში შენახვაც რომ ევალება, არ ინახავს, პირიქით, ის ადგილები იჯარით გაუცია და აქ ნახავთ თხუთმეტამდე ფეხზე მოვაჭრე ჩარჩს, ფქვილი, ღომი, სიმინდი, ლობიო და მისთანები ხუთი-ექვსი ტომარა რომ უწყვიათ წინ და ჰყიდიან – წერია „ცნობის ფურცელში“.

არა აქვთ უფლება, მაგრამ უფლება მათ ხელშია, ქალაქელები არიან უუფლებონიო. ჩარჩები დარბიან, ეძებენ საქონელს, დაითრევენ და ფასს სასურველს ადებენ, დამშლელი არავინააო.

„ქალაქის ერთ გულშემატკივართაგანს“ (არ ვიგონებთ, ფსევდონიმია) ბოქაულ საყვარელიძესთან დაუჩივლია:

– შეგვჭამეს ჩარჩებმა, ფქვილი პარიზში უფრო იაფია, ვიდრე ქუთაისში, ამას თავი დავანებოთ, ხილს, ხილს რაღატომ ყიდიან ასე ძვირად? – ეგონა, ბოქაულიც დაემოწმებოდა, გულის წუხილს გაიზიარებდა, შენც არ მომიკვდე.

– მათია და როგორც უნდათ, ისე გაყიდიან. შეუძლიათ, რიონში გადაყარონ.

– რიონში ვინ რას გადაყრის, ბაზრის თავში ეტაკებიან სოფლელებს, მუქთად ცანცლავენ და ჩვენ გვაძლევენ უთოზბირად.

– მერე შენც იქ დახვდი და იყიდე, – უთქვამს ბოქაულს.

– როგორ დავხვდე, როცა ბაზრის ოთხივე კუთხეში რუზრუზობენ.

– რომელი სოფლიდან მოდიან? – მოუწკურავს თვალები საყვარელიძეს.

– ორპირიდან, გეგუთიდან, ლეჩხუმიდან... – აღარ გაუგრძელებია ჩამოთვლა „ქალაქის ერთ გულშემატკივართაგანს“.

– მერე, შე კაცო, მაგაზე წვალობ, ორპირისა და გეგუთის ქუჩების თავში დახვდი, ლეჩხუმელებს, რაჭველებსა და სვანებს ჯაჭვის ხიდამდე დაუყარაულდი.

– ჩარჩებიც მაქეთ გამოიქცევიან!

– ჯერ ქუჩის შუაში, მერე გადაიწიე პაწია იქით და შემოსასვლელში დაუდარაჯდი, თუ იქაც მოგადგნენ, ბოლო-ბოლო, სოფელში ჩააკითხე.

ეს უთქვამს და გაქცეულა, ვიღაცას გაკიდებია. ის ვიღაცა ხალხის ჯგროში მიძვრებოდა, ეს ხალვათ ალაგას მიჩქარნაბიჯობდა. გაქცეულს, საყვარელიძე რომ „ქალაქის ერთ გულშემატკივართაგანს“ ემუსაიფებოდა, წაუმღერებია – პოლიციას თუ იკითხავ, ბაზრის თავშია, ლამაზ ქალებს თუ იკითხავ, ბალახვანშია... შიაა... – ორივეჯერ უცებ მოუწყვეტია, ბოქაულისთვის გასაგონად საკმარისად ჩაუთვლია. პოლიცმაისტერ სვიმონიშვილს არ მოსწონდა თურმე ეს სიმღერა. ხალხს გაუგია და პოლიციელის დანახვისთანავე წაიმღერებდნენ, ჯგროში შემალულები ომახიანად დასძახებდნენ – პოლიციას თუ იკითხავ... – ხშირად მეტს ვერ ასწრებდნენ, წესრიგისა და წესიერების დამცველი დაცქვეტდა ყურებს და

ჯერ – მღერალის ამოცნობას, მერე – დაჭერას განიზრახავდა.

ბოქაული საყვარელიძე მიძუნძულობდა, ვინ წამოიმღერა, ვერ გაუგია, არავის უთქვამს და ისევ წყნარად გაუგრძელებია მიმოსვლა და ბაზრის მიმოგარენის მიმოთვალიერება. გვერდიდან ისევ დაუჭექია ვიღაცას, მიუხედავს, ცხვირჩამოშვებული და დადარდიანებულნი მდგარან მყიდველებიც და გამყიდველებიც, საყვარელიძეს ჯერ ხელი ჩაუქნევია, მერე ჩაქნეული ხელი უკან წაუღია, მეორე შეუგებებია და ზურგზე ხელებდაწყობილსა და ქორებულ მხედველს გაუგრძელებია სიარული. აღარც წამოუმღერია, აღარც წამოუყვირია ვინმეს.

– ამნაირი ბოქაულების ხელში კიდევ კარგადაა ქალაქი – განაგრძობს კორესპონდენტი, – თუმცა რაღა კარგად, მეთევზეთა და მეყასბეთა ქუჩელები ნაგვისა და ხორცის სუნით იხრჩობიან, რა გინდა, რომ აქ არ ეყაროს – მკვდარი ქათმები, საქონლის თავ-ფეხი, შიგნეული, ზოგიერთი თევზის ნახარშ წყალს ქუჩაში აქცევს და ქოთავს იქაურობა. ღორები დარბიან, ხანდახან ფქვილის მაღაზიიდან ფქვილს ხვეტენ და მაშინ უნდა ნახოთ მათი ჩხუბი და ჭყვიტინ-ღრუტუნი. საქონელი ბღავის, თხა-ცხვარი – პეტელობს, ვთქვით უკვე, ღორი ჭყივის და ამ კაკაფონიაში ყურთასმენა არ არის. ამ სიბინძურეში გარბი-გამორბიან, ყიდიან, ყიდულობენ, მეყასბეს რკინის სვეტზე ხან დაკლული თხა, ხან ცხვარი, ხან ძროხა ჰყავს ჩამოკიდებული და ელის მუშტარს. შეუჩვევლები ცხვირზე ხელმოჭერილები დადიან, იქაურები, ვითომც არაფერი, მშვენივრად გრძნობენ თავს. ზოგი – ყიდულობს, ზოგი– ევაჭრება, ყველას ეძვირება, ედიდება ფასი. ვიღაც შლეიფიანი ქალი გამოივლის და დადგება მტვრის კორიანტელი, ქალი ბაზრის თავში, კუდი ბოლომდე გაწელილი, დადიოდა და მტვრისფერდებოდა ცა, ამ ზოლს მგველი აღარ სჭირიაო, ამას უკვე სხვა, კაიფსევდონიმიანი ბულვარის მტკეპნელი (ივანე აბაშიძე უნდა იყოს) წერდა. ადრე დედოფლებს, ისიც დღესასწაულებზე, ემოსათ შლეიფი, მაგრამ იმათ პაჟები ემსახურებოდნენ, ახლა უპაჟოდ დადიან კუდის ქნევითო.

ინგლისში კოკოტკები, იგივე ნაძრახი ქალები, დადიოდნენ შლეიფით, მერე იმათაც დაუნებებიათ თავი.

„ამერიკაში შედგა საზოგადოება წინააღმდეგ შლეიფებისა და აუკრძალეს ყველასა, ვინც კუდებს ატარებდა, შესულიყო სახალხო ბაღში".

იმათ ბაღში არ უშვებდნენ, ჩვენები, ხანდახან, ბაზარშიც დაშლეიფობენ. მტვერი იღვიძებს და ისე იბურება ყველაფერი, აღარაფერი ჩანს. შლეიფი – სიგრძეში, ფასი – სიდიდეში ერთმანეთს ეჯიბრებიანო.

შეიტყობდა ბაზრის ხალხი, სანიტარული კომისია მოდისო („ქალაქის ერთი გულშემატკივართაგანისაა" ეს აზრი) და არის ერთი ფაციფუცი, მიხვეტ-მოხვეტა, დაწმენდ-დაკრიალება, დიდი და პატარა რეცხავს, ხეხავს, გვის, ასუფთავებს, თავისას მორჩებიან, სხვათა ადგილს წმენდნენ, მოხვეტილს წყლით რეცხავენ, სარკესავით აპრიალებენ, შეხედავ, გაგეხარდება, მიწაც, სოხანეც, ქვაფენილიც კამკამებს. კომისია წავა და რომ იყო, იმაზე უფრო აბინძურებენ, აქაოდა, შეგვძლებია თვალის ახვევა, მერეც იგივეს ვიზამთო.

სასანიტარო კომისია კვირაში ერთხელ მაინც უნდა ესტუმროს აქაურებს, ხანდახან მოულოდნელადაც დაესხას თავს, რომ გაიგოს აქაური სიბინძურის სიმყრალე და ჩარჩების ყიამყრალობაო.

ვინმე ანტონასშვილი წერს: ერთი ჩარჩი სანთლით ეძებდა გადამდები სნეულებით დაავადებულს. ეძებდა და პოულობდა. როგორც კი შეიტყობდა, მავანი ჭირით აღესრულაო, იმ ოჯახიდან ყველაფერს, ავეჯით დაწყებულს და ნიფხავ-პერანგით გათავებულს, „ნიორის ნაქუჩალათ" (ანუ დაბალზე დაბალ ფასში) იყიდდა. უმეტესად, გარდაცვლილის ნახმარ ნივთებს ეტანებოდა, რამეთუ ჭირისუფალს ან უნდა და-

ეწვა, ან წყალში გადაეყარა ისინი და, გროშიც რომ მიეცათ, ყაბულს იყო. ეს გროშზეც ევაჭრებოდა, რამდენიმე ნივთში აძლევდა კაპიკს და მყიდველს, საღი და ავადობაგაუკარებელი ადამიანის ნახმარიაო, ეფიცმტკიცებოდა.

ჩარჩის გულის გასახარად, ნაყიდი და გასაყიდი ფასი ცა და მიწასავით შორდებოდა ერთმანეთს. ერთი კვირის წინათ გადამდები სენით დაავადებული ერთი ყმაწვილი გარდაიცვალა, – გვეუბნება იგივე ანტონასშვილი, – რომლის ავეჯეული ერთ ებრაელ ჩარჩვაჭარს უყიდია, ყაფნის წინ გამოუტანია გასაყიდად და „ფიცით აჯერებდა მყიდველს, რომ ეს ავეჯეული არის ერთი მოსამსახურეთაგანის, რომელიც დაითხოვეს სამსახურიდან და მიდის თავის ქვეყანაში და მისთვის იაფად გაყიდაო“.

ადვილად სარწმუნოა, სამსახურიდან დათხოვნილი და სამშობლოში მიმავალი ნამოხელარი ავეჯს ზურგზე ვერ აიკიდებდა. მყიდველს უცებ ვერ მოძებნიდა და იძულებული შეიქნებოდა, სასურველში კი არა, „შენაძლევ ფასში“ დაეთმო.

ჩარჩ ურიას ერთი ჩარჩი ვაჭარი „შეუცდენია“, რომელსაც „ლოგინი ბალიშით“ შეუძენია. ორი დღის მერე გაუგია, ვისი ნახმარიც იყო და ყაფნის წინ ეჩხუბებოდა თურმე გამყიდველს:

„როგორ თუ მე შემომატყუე და ჭლრექიანის ნაწოლი ლოგინი და ბალიში მომყიდეო“.

რა უნდა ეთქვა ებრაელს? რაღაც-რაღაცები მიუკიბ-მოუკიბავს, მაგრამ რომ მიმხვდარა, თავს ვერაფრით დაიძვრენდა, გითხარი, ვისი ნახმარიც იყო, შენ არ მომისმინე და რა ჩემი ბრალიაო – იქით შეუტევია... ლოგინიც დაუბრუნებია, ბალიშიც.

ბოლოს სამართლიანად დაასკვნიდა ანტონასშვილი: „საჭიროა, რომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ, ვისაც ჯერ არს, ამგვარ ებრაელს, რომ გადამდები სენით გარდაცვალებულის ავეჯეულების ყიდვა აუკრძალონ, რადგან სხვა ოჯახშიაც არ გაავრცელონ ავადმყოფობა“.

ვიღაც – სიმინდს, ვიღაც – ღომს, ვიღაც – ფქვილს, ვიღაც – ქათამსა და ასე შემდეგ ყიდდა მამასისხლად, ებრაელ ჩარჩს გამდიდრების იოლი, მაგრამ სახიფათო გზა ამოურჩევია.

იაფად ნაყიდი, შეეძლო, როგორც უნდოდა, ისე გაეძვირებინა, მაგრამ ისეთი რამის გაყიდვა, რაც სავარაუდოდ, მყიდველს დააავადებდა, დანაშაული გახლდათ და ამაებისთვის, ვისაც ჯერ არს, მართლაც უნდა მიექციათ ყურადღება.

მიხეილ, მოშა და რაფიელ მოშიაშვილები მდიდრები იყვნენ, მაგრამ მეტი მოინდომეს. აქაოდა, რაც ვიშოვეთ, საკუთარი შრომით, წვითა და დაგვით მოვიპოვეთ, სხვანი უცებ დაგვეწიენ ქონებით, ჩვენც უცებ გვინდა, გავასწროთო.

1894 წლის ნოემბრის ბოლოს ბოქაულს ძმები მოშიაშვილები გამოეცხადნენ და შესჩივლეს, ჩვენს მაღაზიაში, რომელიც ქალაქის ცენტრში, ხანანაშვილის სახლშია, ვიღაცას ჭერი ამოუჭრია და 3 ათასი მანეთის საღირალი სხვადასხვა საქონელი და ძვირფასი ნივთები წაუღიაო.

გადარეულა ბოქაული და მომხდარი ამბავი პოლიცმეისტერისთვის უთქვამს. ორივე მისულა მოშიაშვილების მაღაზიაში, დაკვირვებიან ჭერს. ისე სუფთად და კოხტად ყოფილა ამოჭრილი, გაკვირვებიათ. თანაც ბოროტად განმზრახველი მაღაზიიდან თუ ავიდოდა თურმე ჭერში, თორემ გარედან, სახურავზე, უეჭველად ფეხი დაუცურდებოდა და სულს გააცხებდა. ამოჭრილი ალაგიც შეუმოწმებიათ, სუსტზე სუსტი ადამიანი, უფრო – ბავშვი თუ გაძვრებ-გამოძვრებოდა. თანაც ძმები ირწმუნებდნენ, მაღაზია დაკეტილი დაგვიხვდა, გარედანაა ამოჭრილიო. „ეს საქციელი თქვენი მოხერხება უნდა იყოს“ – დაუბრიალებია თვალები ბოქაულს ძმათა მოშიაშვილთათვის. გვერდით მდგომ სვიმონიშვილს ულვაშებში ჩაცინებია და ბოქაულისთვის უბრძანებია – მაღაზია გაჩხრიკეო.

„გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა, რომ ძმათ მოშიაშვილებს სხვადასხვა ნივთები უგირავ-

ებიათ, ხოლო როდესაც სავაჭრო წიგნები გადაათვალიერეს, ჰნახეს, რომ ფულის მიცემის დროს დიდი სარგებელი აუღიათ, ე.ი. 150, 186 %. ამის გამო ძმანი მოშიაშვილები სამართალში იქნენ მიცემულნი“.

ნივთებს გირაოში იტოვებდნენ, სანაცვლოდ ფულს აძლევდნენ, მერე ნივთების მითვისებაც განიზრახეს. ამოჭრეს თავიანთი მაღაზიის ჭერი და თვითონვე გაიქურდეს თავი. რომ შერჩენოდათ, მაშინ გენახათ მოგება!

მოშიაშვილებს ორი ბრალი წაუყენეს: მთავრობის უნებართვოდ გამსესხებელი კასის წარმოება და ქურდობა. მოშა და მიხეილი რვა-რვა თვით ჩააყუდეს, რაფიელს, მცირეწლოვნობის გამო, აპატიეს.

თბილისელ მეორე გილდიის ვაჭარს იოსებ ქავთარაძეს უკეთესი რამ მოუფიქრებია. – გასესხებულ მანეთზე თვეში ათ პროცენტს ახდევინებდა, თან წერილს აწერინებდა მსესხებელს, ვითომ ის ნივთი, რომელიც, სინამდვილეში, გირაო გახლდათ, ქავთარაძეს ეყიდოს. ვინმე რომ გამოდავებოდა, წერილს ანახვებდა – არავითარი „გამსესხებელი კასა“ არა მაქვს, ნივთებს ვყიდულობ, ნაყიდში, ბუნებრივია, ფულს ვიხდი, ტყუილად ვინ მაჩუქებსო.

პატრონიც ვერ მოუგებდა სამართალში – ხელის მოწერით ადასტურებდა, ესა და ეს ნივთი იყიდა ჩემგანო.

ეს თბილისში ხდებოდა, ქუთაისელ ჩარჩებს მივუბრუნდეთ.

ორპირის გზაზე მოვაჭრე მედუქნე თურმე მიბარებულ ნივთზე ან უარს ამბობდა, არ მოგიბარებიაო, ან შეუცვლიდა, ან კიდევ ორს გამოუჩენდა, ერთს (ყველაზე ძვირფასს) მოაყუჩებდა. ვიღაც ახალგაზრდა ყმაწვილს ნაბადი, ბაშლაღი და კალოშები მიუბარებია. მედუქნეს უარი უტკიცავს, არც ერთი, არც მეორე, არც მესამე თვალით არ მინახავსო. ახალგაზრდას სილა გაუწნავს და ბაშლაღი და კალოშები გამოუჩენიათ, ნაბადზე უკაცრავად დარჩენილა. რაც არ მოგიბარებია, რას ითხოვ, წელან შემეშალა, მაგრამ ხომ უცებ გამოვასწორე – ბაშლაღი და კალოშები მოგართვით, ნაბადი თვალით არ მინახავს და საიდან გავაჩინოო.

მიდი და ეჩხუბეო – წერდა ვინმე „მგზავრი“ „ცნობის ფურცელში“.

ჩარჩი რა ჩარჩია, ათასნაირი ხრიკი არ მოიფიქროს. ამ მედუქნემ ეს მოიგონა, იმან – სხვა, იმან – სხვა, დღე ერთია, ჩარჩ-ვაჭართა გამომგონებლობის ათას ამბავს გაიგონებო.

მწვანილის ბაზარში მთელი დღე ფრიალებდა ფერადი ბაირაღი, ვინ უყურებდა, – იფრიალოსო – ფიქრობდნენ.

## სექვოიების ჩრდილში

ფერმის გზიდან არქიელის გორაზე ასასვლელი ბილიკის იქით-აქით ველური ვარდები ჰყვაოდნენ. ვიწრო და სასიარულოდ სახიფათო გზა-წვრილი სონა მკერვალიძემ ისე აირბინა, მაგნოლიები არ დაუნახავს. დილით, ზევიდან ქვევით მომავალმა, უხიფათოდ რომ გაევლო, უცნაურად გადაჯვარედინებული ყვავილის რამდენიმე ტოტი ხელით გადაწია. ახლა, ბილიკის ათავებისას, მოიხედა უკან და გაკვირდა – ერთმანეთში გადახლართულ-გადმოხლართული ყვავილებით გადაბურდული გზა როგორ ამოვიარეო. თუმცა იმწამსვე გაიფიქრა, – რა მევარდება, ჩემთვის ყველაფერი დასრულდაო და სახლისაკენ გაიქცა.

დილით, გაღვიძებისთანავე აფორიაქდა. იმ დღეს ფერმის ბაღში იმას უნდა შეხვედროდა, „ვისი შემყურეც დიდი ხანია იყო“. სონა და საშუალო სასწავლებლის შეგირდი გ. გ-ზიანი (ალბათ გორდეზიანი ან გოროზიანი ან ამნაირი) კაი ხანი ერთმანეთის შემყურენი ყოფილან. ვაჟს ცოლობის პირობა მიუცია და იმ დღეს, ვარდობისთვის ოცდარვაში, 1902 წლისა, ერთმანეთისთვის უკანასკნელი სიტყვა უნდა ეთქვათ.

თითქმის კი არა, მართლა გადაწყვეტილი ეგონა ყველაფერი. სჯეროდა, ერთმანეთის

გარეშე ვერ გაძლებდნენ, ფერმის ბაღში შეხვედრით კიდევ ერთხელ განამყარებდნენ სიყვარულს. ასე ეგონა, ასე სწამდა. წრიალებდა, გადიოდა, გამოდიოდა, რაღაც იმ წუთისთვის საჭირო ავიწყდებოდა, რაც არ ჭირდებოდა, ახსენდებოდა. იმ დროის მოახლოებას გუმანობდა, გზაწვრილზე რომ უნდა დაშვებულიყო, ჩქარა, მაგრამ ფრთხილად ევლო და საყვარელ ადამიანს შეხვედროდა ფერმის ბაღში.

ვერ დათვლი, რამდენ წყვილს უთქვამს ერთმანეთისთვის აქ უკანასკნელი სიტყვა?! ბულვარში იშვიათად გახმიანებულა შეყვარებულთა ფიცი და მტკიცი, უფრო ქალაქისგან მოშორებით შეიყრებოდნენ და გაამხელდნენ გულისნადებს.

სონა ელოდა, მტკიცე სიყვარულს კიდევ ერთი მიყვარხარის თქმით განამტკიცებდნენ, ჯვრისწერის დღეს დათქვამდნენ და ბედნიერად იცხოვრებდნენ. წესით, რიგით, სხვა რამის მოლოდინი ეჭვით შეპყრობილს თუ ექნებოდა. გიორგი თქმით ხომ ეუბნებოდა, თვალებიც ამხელდნენ სიყვარულს, მაგრამ სონას იმ დილით ყველაფერი უცნაურად ეჩვენებოდა. ეგონა, გიორგი ფერმის ბაღში არ მოვიდოდა და ამაოდ დაშვრებოდა, მერე ისიც აეკვიატა, ვიღაც-ვიღაცებს გამოგზავნის და ისინი მეტყვიან, აქ კი არა, სხვაგან გელოდებაო.

სიყვარულზე უარი გულშიც არ გაუვლია, მომატყუებს, იქნებ სულაც სადმე დამემალოს, მალოდინოს და მერე გამოჩნდეს – ფიქრობდა, თან ჩახრამულ და დაოღროჩოღროებულ გზას აკვირდებოდა. უჩრდილო ალაგას გამხმარი მიწა იფშხვნებოდა და ფეხქვეშ მიხრიალებდა, ჩრდილოვანში შემხმარი ტალახი იზილებოდა წუღებით.

სონას თითქოს გული უგრძნობდაო – გიორგის, „ჯერ კიდევ აუხსნელი მიზეზის გამო, უარი უთქვამს სამუდამო დაკავშირებაზე“ – გვეუბნება ისო, იგივე ისიდორე კვიცარიძე.

ნუ გავიკვირვებთ, იმ დროშიც არაფერი იყო ამაში უჩვეულო, „უკანასკნელ სიტყვაში“ ან სიყვარული და სამიდღემჩიო თანამყოფობა მჟღავნდებოდა ან ის, ერთმანეთისთვის რომ არ იყვნენ გაჩენილნი. ნურც „ერთიმეორის შემყურეობას“ გავაიგივებთ ხორციელ ერთიანობასთან, პირიქით, ამ ორ სიტყვაში, ამაღლებული სიყვარული უნდა ვიგულისხმოთ. პირობა შესრულების მერეა მყარი და შეუვალი. გიორგის რა მიზეზით უთქვამს უარი, არ ვიცით. როგორც არ უნდა აეხსნა, ლოგიკურად შეუვალიც რომ ყოფილიყო მისი უარი, ბუნებრივია, ქალს ელდა ეცემოდა, დამწუხრდებოდა, აფორიაქდებოდა, გადაირეოდა, იშვიათი გამონაკლისი იმასაც იზამდა, რაც სონამ ქნა – შინ დაბრუნებისთანავე დალია საწამლავი.

სულისშემძვრელი ამბავია, ტრაგიკული, არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც გაგონილი და წაკითხული.

მერე მომხდარი, იქნებ ვცდებოდე, მაგრამ უფრო ქართველი კაცის ხასიათში ჩაკირული და-ძმობის გამოვლინება მგონია.

„გაუგია თუ არა ეს სონას ძმას (სამოქალაქო სასწავლებლის 17 წლის მოწაფეს), აუღია და რევოლვერით თავი მოუკლავს“.

ქართული ხასიათი – რევოლვერის ტყვიით გატყორცნილი – ამ ამბავზე რომ რამე ეთქვათ, ასე დაწერდნენ ცისფერყანწელები.

ძმას არ შეეძლო, უიმედო სიყვარულის მსხვერპლი დისათვის ეცქირა, არ დალოდებია, გადარჩებოდა თუ არა (მოწამლულებიც ხომ დახსნიან სიკვდილს), ამბის გაგებისთანავე ტყვიას შეუშვირა შუბლი.

წარმოიდგინეთ, რა უბედურება დატრიალებულა – სასოწარკვეთილმა შეყვარებულმა საწამლავი დალია, ძმამ რევოლვერი დაიხალა.

უბედურ დედას ორივე თოფურიას საავადმყოფოში წაუყვანია. „რამდენისამე საათის შემდეგ მოწამლული ქალიშვილი დიდის ტანჯვით გარდაიცვალა. ბოქაულის მიერ ჩვენების ჩამორთმევისას უკანასკნელი მისი სიტყვები იყო: „ოჰ, რატომ დამტანჯე ასე გიორგიო“. ვაჟს, ექიმების სიტყვით, მორჩენის პირი აქვს“ – წერს ისო.

გადარჩა, არ გადარჩა – ვერ გეტყვით.

სონას ძმის სახელი არ ვიცით. კარგი იქნებოდა, გვცოდნოდა. მოსწავლე ყოფილა, თანაც 17 წლის. კითხვით ბევრს კითხულობდა თუ ცოტას, ვერაფერს გეტყვით. დარწმუნებით იმას მოგახსენებთ, განათლებული ყოფილან მკერვალიძენი, ორ მოსწავლეს, სონას და მის ძმას, კიდევ ერთი და ჰყოლიათ, რომელიც ხონის საოსტატო სემინარიაში ასწავლიდა. იმ დროში, ზოგიერთ ოჯახში, ერთიც არ მოიძევებოდა წერა-კითხვის მცოდნე, მკერვალიძეებში, სულ მცირე, სამი ადამიანი წერდა და კითხულობდა.

წაკითხულს გრძნობიერად აღიქვამდნენ. თვლიდნენ, სიცოცხლე უსიყვარულოდ ჩირადაც არ ღირსო, ამიტომ გააკეთა ძმამ ის, სხვა გულშიც რომ არ გაივლებდა – სიკვდილი ამჯობინა სიყვარულში დაჩაგრული დის ყურებას.

ისიდორე კვიცარიძეს ამბის მესამე მოქმედი გმირის მოქმედებაც არ ავიწყდება:

„ამ უბედურების დამტრიალებელი მოსწავლე გ-ზიანიც იმ დღესვე თავის მოკვლას აპირებდა, მაგრამ ამხანაგს გამოუტაცნია მისთვის ხელიდან რევოლვერი“.

ტრაგედიისთვის შტრიხია, არა არსებითი, მაგრამ მაინც დამაფიქრებელი – ქვა არ დებია გულში, ბევრი, ალბათ, ასე მოიქცეოდა – შენი სიტყვის გამოისობით ორი ადამიანი სიცოცხლეს გამოესალმა, შენ რაღა დაგრჩენია...

ძმის ამბავი მაინც სხვაა.

სხვა და ძნელად სახელდასარქმევი – დის სიყვარული, ღირსება, პატიოსნება, შეუბღალავობა, დის უიმედო სიყვარულით გაჩენილი უსამანო უსასოობა, ვაჟკაცობა, რაინდობა და კიდევ – რა ვიცი, რა არა.

ხომ უამრავი ამბავი გვახსოვს გარდარეული სიყვარულისა, ესეც ერთ-ერთია, 1902 წლის „ცნობის ფურცლის“ ფურცლებში ჩაკარგული.

მკერვალიძეთა მამა მეპურე ყოფილა. კიბიდან ჩამოვარდნილი და ფეხმოტეხილი თოფურიას ბალნიცაში მკურნალობდა თურმე. როგორ შეიქნებოდა, საწამლავდალეულ ქალიშვილსა და ტყვიადახლილ ვაჟიშვილს რომ მიიყვანდნენ! ენით აუწერელი, ძნელად დასახატი ტრაგედიაა მთელი ოჯახისა. უიღბლობა და უსიყვარულობა დაუნათლავს მკერვალიძეთათვის განგებას.

რომეოსა და ჯულიეტას ახსენებენ, ვერტერს, იზოლდას, სხვებს, სონა მკერვალიძის ტრფობა დიდი მწერლის თვალსაწიერში ვერ მოხვდა, მაგრამ რითაა ნაკლები. მერე კიდევ, საქვეყნოდ რომაა ცნობილი – ნაპოლეონმა პირამიდების ჩრდილში „ვერტერის ვნებანი“ რამდენჯერმე გადაიკითხაო. ვინ იცის, ფერმის ბაღში (სიყვარულის ძეგლი რომ იდგეს, კაი იქნებოდა), სექვოიების ჩრდილში, რამდენი მტკიცე სიტყვა გახმიანებულა, რამდენი ორჭოფული, რამდენი უარი დასცდენია ბაგეებს და რამდენი დიახით აძგერებულა გული.

იქ – პირამიდების, აქ – სექვოიების ჩრდილში.

### ქრისტეშობისთვის ოცდაოთხი

მოსამართლე ანტონ ხაბურზანიას ეგონა, საუკუნეა, რაც ეპიფანე ცენტერაძე მემსახურებაო. საშუალოზე მაღალი ტანის, ჩაფსკვნილი და ჯიჯგვი ანტონი, ხარივით ფართო თვალებით ნაცნობ-უცნობთათვის დიდხანს მიშტერება რომ ჩვეოდა, გაღვიძებისთანავე გასძახებდა:

– რაისათვის არა ჰყეფს ძაღლი, ეპიფანე?!

– ძინავს, ბატონო! – ამოიკნავლებდა მაღალი და ხმელ-ხმელი, სახენაყვავილარი, ცალფეხდამოკლებული და სიარულისას თავის აქეთ-იქით მოქანავე მსახური.

– სახლი, სადაც ძაღლი არა ჰყეფს და მამალი არა ჰყივის (ჰ-ს გამორჩეული ჟღერადობით ამბობდა) სახლი არაა. – გააზმორებდა და ისე ამოიყვირებდა, მეზობლებს ესმოდა.

– ისეთი ამინდია, ძაღლი არ გაიგდება, ბატონო, გარეთ, შეცივდა, ალბათ და შეიბუდრა საძაღლეში – კარების ზღურბლთან ატუზულ მსახურს ხალათის გასწორება ვერ მოესწრო. იდგა,

თვალებით ანტონისკენ გაქცეული და ტანსაცმელს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ქაჩავდა.

– ძაღლის ბედი გაქვს, ეპიფანე, ძაღლის. მინდოდა, ამ დილით სასამართლოში გამომყოლოდი, საბუთები წამოგეღო, მარა, რა გინდა, ვერ წამოხვალ, დაგისველდება თოვლ-წვიმაში. – დაუყვირებლად გააზმორა და სწრაფად წამოხტა საწოლიდან.

– მიბრძანე, ბატონო, ძაღლის ფეხს გამოვიბამ და ძაღლის ფეხის მომჭმელს არ გავახარებ. – მტკივან ფეხს დაყრდნობილმა ბურთივით შეათამაშა თავი ჰაერში და ჯარისკაცივით გაიჯგიმა.

– ააყეფე ძაღლი, ეპიფანე, ააყეფე... – ისე დაიძახა, სარკმელში მოყურადე თავი არ მოუტრიალებია.

– უმიზეზოდ ყეფას დაეჩვევა, – შეჩერდა, აქეთ-იქით გაიხედა, – უმიზეზოდ მაყეფარი არც ძაღლი ვარგა, არც კაცი, ჩემო ბატონო – ზღურბლიდან აივანზე გაჩაკუნდა.

საუბრით ატყობდა ეპიფანე, კაი ხასიათზე ბრძანდებოდა უფალი მოსამართლე. ძმებ ხაბურზანიებს მართალ კაცებად იცნობდნენ. ანტონის ძმა, მაქსიმე, ჩოხატაურში პრისტავობდა. ყაჩაღი, მოყაჩაღო და სიმშვიდის მოყვარული გურულებიც ემადლიერებოდნენ.

– ძაღლი გვჯობია, ძაღლი, ეპიფანე, ერთგულია, – ჰაერს შეისუნთქავდა – ადამიანზე მეტად ერთგულია. ეს ჭიანჭველები მაინც რა ყოფილან, კაცო, – სარკმელში ისე იყურებოდა, იფიქრებდი, ჭიანჭველებს აკვირდებაო – ჯარიც ჰყოლიათ, ყმებიც, მოსამართლეც...

– საკვირველია ბუნება, დეილოცოს, ბატონო, მისი გამჩენი, – სცადა ეპიფანემ სიტყვის ჩაკვეხება.

– ბრაზილიაში ათიათასობით ჭიანჭველა ადის თურმე ხეზე, ყუნწში წყვეტენ ფოთლებს, რომლებსაც სოკოს მოსაშენებლად იყენებენ, სოკოს ჭამენ, ფოთლებს – არა.

– რა დროს ჭიანჭველებია, ბატონო, ქრისტეშობისთვე დეილევა საცაა, ოცდაოთხია დღეს.

– ხეზე აბობღებისას რომელიმე ჭიანჭველამ უკან რომ დაიხიოს, – ისე გააგრძელა ანტონ სტეფანიჩმა, ეპიფანეს ნათქვამი არც გაუგონია – ჯერ მოსამართლე შეუტევს, თუ ვერ მოარჯულებს, მერე ჯარი გადაუვლის, აბა, ჩვენსავით კი არაა, ერთმანეთის გატანა იციან, უკანა წინ მავალის მცველია, ის კიდევ უკან მყოფთათვის ფარი და მახვილი, ადამიანები ერთმანეთს ვჭამთ, ვკლავთ, გახსოვს, ჩემი დეიდაშვილი – ნიკო კანდელაკი მეგობარმა – დათა კოპალეიშვილმა სასიკვდილოდ რანაირად გაიმეტა? – სინანული გაერია ხმაში.

– მახსოვს, ბატონო, მახსოვს, იმ დღეს რა დამავიწყებს...

ხუთი წლის წინათ იოსებ გეგელაშვილის სამიკიტნოში ნიკო კანდელაკი რომ მოკლეს, ანტონს თითქმის ერთი წელი აღარ წამოუყვირია – ააყეფე, ააყეფე, ეპიფანე, ძაღლიო. მსახურმა, გადაავიწყდაო, იფიქრა, მაგრამ გათენდა ერთი მშვენიერი დილა და ააყეფე, ააყეფეო... – აღლოფინდა საწოლიდან სანახევროდ წამომდგარი.

გეგელაშვილის სამიკიტნოში დღეში ხშირად სამი-ოთხი ჩხუბიც მომხდარა. მოჩხუბარ და ყიამყრალ (გაზეთები ცუდი ყოფაქცევის კაცადაც იხსენიებენ) მიკიტანთან მისნაირები იკრიბებოდნენ. უმტვრევდნენ ერთმანეთს თავ-პირს, იშვიათად – კლავდნენ კიდეც. ნიკო კანდელაკი სამიკიტნოში ქეიფობდა, კოპალეიშვილი და მისი ამხანაგი რომ შესულან, ღვინო მოუთხოვიათ. კოპალეიშვილს ზურგი შეუქცევია. ნიკოს ხელით მოუბრუნებია, ეგ უზრდელობაა, როგორც წესია, ისე დადექიო, დათას (კოპალეიშვილის სახელია) ხელი აუკრავს, ნიკოს სილა გაუწნავს. ჩარეულან იქ მყოფები და თითქოს ყველაფერი ჩაწყნარებულა. კოპალეიშვილს რომ აღლეგრძელებდნენ და ჭიქები ტუჩთან მიიტანეს, ეს ამდგარა, გაქცეულა, მივარდნილა ნიკოს, ამოუცლია ხანჯალი და ჩაურტყამს კისერში.

სასწაულიაო, ამბობდა ეპიფანე, ანტონიც – კაცი სხვა მაგიდიდან გამოიქცეს, ხანჯალი წა-

გართვას, ამოაძროს და კისერში ჩაგარტყასო. ნიკო კანდელაკი, ბუნებრივია, ხანჯლის წართმევას და კისერში ჩარტყმას არ ელოდა. მოულოდნელობითა და სისწრაფით ისარგებლა მეტოქემ. ისიც უნდა ჩავაგდოთ სათვალავში, ნიკოც მთვრალი რომ იყო, სიმთვრალემ დააბნია, თორემ როდინის ქვას მიწვდა დაჭრილი და იმით დაუწყო დათას ცემაო, ამბობენ. თავიდანაც ასე მოიქცეოდა, ვერც ხანჯალს წაართმევდა, ვერც სასიკვდილოდ გაიმეტებდა ვინმე.

ანტონის ოჯახში წელთაღრიცხვაც ამ ამბავს დაუკავშირდა. როდის მოხდა მაი, ეპიფანე? – დაუქაჩავდა დიდ და მუგუზალივით ბრდღვიალა თვალებს. როდის და ნიკოს სიცოცხლეში, ან გარდაცვალების მერე, ჩემო ბატონო, – ეტყოდა მსახური.

– ჩემო ეპიფანე, დღეს ნიკოს გარდაცვალებიდან ხუთი წელი სრულდება, სწორედ ქრისტეშობისთვის ოცდაოთხში მიაბარა სული უფალს. ამიტომ სულაც არ წავიდოდი სამსაჯულოში, ფრიად სასაცილო და საკვირველი საქმე რომ არ მქონდეს სამსჯელო, – რამდენადაც შეეძლო, მოწკურული თვალებით გახედა მსახურს.

ეპიფანე არ შეპასუხებია.

ანტონი, მკვლელობის გარდა, ყველაფერს სასაცილოს ეძახდა. ვიღაცამ ვიღაცის მიწა დაისაკუთრა, ის თუ არა, შვილები მაინც დააბრუნებენ, სამარეში ხომ არ ჩაიტანენ, – ერთმა მეორე გალანძღა და გამოთათხა, დაავიწყდება იმ მეორეს, ამქვეყნად რაა სამიდღემჩიო, წყენის ხანიერება ვის გაუგონიაო, თავ-პირი დაულეწეს... მოუშუშდებათ ჭრილობები და გადაკოცნიანო. მთავარია, ერთმანეთი არ მოკლან, წართმეულ სიცოცხლეს არაფერი ეშველებაო. იმ დღეს, მართლაც, უცნაური საქმე უნდა განეხილა. სალომინაოელი ვასილ ნიკოლოზის ძე ერისთავი რუსეთის ქალაქ ნიკოლაევში მცხოვრებ ნესტორ ოთარის ძე ფილიას უჩიოდა – ხმალი წაიღო და აღარ დამიბრუნა, ხმლის საფასე – 25 თუმანი საჩემოდ გადაახდევინეთ და მითვისებისთვის ჩააყუდეთო. ანტონი ვასილის მოთხოვნამ თავიდანვე გააკვირვა, რატომ ფასი, ხმლის დაბრუნებაა უპრიანიო. ინათხოვრა, ხომ არ წაურთმევია, კოპალეიშვილივით ხომ არ მოქცეულა, ხანჯალი რომ გამოგლიჯა, ქარქაშიდან ამოაძრო და პატრონი მოკლაო. ნესტორს – გრიგოლ დიასამიძე, ვასილს – ვინმე ძოწენიძე (სახელი არ ვიცით) იცავდა. ვასილის საჩივარი აკვირვებდა უფალ მოსამართლეს, მაგრამ ეს რა იყო, გაკვირვება მერე ელოდა, თვალებს არ უჯერებდა, ყურებს არ ერწმუნებოდა, ვექილ ძოწენიძის პასუხებს რომ ისმენდა. თავიდან ყველა ვექილს ერთსა და იმავეს ეკითხებოდა, თანაც სხაპასხუპით მიაყრიდა ხოლმე.

– კვლავ სდებთ ბრალს ნესტორ ფილიას თუ არა, ხომ არ გადაიფიქრეთ? – თქვა და ძოწენიძეს შეხედა, ნესვივით თავმა შეაშინა.

– დიახ, – თავის გაუნძრევლად უპასუხა. „მზეში ამ თავს რამხელა ჩრდილი ექნება“, – გაიფიქრა მოსამართლემ.

– აბა, როგორ? რას აბრალებთ? – კითხვებსა და პასუხებზე წინასწარ მოლაპარაკებულივით გააგრძელა.

– იმას, რაც საჩივარშია დაწერილი – მანაც დაზეპირებულივით მიაყარა.

– საჩივარში რაც წერია, ვიცი, თქვენ ის მითხარით, რა მდგომარეობასა და გარემოებაში გადასცა ვასილმა ნესტორს ხმალი, როგორი ხმალი იყო, რა ღირდა და სხვა... – მშვიდად ჩამოუმარცვლა.

– მაგის თქმა არ შემიძლია, – ნესვივით თავი გააქან-გამოაქანა, თავის ქანაობამ ანტონს ხასიათი გაუფუჭა.

– თქვენ არ შეგიძლიათ, ხმლის მიცემის დრო ან ადგილი დაასახელოთ? – ბრაზი შეერია ხმაში.

– არ შემიძლია. – დიდი თავი ისევ გაარყია.

– არც ის შეგიძლიათ, თქვათ, როგორი ხმალი იყო?

– არა, ბატონო მოსამართლე, საჩივარში როგორიც წერია, ისეთი იქნებოდა – თავი ჩაღუნა. ახლა უფრო დაემგვანა ნესვს.

– მაშ, რა გინდათ, დაამტკიცოთ?! – ჯერ უყურა, მერე ფეხზე წამოდგა.

– ის, რაც საჩივარში წერია, – თავი ისე დაღუნა, კისერი მკერდს მიაყრდნო.

– ვიცი, გავიგე, წავიკითხე, რაც წერია საჩივარში, თქვენ თუ იცით, რას ჩივის ერისთავი? – ლამის დაიყვირა, უცებ მოწყდა ადგილს, გაიარ-გამოიარა და ვექილს ეჭვიანად შეხედა.

– იმას, რაც წერია საჩივარში. – ბორძიკით, თავაუწევლად გადადგა ორი ნაბიჯი უკან.

– რას, რა წერია? – რამდენადაც შეეძლო, ახლოს მივიდა და მიაყვირა.

– ჩემმა მარწმუნებელმა, ვასილ ერისთავმა, ფილიას ხმალი ათხოვა, იმან მიითვისა – თავი ოდნავ წამოწია, ახლა ნესვზე უფრო კვახს ჰგავდა.

– როდის ათხოვა? – ბრაზი გაუქრა, სახე გაებადრა.

– არ ვიცი, არ წერია საჩივარში.

– აბა, რა იცი... შენი... – აღარ დაასრულა. სიცილი აუტყდა. სარკმლისკენ გაიხედა, აღარ თოვდა.

– ის, რაც საჩივარშია დაწერილი. – ხმა დაიწვრილა ძოწენიძემ.

– როგორი ხმალი იყო, როდის, რა ვითარებაში ათხოვა, არ იცით, ხომ?! – მოჭუტა თვალები.

– არა, ბატონო, საიდან უნდა ვიცოდე, არ წერია საჩივარში? – მოცოცხლებული ჩანდა.

სასამართლო დარბაზში შეკრებილები იცინოდნენ, ანტონმა სიჩუმე, სიჩუმეო, – დაიძახა.

იაგორა ფხაკაძის ნათქვამით დასრულდა მოწმეების გახმობ-გამოხმობა, გასკდა საქმე, – ვასილს ხმალი არ ჰქონია, რაც არ ჰქონდა, რას ათხოვებდა, კიდეც რომ ჰქონოდა, ნათხოვრობის ფულს წინასწარ აიღებდაო. – თქვა იაგორამ და აგორდა სიმართლის კორიანტელი. სხვებიც შეშინდნენ, დაფქვეს დასაფქვავი. ალექსანდრე თადეოზის ძე ნიჟარაძემ მოსამართლეს განუცხადა, – მე ხმლისა არა ვიცი რა და არა თუ ხმლისა არა ვიცი რა, არც კი ვიცნობ, ვინ არის ვასილ ერისთავი და ვინ ნესტორ ფილია. მე ისინი თავის დღეში არ მინახვანან.

მოსამართლემ ვერ მოითმინა და ჰკითხა:

– მაშ, მოწმედ რატომ დაგასახელათ?!

– არ ვიცი, იმას ჰკითხეთ.

ანტონ ხაბურზანიამ – კიდევ კარგი, ძოწენიძესავით, რაც საჩივარში წერია, იმას ვითხოვ, რომ არ მომიგოო.

მოწმე სოლომონ გამყრელიძემ თქვა– ვასილ ერისთავს ბავშვობიდან ვიცნობ, ერთი სოფლიდან ვართ. ნესტორ ფილიას – არა. ხმლის გადაცემა-გადმოცემისა არც მე ვიცი და არც სხვისგან გამიგონია რაიმე. ვასილთან ხმალი არასდროს მინახავს, წელზეც არასდროს ჰკიდებია, კედელზეც არ შემინიშნავს, ამიტომ ვერ გეტყვით, ჰქონდა თუ არა საერთოდ.

კესარია წერეთლისამ მოსამართლეს უთხრა – ვასილსაც ვიცნობ და ნესტორსაც, ჩემს ძმასთან – ვარდენ მეძმარიაშვილთან მინახავს ერთიც, მეორეც. ვასილმა ამ ბოლო დროს მოუხშირა სიარულს, ნესტორი გამდიდრებამდე გვსტუმრობდა ხამუშ-ხამუშ. ერთმანეთს, გარწმუნებთ, არ იცნობენ. ხმლის ნათხოვრობის არაფერი ვიცი. ხმალი არც ვასილის სახლში, არც მის ტანზე მინახავს არასდროს. იგივე თქვა დედამისმა, გამყრელიძის ქალმა.

ნესტორ ფილიას ვექილმა მოსამართლეს წარუდგინა საბუთი, რომლითაც მტკიცდებოდა, ეჭმიტანილს 1901 წლის ღვინობისთვიდან ნიკოლაევიდან ფეხი არ მოუცვლია, იქ ცხოვრობს თავის მდიდარ მეუღლესთან, რომლის ყოველწლიური შემოსავალი ასიათასი მანეთია. თუ იქაა, ოთხი თვის წინ როგორ ინათხოვრებდა ხმალს ვასილისაგანო.

ვასილი სასამართლო სხდომას არ დასწრებია. საოლქო სასამართლოს შენობას უვლიდა თურმე გარშემო.

ანტონი იმ საღამოს ეპიფანეს ეუბნებოდა, დღევანდელი საჩივარი მოსკოველი ჟულიკებისგან ნასესხები და ჩვენებური ხრიკითაა შე-

ზავებულიო. ვასილ ერისთავს არა თუ უთხოვებია ხმალი ნესტორისთვის, ისინი არც კი იცნობდნენ ერთმანეთს და ამნაირი, 25 თუმნად შეფასებული, ვერცხლით გაჭედილი და ოქროთი დაფერილი ხმალი არასდროს ჰქონიაო. მეძმარიაშვილმა შეაცდინა – ფილიამ მდიდარი ქალი შეირთო, ჩაფულიანდა, ჩვენსკენ აღარ იხედება, არ გვკადრულობს, უჩივლე, ვითომ ხმალი ათხოვე, მაგისთვის 25 თუმნის გადახდა რა ბედენააო. საავკაცოდ შეიკრიბნენ, მაგრამ ჭიანჭველების ერთობა ვინ მიაშავა მაგათ, ერთი აუცილებლად გატყდება, იმ ერთს დავეყრდნობი და გამოვიძევ სინამდვილეს. ამიტომ გავამართლე ნესტორ ფილია და ვასილ ერისთავის საჩივარი არაკეთილსინდისიერ საჩივრად ვცანი.

მივხვდი, მასე იქნებოდა, – ეუბნებოდა ძილმორეული ეპიფანე, – დილიდანვე გეტყობოდა, ისე გულიანად იძახდი,ააყეფე, ააყეფე ძაღლიო.

– ის სახლი სახლი არაა, სადაც ძაღლი არა ჰყეფს და მამალი არა ჰყივის, ჩემო ეპიფანე.

**ხეზე ასვლა**

ხეზე ასული ფელინის გმირი მთელი ძალით ყვირის:

ქალი მინდააა!

ეხვეწებიან, ჩამოდიო, არავის უსმენს, ყვირის და ყვირის იმას, რაც უნდა. ჩამოყვანასაც დაუპირებენ, ხეზე კიბეს მიიდგამენ, მაგრამ ტეო წინასწარ მომარაგებულ ქვებს დაუშენს, ორი თავი კიდევ ვის აქვს, კიდეც რომ ჰქონდეთ, გასატეხად ვერცერთს ვერ გაწირავენ. ქალი მინდაო, გაყვირის და არავის არაფერს უსმენს, მისი გონება მხოლოდ ამას დაუპყრია – უნდა ქალი და რა ქნას?! თანაც სურვილს ყველას გასაგონად და დასანახად ხეზე ასული გაჰკივის. შეიძლებოდა, ვინმესთვის ჩუმად გაემხილა, ყურში ჩაეჩურჩულებინა ან თუნდაც გვერდზე გაეხმო და ეთქვა, რაც მოსურვებოda, მაგრამ არა! საქვეყნოდ გაჰყვირის. ტეოსთვის, მართალია, ხე იგივე სცენაა, საიდანაც ახმიანებს გულისნადებს, მაგრამ სად სცენა და სად კიდევ ხეზე ასული კაცის ყვირილი?

ვინმე რომ დაწინაურდება, კარიერას გაიკეთებს, მასზე იტყვიან, ხეზე ავიდაო, ან კიდევ, მე ვასწავლე ხეზე ასვლაო, თავს გამოიდებს გზაზე დამყენებელი. ფელინის „ამარკორდში" ხეზე ასული კაცის ქალი მინდა-ს ძახილი სულ სხვა რამეზე მიგვანიშნებს, მაგრამ არ შეიძლება დაგვავიწყდეს, ხეზე ვინმეს ასვლის ამბის გაგონებისთანავე გონებაში არ წამოგვიტივტივდეს.

ხუთ საათს დაჰყოფს ხვეწნამუდარაშეუსმენელი ავადმყოფი ბიძია ტეო ხეზე. მივდივართო, ეუბნებიან შინაურები, მაინც არ ჩამოდის. ბოლოს ტირილნარევი ხმით გაჰკივის, ქალი მინდაო... ეცოდებათ, ვერაფერს ახერხებენ. საავადმყოფოდან მოყვანილ სანიტარს კი კრავივით ჩამოჰყვება ხეზე საგანგებოდ მიყუდებულ კიბეზე.

კაკალს ითვლიდა, – ხუმრობს ექიმი.

ტეო რა სახსენებელია, თუმცა იქითა და აქეთა პოლუსი ხომ არსებობს. ჰოდა, ფელინის გმირი, მოშარდვისას შარვლის ღილების გახსნაც რომ ავიწყდება, იქითაა, ჩვენ, ვისზეც უნდა ვისაუბროთ, აქეთ...

„ვლასა მგელაძე ტირჰარტენში (ალბათ ტირგარტენი უნდა იყოს) ხეზე ავიდა და იქ იტირა: ბოლშევიკებმა სამშობლო წამართვესო" – წერს მიხეილ ჯავახიშვილი.

რაც ყველაზე მეტად ტკიოდა, რასაც საოცრად დაემწუხრებინა, იმან აატირა. უცხოობას თავშეფარებული სოციალ-დემოკრატი ვლასა ხეზე ავიდა, იქიდან უფრო მეტი მოისმენდა მის ტირილს, გაიგონებდა ნათქვამს, მთა არ იყო ბერლინის ახლოს, თორემ იმასაც დალაშქრავდა და იქიდან უფრო მრავალთა გასაგონად იტირებდა და იყვირებდა:

ბოლშევიკებმა წამართვეს სამშობლო! – ვლასა.

ქალი მინდააა! – ტეო.

*   *   *

ივლისის პაპანება შუადღე იდგა. მზეზე კვერცხიც შეიწვებოდა და მასზე მოსქელო რამესაც არ დაადგებოდა კარგი დღე. გავარვარებულ მიწას პირი დაეფჩინა, დამსკდარიყო და სიგრძესა და განზე დაელიანდაგებინა ეზო. ქოშინით ადიოდნენ მიცვალებულთან გამოსამშვიდობებლად მისული ნათესავ-მეზობლები ნახევრად დანგრეული სახლის კიბეებზე და ქოშინითვე ჩამოდიოდნენ, უფრო ჩამორბოდნენ უკან. აქედან მიმავალნი ღრმულებს ოსტატურად (თითქოს სხვა დროსაც ყოფილიყო ეზო გათხრილებული) ხან დიდი, ხანაც მოკლე ნაბიჯებით გადაალაჯებდნენ, იქიდან ისე ჩამორბოდნენ, სულაც აღარ დაეძებდნენ ფეხის ჩავარდნას, ოღონდ ჩრდილამდე მიეღწიათ. ჩრდილიც იწვოდა, ჩახუთულიყო, უჰაერო, უქარუნიავო დღეებს ხეთა ფოთლები მოეხრუკა, დაეპატარავებინა, უჩრდილოდ ექცია, ამიტომ მეზობელ-ნათესავნი სახლის გვერდს შეყუჟვოდნენ, იწმენდდნენ ღვარად წამოსულ ოფლს გაოფლიანებული ცხვირსახოცით და თვალს აპარებდნენ სახლისკენ, საიდანაც ცხედარი უნდა გამოესვენებინათ.

ეს დროც დადგა.

ოთხმოცდათორმეტ წელს გადაცილებული ბეგლარის ცხედარი ფრთხილად, კიბის საფეხურებში ფეხის ჩავარდნის შიშით, ხელ-ფეხის კანკალით გამოიტანეს და ეზოს შუაგულში დაასვენეს. გრძელ, ფართოფარფლებიან ფიფინა თეთრ ქუდში მხრებთავჩარგული წითური კოწია, თავიკაცი, დანაშაულზე წასწრებულივით დაადგა მიცვალებულს თავზე, ჭირისუფლებს, ტირილი გეყოფათო, სიტყვითაც უთხრა, ხელითაც ანიშნა და ირგვლივ შემოკრებილებს მიმართა, – თუ რამე გაქვთ სათქმელი ცხონებული ბეგლარისათვის, ბრძანეთო.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კოწიამ ის-ის იყო, ქორივით მიმოატარა მზერა, რომ ბეგლარზე არც ისე დიდი ხნით უმცროსი, ტარანივით გამხდარი, სახედაღარული, ბეჭებში მშვილდივით მოხრილი, მიმქრალთვალებიანი ქიშვარდი გამოეყო ხალხს, კოწიას დაუდგა გვერდით და დაიწყო:

– შენნაირი წერა-კითხვა ამ არემარეზე არავინ იცოდა, დაწერდი და ბეჭედი აღარ უნდოდა. ყველას უყვარდი შორაპნის თემში...

იდგა ქიშვარდი, რამდენადაც შეეძლო, თავაწეული, თვალდახუჭული და მისი ასაკისა და იქაურობისათვის შეუფერებული მჟღერი ხმით ლაპარაკობდა.

– სხვათა რევოლუციონერობა შენს რევოლუციონერობასთან რა მოსატანია, მაგარი სოცდემოკრატი იყავიო, თქვა თუ არა, კოწიამ ხელით ანიშნა ახალგაზრდებს ცხედარზე, მათაც ისე ციმციმ ააცალეს, რომ მოსაუბრეს არაფერი გაუგია. ქიშვარდი ლაპარაკობდა, ბეგლარი უკვე ჭიშკარგადაღმა, მეორედ დაესვენებინათ კაკლის ჩრდილში.

– პარტიას შეწირე ყველაფერი, ცოლი და შვილი არ დაგრჩენია, მაგრამ კაცის სახელი დაგრჩა, გაუტეხელი კაცის, ლეღვა კომუნისტებს კი არ ჰგავდი...

ჩრდილს თავშეფარებული, მიცვალებულის სახლის მისახედად დარჩენილები ვუსმენდით ქიშვარდის და არც ბეგლარის სოცდემოკრატობისა, არც ლეღვა კომუნისტებისა გაგვეგებოდა რამე, მითუმეტეს, წერა-კითხვა თუ იცოდა, რა გასაკვირიათქო, გვიკვირდა.

კარგა ხანს ლაპარაკობდა ქიშვარდი, ხან აუწევდა, ხან დაუწევდა ხმას. ხმის აწევისას იფიქრებდი, ამთავრებს სათქმელსო, ისევ წყნარი ხმით გააგრძელებდა, მერე გაამჟღერებდა ხმას, შეჰყვირებდა. ბოლოს: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს და სოცდემოკრატების ბელადსო, – მთელი ძალით შესძახა, თვალები გაახილა. გაშტერდა, გაკუშტდა, გაქვავებული იდგა რამდენიმე წამს, მერე იქით-აქეთ მიმოიხედა, ისევ ერთ ადგილს მიაშტერდა, მიაბჯინა მზერადაშრეტილი სახილველნი, ისევ მიმოიხედა, დაბლიტა თვალები, შემოიწყო უკან გადაჯვარედინებული ხელები და წავიდა ჭიშკრისკენ.

ბეგლარი სასაფლაოს შესასვლელთან უკვე მესამედ ჰყავდათ დასვენებული.

* * *

ვლასა მგელაძე 1918 წელს მოპოვებულ თავისუფლებას ცაზე ცხოველმყოფელი მზის გამობრწყინებას ადარებდა, – საქართველოს დამოუკიდებლობა შვიდფეროვანი ცისარტყელასავით გაიშალა, მთელ კავკასიას მოედო, საღათას ძილს მიცემული ხალხი გამოაღვიძაო.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მთაწმინდაზე აიჭრა, მამადავითის ეკლესიის ზარები ააგუგუნა და ამით ამცნო ქართველობას, დამოუკიდებელნი გავხდითო.

იქნებ მაშინაც წამოერია ცრემლები, სიხარულის კურცხალი გადმოუგორდა, ქალაქის ყველაზე მაღალ ადგილას იდგა, ტიროდა სიხარულისგან, ზარების გუგუნი ყველას წვდებოდა, ხვდებოდნენ, საუკუნეებით ნანატრი ჟამი ჩამომდგარიყო.

„აღსდგა საქართველო!.. – რეკდა ზარები და მისი ჟრუანტელისმომგვრელი გუგუნი წვდებოდა ყველას გულს: ვისაც უკვე სმენოდა თავისუფლების სუნთქვა და ვისაც ეს მოულოდნელი აგუგუნება ამცნობდა ნანატრ წამებს.

რეკდა ზარები, ოღონდ არა თავისით, არა ქარის წამოქროლაზე, არა იდუმალი ხელის შეხებაზე... რომანტიკულ, მეტაფორულ აზროვნებას უყვარს ამგვარი გაზვიადება, ყოველ განსაკუთრებულ მოვლენაში იმ იდუმალის ძიება და მისი გადაქცევა სიმბოლოებად, მაგრამ მეტაფორულ სახეებში ასევე მოექცევა ხოლმე მოვლენის გარეგანი მხარეც, როგორც ხელშესახები გამჟღავნება სულის ფარული მიმოქცევისას“. – როსტომ ჩხეიძის სიტყვებია.

არტისტული ბუნების კაცი იყო ვლასა მგელაძე, სხვებმა ვერ მოიფიქრეს, ამან უმალ იგუმანა, რაც უნდა ექნა, სადაც უნდა ასულიყო და საიდანაც უნდა ემცნო მთელი ქვეყნისათვის ის, რაც მოხდა.

სამრეკლოზე იდგა, ზარებს აგუგუნებდა. ტიროდა... ბერლინის გარეუბანში, ტირგარტენში, ქართულად ცხოველთა ბაღად რომ ითარგმნება, ხეზე ასული ტიროდა.

მამადავითზე დუმდა, ზარები ამბობდნენ სათქმელს. ტირგარტენში იწყევლებოდა და იკრულებოდა.

რუბენ ყიფიანი კაიხანს ეძებდა ვლასას, წარმოუდგენლად მიაჩნდა, 26 მაისის ჟრუანტელისმომგვრელ წუთებში არ გამოჩენილიყო, სიტყვას თუ არ იტყოდა, ყვირილით მაინც არ ეყვირა, ხალხი არ დაერაზმა, მათთან ერთად არ აღტაცებულიყო. ეძებდა, არ ჩანდა. ზარები გუგუნებდნენ და გუგუნებდნენ.

ქუჩაში გამოსული ხალხი ზეიმობდა, როგორც შეეძლო, ისე გამოხატავდა სიხარულს, ცეკვავდა, მღეროდა.

ვლასა არ ჩანდა.

ნაშუადღევს შეხვედრია რუბენი ტრიას (ვლასას ფსევდონიმია) და საყვედურნარევი კილოთი უკითხავს:

– სად იყავი, სად დაიკარგე?

– მამადავითის ეკლესიაზე ზარებს ვრეკავდი. ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და დიმიტრი ყიფიანს თავისუფლება მივულოცე. – უთქვამს სახეგაბრწყინებულ ვლასას.

ამას მხოლოდ გულანთებული მამულიშვილი იტყოდა და ოდენ სამშობლოს თავისუფლებით ზღვარგადამცდარ ნეტარებაში მყოფი მოიმოქმედებდა. სულაც არ კნინდება ნათქვამით სურვილი, მთელ ქართველობას კი არა, მხოლოდ მამულისთვის თავგადაკლულ სამ გმირს მივულოცე თავისუფლებაო, რამეთუ თითოეული საქართველოს ტოლფარდია, სამთავენი – მითუმეტეს.

იქ, მამადავითზე, ქვეყნის დამოუკიდებლობის ამბავი იქნებ გვიან შეეტყოთ, ამიტომაც ააგუგუნა ზარები, რაც ერთდროულად საფლავში ჩაძახებასაც და ცოცხალთა გამოფხიზლებასაც გულისხმობს.

ამიტომაც არ ეგულებოდა გრიგოლ რობაქიძეს, რომელიმე ეპოსში მამულიშვილური აქტი ამგვარ მითიურ სიმაღლემდე ყოფილიყო აყვანილი.

ნამდვილი ამბავი მითიურად გარდაისახა.

ზარების გუგუნში ვლასა გულში იქნებ სიტყვასაც ამბობდა, უყვარდა სიტყვით გამოსვლა, შთამბეჭდავი ლაპარაკი იცოდაო, – სამსონ ფირცხალავა გვეუბნება. ილიას ცხედარი წერა-კითხვის საზოგადოებასთან რომ მიასვენეს, სხვებთან ერთად, ვლასა მგელაძესაც უთქვამს სიტყვა, უთქვამს, რაც მოხდა, რა უბედურებაც დაატყდა ქართველობას. პარტიებზე უსაუბრია, მაგრამ მისი ნათქვამით არავინ გაღიზიანებულა, კარლო ჩხეიძის სიტყვა კი ყველას უხერხულად მოეჩვენაო, – გვამცნობს იგივე სამსონი.

ბერლინიდან საქართველოში მომავალ მოსეს (ალბათ თოიძეს) დიდხანს უტრიალაო, – წერს მიხეილ ჯავახიშვილი, – ვერ გადაუწყვეტია, ეთქვა, არ ეთქვა, ეთხოვა, არ ეთხოვა. სამშობლოდან რამდენიმე კვირით წასულ მოსეს იქნებ ვერ გაეგო, დაეცინა, გულთან ახლოს არ მიეტანა მისი ტკივილი. ამიტომ უტრიალებდა, კბილს უსინჯავდა, მოიარებით რაღაცას ეკითხებოდა, ბოლოს დააფიცა თურმე და უთხრა: „ბათუმში ჩემს მაგიერ მიწას აკოცე“.

მე ვერ მოვახერხებ, ჩემს მაგიერ ჩაიკარი, უთხარი, ცოცხალი ვარ, მაგრამ უმისოდ სიკვდილი მიჯობს სიცოცხლესო.

გულჩვილობა იკითხება ვლასას ამ ნათქვამში. გულჩვილობა, გაუნელებელი ტკივილით გასერილი გული ფართხალებს, გული, რომლის პატრონსაც ქართველისა და ქართულის გადასარჩენად ყველაფრის გაღება შეეძლო. „ოსები ციხეში ჩასხდნენ. ჩვენებმა ზარბაზნები დაუშინეს. ვლასა მგელაძემ დაუჩოქა გენერალს – ნუ დაანგრევთ მაგ ციხესო.“ ამასაც მიხეილ ჯავახიშვილი გვეუბნება და მასვე ჩაუწერია ბერლინში მომხდარი ერთი ამბავიც, რომელიც არამც და არამც ვლასას რევოლუციონერობით არ უნდა ავხსნათ: „ვლასა მგელაძეს ოთახი დაუქირავებია ბერლინში. შევიდა და გამოტრიალდა: „აჰ, ეს ჩემი საქმე არ არის. მდიდრულია, ცალკე ოთახში ცხოვრებას შეჩვეული არა ვარ“. სამშობლოწართმეულს არ შეეძლო უცხოობაში მდიდრულ ოთახში ენებივრა. აქ უჭირდათ, ტკიოდათ, თავს აკლავდნენ ბოლშევიკებს და იქ, იგი ბედნიერად როგორ იცხოვრებდა.

არც ცხოვრობდა. ადრეც, მერეც ქვეყნის ბედი აწუხებდა.

გურამ შარაძე ვლასა მგელაძის „მოგონებებში“ გამხელილ ერთ საინტერესო ცნობას იხსენებს. ილიას ნეშტის სიონში გადმოსვენების მერე ფილიპე მახარაძემ თურმე პარტიის თბილისის ორგანიზაციას დადგენილება მიაღებინა, დაკრძალვაში მონაწილეობა არ მიეღოთ, არც გვირგვინები გაეგზავნათ. ამგვარი რამ ვლასასთვის წარმოუდგენელი იქნებოდა, ხაშურში გაიგო ილიას მოკვლის ამბავი, თბილისში გამოიქცა და ახლა გლოვასაც უკრძალავდნენ.

ფილიპე, როგორიც იყო, ისე იქცეოდა, მის განაზრახში ქვეყნის ოკუპაციის მერე უფრო დარწმუნდება ვლასა-სოცდემოკრატი, სხვა პარტიელებსაც რომ უყვარდათ, ეროვნულ კაცად რომ იხსენებენ.

სულო ცოდვილო და, ჯობდა, მონაწილეობა არ მიეღოთ, დღედაღამ ილიას სიკვდილს ნატრობდნენ და სიხარულის გამჟღავნების შანსი რატომღა უნდა მიცემოდათ?! ველოდით, ნატვრა აგვიხდაო, იქნებ არ ეთქვათ, მაგრამ გულში ხომ მაინც გაიფიქრებდნენ.

ემიგრაციაში „მოგონებებსა“ და „26 მაისთან“ ერთად „რუსეთის მობრუნება საქართველოში“ დაწერა ვლასამ და იქ შეადარა დამოუკიდებლობის გამოცხადება ცაზე ცხოველმყოფელი მზის გამობრწყინებას.

ათას დღესაც არა, 996 დღეს გაგრძელდა ნეტარების ხანა, მერე ცა მოიქუფრა, ჩვენი ქვეყნის თავზე შავი ღრუბლები მოქურუხდნენ, სეტყვა წამოვიდა, ქარიშხალი ამოვარდა. უზარმაზარი მუხისა და კაკლის ხეები ფესვებიანად მოგლიჯ-მოთხარა, ალვის ხეებს ტოტები დაუმსხვრია, შუაზე გადახლიჩა... მეტი ხატოვნებით როგორ აღეწერა „წითელი ველურების“ შემოჭრა საქართველოში. ბუნ-

ების მოვლენებით ახსნა ის, რისი თქმაც უნდოდა, თუმცა ხეებზე მომეტებულად მიაქცია მკითხველის ყურადღება.

უყვარდა ხესთან შედარება ვლასა მგელაძეს. მაღალ კაცზე აუცილებლად დაწერდა: ალვის ხესავით, საროს ტანის ვაჟკაციო.

ტირგარტენში, საფიქრალია, მუხის ხეზე ასულიყო, მუმლი მუხასა გახსენებოდა და ატირებულიყო.

ნახირივით შეიჭრა რუსის ჯარი ბოტანიკურ ბაღშიო, – წერდა, ყვავილები დაგლიჯა, მცენარეები ძირიან-ფესვიანად მოთხარა, კვიპაროს-იაგუნდის ძინთიან ნაყოფს ვაშლებივით ჭამდნენ, ემწარათ, აფურთხებდნენ, ხეთა შტოებს ამტვრევდნენ, თვალი გეტკინებოდა მათ დამნახავსო. ბუნებრივია, კეთილად განწყობილებს ეწყინებოდათ, თორემ „წითელ ველურებს“ უხაროდათ, რაც უფრო ივარქმნიდნენ, მით უფრო ხალისდებოდნენ.

ისევ მიხეილ ჯავახიშვილი გავიხსენოთ: „ქ. კალკუტას თუ სინგაპურის საქალაქო ბაღში მარტო რუსულად წერია: Воспрещается рвать цветы и топтать газоны. საგულისხმოზე საგულისხმო დაკვირვებაა.

ვლასას მონათხრობი გავაგრძელოთ:

გაძარცვეს დედაქალაქი, რისი წაღებაც შეძლეს, მატარებელში ჩატვირთეს, დააწერეს: „მოსკოვის პროლეტარიატს თბილისის პროლეტარიატისაგანო“ და ჩრდილოეთის გზას გაუყენეს.

დადუმდა თბილისი.

დაიმშა ხალხი, წისქვილში დღედაღამ რიგში იდგნენ, რამდენიმე კილოგრამი სიმინდი რომ დაეფქვათ და მოხუცებისა და ბავშვებისათვის მიეტანათ.

ვის არ ნახავდით იქო, – გვეუბნება ვლასა მგელაძე, – „აგერ დგას ალვის ხესავით თვალტანადი, შესანიშნავი ვაჟკაცი, თათრების შემოსევის დროს ბათუმში მებრძოლი მხედარი – მუშნი დადიანი“, ისევ ხესთან შედარება.

ეს ის მუშნი დადიანია, თურქთაგან დაპყრობილ ბათუმის ქუჩებში კაიხანს მგლოვიარედ – თავშიშველი, ფეხშიშველი, შავ სამოსში ჩასუდრული და მკერდგაღეღილი რომ დადიოდა. სხვა რა ექნა, გლოვობდა მომხდარს. ბრძოლით ვერაფერი გააწყო. მოსახდენი მოხდა. ძლიერმა ძლია და ეს, ძველქართული წესისამებრ, როგორც მგლოვიარეს შეეფერებოდა, ისე გამოიყურებოდა გულში სიძულვილის ცეცხლჩაბუდებული.

არ იყო იოლი მტრისაგან დაკავებულ ქალაქში სიარული, მით უფრო გლოვა – მუშნი დადიოდა, გლოვობდა. სავარაუდოდ, იმას ფიქრობდა, თუ ქართულ მიწაზე სიარულსა და გლოვას დაუშლიდნენ, მტერს შელეწვოდა, შეხეთქებოდა.

მისდარი საროსტანიანი ვაჟკაცების ნაწილი ბოლშევიკურ ურდოებთან ბრძოლაში დაეცნენ. ორმოცი დღის თავზე კათალიკოსმა ლეონიდემ მათი სულების მოსახსენებლად ილოცა. ლოცვის გასრულების მერე ჯერ პოეტი მჭედლიშვილი გამოვიდა და სულის შემძვრელი ლექსით კოჯორ-ტაბახმელის გმირები შეაქო, მერე ვლასა მგელაძე – „ამ გმირებმა ნამუსი აღგვიდგინა, წელზე შეხსნილი ხმალი კვლავ შეგვარტყა. ეს პაწია დროშები აქ კი არა, აი იქ, სასახლეში უნდა ფრიალებდნენ“.

ჟორდანია – ერის საყვარელი ბელადი – გაჰყვიროდა ვლასა. ცდებოდა, არ ცდებოდა, სხვა საკითხია. რაც სწამდა, იმას ამბობდა, ამბობდა ხმამაღლა, ყველას გასაგონად, ნაფიქრის გულში ჩატოვება არ ჩვეოდა, უთქმელობას ვერ იტანდა. როგორი საშიშიც უნდა ყოფილიყო, უბედურებაც რომ დატყდომოდა თავს, გულის ბუხარს მაინც ბოლომდე ამოიბერტყავდა.

საქართველოს დაპყრობის მერე ჩემი ყველაზე გაბედული გამოსვლა იყოო, – თვითონვე წერს. მანამდეც, კრაპოტკინის პანაშვიდი რომ გადაიხადეს – მიმართა ხალხს – მშრომელებს საკაცობრიო ბედნიერება ასე არ ესმოდათ, დღეს რაც ხდება, მათი იდეალების ღალატიაო.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამხედრო მინისტრის პარმენ ჭიჭინაძის სამგლოვიარო მიტინგზეც თქვა ვლასამ სიტყვა.

თითქოს მომენტს ეძებდა, ჩასაფრებოდა სიტყვის თქმის ჟამს, იმ დროს და იმ ადგილას წამოიმართებოდა, საიდანაც ყველა გაიგონებდა, ყველა დაინახავდა. იცოდნენ, უსიტყვობა ეძნელებოდა, სხვანი რომ გულში იმარხავდნენ ფიქრს, ეს საქვეყნოდ ამხელდა, ამიტომ გზას უთმობდნენ, გამორჩეულ ადგილს სთავაზობდნენ, მრავალს რომ დაენახა და გაეგონა გულანთებული კაცის სიტყვები.

პარმენ ჭიჭინაძის დაკრძალვა, შეიძლებოდა, დემონსტრაციად გადაქცეულიყო. ფრთხილობდნენ ბოლშევიკები, ჩეკას ყველა ნაბიჯი გაეთვალა, სად უნდა დაესვენებინათ ცხედარი, რამდენ წამს შეყოვნებულიყვნენ და ა.შ. სამგლოვიარო პროცესიაში გამორჩეულ ადგილს ძნელად მონახავდი, მაგრამ ვლასასთვის ესეც გამოიძებნა. კათალიკოსმა როგორც კი სიტყვა დაასრულა და მიცვალებულს ჯვარი გადასწერა, ხალხის ჯგროში, საიდანღაც, მაგიდა ჩამოდგეს, ვლასას მეტი რა უნდოდა, – ავიმართე მაგიდაზე და ქვეყნის სამხედრო მინისტრს შესაფერი სიტყვა ვუთხარიო.

მაგიდაც ხეა, სცენაა, საიდანაც უნდა გაისმას ვლასას მჭექარე ხმა, დაიგმოს ქვეყნის ანექსია, ხალხს რწმენის ნასახი გაუჩნდეს.

თუმც ამაოდ...

1910 წელს ვლასა ირანის მეჯლისზეც გამოსულა სიტყვით. იქნებ, სულაც პირველი ქართველი იყოს ამ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში სიტყვის მთქმელი. ვლასა ლაპარაკობდა, იბრაგიმ-ბეგი თარგმნიდა, ხალხი აღფრთოვანებულა. ქართველი რევოლუციონერის მგზნებარე ხასიათითა და ამგვარივე სიტყვით 14 წლის შაჰ ახმედიც დარჩენილა კმაყოფილი.

სხვა ქვეყნის ამბებს არკვევდნენ, თავისი ვერ გაერკვიათ, ვლასაც ვერ აცდა ამ საყოველთაო რევოლუციომანიით გატაცებას – აქაოდა, სპარსეთში რევოლუცია დაიწყო, მივეხმაროთო.

ბევრს წერდა და ლაპარაკობდა ამ ამბებზე, ლექციებსაც კითხულობდა, სიტყვით გამოდიოდა, არც ერთი ეზარებოდა, არც – მეორე.

ვლასა მგელაძე „რუსეთის მობრუნება საქართველოში" ბოლშევიკთაგან ჩადენილ არაერთ საძაგლობას იხსენებს, ზოგი, იქნებ, სულაც დავიწყების მტვრით დაფარულიყო, მათ თვითმხილველსა და საკუთარი ყურით მომსმენელს რომ არ გაეხსენებინა.

სოფელ ლესაში ბოლშევიკებმა სამოცდაათ წელს გადაცილებული საბა უგრეხელიძე სიტყვის შებრუნებისათვის მოკლეს, ჯალათები რომ წავიდნენ, ქალიშვილმა ცხედარი მოიპარა, სახლში ნახა, სხვისი აღმოჩნდა, ჭკუაზე შეიშალა.

ამგვარი ამბები ბლომადაა ვლასას წიგნში, მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას ზარების აგუგუნება, საქართველოს ოკუპაციის მერე კი ხეზე ასვლა და გოდებაა.

ზოგს რუსეთისაგან ოკუპირებულ მიწაზეც აღარ უნდოდა გაევლო: „პავლე აკობია ხეზე ცხოვრობს, ზედ ძარი აქვს გაკეთებული, ქვეყნის ხსნით არის გატაცებული. სალამურს უკრავს მუდამ. მხოლოდ დახალულ ხორბალს სჭამს" – წერს მიხეილ ჯავახიშვილი. დახალულ ხორბალს რატომ ჭამდა სოციალ-ფედერალისტი პავლე აკობია, არ ვიცი, ხეზე ცხოვრება და ზედ ძარის გაკეთება გამჭვირვალე მინიშნებაა იმაზე, რომ რუსთაგან დაპყრობილ მიწაზე არ სურდა ცხოვრება, ფაქტიურად, ცაში იყო, ცაში, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დაესაკუთრებინათ ბოლშევიკებს.

იყო ზეცაში, უკრავდა სალამურს, უხმობდა ქვეყნის მხსნელს, არ ჩანდა ქვეყნის მონობიდან გამათავისუფლებელი. ის მაინც უკრავდა... სოციალურ თემებზე წერდა მეგრულ ლექსებს, წიგნიც გამოსცა, „იმედი" დაარქვა, იმედი ცოცხლობდა, რეალურ გამომხსნელს მამულისას თვალის დაუხამხამებლად კლავდნენ.

* * *

„ამერიკის ხმის" გადაცემას ახშობდნენ, რადიომიმღები შიშინებდა და შიშინებდა. ხან-

დახან, რამდენიმე წამით, რაღაცას გაიგონებდი, მერე ისევ აჩიხჩიხდებოდა და აჩიხჩიხდებოდა. იმ საღამოსაც ასე იყო, ყურმიდებულსაც არაფერი გვესმოდა, ნაწყვეტი ფრაზებით ვერაფერს ვგებულობდით, მაინც ვუსმენდით. უცებ ჩაწყნარდა რადიომიმღები და ამ სიწყნარეში სირინოზის ხმასავით გაისმა – გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დროს შორაპნის თემსაბჭოს მდივანი ბეგლარ... ისევ ახმაურდა, გვარი ველარ გავიგონეთ. მერე რაღაცის კითხვა დაიწყო დიქტორმა, რომელიც პარმენ ჭიჭინაძის დაკრძალვის ვლასა მგელაძისაგან აღწერილი ეპიზოდი უნდა ყოფილიყო.

* * *

ვლასამ სიტყვა წარმოთქვა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამხედრო მინისტრის დაკრძალვაზე.

ქიშვარდი ბეგლარს გამოეთხოვა.

ვლასა მგელაძემ მამადავითზე ზარები რომ ააგუგუნა, ესეც საკმარისია, რომ შევიდეს „ქართლის ცხოვრებაში", როგორც მზიური შარავანდედით მოსილი რაინდი, – წერდა გრიგოლ რობაქიძე. ხეზე ასვლა ნაკლებია, განა?! ფელინის გმირი რა სახსენებელია ამ ამბებთან. სამშობლოდან გადახვეწილი კაცი ხეზე ადის, ტირის და ტირილით ამცნობს კაცობრიობას – ბოლშევიკებმა წამართვეს სამშობლო!

თვალდახუჭული ქიშვარდი...

ვლასა ხეზე...

# ზურაბ ბიბეშვილი

## ოდა ყვავილს!

მწვანე მინდორს სხივი ამკობს,
მზე დედოფლობს მთაში, ბარში
ძნელია არ დაიკარგო,
ყვავილების ქვეყანაში.

სულ პირველად შენთან მოვალ,
მოგეხვევი, ჩუმად გეტყვი,
უცნაური ყვავილი ხარ,
ზოგს აბრუებ, ზოგს კი ეტრფი.

ვეღარ იტევს სითბოს ამდენს,
ნეტარებით სავსე გული,
ვინ მობრძანდა ნეტა, ადრე
მიმოზა თუ გაზაფხული?!

ჰოდა, ყველა შენი მოსვლა,
ზეიმია დიდი, ვიცი,
მოხვალ, ქუჩებს შეგვიმოსავ,
ხელს ფანჯრიდან გამოგიწვდი.

შენთან ერთად მოვლენ სხვებიც,
გათოშილნი ზამთრის გზებზე,
სიმბოლო ხარ გამარჯვების,
სიცივეზე, სიბნელეზე.

საერთო გვაქვს შენთან ბევრი,
სიუხვითაც ტოლები ვართ,
დახუნძლული ჩვენი წლები
შენი ღიღილოებია.

ღმერთის ძალამ ჩვენთან ერთად,
მოგიყვანა, შეგიფარა,
უკვდავების ხე ხარ ქვეყნად,
თან, ყვავილი სიფრიფანა.

იყვავილე დიდხანს, დიდხანს,
სიყვარულით ერთსაც გეტყვი,
ჭირვეული ქალივით ხარ,
ზოგჯერ გვსუსხავ, ზოგჯერ გვეტრფი.

## ქალი და ვარდი...

ამას ამბობდნენ დასაბამიდან,
„ეძიე ქალი“, მაგრამ რომელი?
ქალი, ნახატი მხატვრის ყალმითა,
ქალი მეუღლე, ქალი მშობელი.

ქალი ქეთევან, ქალი თამარი,
ჩვენი სიცოხლის ძალა და ეშხი,
ჩვენი მიწა-წყლის ხმალი და ფარი,
ქალი-მანდილი, ვარდებით ხელში.

მინდორში იჯდა გოგო, პატარა,
მზე გულუხვობდა ხუჭუჭა თმებში,
იჯდა გოგონა და ცას ხატავდა,
ცასა და დედას, ვარდებით ხელში.

ხატავდა ამ ცას, ლურჯს და უძიროს,
ყვავილობისთვეს – მაისის თვეში,
და იმ ქალს, გახსოვთ? ზოგჯერ უშვილოს,
ბავშვებთან ერთად, ვარდებით ხელში.

ვინძლო არ გაჭრას მშობლის ვედრებამ,
კვლავ დაგვემუქროს დელგმა და თქეში,
გვენახოს ქალი, ტროას კედლებთან,
ქალი ელენე, ვარდებით ხელში.

ქალი და ვარდი, ვარდი და ქალი,
ორთავე, წმინდა და ხელთუქმნელი,
არ მოგვკლებოდეს არც ერთი წამით,
ვარდებისა და ქალის სურნელი.

## ოჯახური იდილია

პეპლებივით გაგვიფრინდა,
საარაკო, ლურჯი წლები,
ღვთით ნაბოძი ტვირთი ხარ და
ტვირთით ვდგები, ტვირთიც ვწვები.

ასე მივალ აღმართ-აღმართ,
მიმჩატდება თითქოს მხრები,
ვერ გავიგე, ამ დროს თავად
ტვირთი ხარ თუ ჩიტის ფრთები.

სულ კეკლუცობ, სულ იცვლები,
მეჩვენება, სხვა ხარ თითქოს,
ხან მსახიობს ემსგავსები,
ხან გამოცდილ პოლიტიკოსს.

ხან, ბავშვური ხიბლი დაგსდევს,
ხან, ბრძენი ხარ დავითივით
ოღონდ, მწარეს რომ მომართმევ,
ზოგჯერ გავიწყდება ტკბილი.

ხან ვზივარ და მოთმინებით,
ვუსმენ იმ შენს ქალურ სოლოს,
კაპასობ და მეუბნები
– ამ დროს, გლოცავ, სულელოო!

ჭირით, ლხინით, გვერდი-გვერდით,
კიდევ დიდხანს, დიდხანს ვივლით,
ვის ჰქონია გზა ვარდებით,
ჩვენ რომ გვქონდეს მოფენილი.

## ერთი წუთი

ნაირფერებად ჩახჩახებს რინგი,
მოკრივეები მორჩილად დგანან,
დგანან თითქოსდა მშვიდად და რიდით,
გონგი მჭახედ არ ჩამოკრავს სანამ.

ცხოვრებაც ერთი დიდი რინგია
და რაუნდებიც მძიმედ სათვლელი,
დღეს შერკინების ჩემი რიგია,
ასე, ვინც იცის, კიდევ რამდენი...

წავიჩოქე, ვერ ვიცილებ დარტყმას,
ისმის გუგუნი, შეძახილები,
სანამ რეფერი მოასწრებს დათვლას,
ვდგები, კვლავ მუშტად შეკრულ თითებით.

ვდგები და მოდის მეორე სუნთქვა,
რაუნდებს შორი ის წუთიც მოდის,
ხვალინდელი დღის ფურცელი სუფთა –
დრო განსჯის, ფიქრის და სულის მოთქმის.

ერთი წუთი, ვით ერთი ცხოვრება,
შეცდომების და მონანიების,
ელვისებური გამეორება
ტკბილი და მწარე გაკვეთილების.

ხან ბრძოლა, ხან გვერდზე ზანტად გადგომა,
მოგონებებით მძიმდება მხრები,
ვდგავარ და მიკვირს, როგორ დაგროვდა
ერთადერთ წუთში ამდენი წლები.

თვალწინ ირევა შავიც და თეთრიც,
ხიბლი და სევდა ირევა ერთად,
ამ განცდას ყველას გვიგზავნის ღმერთი,
ასე მგონია, მე სხვაზე მეტად.

ვდგები ჯიუტად, ვდგები ათასჯერ,
რადგანაც გავჩნდი, უნდა ვიცოცხლო
და ბედი სანამ სახლში დამაჯენს,
მეტი არასდროს არ წავიჩოქო.

## რა წავიღო, სად წავიღო...

ასე იყო პირველ დღიდან,
ასე არის ოდითგანვე,
ზოგს მეფობა ერგო წილად,
ზოგს ლოდინი მეფის კარზე.

ზოგი ეძებს სარჩოს კვირის,
ზოგი ფიქრობს სად გაერთოს,

მათთან ჩატეხილს, ვინ ჩივის,
ხიდი არ იყო საერთოდ.

რაინდობა აღარ ფასობს,
აღარ ვფიქრობთ ხშირად სხვაზე,
ყველა რაღაც როლს თამაშობს
ამ ცხოვრების დიდ სცენაზე.

კარგს ვაკეთებთ ზოგჯერ ცუდად,
ცუდს სავალალოდ, კარგად,
უფლის მოცემული, ვწუხვარ,
სულის მეკვლე დაგვეკარგა.

ზოგს ცხრა სასახლე არ ჰყოფნის,
ზოგი ტანზე ირგებს საბანს,
ზოგი ზეობს, ზოგი ოფლით
ამ ცხოვრებას თავს ძლივს აბამს.

ზოგი ადის, ზოგი ჩადის,
მგლისა და კრავის არ იყოს,
ბოლოს ზოგ-ზოგს მოკლავს დარდი,
– რა წავიღო, სად წავიღო...

## დედის ნუხილი

ჩვილის პირველი სიტყვა დედაა
და ამოსუთქვაც უკანასკნელი,
სიხარულია, თანაც სევდაა
დედის ყოფა და დედის უღელი.

ეს გვალამაზებს და ეს გვაქალებს,
მაგრამ გაცუდდა ეს სიტყვა ვაგლახ!
ბოლმა მერევა, ველარ ვაკავებ
ლავად წამოსულ გაგონილ-ნანახს.

კოშკი მეშლება აგურ-აგურად,
სუნთქვა მეკვრება და ფიქრიც მიჭირს,
სატანამ სულში დაისადგურა
მკერდს მოწყვეტილი, უმანკო ბიჭის.

ეს არ მსმენია, ეს არც ყოფილა,
ჩვენში რა უნდა ბილწსა და პირშავს,
სიტყვას ვამბობდით გამოზომილად,
გულანთებულად ვიწერდით პირჯვარს

სანამ გაქრობა არ გვიწერია,
ნუ შეგვიბღალავთ ცასა და მიწას,
გთხოვთ და გაფიცებთ, როგორც გვჩვევია,
იმ გულისფეთქვას, იმ პირველ სიტყვას!

## ჭირისუფალი

შემაღლებულზე, ერთ-ერთ საფლავთან,
შავად მდუმარი და შეუვალი,
გამვლელებისგან სახეს მალავდა
ძაძებიანი ჭირისუფალი.

უთუოდ მასში არსება ორი
ამ ქვეყნისა და იმ ქვეყნის იჯდა,
იჯდა ქალი ორ სამყაროს შორის,
ბედშერისხული, თან მშვიდად, დინჯად.

ცაზე არ ჩანდა ღრუბლის ნაფლეთიც,
უცებ მოფრინდა ჩიტი-ბელურა
და კურთხეული პურის ნამცეცი
ფრთხილად აკენკა, თავისებურად.

გაშალა ფრთები ჭიკჭიკ-ჟღურტულით,
თვალს მიეფარა, გასცდა მთა-გორაკს,
საკვირველებავ ოჰ, სიხარულის
ამ დროს ქალს ცრემლი გადმოუგორდა.

ასე ყოველ დღე, ასე დღე და ღამ,
ერთი ჟღურტულა, ერთი მდუმარი,
მოდის ის ქალი, მოდის ბელურა,
ერთმანეთისთვის ჭირისუფალნი.

# მარიამ რევიშვილი



## ღმერთო

„ვსუნთქავ ყოველ დილას შვებით,
ფეხს თუ დავაბიჯებ მიწას,
შენი უწმინდესი ნებით,
ჩემი სიცოცხლე რომ იშვა!

ჩუმად შევაპარებ მზერას
მიკვირს უცისფრესი ზეცა,
მგონი დამესიზმრე წუხელ,
სხივის სამოსელი გეცვა.

გტკივა ტკივილები ჩემი?!
მწუხარება მეც თან დამდევს,
მუდამ სინანულით ვკვდები,
ცოდვის ბოროტება მარცხვენს.

ვგრძნობ რომ ჯვარს ეკვრები ახლით,
როცა ულვთო გზაზე დავალ,
მუხლზე დავეცემი ღამით,
უხვი ცხარე ცრემლის ტბა ვარ.

მაინც მოწყალებით მამკობ,
ყოველ განსაცდელში მზად ხარ,
უსასრულო რწმენით მათბობ,
ვგრძნობ რომ უხილავად აქ ხარ!

ფეხზე დამაყენებ გართხმულს,
გულში წამიკიდებ იმედს,
უცებ დავივიწყებ წარსულს,
ახალი დღით ჯავრებს ვიწმენდ.

ვიცი მომიტევებ ერთობ,
გულწრფელ სინანულში ვდგავარ,
რადგან იგრძნობ ისევ ღმერთო
ჩემი ერთადერთი ხსნა ხარ!“

## ვგაზაფხულობ

„ეხლა ჩემში გაზაფხულმა შემოთოვა,
იასამნის სურნელებით ავივსე,
რა ვიცოდი თუ იყავი შემოდგომა,
შევუკრავდი გრძნობებს ტურფა საკინძეს.

მზემ მომმადლა ალტაცება უსასრულო,
და სიცოცხლეს შეუღება ჭაღარა,
გაგიღიმე სიყვარულით სიხარულო,
მაგრამ შენთვის გაღიმება არ კმარა.

რა ვქნა, მაინც დავფრიალებ სულის კონავ,
მსურს! ვარდები ეკლიანად დავკრიფო,
არ მაწვიმო ადრეული შემოდგომა,
დამაცადე! გაზაფხულით ავივსო!“

## მიყვარხარ ჩემთვის

„უბერავს ქარი, ფიქრიან ეზოს,
აშრობს და კოცნის ზეცას წვიმიანს,
მუზა იხსნება და უნდა ვწერო,
დღეს შენი ნახვა არ შემიძლია.

იკვრება ლურჯად მაღლა ტატნობი,
ფერებად მჩუქნის ღმერთი სამყაროს,
მაგრამ ვერ ვპოვე შენზე ნაცნობი,
ეს ჩემი გული, რომ მივაბარო.

პეპლებად დაფრენს გარეთ ვნებები,
უცხო ათინათს მიშლის წამებში,

ვერ მხედავ, მაგრამ სულში გეკვრები,
სიყვარულს გიმხელ ლექსით თვალებში.

მემზიანება მზე ძან ლამაზად,
ზმანება ღამით მთვარისფრად მმოსავს,
სიცოცხლეს გჩუქნი ასე ხალასად,
გჩუქნი ყველაფერს რაც მიღმა მოსჩანს.

უბერვს ქარი, ფიქრიან ეზოს,
ეხვევა, კოცნის ზეცას წვიმიანს,
მიყვარხარ ჩემთვის უთქმელად ჩემო
და შენი ნახვა არ შემიძლია“.

## დედავ

„ნანა მიმღერე დედილო, დედავ,
მომწყურებია შენი ხმა ტკბილი,
ნანა მიმღერე შენ ჩემო ერთავ,
ისევ პატარა ვარ, ისევ ჩვილი.

ნანა მიმღერე, ნანა საამო,
ნანა უამრავ სიკეთის მთქმელი,
დედაშვილობის უკიდეგანო,
სითბო, სიამე გამოუთქმელი.

ჩვენს იადონებს ვერავინ შეცვლის,
ცხოვრების ბილიკს მივყვები ნებით,
გულში ჩამიკრავ ტირილით ფერცვლილს,
გავძლიერდები მე ისევ შენით.

დედავ ძვირფასო! ამ გულის ოდას,
გამზიარებლად ყოლილხარ დღესაც,
შენი ალერსის ვბერდები მონად,
არ მიმატოვო არასდროს დედავ!

ტკივილნარევი გულის ნუგეში,
მხოლოდ შენ მყავხარ, შენ ჩემო ერთავ,
გყავდე ნაფერებ მზიან უბეში,
ისევ პატარად მიგულე დედავ!“



# თინათინ გოგოხიძე

თვალებს მზერა შეუძლიათ უსასრულოდ,
ღამის იფნებს მორევია სევდის წამი,
შენზე ფიქრით წარსულ გზებზე ხეტიალში
გაზაფხულის დატირებას შევესწარი.

* * *

ჩემთვის ხვალამდე ძალზე შორია,
დღეებს ისედაც ასდის ალმური,
ცაში დაფრინავს თეთრი თოლია,
დაფრინავს სევდა და სიხარული.

ვიტყვი თამამად, სათქმელს გავამხელ,
თავის მსმენელი ვის არ ჰყოლია,
მე ტკივილების ზღვა გადავლახე
და შენზე ფიქრმა ამიყოლია.

* * *

წაშლილ ბილიკს ვინ გაჰყვება გამალებით,
ვინღა იგრძნობს ღამის ხმაურს უმთვაროდა,
ვინ შეავსებს სიმარტოვეს დანანებით,
გაზაფხული ვის თუ უფრო უხაროდა,

მზის სხივებში ვინ შეიგრძნობს ცრემლებს
ღამის,
დაჩოქილი ვინ აანთებს ჩამქრალ კანდელს,
მთავარია გინათებდეს სხივი მთვარის,
მთავარია გიყვარდეს და ღმერთი გწამდეს.

* * *

გუშინ მზისფერ დატირებას შევესწარი,
შემოდგომა იფნის ტოტებს დაჰყურებდა,
შენთვის ფიქრში მოღალული ხეტიალი,
სიმარტოვეს შევატოვე ალუბლებთან.

* * *

რატომღაც ვისმეს მოინატრებ,
მერე სულ ელი...
მთაწმინდას ზოლად გაჰყოლია
მარტის დაისი,
შემოანათებს თბილისის ცის
შენში სურნელი,
აგიტანს ჟინი მომხიბვლელი,
გაუსაძლისი.
აეკვრებიან სიმარტოვეს
ჭრელი ლანდები,
მოეფერები მონატრებით
წარსულს ჟინიანს,
მერე გულივით
სხეულიდან ამოვარდები
და ხვდები თვითონ,
სიკვდილისაც არ გეშინია.

* * *

გაზაფხულზე არ მჩვევია ატირება,
მყვირალობას ისევ უნდა დამიბრუნდე,
ისევ უნდა შეასრულო დაპირება,
თორემ სევდით, მონატრების გავიგუდე.

იქნებ ფიქრი აეფაროს ღრუბლის კალთებს,
იქნებ ხმაც ვერ მომაწვდინო ქარაფიდან,
ქარს მიუგდე ყური, იქნებ გულში დათბეს,
ჩემი სევდა მოგიტანოს ქალაქიდან.

გაზაფხულზე არ მჩვევია ატირება.

* * *

თითქოს ღამესთან თამაში მომწონს,
თითქოს გავერთე მთვარის ცქერში,
ეს უკვე ნიშნავს, ეს უკვე მოწმობს,
ტკივილებს ვხედავ ფოთოლცვენაში.

ღამეა მშვიდი, ხილვებით დაღლილს,
გულს ამიტკივებს უმწეო რითმა,
და ვხვდები უკვე ჩირად აღარ ღირს,
რაც, რომ ჩემამდე, უჩემოდ ითქვა.

თითქოს ღამესთან თამაში მომწონს
და ფიქრი შენზე ვარსკვლავთა ცქერით
და ვირთობ ჩემს თავს და ჩემში ცოცხლობს,
წარსული თავის ფოთოლთაცვენათ.

* * *

ფიქრს მორჩილებით წავყვები ცაში,
და დაგიხვდები მზესთან მალულად,
გადავსხვაფერდი დღეების ცვლაში,
დღეების ულვთო არის მარულა.

მოურიდებლად გავენდე სევდას,
არ დაიცალა ტრფობის ფიალა,
რამდენჯერ ცრემლმა, მოგვრილმა შენით,
გული მატკინა, ამიფრიალა.

სიყვარულისთვის სიყვარულს ვეტრფი,
რომ მოგეფერო,სიტყვა არ მყოფნის
და მიხარია როცა უჩემოდ,
ჩემს გამო სადმე გხედავ კმაყოფილს.

* * *

შენით მიყვარს სიყვარული ჩემი
და თუ ღრუბლებს მეც მივყვები ფიქრით,
ეს იმიტომ, შენს სიყვარულს ვჩემობ.
მარტოობის ლამაზ წუთებს ვითვლი...

* * *

წუხელ წვრილად ცრიდა ცა
და ღრუბელთა თარეში,
ცრემლის საბაბს ეძებდა,
ჩემს სევდიან თვალებში.

წუხელ წვრილად ცრიდა ცა
და გალუმპულ ამ ციდან,
ვგრძნობდი თვალცრემლიანი,
როგორ უცებ აცივდა.

წუხელ წვრილად ცრიდა ცა...

* * *

ცარიელ ქვევრში ჩარჩენილი
ღვინის სუნივით,
ასდის სურნელი ხედებს თრობად,
მწვერვალს ედება,
ეს ყველაფერი ხდება ქვეყნად,
ღმერთის სურვილით
მე ღმერთის მწამს და მხოლოდ
ღმერთის მეიმედება,
გაორმაგებულ მოლოდინით
ვხვდები ალიონს,
მახლავს მეგზურად ვარსკვლავების
მთელი ამალა,
ნეტავი წყაროს წყალი ვიყო,
ვინმემ დამლიოს
არ დამიტოვოს მოლოდინი,
სევდის ამარა.



# კობა ბერიძე

## ᲥᲐᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘ

ქალი თხუთმეტი წლის ზევსის ნატეხია,
როგორც მინანქარზე ორთქლის ოხშივარი,
რაღაც მოგონება სულში გატეხვია,
ფიქრში ოცნებები დარჩა ნახევარი.

ქალი ოცი წლისა მხოლოდ წვიმის ღვარი.
როგორც ველ-მინდვრებზე ქარის არიდება,
სადღაც გასაფრენად ცისკრის საბუდარი,
ქალი სიცოცხლე და ქალი გარინდება.

ქალი ოცდახუთის ცამდე ნაჩეხია,
ამდენ დარდის მერე შერჩა მოლოდინი,
ბევრჯერ მოცდენილი, ბევრჯერ გატეხვია,
ასაკს შეეპარა რაღაც სიმძიმილი.

ქალი ოცდაათის მხოლოდ ნატერფალი,
ძველი ეშხი-მეშხი ტანზე მოცვენია,
ქალი სამეფო და ქალი ნაკერპალი,
ქალი მწყურვალი და ქალი მომთმენია.

ქალის ოცდათხუტმეტს ეშხი გატეხვია,
დრო და ასაკია მგონი ქალის რანგი,
ქალი ამას იქით ყველას ატეხვია,
ამ დროს ორგულია ფლიდი ფარშევანგი.

## ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲡ ᲨᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲨᲘ ᲜᲘᲡᲚᲘ

ვიდრე ტირის კლარჯეთი და სამცხე,
ვიდრე ხედავ ჩაჩოქილი ალამს,
ვიდრე მოკლავ აფხაზეთის დამცემს,
სამაჩაბლოს მოგიზგიზე ალავს.

ვის ენუკვი, ვის ეძებ და რატომ,
რა უნდა ქნა პაწაწინამ მარტო,
უქართველოდ გაპოხილო მიწავ,
უქართველოდ დაკარგულო ხატო.

გინახია მთებზე ნისლი ქარში,
გადაევლოს მწვერვალებზე ღრენით,
საქართველოს უამრავლჯერ დაშლილს,
საქართველოს ჩვენით, ჩემით, შენით.

ერთხელ მაინს მოიხედე უკან,
საუკუნე სხვისი რატომ გჯერა,
ერთხელ მაინც შეავედრე უფალს
მომწყენია შორეული მზერა.

ახლოს ხარ და ისე შორს ხარ იცი,
როგორც ფაცხა დარჩენილი ისლის,
კავკასიონს არ უხდება ჭვარტლი,
კავკასიონს შვენის მთაში ნისლი.

# დათო შალამბერიძე



* * *

უზრუნველობას დღეს ჭაობი ახლავს ჩვეული,
სიცოცხლის წყურვილს იხანგრძლივებთ
როლის მორგებით.
თასმებს მიათრევს გუბეებით ბრბო
ჭირვეული,
ერთურთის შიშით ხართ დოგმებით
დემაგოგები.

მობეზრებული მირაჟებით სუსტი, უძლური,
ის დაიღალა გენიების ქებით და კმევით,
ისმის სისინი, ლოზუნგების რხევა-ჩურჩული,
რადგან მას ერთი სიტყვით ძალუძს დაწყება
ნგრევის.

სამაგალითოდ ეშაფოტზე ლპება სასჯელი,
კიდევ მორიგი აღმოფხვრილი, მავნე
მცდელობა,
მხოლოდ სიკვდილში თუ იქნება ხსნა და
საშველი,
ეს საუკუნე მოწამლული ყვავილ-მდელოა.

სადაც ყიდულობ საკუთარი ლეშის ნაწილებს,
ყველა პროდუქტი გადამდები თითქოს
ცოფია,
სადაც სახეში უცინიან ბოლო ნაძირლებს
და ფატალური შედეგი აქვს ფილოსოფიას.

სმენადახშული მავანისთვის სასიამოვნო,
გადამღერებულ და აზარტულ ლექსებს
მღერიან,
გინდა ბილიკი შენი წასვლის შემდეგ დატოვო,
მაგრამ ყველა გზა აღმაფრენის
სისხლისმღვრელია.

გარსშემორტყმული მიმზიდველი
სატყუარებით,
გინდა არ გინდა, უკვე ხდები შენც მატყუარა.
მახეში გაბმას მოსდევს ღმერთზე
გადაბრალება,
თვითკმაყოფილი ღმერთის ნებას შენს თავს
უმალავ.
და დაგაბრმავა სიტკბოებამ ხიბლის ხილვაში
და ურიცხვ ვნებას და ხან შიმშილს ხარ
აყოლილი,
ვით ჭიანჭველა მოტივტივე ჩაის ჭიქაში,
გაუმაძღარი და შაქრიდან გადმოყოლილი.

ილუზიებში დანთქმულ ხავსებს ებღაუჭები,
რომ წამოდგები სხვა ბნედიანს უჭრი იმედებს.
და გაიმეტებ, ვისაც ერთხელ გადაურჩები,
რომელიც უძლურს და მომაკვდავს ვერ
გაგიმეტებს.

* * *

ქარი არხევს მავთულებით გადასერილ ზეცას
და იდუმალ სიშორისკენ ლიანდაგებს აგებს,
ჩამოშლილი ოცნებების მოელვარე ზეწარს
აქანავებს და ხავერდში აქსოვს დღეთა ბადეს.

თუ გავტოპე, მე სათოფედ მიცემს გული
მწველი,
თუკი დავრჩი, ამ ღადარში გადვიქცევი
ფერფლად,
წინ მიმზადებს ქარბორბალას გაფრენილი
წლები
და ცრემლები წამიერი სიხარულით შრება.

ხე ჯვარცმული მუქ წვიმაში ზანზალაკებს რეკავს,
მომტყდარ ტოტით ატრიალებს პოეზია მორევს,
დაწნავს, დააკრიალოსნებს და ხომალდად შეკრავს,
მერე სადმე, ქუჩის ჩიხში, უგზო-უკვლოდ მტოვებს.

და დავდივარ ნანგრევებში უგონო და მთვრალი,
არ მადარდებს სხვა რას იტყვის, თავს ვგრძნობ ადამიანად!
და ანათებს ნავსაყუდელს ღამით სავსე მთვარე
და მსურს გულში რომ ჩავიკრა სივრცე ყველაფრიანად!..

მაგრამ ბედი მშვენიერ ხიბლს ტკბილად ვის გაუთენებს,
გრძნონა, როცა მოგაბრუნეს შორს წასული სალხინოდ.
მიფრიალებს ცხვირწინ რაღაც შეთხზულ ვალდებულებებს,
მინდა თქვენი საბუთები ყველა ერთად დავხიო!

და ჩავხედო თვალებში, დამფრთხალთ ილუზიებით,
ქანდაკებად ავაწყო ნამსხვრევები წარსულის,
სისხლით გადმოიღვაროს მცდარი ლიტურგიები!
ეშინოდეთ ჯალათებს ჩემი ბოლო პასუხის!
– დროა ჭკუა ისწავლო, არ შეგეხონ თუ გინდა.
სხვა გზით დადგმული ნაბიჯი ცილისმწამებელია.
– ხანდახან საჭიროა გადახვიდე ჭკუიდან,
როცა უნდათ დაგიმონონ, აუცილებელია!

ხან ბანალურ რეალობით მე გმირობა მაქეზებს,
ხან მდუმარე ეტაპიდან ჩქარი გამოსავალი,
ხან დამცინის ის დღე, როცა მივა საქმე-საქმეზე
და ივსება სველი ქვიშით იმედების ნაპრალი.

იდეალებს სახელს უცვლის იდეების ქაოსი,
დროსთან თანაფარდობით ბევრი ეძებს სიყვარულს.
უკვდავებას ებმის თოკით ვნება სააქაოსი
და მისი ტყვე კვლავაც ითხოვს ვინმესაგან სიბრალულს.

მინდა საწყისს მივაკვლიო, გავიარო მითები
და ვიპოვო დაფარული წყარო უტყვი ქვითინის.
იბნევიან გადაკარგულ კვალში მარგალიტები,
საიდუმლოს ჯერჯერობით მცველად უდგას სიკვდილი.



ეკატერინე ჩხარტიშვილი

## ლიტერატურული ფრაქტალების ძიებისათვის

„ყოველი მეცნიერება იმდენადაა მეცნიერება, რამდენადაც მეტია მასში მათემატიკა“.

*იმანუილ კანტი*

მეცნიერებათათვის, რომლებიც თვითორგანიზაციის პროცესებს ამა თუ იმ ასპექტით შეისწავლიან, არსებითია სტრუქტურის ცნება. ყველა ეს აღნიშნული მეცნიერება „სტრუქტურის“ ცნების ქვეშ გულისხმობს ობიექტის რაიმე „სიმტკიცეს“, თვისებას, რომელიც შენარჩუნებულია მოსალოდნელი სხვადასხვა შინაგანი თუ გარეგანი ცვლილების დროს.

სტრუქტურის ცნება უპირისპირდება ქაოსის, როგორც ყოველგვარ სტრუქტურას მოკლებული მდგომარეობის, ცნებას. ბოლო ხანებში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა მეცნიერებათა სინთეზური კვლევები. მათემატიკა ამდაგვარ კვლევებში ე.წ. მკაცრი „აღმწერის“ როლში გვევლინება, რადგან, როგორც გალილეო გალილეიმ აღნიშნა, „მათემატიკა არის მეცნიერება, რომლის საშუალებითაც ღმერთმა სამყარო დაწერა“. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევკლიდედან მოყოლებული, მეცნიერები ცდილობდნენ რა მათემატიკის აქსიომატიზაციას, საწყის და ფუნდამენტურ ცნებებს (წერტილი, წრფე, სიბრტყე, სივრცე) დღემდე არ აქვთ აბსოლუტურად ზუსტი განსაზღვრება.

„ფრაქტალის“ ცნებაც, რომელიც მეცნიერულ ხმარებაში ამერიკელმა მათემატიკოსმა ბენუა მალდელბროტმა შემოიტანა (1977 წელს გამოვიდა მანდელბროტის წიგნი „ბუნების ფრაქტალური გეომეტრია“), არ არის მკაცრად განსაზღვრული. მანდელბროტი „ფრაქტალს“ უწოდებს რაღაც წარმონაქმნს, რომელიც თავისი თავის სადარია ან თავისი თავის აფინურია რაიმე აზრით და იგი თვლის, რომ მხოლოდ ასეთ ახსნა-განმარტებას შეუძლია, ყოველგვარი დასანანი ხილული ხარვეზის გარეშე მოიცვას იმ ობიექტთა სიმრავლე, რომლებიც ღირსნი არიან, იწოდებოდნენ ფრაქტალებად. ნებისმიერი სხვა, უფრო მკაცრი, განსაზღვრების მცდელობას შეუძლია, განდევნოს რაღაც საკმაოდ ფართო კლასი ობიექტებისა და დაავიწროვოს ფრაქტალთა სამყარო.

სიტყვა „ფრაქტალს“ აქვს ლათინური ფუძე – fractus, რაც ქართულად ნიშნავს ნაწილებისგან, ფრაგმენტებისგან შემდგარს.

უმარტივეს ფრაქტალებს გააჩნიათ გეომეტრიულად წესიერი, რეგულარული სტრუქტურა: ასეთი გეომეტრიულად წესიერი ფრაქტალის ყოველი ფრაგმენტი ზუსტად იმეორებს მთელის ყოველ კონსტრუქციას.

თვითაფინურობის ან თვითმსგავსების უზუსტობის (ან მცირე სიზუსტის) დროს წარმოიქმნება შემთხვევითი ფრაქტალები, რომელთა თვითაფინურობა მდგომარეობს სხვადასხვა მასშტაბებში შემთხვევითი განაწილების ნორმალურობის შენარჩუნებაში და, შესაძლებელია, რომ ეს ხორციელდებოდეს სხვადასხვა დისპერსიებითა და სხვადასხვა შუალედებით.

ფრაქტალები, უმშვენიერესი კომპიუტერული ილუსტრაციების წყალობით, მალევე გახდნენ პოპულარული. რა თქმა უნდა, ფრაქტალები არსებობდნენ და მათ შესახებ იცოდნენ ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან პუანკარე, კანტორი, ჰაუსდორფი და სხვა, მაგრამ მანდელბროტის დამსახურება, გარდა სახელწოდებისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან ყურადღება გაამახვილა სამყაროში არსებულ უამრავ ბუნებრივ ობიექტთა ფრაქტალურ სტრუქტურაზე.

კოხის მრუდი, ან კოხის ფიფქი წარმოადგენენ ფრაქტალებს. აქ ნახატის n-ური იტერაციის ნაწილი იდენტურია n-1 იტერაციის დიდი ზომის ნაწილისა.






მანდელბროტის ფრაქტალები, რომლებიც განსხვავებულ ატრაქტორთა მიმართ არეების ფაზური სივრცის გამოსახულებას წარმოადგენენ, მასშტაბთა გაზრდისას ზუსტად კი არ აკოპირებენ გამოსახულებას, არამედ აღადგენენ მის მსგავსს. მაგ.: სერპინსკის სამკუთხედი რეკურსული ფრაქტალია:





ასეთი ობიექტების ფრაქტალურობა, ანუ მთლიანი ფაზური სივრცისა და მისი ნაწილის სტრუქტურათა მსგავსება მეორდება უსასრულო რაოდენობით; მასშტაბის გაზრდისას საწყისი ნახატის ელემენტი მთლიანი ობიექტის ანალოგიურია; ასევეა მისი ელემენტიც, გადიდებისას ანალოგიურია მისი წინამორბედისა და ა.შ.

ამ რთული, უსასრულო მათემატიკური ობიექტების შექმნა, რომლებიც იზიდავენ ადამიანთა (მათ შორის მათემატიკისაგან შორს მყოფთა) ინტერესს, შეუძლებელია კომპიუტერის დახმარების გარეშე. თანამიმდევრობით მსგავს გამოსახულებებს გადაჰყავთ მაყურებელი ჯადოსნურ, ირეალურ სამყაროში, თავბრუს ახვევენ უსასრულო განმეორების იდეით, მსგავსებითა და იგივობით – მასშტაბში, სივრცესა და დროში.

ადამიანისთვის, რათა მან ობიექტი ფრაქ-ტალურად აღიქვას, რეალურად სრულიად დამაკმაყოფილებელია 3-7 იტერაცია, თუმ-ცა, ადამიანის სწრაფვა უსასრულობისაკენ, რომელიც პრინციპულად მიუღწეველია, არის მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებ-ელი.

მას შემდეგ, რაც შემოიღეს ტერმინი „ფრაქ-ტალი“, ცხადი გახდა, რომ მრავალ ბუნებრივ ობიექტს გააჩნია ფრაქტალური აგებულება – ხეთა ტოტებს, რომლებიც იმეორებენ უფ-რო მსხვილი ტოტების აგებულებას, ფიფქებს, სისხლ-ძარღვთა სისტემასა და ნერვებს, რომ-ლებიც იტოტებიან და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ზოგიერთი ხელოვნების ნი-მუშიც, მათ შორის ლიტერატურისა, განვიხი-ლოთ, როგორც ფრაქტალი.

შევეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ, თუ როგორ შეიძლება, შევუსაბამოთ ერთმანეთს ლიტე-რატურული ნაწარმოები და ფრაქტალი. ასეთი კვლევების საწყის ეტაპზე მკაცრი ჩარჩოები მართებული არ იქნებოდა. ფიზიკოსი ლეონიდ ისააკის ძე მანდელშტამი ამბობდა, რომ საგ-ნის არსებობის საწყიდ ეტაპზე შემზღუდავი განსაზღვრებები იგივეა, რაც ახალშობილის შეხვევა მჩხვლეტავ მავთულშიო.

ლიტერატურული ნაწარმოებისთვის, რო-მელსაც ფრაქტალური ბუნება მოენახება, სახასიათო უნდა იყოს ის, რომ მისი ნაწილი რაიმე სახით იყოს მთლიანის მსგავსი (იდეალ-ში ეს მსგავსების თანამიმდევრულობა უნდა ვრცელდებოდეს უსასრულოდ, თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ არავის არასოდეს უნახავს ფრაქტალური იტერაცის ნამდვილი უსასრუ-ლო მიმდევრობა) ან მისი აღქმა უნდა ხდებო-დეს მასში ჩადებული დონეების თანამიმდევ-რობით.

ლიტერატურული ფრაქტალის განსაზღვ-რას ართულებს ისიც, რომ ლიტერატურული ნაწარმოები სასრულია, ასევე, ტექსტი, ვიზ-უალური გამოსახულებისაგან განსხვავებით, წრფივია, არსებობს მიმართულება მისი წა-კითხვისა – თავიდან ბოლოსკენ, თუმცა, აქ გამონაკლისია პალინდრომები და ინტერაქ-ტიული ლიტერატურა, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულე-ბისამებრ, ნებისმიერად თუ რაიმე წესის დაც-ვით, შეცვალოს ტექსტის ფრაგმენტების თა-ნამიმდევრობა.

ყველაზე მარტივი გზით, უსასრულოდ გან-მეორებადი ტექსტები შესაძლებელია, შეიქ-მნას უსასრულო რაოდენობის დუბლირება-დი ელემენტებისაგან, ან კუპლეტებისაგან, რომლის განმეორებად ნაწილსაც წარმოად-გენს მისი „კუდი“ – იგივე ტექსტი (თუნდაც, ნებისმიერი რაოდენობის საწყისი კუპლეტე-ბის უკუგდებით). სქემატურად ასეთი ტექ-სტი შეიძლება, გამოისახოს დაუტოტავი ხის სახით. ტექსტის ერთეულია ფრაზა, სტროფი ან მოთხრობა, რომელიც იწყება, ვითარდება და მთავრდება იმით, რომ უბრუნდება საწყის წერტილს, სადაც უნდა გადავიდეთ შემდეგ ერთეულზე, იგივე ტექსტის განმეორებით. ცხადია, რომ ასეთი ნაწარმოების საწყისი ნა-წილების ჩამოშორებით არაფერი შეიცვლება, ე.წ. კუდი მაინც ზუსტად დაემთხვევა მთლიან ტექსტს.

ასეთი ტექსტია, მაგალითად, ცნობილი იგავი ჩუან-ცზის პეპელაზე, რომელიც შეიძ-ლება, ასე პერიფრაზირდეს: „იგავი ფილოსო-ფოსზე, რომელსაც ესიზმრება, რომ ის არის პეპელა, რომელსაც ესიზმრება, რომ ის არის ფილოსოფოსი, რომელსაც ესიზმრება, რომ...“

სიზმრის თემა, ასევე, ცნობილია ნაწარმო-ებიდან „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, რო-დესაც ალისას ესიზმრება, რომ ის არის მეფე, რომელსაც სძინავს და ესიზმრება, რომ ის არ-ის ალისა, რომელსაც ესიზმრება, რომ...“

ასეთი ტექსტები ერთგვარი ურობოროს-ებია, უძველესი სიმბოლო, წრიულად დახვე-ული გველი, რომელიც თავის თავს კუდიდან ჭამს.





ამის მაგალითებია ე.წ. აბეზარი ზღაპრებიც, რომლებიც ისევ საწყისს უბრუნდებიან, ან, მისი რგოლები იკვრება შეკითხვით: „გინდა, მოგიყვეთ ზღაპარი თავიდან?“

სემანტიკური ფრაქტალია, მაგალითად, ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობა „წრიული ნანგრევები“, სადაც ადამიანი სიზმარში ქმნის ადამიანს, იმდენად რეალურს, რომ იმის რეალურობას იჯერებს. ისედაც, ბორხესის მოთხრობებში მრავლადაა ფრაქტალური პასაჟები.

არსებობენ ტექსტები, სადაც, მანდელბროტის ფრაქტალის მსგავსად, მისი ნაწილები ტოლნი კი არ არიან, არამედ ერთმანეთის მსგავსნი და ეს თვისება მას ჰმატებს მომხიბლავობას. ამიტომაც ლიტერატურულ ფრაქტალთა შესწავლისას ამოცანაა, მსგავსების, თანადობის პოვნა და არა – იგივეობისა. ეს, შესაძლებელია, განხორციელებული იყოს ვარიაციებით ან თითქოს „უსასრულო“ ლექსების სასრული თანამიმდევრული კუპლეტებით.

არსებობენ ტექსტები, რომლებშიც ფრაქტალური ბუნება ვლინდება არა ტექსტის ფრაგმენტთა თანამიმდევრობით, არამედ მათი სტრუქტურით. ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნებიან მყარი ფორმის ლექსთა ციკლები, როგორებიცაა სონეტების გვირგვინები. სონეტი – ესაა ლექსი გარკვეული მეტრით, სქემით, რიტმითა და რითმით, ხოლო სონეტების გვირგვინი წარმოადგენს თოთხმეტი სონეტისაგან შემდგარ ციკლს, რომლებით ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ბოლო სტრიქონით – პირველი სონეტის ბოლო სტრიქონი მეორე სონეტის პირველი სტრიქონია და ა.შ., ხოლო ყველა, თოთხმეტივე ბოლო სტრიქონი, კი ქმნის კიდევ ერთ (მეთხუთმეტე) მაგისტრალურ სონეტს, რომელშიც მოთავსებულია მთელი ამ ციკლის დედააზრი.

სონეტების გვირგვინი წარმოადგენს სრულყოფილ, ციკლურ, სიმეტრიულ სტრუქტურას და იგი შეიძლება, ასე გამოვსახოთ:



სონეტების გვირგვინში შესაძლებელია, კიდევ მოვახდინოთ იტერაცია; თითოეული თავად იყოს მაგისტრალური თავისი (მეორე რიგის) გვირგვინის შესაქმნელად. აქ უკვე გვექნება 14*14+14+1=211 სონეტისგან შემდგარი გვირგვინი, ან, უფრო სწორედ, გვირგვინთა გვირგვინი, რაც უსასრულოდ შეიძლება, გაგრძელდეს.



ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც მრავლადაა ფრაქტალური ხასიათის მატარებელი ტექსტები. ასეთებია: „რწყილი და ჭიანჭველა“, „თხა და ვენახი“ და სხვ., სადაც, გარკვეული მიზნის მისაღწევად (ტექსტისა თუ ამბის დასასრულებლად) საჭიროა გარკვეული რაოდენობის იტერაციის შესრულება; ზოგჯერ, მისი შემდგომი უკუსვლით გამეორებაც, რაც მის ფრაქტალურ ბუნებას აძლიერებს და ტექსტს მომხიბვლელობას ჰმატებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мандельброт Б. Фрактальная геометрия природы. – Москва: Институт компьютерных исследований, 2002.
2. Федер. Е., Фракталы, Москва, Мир, 1991.
3. http://www.metodolog.ru/01197/01197.html



# ზურაბ ხაბაძე

## უსათაუროდ და უმისამართოდ*

„ნურავინ მისაყვედურებს იმის გამო, რომ არაფერი ახალი არ მითქვამს: მასალის დალაგება ხომ ახალია? მობურთალნი ერთს და იმავე ბურთს სცემენ ჩოგანს, მაგრამ არაერთნაირი სიმარჯვით.

ბარემ ისიც მისაყვედურონ, რომ ძველისძველ სიტყვებს ვხმარობ. საკმარისია უკვე ცნობილი აზრები სხვანაირად დავალაგოთ და სულ სხვა თხზულებას მივიღებთ: ზუსტად ასევე, ერთი და იგივე, მაგრამ სხვანაირად დალაგებული სიტყვები ახალ აზრს გამოხატავენ“.

*ბ. პასკალი*

ასეა ჩემო კარგო, განა რუსთაველს არ ჰქონდა გავლენა ფირდოუსისა? ან ჰომეროსის ან კიდევ სხვათა კორიფეების ნაწარმოებებისა და სხვათა ფილოსოფოსთა აზროვნების რემანისიცენციებისა თუ პასაჟებისა? სხვაგვარად არც იქნებოდა საინტერესო. ვაჟა-ფშაველა ხომ ზოგჯერ პირდაპირ იღებს მთელ რიგ პასაჟებსა თუ სტრიქონებს. აი თუნდაც „გოგოთურ და აფშინაში“. აქ პირდაპირ აქვს ხალხური პოეზიიდან აღებული.

„გაზაფხული იყო მაშინ,
ახლად ყოოდნენ იანი
მწვანის ქათიბით კოხტაობს
მთების კალთები ცვრიანი.
მწვანეს უწვდება ფოთოლთა
ხარი ირემი რქიანი
გალაღებულან ფრინველნიც
ისედაც ლაღნი ზნიანნი“.

და ასე შემდეგ. რას აკლებს პოემას ეს ხალხური სიტყვები ან რას ჰმატებს? მე მგონი ჰმატებს კიდევაც. თენგიზ აბულაძის გადაღებულ ვაჟა ფშაველას მოტივებზე კინოფილმს შეგახსენებ, „ვედრებას“ – „მე ვინა ვარ, მე არა ვარ ღირსი შენი მაღალი სიყვარულისა და ამით უფრო ბედნიერი ვარო“. განა ის, ვინც სუსტია, სიყვარულს ნაკლებად იმსახურებს? მგონი უფრო მეტადაც იმსახურებს, რადგან სიყვარული სხვაზე მეტად მას სჭირდება. სისუსტე არ გამიგო ისე, ჩემო ძვირფასო, როგორც ყაზბეგის „ელეონორას“ რომ შეეწირა რამდენიმე ვაჟკაცი. სიყვარული გველივით კი არ დასრიალებს ადამიანთა შორის და იმათ კი არ წამლავდეს უნდა, თავისი შხამგარეული ნესტარით, არც ფროიდიზმს ვიზიარებ იმაში, რომ მათი აზრით „ქალებს საერთოდ არ შეუძლიათ თავი დააღწიონ ეროტიულის მოჯადოებულ „ღმერთქალებს“.

გილგამეშიდან მოყოლებული, დღემდე ღმერთის ძიებაშია ადამიანი. ესე იგი სიყვარულის ძიებაში, თანამედროვე გაგება როგორია ღმერთისა, იგი შენშია, ცაში კი არა.

ისევ ვაჟა ფშაველას ანიმიზმს და ფილოსოფიას დავუბრუნდები. როდესაც მინდია ეუბნება ეშმაკს – „ვინა ხარ შენ! მოჩვენება? შენთან რა მესაქმება?“ ამას იმიტომ ეუბნება, რომ მან არ იცის, არამედ მას აქვს უნარი იგრძნოს და მიხვდეს, რომ როგორც ვაჟა იტყოდა – „ბილწთ არ შევეკვრი ზავითა“. ცნობილია, რომ დაავადებული ცხოველი მიდის, არჩევს და პოულობს გარკვეულ მცენარეს, რომელიც მას ჰკურნავს. იგი ინტუიციით ხვდება იმას, რომ

---
* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №2, 3, 2015.

რა არის მისი მკურნალი და არა ცოდნით მიდის ყვავილთან ან მეცნარესთან. იმიტომ ეუბნება მინდია – „მე ვინა ვარ, რომ ვიყო შენი სიყვარულის ღირსიო“. პოემა „ხის ბეჭი“ თითქმის თავიდან ბოლომდე ჩვენებასთან გვაქვს საქმე. ვხედავთ მშვენიერ ტაფობს, რომელიც ვერცხლითა და ოქროს წყლით ირწყვება. ტაფობში ჩაყვანილი ბალია ხედავს ულამაზეს ასულს და მთელი მომდევნო თხრობა არის მშვენიერ ხალხურ ზღაპარზე აგებული ჩვენება. ჩემო ძვირფასო, ოთარ ჭილაძეს ერთი კარგი ლექსი აქვს მრავალთა შორის. როგორ არ იცოდა მისი ან თვალების და თმების ფერი, როგორ არ იცოდაო იტყვის მკითხველი, მაგრამ აქ ფიზიკურ გარეგნობაზე კი არ არის საუბარი, არამედ, ისეთზე, ჩემს ცნობიერებაში რომ იყო და შენმა არსებამ რომ დაადასტურა. „და როგორც მთვარის თეთრი ნაფოტი, მე შენი სული მედო თაროზე, როგორც ყველაზე ძლიერი ხატი“. ქართული მწერლობა შეიძლება ითქვას, გაჟღენთილია ქალისადმი გასაოცარი მოწიწებით. ქალის სიდიადის, ქალის სიძლიერის შეგრძნებით. ოღონდ იმ ქალისა, რომელსაც თავადაც კარგად აქვს შეგნებული თავისი განსაკუთრებული, ძნელად გამოსათქმელი მოვალეობა. ანდრეი ვოზნესენსკი ასე მიმართავს მშვენიერ ქალს:

*Мы снова встретились.*
*И нас везла машина грузовой автомобиль.*
*Мы – в который раз, но ты меня не узнала.*
*Меня ты привела домой. Любила и любовь давала.*
*Мы годы прожили с тобой, но ты меня не узнавала!*

დიახ, შეიძლება წლები განვლო საყვარელი ადამიანის გვერდით და მაინც არ იცოდეს და მაინც ვერ შეგიგრძნოს ისეთი, როგორიცა ხარ.

დღეს შენთან ვიყავი, შენ რომ მენახე. ასეთი ლამაზი ლურჯი კაბა იშვიათად მინახავს. უფრო სწორედ ლურჯის მეტი რა მინახავს, მაგრამ ისე გიხდებოდა და გამშვენებდა მძივებიანი ქამარი, ისე თამაშობდა შენს წელზე, როგორც ხალხურ ლექსშია – „ქალო გიხდება ქამარი, ვერცხლის მძივები წელზედა“. რაც შეეხება ლურჯს, ის არც კობალტს ჰგავდა და არც ულტრამარინს და შენ წარმოიდგინე, არც ბერლინის ლაზურს, ვგონებ კობალტს უფრო ჰგავდა. ისევ ვოზნესენსკი:

*Сага*
*Ты меня на рассвете разбудишь,*
*Проводить -------------- выйдешь,*
*Ты меня никогда не забудешь,*
*Ты меня никогда не увидишь.*

საოცარია პოეზია. შენ არასოდეს დამინახავ და არ დამივიწყებ. ისე მართალია ავტორი, დაუვიწყებლობას მოსდევს არდანახვა.

ჩემო კარგო, ადამიანი არც ანგელოზია და არც ცხოველი. მისი უბედურება ისაა, რომ რაც უფრო მეტად ცდილობს დაემსგავსოს ანგელოზს, მით უფრო მეტად ემსგავსება ცხოველს. ამ აზრს ნაკლებად ვეთანხმები, იცი რატომ? იმიტომ რომ ანგელოზამდე ბევრი აკლიათ ამ არაკაცებს. მე არ მეგონა თუ ამდენი ცვედანია საქართველოში და ამდენი გაიძვერა და მატყუარა და, სამწუხაროდ, კვლავაც იმატებს მათი რიცხვი. თავისთავად არ მეგონა რუსთაველისა და ვაჟას ქვეყანა თუ შობდა ამდენ აფერისტს. მაგრამ რაშია მგონი საქმე, იცი? ალბათ ასეთმა დაუნდობლობამ და მუხანათობამ გადაარჩინა ეს ცხოველის დონის ხალხი, მთლიანად სარეველა ბაღს დაემსგავსა. შექსპირისა არ იყოს „თითქო ქვეყანა იყოს ბაღი გაუმარგლავი, რაშიაც ხარობს სარეველა, ცუდი ბალახი“. ასეა ჩემო კარგო, რამდენჯერ გამიგონია, ახლა უნდა გააცოცხლო სტალინი და ბერიაო, მაგრამ ისინიც ვერაფერს ვერ გააწყობდნენ უკვე. იმიტომ რომ, ახლა ავად სახსენებელი დემოკრატიაა. როგორ შეიძლება საქართველოში დემოკრატია არსებობდეს. ამას ხომ საუკუნეები დასჭირდება, ვიდრე ხალხი შეემზადებოდეს საამისოდ. მეჩვენება, ქართველმა ხალხმა თითქოს არ იცოდეს დროის ფასი, არადა დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ ყველაფერში და ყველგან, ისედაც ტყუილს ამოფარებული გა-

იძახიან დიალოგი, დიალოგი უნდა გაიმართოსო, რის დიალოგზე უნდა დასხდნენ მაგათთან ხალხი, ესენი არასერიოზულად საუბრობენ ყველაფერზე. ჯერ ერთი რა უზრდელი ჟურნალისტები ჰყავთ, ლაპარაკს არ აცლიან ერთმანეთს. ჩვენი საქმე პოლიტიკა კი არ არის, მაგრამ არისტოტელე ამბობს, რომ პოლიტიკა გინდა თუ არა ეხება ყველას. არადა, სახელმწიფოში მცხოვრები ხალხი ასე თუ ისე უნდა ეხებოდეს. ამას ჩემი პრიმიტიული ენით მოგახსენებთ, სამწუხაროდ, ციტირებას ვერ მოვახერხებ ამაღლებული ძველბერძნული ენით.

ისე კი რა მინდა მოგახსენო ჩემო კარგო, იცი?

მე როცა ამდენს ვლანძღავ ჩემს საკუთარ ერს, განა მძულს იგი? არა, მაგრამ თანაბრად უსაყვედურებენ დამთხვეულებსაც და უკიდურეს სისულელესაც. ხოტბას მხოლოდ საშუალო ნიჭს ასხამენ, ვინაიდან ან ვერ გრძნობენ თუ რა არის მაღალი ნიჭი, ან კიდევ ბოლმა ახრჩობთ და უნიჭო კი მწარედ კბენს ყველას, რადგან გაღიზიანებულია, რატომ მე ვერ შევძელი ჭეშმარიტი აღიარებაო. არ მინდა ჩამონათვალის სიაში მოხვდნენ ისინი, რადგანაც ჩემთვის შეუფერებელი იქნება იმათი დაკნინება, ჩვენთვის კი ის გენერაციაა, რასაც რუსთაველი გვასწავლის, მხოლოდ ის არის მისაღები. ის ვინც შუალედს გარეთაა, იმავდროულად კაცობრიობის გარეთაც რჩება. სულის ჭეშმარიტი სიდიადე სხვა არა არის რა, თუ არა ამ შუალედით თავის შემოზღუდვა, ამ შუალედში ჩატევა და არა იქედან ამოვარდნა.

ჩემს ბავშვობაში ბებიაჩემი მეტყოდა, მუსლიმანი კაცი თავმდაბალიაო, იმ ცხონებულმა არ იცოდა, რომ ქრისტიანობაც თავმდაბლობას ქადაგებს. უფრო მეტიც, 2014 წელს გამოიცა შეიხი აჰმად დიდათის პატარა წიგნი, „იესო ისლამში“, მთარგმნელი ალბ-ჯურუჯი და იქ ასეთი რამ წერია: „ჩვენ მუსლიმებს, გვწამს, რომ იესო არის ერთ-ერთი უდიდესი ღვთის გამოგზავნილი მაცნეთაგანი, რომ ის არის მესია (ქრისტე, ცხებული). იგი დაიბადა სასწაულებრივად მამაკაცის ჩარევის გარეშე, იგი შთაბერავდა სიცოცხლეს მკვდრებს ღმერთის ძალით. მუსლიმი ვერ იქნება მუსლიმი, თუ მას არ სწამს იესოსი! ეს რა თქმა უნდა, არ იცოდა ჩემმა საყვარელმა ბებიამ. ისე კი იტყოდა ღისა ფეიღამბერი ზეცაში ზის და ჩვენს ტანსაცმელებს ჰკერავს იქ გასამგზავრებელსო. ეს კი უდიდესი პატივია ღისას მიმართ მუსლიმანი ქალის აზრი. იგი აბაშიძეთა გვარისა იყო.

ამაზე შემდეგ ვრცლად ვისაბურებ. მე კიდევ მინდა მოვიყვანო მე-6 გვერდზე თუ რა წერია იმავე წიგნიდან: „ჩვენ ვერ დავადანაშაულებთ ქრისტიანებს მათ სკეპტიციზმში. ისინი აღზარდეს ისე, რომ ეფიქრათ ცუდი მუჰამედზე და მის რელიგიაზე. რა ზუსტად თქვა თომას კარლიალმა 150 წლის წინ: ტყუილები, რომლითაც გარემოიცვეს ეს კაცი, მხოლოდ ჩვენთვისაა სამარცხვინო. ჩვენ მუსლიმებიც, გარკეულწილად დამნაშავენი ვართ ამაში – ჩვენ არაფერი მნიშვნელოვანი არ გაგვიკეთებია, რომ მოგვეშორებინა ეს სიცრუის აბლაუბდა“.

ჭეშმარიტებისა და ზნეობის სფეროში ვერ მიაკვლევ იმ პერსპექტივას, რაც ფერწერისთვისაა დამახასიათებელი, რათა შეიგრძნო ფერწერის ღირსება და მისი გამომსახველობის მკაფიოდ ამეტყველებული ესა თუ ის საგანი. ფერწერაც კი ზოგჯერ უძლურია გადმოსცეს ბუნების ის მოვლენები, რაც ბუნებაშია. ამიტომ მხატვარი ხშირად მიმართავს ათასგვარ გამომსახველობის ხერხს ან ზოგად ფორმას, რათა მაყურებლისთვის გასაგები გახდეს თავისი ნაწარმოები: ოთარ ჭილაძეს კი ასე უთქვამს:

> *ბედნიერი ვარ! გმადლობთ, ნახვამდის,*
> *ეს განშორება იმედით მავსებს*
> *არ მყავდა ღმერთი და ბედს დავყავდი*
> *და თავის ვნებას მახვევდა თავზე.*
> *რაც დღემდე მოხდა, მოხდა თავისით,*
> *მე არაფერში არ ჩავრეულვარ,*
> *დრო კი გაფრინდა და ჯერ არ ვიცი,*
> *რა გამოსტაცა ჩემმა რვეულმა.*

რაც დღემდე ითქვა, ქარისთვის ითქვა,
სათქმელს სურვილი სჭარბობდა თქმისა
და ვარსკვლავივით შორეულ მიზანს
ძაღლივით მწარედ უყეფდა სიტყვა.

დიახ, მეც ძაღლივით მწარედ ვუყეფ ჩემს მიზანს: შოპენჰაუერისა და ვაგნერის გავლენას განიცდიდა ფრიდრიხ ნიცშე, ბოლოს ფსიქიკურად დაავადდა. ღმერთის სიკვდილი და ნიჰილიზმია მისი ფილოსოფია. იგი აღსავსეა ნგრევის პათოსით. მას სურს დაამხოს ევროპული ცივილიზაციის ყველა კერპი. მე არ ვიზიარებ მისი ფილოსოფიის ყველა მოძღვრებას. ტრადიციულ მორალსა და ქრისტიანული რელიგიაში ის ხედავს დაცემის სიმპტომებს, თანამედროვე ადამიანში – გადაგვარებას. განა არ არის მართალი? აბა რა ქვია თუ არა გადაგვარება გეების პარადს?

მეტაფიზიკას კი აინტერესებს არსებული, როგორც არსებული. არსებულის ყოფიერება. ტრადიციული მეტიფიზიკისათვის ნიშანდობლივია იმის მტკიცება, რომ ყოფიერება თავის არსებაში არ არის ერთგვაროვანი. ტრადიციულ მეტაფიზიკაში კვალიფიცირებულია როგორც არანამდვილი. მას უპირისპირდება ზეგრძნობანი, იმქვეყნიური, უცვლელი სამყარო იდეებისა „ნამდვილი სინამდვილე“, გრძნობადი სამყარო ტრანსცენდენტური სამყაროს მკრთალი ანარეკლია. ნამდვილი ყოფიერება უმაღლესი არსებულის ყოფიერებაა. ის არის ღმერთის ყოფიერება. ღმერთი არის მარადიული, აბსოლუტური, შემოქმედი ყოფიერი. ის არის უმაღლესი ჭეშმარიტება და სიკეთე, ადამიანის ზიარებისა და მოქმედების უმაღლესი მიზანი. ღმერთის არსებობა აზრით ავსებს ადამიანის სიცოცხლეს. ღმერთი აჩვენებს ადამიანს სწორ გზას, იძლევა სანდო საზომს იმისთვის, რომ ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნულ იქნეს ზნეობრივი და უზნეო, სიკეთე და ბოროტება, ჭეშმარიტება და სიყალბე. მშვენიერება და სიმახინჯე. ღმერთის სიკვდილის თემას ნიცშეს ფილოსოფიაში შემოაქვს ღრმა ტრაგიკული მოტივები. იდეალური სამყარო დაინგრა – ეს ნიშნავს იმას, რომ კაცობრიობას გამოეცალა საყრდენი. ადამიანები რჩება ორიენტირების გარეშე, ის რჩება თავის თავის ანაბარა. ადამიანმა აღარ იცის თუ რისთვის ცხოვრობს, საით მიდის და არ იცის რით გაამართლოს თავისი ქმედება და აზროვნება. თანამედროვე ცხოვრებაშიც ხომ ასე ხდება ყოველთვის, აბა რით შეიძლება გაამართლო თუნდაც თანამედროვე და თუნდაც ბოლო წლების საქართველოს ხელისუფალთა მოქმედება. მე დიდად პატივს ვცემ სვანეთის მოსახლეობას და მიხაროდა თეა წულუკიანის მობრძანება, მაგრამ როცა საქმე მიდგა პენსიებზე – „ეს ხელფასი არააო, ეს ჯილდოაო“. კი მაგრამ, ჩვენზე მეტად რითი დაიმსახურეს ეს ჯილდო, საკითხავია.

მრავალი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობა ღმერთს იყო მინდობილი. მას ესმოდა სიკეთის ჭეშმარიტებისა და მშვენიერების აზრი. მისი არსებობა განათებული იყო ღვთაების შუქით, ის მისდევდა იდეალური სამყაროს ინპერატივებს. ამით ენიჭებოდა მის სიცოცხლეს ღირსება და კეთილშობილება. მან იცოდა რისთვის ცხოვრობდა და რისი იმედი უნდა ჰქონოდა. ღმერთი მოკვდა. ღმერთის არსებობით გამართლებული ღირებულებები, რომლითაც ადამიანი აქამდე ეთაყვანებოდა, ჰკარგავენ თავის თავს. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ კართან მომდგარა „ყველა სტუმართაგან ყველაზე შემზარავი“ – ნიჰილიზმი. ნიჰილიზმის აღმოცენება ნიშნავს იმას, რომ უმაღლესი ღირებულებები უფასურდებიან, მიზანი დაკარგულია, აღარ არის პასუხი კითხვაზე – „რატომ?“ ნიჰილიზმი ნიცშეს მიხედვით, არის „არას“ თქმა ყველაფერზე, რაც ძველად აზრს აძლევდა სამყაროს და ადამიანის სიცოცხლეს.

ასეა, ჩემო კარგო, იმედი წაგვართვეს ამ გაიძვერა ვირთხებმა. მართალია კომუნისტებიც გვატყუებდნენ, მაგრამ ამდენს?

ეს წელიც გაქრა, უკვალოდ გაქრა
და არა მხოლოდ ჩემთვის... ყველასთვის

მეც უნდა გული მწყდებოდეს, მაგრამ
მოლოდინით ვარ სავსე ყელამდის.
და მიხარია, რომ გაქრა ისიც,
როგორც გადაღლილ ხსოვნაში ჭორი,
ანდა ვარსკვლავი რომ ქრება დღისით,
გადაგვარებულ ქალივით შორი.

მართალია, პოეტი! უკვალოდ ქრება ყველაფერი. ჩემს ხსოვნაში რამდენი კარგი რამ გაქრა, როგორც ქალაქში, ისე სოფლად. მართალია სოფლად ცოტა, მაგრამ მაინც. ქალაქში ბევრი რამ თანამედროვეობამ გააქრო. ცხენი ავტოებმა შეცვალა, ცეცხლის ქურები ელექროშუქებმა, მაგრამ ადამიანები ასე რამ გადააჯიშა? რომ ვთქვათ, ნამეტანმა განცხრომამ, არა მგონია. ნამეტანმა სიღარიბემ, არც მაგი იქნება მართალი. მაშ რამ, რამ?! მგონი ურწმუნოებამ. განა გადატვირთული არ არის ეკლესიები, ან მეჩეთები, ან სინაგოგები?

თუ არ გიმტყუნა გზაში ფეხებმა,
და ისევ ხალხად თუ დარჩა ხალხი,
შენ, რა თქმა უნდა არ შეგეხება
ამქვეყნიური ნესტი და თალხი.
ჯერ კი იცხოვრე და დაარიგე
შენი ნაფიქრიც, ხმაც და იერიც,
სიმდიდრე ჰქვია შენს სიღარიბეს,
უმწეობით ხარ ასე ძლიერი. *(ო. ჭილაძე)*

სიღარიბე ჰკვებავს ადამიანის სულს. როგორც რელიგია იმქვეყნიურ ზღაპრებს. მაგრამ სულის არსებობის შემთხვევაში, თუ სული არ არსებობს, მაშინ?

ნიჰილისტური სკეპსისათვის აღარ არსებობს არავითარი გზა ამქვყენიური სამყაროდან „ჭეშმარიტ“ სამყაროსკენ.

ამრიგად, აშკარავდება, რომ ტრადიციული მეტიფიზიკის მიერ მიწოდებული უმაღლესი მიზნის სამყაროსეული მთელისა და ჭეშმარიტი სამყაროს ცნებებს ვერ დაეყრდნობი, მათი საშუალებით შეუძლებელია ყოფიერების ხარისხის სწორი გაგება. ეს ცნებები კარგად ერთვის ონტოლოგიურსა და ეთიკურ მნიშვნელობას.

ნიჰილიზმის დახასიათებისას ნიცშე წარმოგვიდგენს ისეთ მოაზროვნეს, რომლის ფილოსოფიაშიც ხდება ბურჟუაზიული კულტურის ღრმა კრიზისის გაცნობიერება. მართალია ეს კრიზისი ნიცშეს მიერ გააზრებულია როგორც მთელი ევროპული კაცობრიობის უბედურება, – ამდენად ამ კრიზისის საზღვრები უზომოდ გაფართოებულია, მისი ჭეშმარიტი შინაარსი კი ყალბად არის დანახული, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ნიცშეს ფილოსოფიაში მოხდა ევროპული საზოგადოების შიგნით მიმდინარე გარკვეული ღრმა კრიზისული პროცესების სწორი უკუფენა. ღმერთის სიკვდილის თემამ მისცა სააზროვნო მასალა ჩვენი დროის მრავალ მწერალს, მხატვარს, მუსიკოსს. იმაში, რომ თანამედროვე ეპოქა შეპყრობილია ნიჰილიზმის სენით, როგორც ვთქვით, ნიცშეს ეთანხმება ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა უდიდესი ნაწილი.

ნიჰილიზმი ნიცშეს აზრით, არ არის შემთხვევითი, უცაბედი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში. ნიჰილიზმი არ არის არც ტრადიციული მეტაფიზიკის, რელიგიისა და მორალის პრინციპებისადმი, ასე ვთქვათ, გარედან დაპირისპირებული მოძრაობა. ასეთი მოძრაობა მოკლებული იქნებოდა შინაგან აუცილებლობას. ნიცშეს სურს აჩვენოს, რომ ნიჰილიზმის ტენდენციები პოტენციურად და ფარული სახით მოცემულია ტრადიციულ მსოფლმხედველობაში. უკვე იქ, სადაც ხდება ღირებულებათა გამომუშავება მიწიერი სამყაროსადმი ტრანსცენდენტური იდეალური სამყაროს საფუძველზე.

ამდენად ტრადიციული მსოფლმხედველობა თავის წიაღშივე შეიცავს თვით მოსპობის პირობებს და ამიტომ ისტორიული განვითარების პროცესში მკაცრი აუცილებლობით მიდის მის მიერვე დადგენილი ღირებულების გაუფასურებამდე. რაშია სიცოცხლის არსი ნიცშეს კონცეპციის მიხედვით?

სიცოცხლე ყოველთვის ნებაა. მაგრამ ის არ არის ნება არსებობისა, როგორც, ეს შოპენჰაუერს ჰქონდა წარმოდგენილი. რაც არსებობს, მას აღარ შეიძლება სურდეს უკვე განხორიელებული არსებობა. სიცოცხლის არ-

სებობა არ არის არც თვითშენახვა საკუთარი თავის შენარჩუნება და არც გარემოსთან შეგუება. არსებული ისწრაფვის გააფართოოს თავისი ბატონობის არე. მბრძანებლობდეს, დაიმორჩილოს რაც შეიძლება მეტი. დასძლიოს სხვისი ნება: სიცოცხლე არის საკუთარი თავის დადგენა, განმტკიცება, გაფართოება, ზრდა. მოკლედ: სიცოცხლე არის სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, ნება ძალაუფლებისა. მაშასადმე არსებულის ყოფიერებას ნიცშე ხედავს სიცოცხლეში, რომელიც გაგებული უნდა იქნას როგორც ნება ძალაუფლებისა. თავის ადრეულ ნაწარმოებებში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან". ნიცშე გამოჰყოფს ბერძნული ხელოვნების ორ საწყისს. რომლებსაც აკავშირებს დიონისესა და აპოლონის სახელებთან. ღმერთი აპოლონი ასახიერებს გამოკვეთილ ფორმას, წესრიგს, ჰარმონიას, სინათლეს. დიონისე, აპოლონის საპირისპიროდ, არის მარადიული ნგრევა-შენება, ზომასა და ფორმას მოკლებული სწრაფვა, სიბნელე, თავაწყვეტილი როკვა, ტრაგიკული, ველური ლტოლვა. საზღრვებისა და დაუსრულებლობის დამანგრეველი ძალა. ხელოვნების ამ ორ ურთიერთდაპირისპირებულ საწყისში ნიცშე ხედავს თვითონ სამყაროს ძალთა უკუფენას. აპოლონიური ძალის ანალოგია სიზმარი. აპოლონური სამყარო არის მაიას საფარველით დაფარული, ილუზოლორული, ცალკეული, ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნული ნივთები. ეს არის მშვენიერი ზმანება, ოცნების ქვეყანა, რომელშიც სამყარო ხსნას ეძებს. ეს იგივე ის ზმანებაა, შენმა კობალტის ფერის კაბამ რომ მაგრძნობინა იმ წუთს. და გაქრა როცა თვალს მიეფარა.

სიცოცხლე შეიძლება იყოს აღმავალი, ძლიერი, ომის წყურვილით სავსე და შეიძლება იყოს დაღმავალი, სუსტი, ავადმყოფური, მოღლილი. სიცოცხლის ორივე სახეცვლილებას საფუძვლად უდევს ძალაუფლების ნება. „კეთილისა და ბოროტის" კვალიფიკაციები სწორედ არისტოკრატულ მორალთან შეპირისპირებაში იბადება. „ბოროტი" მონათა მორალში არის ყველაფერი ის, რაც ბატონთა მორალით არის გამართლებული. „კეთილია" ყველაფერი, რაც დაჩაგრულს, სუსტს არსებობას გაუადვილებს. მონათა მორალში ბატონთა შეფასების სრული გადაბრუნება ხდება.

წოდებრივად მაღალი ადამიანი და მისი სულიერი მდგომარეობები აქ კვალიფიცირებულია როგორც „ბოროტება". „კეთილია" უძლური, ტანჯული, ღატაკი, ავადმყოფი. მონათა მორალი ქებას ასხამს თანაგრძნობას, თვინიერებას, სიყვარულს, მშვიდობას. მაგრამ ამ შეფასების უკან იმალება თანაგრძნობისა და სიძულვილის საპირისპირო მოტივი. ეს მოტივია შურისძიება. ეს არის შურისძიება არისტოკრატიაზე, რომელიც აწესებს წოდებრივ საფეხურებს და თავისთავს განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს.

ნიცშეს მიხედვით, არ არსებობს ფაქტი თავისთავად. ფაქტიური მონაცემები მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც განხორციელდება საზრისის მიმნიჭებელი აქტი. კითხვა – რა არის ეს? გულისხმობს კითხვას „რა არის ეს ჩემთვის?" და ჩემთან, ცოცხალ არსებსასთან მიმართებული იღებს საზრისს. ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ნივთს, სინამდვილეში არის მხოლოდ ჩვენი შეხედულება ნივთზე და არა თვითონ ნივთი. ნივთები ამა თუ იმ გარკვეულობების მქონე არიან მხოლოდ მოაზროვნეთა წარმოდგენის ნების შეგრძნების უნარით დაჯილდოებული ინდივიდის წყალობით და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ ნივთს მნიშვნელობა აქვს ინდივიდისთვის. დიახ, ჩემთვის ჰქონდა მნიშვნელობა შენს კობალტისფერ კაბას, როგორც სიმღერაშია თქმული: „შენი კაბის შარი-შური ელვა იყო ღამისაო", ან: „სამდურავს ეუბნებიან ალაზას გიშრის თმანია".

ნივთი და მისი თვისებები არიან გამარტივებანი, შემოქმედების პროდუქტები. ინტერპრეტაციის გარეშე ნივთებს არ აქვთ არავითარი თვისებები. „ნივთი" „თვისება" „სუბიექტი" ინტერპრეტატორის შემოქმედებაა.

დრო, არ უნდა იქნას წარმოდგენილი მსგავსად სწორი ხაზისა, რომელიც აწმყოდან არის გავლებული ორი მიმართულებით და უსასრულობაში იკარგება. დრო ნიცშესთვის რკალის მსგავსია. აქ ყოველი წინსვლა ამავე დროს უკუსვლაც არის. ყოველი ნაბიჯი მომავლისაკენ გვაახლოებს წარსულთანაც. მომავლისა და წარსულის ურთიერთშეუთავსებლობა ისპობა: მომავალი ამავე დროს ის არის, რაც იყო, წარსული. წარსული იქცევა მომავლად, როგორც მომავალი – წარსულად. დროის ასეთ გაგებაში ეს განზომილებანი სრულიად თანაბარუფლებიანი არიან.

შემთხვევითი არ არის, რომ ზეკაცისკენ აღსვლის გზა დასრულდა ფაშიზმის ბარბაროსულ იდეოლოგიაში და ისტორიამ უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა ნიცშესა და როზენბერგის ფილოსოფიურ მიმდინარეობას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# ნანა ახალაძე

## ანდრე მორუა — მწერალი, მოაზროვნე
(130 წელი დაბადებიდან)

ფრანგული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ბიოგრაფიული რომანის დიდოსტატი, მეოცე საუკუნის საფრანგეთის უპოპულარესი მწერალი ანდრე მორუა დაიბადა 1885 წელს, 26 ივლისს ნორმანდიის პატარა ქალაქ ელბეფში (რუანის მახლობლად), ერნესტ ერზოგისა და ალისა ლევის ოჯახში. მშობლები წარმოშობით ელზასიდან იყვნენ, მამა მაუდის მწარმოებელი გახლდათ. 1871 წელს, საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად, როცა გერმანელებმა ელზასის ოკუპაცია მოახდინეს, ოთხასამდე მუშასთან ერთად მათ დატოვეს ელზასი და ფეხით ნორმანდიამდე ჩააღწიეს. ელბეფში წარმოების გასავითარებლად იმ დროისათვის სათანადო პირობები არსებობდა, მათმა დაარსებულმა მაუდის ფაბრიკამ წარმატებით გაიკვლია გზა და დარგში ერთ-ერთი პირველთაგანი გახდა.

ემილ ერზოგის (ანუ ანდრე მორუა) დაბადება XIX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის პატრიარქის, ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალებას დაემთხვა. გაივლის წლები და სამყარო იხილავს ელბეფის მკვიდრის ბიოგრაფიულ რომანს დიდ მწერალზე.

ემილის მამა, მგზნებარე პატრიოტი, ვერაფრით ვერ ეგუებოდა მშობლიური მიწის დაკარგვას. მომავალი მწერლის დედა წიგნიერებითა და მაღალი კულტურით გამორჩეული ქალბატონი გახლდათ. ეს მან გაუღვივა თავის ვაჟს სიყვარული ლიტერატურისადმი.

1897 წელს პატარა ემილი მშობლებმა რუანის ლიცეუმში მიაბარეს. რუანი, ნორმანდიის ყოფილი დედაქალაქი, ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, ჯერ კიდევ იულიუს კეისრის დროიდან იყო ცნობილი. საფრანგეთსა და ინგლისს შორის ასწლიანი ომის დროს, 1431 წელს, ქალაქის მოედანზე დაწვეს შემდგომში საფრანგეთის ეროვნულ გმირად წოდებული და კათოლიკური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, 19 წლის ფრანგი ქალიშვილი ჟანა დ'არკი. რუანი ამაყობს თავის წიაღში აღზრდილი სასახელო შვილებით: პიერ კორნელით, გუსტავ ფლობერით, მხატვარ ჟერიკოთი და სხვებით.

სწავლის პერიოდში ემილის ბიბლიოთეკა მდიდრდება პლატონით, დეკარტეთი, ჰეგელით, კანტით, შემდგომში მას ემატება სტენდალისა და ბალზაკის რჩეული თხზულებანი.

ლიცეუმიდან ემილს საუკეთესო მოგონება გამოჰყვა ფილოსოფიის მასწავლებელზე – ალენზე, რომელიც ამბობდა: „სიბრძნეს და ცხოვრების ცოდნას ყველგან ვაწყდებით: ბიბლიაში, ჰომეროსში, ევანგელიებში, მაგრამ ბალზაკის „ადამიანურ კომედიაში" უფრო მეტი სიბრძნეა, ვიდრე ფილოსოფიის სახელმძღვანელოშიო". ლიცეუმების ზოგადეროვნულ კონკურსზე ემილმა ფილოსოფიის პრემია დაიმსახურა ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმანებისა და განსაკუთრებული განსწავლულობისათვის ისტორიაში. მაშინ ის თექვსმეტი წლისა იყო. ლიცეუმის დამთავრების შემდეგ მისი სურვილი იყო სწავლა პარიზში გაეგრძელებინა და მასწავლებელი და მწერალი გამხდარიყო, მაგრამ მისმა მასწავლებელმა ურჩია ერთხანს მამის ფაბრიკაში

ემუშავა, ცხოვრებას ახლო რომ გაცნობოდა. ფაბრიკაში ემილმა ათი წელი დაჰყო. 23 წლისას ერთ-ერთი ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა და მშვენივრად დაეუფლა ხელმძღვანელისა და საწარმოს მართვის ხელოვნებას. მოგვიანებით იგი წერდა: „მწერლებს შორის არიან ისეთები, ჩემზე უკეთ რომ წერენ, (მორიაკი, მალრო, არაგონი), მაგრამ მე ერთადერთი ვარ, ვისაც აქტიური ცხოვრებისეული გამოცდილება გამაჩნია (თუ არ ჩავთვლით სენტ-ეგზიუპერს), შეიძლება ითქვას ფაბრიკაში ათწლიანმა მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი მწერლის ფორმირებას არამარტო ცხოვრებაში, არამედ განსაზღვრული ხარისხით ლიტერატურაშიც, ემილმა მშვენივრად აითვისა წიგნის ბაზრის კონიუნქტურა. შემდგომში მორუა პარიზის საუკეთესო პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტი ხდება. იმ პერიოდში, ფრანგი კლასიკოსების გარდა, იგი დიდი ინტერესით ეცნობა ჰომეროსს, ვირგილიუსს, პლუტარქეს, აღფრთოვანებულია აღორძინების ხანის ტიტანებით, ქედს იხრის ინგლისელი რომანტიკოსებისა და XIX საუკუნის რუსი კლასიკოსების წინაშე.

1909 წელს მწერალი ჟენევაში ხვდება ჟანა (ჟანინი) დე ზიმკიევიჩს, იგი მოხიბლულია პოლონელი გრაფის ასულით და მას ცოლად ირთავს. მათ შეეძინებათ ორი ვაჟი და ქალიშვილი მიშელი, რომელიც მომავალში მწერალი ხდება.

მალე პირველმა მსოფლიო ომმა იფეთქა და მორუა, როგორც ოფიცერი, ინგლისურ პოლკში მოეწყო თარჯიმან-ატაშედ. მისი პირველი წიგნი „პოლკოვნიკ ბრამსის დუმილი" 1918 წელს გამოიცა და დიდი წარმატება ხვდა წილად. ომის მოვლენებმა მწერალს შთააგონა ფსევდონიმი მორუა, – ჩრდილოეთ საფრანგეთის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება. ამიერიდან ის ანდრე მორუათი აწერს ხელს თავის ნაწარმოებებს. ომის შემდეგ „Des Croix de feu"-ს რედაქციაში იწყებს მუშაობას.

1923 წელს ანდრე მორუას მეუღლე გარდაიცვალა. 1924 წელს იგი ცოლად ირთავს ფრანგ ქალს – სიმონა დე კაიავეტს. 20-იანი წლებიდან მორუას შემოქმედებაში იკვეთება ორი ძირითადი ხაზი: ფსიქოლოგიური რომანები და მხატვრული ბიოგრაფიები. მან შექმნა ტრილოგია სამ ინგლისელ რომანტიკოსზე: შელზე, ბაირონსა და დიზრაელზე, რომელიც მოგვიანებით გამოსცა სახელწოდებით: „რომანტიკული ინგლისი".

30-იან წლებში მხატვრული ბიოგრაფიების: „ტურგენევი, შელის, ბაირონის, შატობრიანისა და რომანების „ოჯახური წრე" და „ბედნიერების ინსტინქტის" გარდა, მან მთელი რიგი ისტორიული ნაშრომები შექმნა.

მორუას აინტერესებს თავისუფალი, მოქმედი ადამიანი. იგი წერდა: „ხელოვნება მხატვრის მიერ ჩამოყალიბებული, სტილში გამოვლენილი სინამდვილეა, რომელსაც ხელოვანის ტემპერამენტის დამღა ადევს". სტატიაში „მართლის თქმის მოვალეობა", მან მწერლის დანიშნულების საკუთარი კონცეფცია გადმოგვცა.

წარსულისა და თანამედროვების სხვა ფილოსოფოსებთან ერთად მორუა სვამს კითხვებს ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ, ადამიანის პასუხისმგებლობაზე საკუთარ მოქმედებაზე. მწერლის აზრით, სამყარო უნდა შევცვალოთ არა გადატრიალებით, არამედ მორალური მაგალითით, ხელოვანი კი ხელს უნდა უწყობდეს ურთიერთგაგებას ადამიანებს შორის.

1938 წელს მორუა საფრანგეთის აკადემიის წევრად მიიღეს. აი, რას ამბობს ის თავის მემუარებში: „აკადემიაში მიღება ერთ-ერთი ლამაზი ფრანგული ცერემონიაა. ყოველ კონკურსს თავისი სიდიადე ახლავს".

ესეში – „ღია წერილი ახალგაზრდა კაცს ცხოვრების მეცნიერებაზე" მორუა მოაგონებს ზოგიერთ ჭეშმარიტებას, რომელსაც ვერც ტექნიკური პროგრესი და ვერც ვერანაირი ფილოსოფია ვერ შეცვლის, პირველი: არ უნდა ცხოვრობდე მხოლოდ საკუთარი თავისთვის, მეორე: უნდა მოქმედებდე, მესამე: დარ-

წმუნებული უნდა იყო საკუთარ ძალებში და მეოთხე: უნდა შეინარჩუნო სიტყვისა და მოვალეობის ერთგულება, როგორც შენი თავის, ასე სხვათა მიმართ. ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული, უკანასკნელად კვლავაც მიმართავს ახალ თაობას და ქადაგებს ჰუმანიზმს, სიკეთეს, წესიერებას, შემწყნარებლობას ადამიანთა სუსტი მხარეების მიმართ, იდეალებისადმი ერთგულებას.

მორუამ თავისი ცხოვრების მანძილზე უამრავი სტატია, ტრაქტატი და აფორიზმი გამოაქვეყნა. მისთვის ფილოსოფია, ისტორია და ლიტერატურა განუყოფილია. წიგნის – „ცხოვრების ხელოვნება" პირველი თავი მან აზროვნების ხელოვნებას დაუთმო. დიდი ადამიანების კულტი, მათი ცხოვრების გახსენება შთამომავლობას ეხმარება შეინარჩუნოს რწმენა, სჯეროდეს საკუთარი შესაძლებლობების, რის მისაბაძ ნიმუშსაც თავად მისი ქმნილები იძლევა. მორუა – ნოველისტი თავის მასწავლებლებად თვლიდა მერიმეს, მოპასანს, ჩეხოვს. ჯეროვნად აფასებდა მათში ცხოვრებაზე დაკვირვების უნარს, თუმცა უყურადღებოდ რჩება მოპასანის პატრიოტული პათოსი და მერიმეს კონტრასტები ბუნების სიმშვენიერესა და საზოგადოების უზნეობას შორის.

ანდრე მორუა ფრანგული ლიტერატურის რეალისტური ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეა. მისი ბელეტრისტიკა გამოირჩევა დახვეწილი სტილით. მწერლის ყოველ გმირს, რომელ ეპოქაშიც არ უნდა ცხოვრობდეს, აერთიანებს საერთო აზრი ადამიანთა ერთობაზე. მწერლისთვის მახლობელია თაობათა ესტაფეტა, რომელიც XVIII საუკუნის განმანათლებლებისათვისაა დამახასიათებელი. „დროთა კავშირი არ უნდა გაწყდეს, ყოველმა თაობამ განსაზღვრულ მიჯნას უნდა მიაღწიოს და მემკვიდრეობიდან საუკეთესო, ახალ ცვლას გადასცეს" – ამბობს ის. მორუას გმირები სულიერად ენათესავებიან ერთმანეთს და ქმნიან თავისებურ ციკლურ წრეს. ციკლის აგება კი ბიოგრაფიების ავტორმა „ადამიანური კომედიის" ავტორისგან ისწავლა. როგორც ბალზაკის, ასევე მორუას პერსონაჟებიც ტომიდან ტომში გადადიან. დიუმა, რომელიც გამნაწყენებელს დუელში იწვევს, ჰიუგოს სთხოვს სეკუნდანტობას.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წელს, კაპიტნის მუნდირში, მორუა ალჟირში მიემგზავრება, სადაც ხვდება სენტ-ეგზიუპერს, მონაწილეობს ფრანგული და იტალიური დესანტების კამპანიებში კორსიკის კუნძულზე. ამ პერიოდში მას აშშ-ში ასახლებენ. ემიგრაციის წლებში მწერალი ბევრს მოგზაურობს ქვეყანაში, კითხულობს ლექციებს საფრანგეთსა და მის კულტურაზე. აქვეყნებს „მემუარებს". ლიტერატურული ეტიუდების ორ ტომს და აშშ-ს ისტორიას ორ ტომად.

აქ ხვდება ის შტეფან ცვაიგსა და თომას მანს, მორის მეტერლინკს. ამ ხანებში ნიუიორკი ევროპელ მოაზროვნეთა დედაქალაქად იქცა. 60-იან წლებში ლუი არაგონთან ერთად მან შექმნა სსრკ და აშშ-ს პარალელური ისტორია.

ანდრე მორუას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს რომანიზებულ ბიოგრაფიებს. მან ამ ბელეტრისტული ჟანრის სულ თექვსმეტი წიგნი გამოსცა, თუ არ ჩავთვლით მოგონებებს თანამედროვეთა შესახებ. ამ წიგნებმა მწერალს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. მან შექმნა უკვდავი წიგნები შელზე, ბაირონზე, ტურგენევზე, შატობრიანზე, ჟორჟ სანდზე, ბალზაკზე, დიუმაზე, დიზრაელზე, ალექსანდრე ფლემინგზე და სხვებზე. სრულიად უცნობმა ადამიანებმა, როცა გაიგეს, რომ მორუა წიგნს წერდა დიუმას ოჯახზე („სამი დიუმა"), ფასდაუდებელი მასალები გამოუგზავნეს ავტორს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მანამდე არსად გამოქვეყნებულა. „დიუმა-მამის შვილიშვილმა და შვილთაშვილმა მომცეს ნება წინაპართა დღიურებს გავცნობოდი. ასევე მადლიერი ვარ ეროვნული ბიბლიოთეკის, არსენალის ბიბლიოთეკის და არქივების, რითაც მომეცა საშუალება გე-

ნერალ დიუმას სამხედრო კარიერისათვის ნათელი მომეფინა“, – იგონებდა მწერალი.

მორუას ბიოგრაფიულ რომანებში აშკარად იგრძნობა დროთა კავშირი. ასე მაგალითად, ჟორჟ სანდი და მიუსე საუკუნის შვილებია, დიუმა და ჰიუგო – 1789 წლის რევოლუციის მემკვიდრენი, ბალზაკი ივლისის მონარქიის მემატიანეა. ჟანრის ეტალონს რომ ქმნიდა, იგი ამავდროულად უარყოფდა სტერეოტიპებს. XIX საუკუნის მნიშვნელოვანი თარიღების დახასიათებისა და შეფასებისათვის მწერალი იყენებს დიდი ადამიანების გამონათქვამებს. თანამედროვეებისაგან განსხვავებით, იგი ახდენს ცხოვრების პოეტიზირებას, არ არის მიდრეკილი ტრაგიკული აზრებისადმი. მისი სიუჟეტები უფრო მელოდრამატულია, ბალზაკის ცხოვრება „ადამიანური კომედიის“ მსგავსად მთავრდება.

მორუას რომანტიკული სასიყვარულო კოლიზიები, მორუას, როგორც პროზაიკოსის შეუცვლელი ნიშაა, ის არ უღრმავდება სულის იდუმალებებს, როგორც სტენდალი და პრუსტი, მწერლის წარმატების საფუძველი თვითონ მასალაა, რომელსაც მოხერხებულად იყენებს და მკითხველს ნამდვილი ცხოვრების ილუზიას უქმნის, რადგან ფიქრობს, რომ გამოჩენილი ადამიანები სწორედ მიმოწერებსა და დღიურებში ავლენენ თავიანთ „მე“-ს. მორუა ცდილობს მკითხველი გრძნობათა კულტურას აზიაროს.

მორუას ასევე დიდი აღიარება მოუტანა ნოველებმა, რომლებშიც აშკარად იგრძნობა ფსიქოლოგიური ტალანტი. მოვლენები უმთავრესად ორ ათეულ წელს, ორ მსოფლიო ომს შორის ხდება, მაგრამ შეიძლება ასი წლის წინათაც მომხდარიყო. მწერლის ბევრ მოთხრობას მთხრობელი გვიყვება. მათ შორისაა: „კარიერა“, „შენ დიდი მსახიობი ხარ“, „ტყვეობიდან დაბრუნება“. ხოლო ნოველებში, სადაც მკითხველს მთხრობელი – შუამავალი არ ჰყავს, სივრცობრივი აღწერა დიალოგებით იცვლება. დიალოგების ოსტატად მორუა-ნოველისტს ჰემინგუეი მიაჩნია და ზოგჯერ თვითონაც მიისწრაფვის ლაკონიზმისაკენ.

მწერალი თავის კალამს უმთავრესად ბურჟუაზიული ელიტის ყოფას უძღვნის, მაგრამ ირჩევს უმეტესწილად გამართობელ სიტუაციებს, ვიდრე დრამატულს. ხშირად თხრობას ნახევარ სიტყვაზე წყვეტს და მკითხველს უტოვებს თავისუფლებას თვითონ იფიქროს, შემდეგში რა შეიძლება მოხდეს. მწერლის აღიარებით, ეს მან ჩეხოვისგან გადმოიღო. მორუა-ნოველისტისა და ფსიქოლოგის ტალანტი განსაკუთრებით გამოვლინდა მის „ოჯახურ ნოველებში“, სადაც ის მორგებულად იყენებს მხატვრულ სიტყვას მრავალნაირი ფსიქოლოგიური გამოცანის ასახსნელად.

მორუას რომანებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია პირადი ცხოვრებისეული გამოცდილების ასახვა. „ჩემი ცხოვრება იყო წყარო და პირველი შთაგონების მიზეზი ჩემი ნაწარმოებების უმეტესი ნაწილისათვის,“ – ამბობდა მწერალი. მორუას შემოქმედებას მკითხველისაკენ გზას უკაფავს ის დიდი ჰუმანიზმი, რომლითაც გამთბარია მისი ყოველი ქმნილება.

დიდი ადამიანების გვერდით არანაკლებ საინტერესოა მწერლის კრიტიკული წერილები, რომლებიც კრიტიკულ გამოკვლევას უახლოვდება. ფრანგულ კრიტიკაში მორუას წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ სენტ-ბევი, რომლის აზრით, მხატვრული ქმნილება განუყოფელია ავტორისაგან. მორუას შემოქმედების გასაღებად ფლობერის ფორმულა: „მადამ ბოვარი, ეს მე ვარ“ – გამოდგება. მწერალი ყოველ მნიშვნელოვან პერსონაჟში საკუთარი პიროვნების ნაწილს დებს. მორუას, როგორც მწერლის ფორმირებაში ცოტა როლი როდი ითამაშა მისმა მასწავლებელმა, ფილოსოფოსმა ალენმა.

სიცოცხლის ბოლო წლებში მორუამ არაერთი საყურადღებო ლიტერატურული პორტრეტი შექმნა, რომელთაც თავი მოუყარა და ამავე სახელწოდების წიგნად გამოსცა. ამ პორტრე-

ტებში იგრძნობა ორ მსოფლიო – ომგამოვლილი, ცხოვრებით დაბრძენებული კაცის კალამი. ნაშრომში მკითხველი ეცნობა კლასიციზმის ეპოქიდან დაწყებული, XIX საუკუნის ლიტერატურულ კოჰორტას, ასევე XX საუკუნის თვალსაჩინო მწერლებისა და ესეისტების, დრამატურგების: ანატოლ ფრანსის, მარსელ პრუსტის, ჟან კოკტოს, პოლ ვალერის, ფრანსუა მორიაკის, როჟე მარტინ დიუ გარის, რომენ როლანის, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერისა და სხვათა პორტრეტებს.

მორუას გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე გამოჩნდა მისი პოლიტიკური წერილი: „თავდაპირველად იყო საქმე“ და განზოგადებული ხასიათის წიგნი: „ლიტერატურული ცხოვრების 60 წელი“, „მემუარების“ ბოლო გამოცემა. დიდად სამწუხაროდ, მწერალმა ვერ განახორციელა ლევ ტოლსტოიზე რომანიზებული ბიოგრაფიის დაწერა, რაც დიდიხანია ჩაფიქრებული ჰქონდა. „ტოლსტოიმ, ტურგენევმა, ჩეხოვმა მსოფლიო სახელი იმით მოიპოვეს, რომ მათთვის მახლობელი და გასაგები იყო ხალხის გულისტკივილი და მისწრაფებები“ – წერდა მწერალი.

მორუა გარდაიცვალა 1967 წელს, 82 წლის ასაკში.

მორუა მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე პაციფისტი იყო კალმითა და საქმით, გულმხურვალედ ეხმაურებოდა ყოველივე მშვენიერს და ქადაგებდა ხალხთა შორის მშვიდობიან თანაარსებობას.

დრო წინ მიიწევს. დღეს სულ ახალი და ახალი ერები ეზიარებიან მსოფლიო კულტურას, ტექნიკურ პროგრესთან ერთან მკითხველამდე უმოკლესი გზა მიდის, იზრდება სიტყვის ძალა. თავისი შეხედულებები ამ საკითხზე მწერალმა გადმოსცა ლიტერატურულ ესეში: „პრუსტიდან კამიუმდე“ (1963) – „თქვენ ახალგაზრდა მწერლებო, – მიმართავდა იგი ლიტერატურულ ცვლას, – დიდი პასუხისმგებლობა გაკისრიათ, თქვენზეა დამოკიდებული ოცი წლის შემდეგ ეს სამყარო იქნება ბედნიერი, თუ დაამთავრებს თავის არსებობას“.

მორუა – მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკოსი და რაც მთავარია დიდი ჰუმანისტი თავისი ცხოვრების წესით პატიოსნების, სიკეთის, რწმენის, სამართლიანობის ეტალონი იყო. მისი წიგნები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, დღესაც შეუნელებელი ინტერესით იკითხება საქართველოში „სამი დიუმა“, „ჟორჟ სანდი“, „ბალზაკი“ და სხვა, მრავალი მისი ნოველა, მოთხრობა თუ ბრძნული გამონათქვამები.



# ანზორ ლორთქიფანიძე

## ცოლქმრული სიყვარულის საგალობელი

*ვუძღვნი ჩემი საყვარელი მამიდის ემინე ლორთქიფანიძე (თურმანიძისას) ხსოვნას, რომელმაც მიამბო ეს ზღაპარი.*

ძველ დროში თურმე ცხოვრობდა ერთი ცოლ-ქმარი, რომლებსაც ჰყავდათ ერთი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი. ქმარი ადრე მოკვდა, დაქვრივებულმა დედამ გამოზარდა ქალ-ვაჟი, და-ძმას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მალე ქალიშვილი გათხოვდა და ქამარშვილი გაიჩინა. გადიოდა დრო, მაგრამ ვაჟიშვილი არ ქორწინდებოდა. დედას და დას ძალიან უნდოდა მისი დაცოლშვილება და ხშირად შეახსენებდნენ ხოლმე.

ერთ დღეს, როცა და მამისეულ ოჯახში მივიდა სტუმრად, დედამ და დამ კატეგორიულად განუცხადეს, რომ დაქორწინებულიყო, მაშინ ვაჟმა განუცხადა მათ, რომ არ შეუძლია დაქორწინება, რადგანაც ისეთი სიზმარი ნახა, თუ დაქორწინდება მოკვდება. დედამ და დამ ერთხმად უთხრეს მას, რომ შენ ოღონდ დაქორწინდი და შენს მაგიერად ჩვენ მივცემთ სულს ყესრაილს (მიქელგაბრიელს – ა.ლ.). თუ საჭირო იქნებაო.

დაუჯერა ვაჟმა დედასა და დას და შეარჩია საცოლე. დანიშნულ დროს გაიმართა ქორწილი და მოიყვანეს დედოფალი, მაგრამ პატარძალის ოთახში შემოსვლისთანავე ვაჟი ავად გახდა და ლოგინში დაწვა. მომაკვდავ ვაჟს მიქელ-გაბრიელმა დაადგა თავს და სულის ართმევა დაუპირა, ვაჟმა უთხრა თუ შეიძლება დედაჩემი მოგცემს ჩემს მაგივრად სულსო, კარგიო – უთხრა მიქელ-გაბრიელმა.

მივიდა დედა მიქელ-გაბრიელთან და განუცხადა – მე მივცემ შვილის მაგიერად ჩემ სულსო, მიქელ-გაბრიელმა დაიწყო სულია ართმევა დედაზე. მას სულ სამი დაკიდებით ამოჰქონდა სული სხეულიდან.

დაწ. პირველ დაკიდებაზე მკერდამდე, მეორე დაკიდებაზე ყელამდე და მესამე დაკიდებაზე მთლიანად.

დაეკიდა სულების საიქიოში წამღები დედის სულს ერთჯერ და შეეკითხა მას, კიდევ დავეკიდოო? – დაეკიდეო – უთხრა დედამ, დაეკიდა მეორეჯერ სულს და კიდევ შეეკითხა – დავეკიდოო? მაგრამ დედას სული დაეწვა და მესამე დაკიდებაზე უარი უთხრა.

ჯერი დაზე მიდგა, საბოლოოდ ვერც დამ დათმო თავისი სული და უარი თქვა. დარჩა ვაჟი სასიკვდილოდ განწირული.

გაიგო დედოფალმა თავისი ქმრის ამბავი, მყისვე მივიდა მიქელ გაბრიელთან და მტკიცედ განუცხადა: მე მოგცემ ჩემი ქმრის მაგიერად სულსო, დაეკიდა მიქელგაბრიელი ერთხელ პატარძალის სულს და შეეკითხა – კიდევ დავეკიდოო? – დაეკიდეო, უყოყმანოდ მიუგო პატარძალმა, დაეკიდა მეორედ და კვლავ შეეკითხა – დავეკიდოო? – დაეკიდეო, კვლავ უყოყმანოდ მიუგო პატარძალმა, მაგრამ მიქელ გაბრიელი აღარ დაეკიდა. მხოლოდ უთხრა: მე შენს სულს ვერ არ აგართმევ, გამოგცადე და დავრწმუნდი შენს ერთგულებაში, შენ დიდ ხანს უნდა გეცოცხლა, მაგრამ ახლა შენი სიცოცხლის ასაკს შუაზე გავყოთ და ცოლ-ქმარი ერთად იცოცხლებთ და ერთად მოკვდე-

ბით, ასეთია ქვეყნიერებისა და სიცოცხლის გამჩენი ღმერთის ნებაო!

ზღაპარი იმითაა საყურადღებო, რომ მასში დაპირისპირებული დედაშვილური და დაძმური სიყვარული ცოლქმრულ სიყვარულთან, ე.ი. სისხლით ნათესაური სიყვარული ბუნებრივ სიყვარულთან, ქმრის სიყვარულში ცოლის ერთგულებამ აჯობა დედასა და დას და ეს არ არის გასაკვირი, დაწყვილებითი სიყვარული თავისტავად მაღლა დგას ყოველგვარ სიყვარულზე!

მასზე დაკისრებულია დედაბუნების უდიდესი მისია – სიცოცხლის გაგრძელება! მართალია დედაშვილური სიყვარულის მიზანიც ესაა, მაგრამ დედაშვილური სიყვარული ცოლქმრული სიყვარულის ნიადაგზე აღმოცენდა, რაც უფრო ძლიერია ცოლქმრული სიყვარული, მით უფრო ძლიერია დედაშვილური და მამაშვილური სიყვარული და პირიქით, როცა ცოლქმრული სიყვარული სხვადასხვა მიზნებით წყდება, დედაშვილური სიყვარულიცა და მამაშვილური სიყვარული ძალას კარგავს, რა თქმა უნდა არა ყოველთვის და არა ოჯახური წყვილის ორივე წევრისაგან, რადგანაც დედა მაინც დედაა და უმეტეს შემთხვევაში არ ღალატობს დედის მოვალეობას.

აი, ამქვეყნიერი ცხოვრების როგორი საკითხია დასმული ამ ზღაპარში, რომელიც ცოლ-ქმრული სიყვარულისა და ერთგულების ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

ზღაპარს ორეული ეძებნება როგორც ქართულ, ისე სხვადასხვა ხალხის ფოლკლორშიც. ქართულ ფოლკლორში ასეთია ლექსი „მენაცვალე", ხოლო მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში ბრძნული მითი ალკესტიდეს შესახებ და ხალხური ეპოსი ბატონი ასლანი ჩედილოკავკასიურ ეპოსში.

ხალხური ლექსი „მენაცვალე", ჩვენი აზრით, მერე უნდა აღმოცენებულიყო და ჩამოყალიბებულიყო, ვიდრე აჭარის რეგიონში არსებული ზღაპარი. ამას გვაფიქრებინებს მათი თემატიკური მსგავსება, განსხვავება უფრო მეორადი ხასიათისაა იგი „მენაცვლეს" მერმინდელობაზე მიგვითითებს, აი ისიც:

„დედავ, დედავ, დედ-შვილობას,
სიკვდილ მითხოვს მენაცვალე!
– მე შენ არას გენაცვლები,
მამა გყავს და ინაცვალე!
– მამავ, მამავ, მამ-შვილობას,
სიკვდილ მითხოვს მენაცვალე!
– მე შენ არას გენაცვლები,
დაი გყავს და ინაცვალე!
– დაო, დაო, და-ძმობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!
– მე შენ არას გენაცვლები,
ძმაი გყავს და ინაცვალე!
– ძმაო, ძმაო ძმათ-ძმობისა,
სიკვდილ მითხოვს მენაცვალე!
– მე შენ არას გენაცვლები,
ცოლი გყავს და ინაცვალე!
– ცოლი, ცოლი, ცოლ-ქმრობას,
სიკვდილ მითხოვს მენაცვალე!
– მე შენ არას გენაცვლები,
საყვარელ გყავს, ინაცვალე!
– საყვარელო, საყვარლობას,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!
გენაცვლები შენსა მზესა,
გზა საით არს, გამასწავლე!"

აჭარული ვარიანტისა და „მენაცვალეს" შედარება გვაჩვენებს, რომ „მენაცვალე" გამრავალფეროვნებულია მოქმედი პერსონაჟებით. თუ აჭარულ ზღაპარში მოქმედ პირად წარმოდგენილი არიან დედა, და-ძმა და ცოლი. „მენაცვალეში" გვხდება დედა და მამა, და და ძმა, ცოლი და საყვარელი, გარდა იმისა, რომ „მენაცვალეში" ახალ მოქმედ პირად მამა და ძმაა შემოყვანილი, ე.წ. მამრობითი სქესის მშობელიცა და სისხლით ნათესავი, სცენაზე შემოდის აგრეთვე ერთი შეხედვით მოულოდნელი პერსონაჟიც – საყვარელი, რომელიც განსხვავებულ მორალს სძენს ლექსს, მკითხველს მისი გამოჩენას რა თქმა უნდა, არალოგიკურად და ზედმეტადაც მიიჩნევს ზნეობრივი თვალსაზრისით.

მართალია, ჩვენი მიზანი არაა „მენაცვალეს“ ზნეობრივ ხასიათზე მსჯელობა და აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ლექსში ოჯახური ეთიკეტი დამახინჯებულია. ცოლ–ქმრული ცხოვრების ნორმა დარღვეულია ქმრის მიერ, რომელსაც კანონიერი ცოლის გვერდით საყვარელიც გაუჩენია, სწორედ ამიტომ არ ენაცვლება ცოლქმრული ეთიკის დამრღვევ მოღალატე ქმარს ცოლი და და საყვარელთან გზავნის, იგი ინაცვლეო, რომელიც უყოყმანოდ ენაცვლება მას, მაგრამ ლოგიკური და კანონზომიერი იქნებოდა, რომ ქმარს მხოლოდ კანონიერი ცოლი ჰყოლოდა და მას დაეხსნა სიკვდილისაგან. ერთი შეხედვით მკითხველს თითქოს მოეწონება უბრალო საყვარლის ერთგულება და თავგანწირვა, იგი თითქოს ამ მომენტში კანონიერ ცოლზე ერთგულად გვეჩვენება, მაგრამ ცოლს ვერ დავადანაშაულებ იმაში, რომ იგი მოღალატე ქმარს არ ენაცვლება, ჩვენი აზრით წერტილი იქ არაა დასმული, სადაც საჭიროა.

„მენაცვალეს“ შესახებ არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს თავისი აზრი და ზნეობრივი თვალსაზრისით უარყოფით მორალის ლექსად მიაჩნიათ. მართლაც მკლევარ ნ. შამანაძისა არ იყოს იურიდიული თვალსაზრისით სულაც არაა გამართლებული ცოლიან კაცს სატრფო ან საყვარელი რომ ჰყავდეს (ნ. შამანაძე, ხალხური ლექსი „მენაცვალე“, ქართული ფოლკლორი 12 , 1982, გვ. 103), მაგრამ „მენაცვალე სწორედ სიყვარულის თავისებური გამოხატვით, ზღვარდაუდებელი ვნებიანობით და ფილოსოფიური გააზრებით გვხიბლავს“ (იქვე, გვ. 103-104).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აჭარის რეგიონში, უნდა იყოს შემონახული მენაცვალეს პირველადი სახე, რადგანაც იგი ცოლქმრული სიყვარულის ზნეობრივად სრულყოფილი ნიმუშია. ზღაპარი გვაოცებს პატარძლის უსაზღვრო და სპეტაკი ერთგულებით თავისი მომავალი ქმრისადმი თავისი თავგანწირვით მან სიკვდილისაგან დაიხსნა ქმარი და მოხიბლა უზენაესი ღმერთი და სულების მეუფე მიქელ-გაბრიელი. ეს ზღაპარი ჭეშმარიტი რუსთაველური სიყვარულის მსგავსი საგალობელია და გვხიბლავს ზნეობრივი სისპეტაკით.

P.S. ეს ნაშრომი 1980-იანი წლების ბოლოს (წელი ზუსტად არ მახსოვს და მანქანაზე ნაბეჭდში თარიღი არ არის მითითებული – ხელნაწერი გამებნა) დავწერე. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ქალაქ ბათუმი სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ვიმყოფებოდი ჩემ მეგობრებთან ჯემალ ვარშალომიძესთან და პროფესორ თინა შიოშვილთან, რომლებიც ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ (ჯემალი ეთნოგრაფიულ, ხოლო ქალბატონი თინა ფოლკლორის დარგში ეწევა მოღვაწეობას. ორივეს თსუ სწავლის დროიდან ვიცნობ და ჯემალის რჩევით გადავედი ეკონომიკური ფაკულტეტიდან ფილოლოგიის ფაკულტეტზე). ჩვეულებრივ საუბარი ჩამოვარდა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ საკითხებზე და მე ქალბატონ თინას ვუთხარი, რომ მამიდაჩემმა ემინე ლორთქიფანიძე მომიყვა ხალხური ზღაპარი, რომელიც ცოლქმრული ერთგულების საკითხს ეხება და შეიძლება ალკესტიდას ბერძნული მითის ორეულად ჩაითვალოს-მეთქი. აქ უნდა მოვიტანო ალკესტიდას განმარტება ნ. კუნის „ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები“ წიგნიდან; („ალკესტიდა-იოლკოსის მეფის პელიასის ასული, თესალიის მეფის ადმეტეს მეუღლე, ქმრის მაგიერ იკისრა ჰადესში წასვლა, აკლდამაში მისი ქმრის მეგობარი ჰერაკლე სიკვდილის ღმერთს თანატოსს შეება და ქალი იხსნა“ – 1965, გვ. 307) სხვათა შორის, „მენაცვალეს“ მსგავსი ფოლკლორული ლექსი არის ინგლისურშიც, რომელიც „მენაცვალესაგან“ იმით განირჩევა, რომ ის ხალხურ ლექსში საქმრო გამოიხსნის თავის საცოლეს პატიმრობისაგან, როცა დედ–მამა, და-ძმა უარს ეუბნებიან თავის ქალიშვილსა და დას დახმარებაზე. მე ეს ჩემი ნაშრომის დაწერის შემდეგ ვნახე და ამიტომ თავდაპირველ ნაშ-

რომში არ შემიტანია, თორემ აუცილებლად შევიტანდი, თემატურად ძალიან წააგავს ბერძნულ „ალკესტიდას“, აჭარულ ფოლკლორის ხალხურ მითოლოგიურ ზღაპარს და აგრეთვე „მენაცვალესაც“, თუმცა პირველი სამი ცოლ-ქმრულ ერთგულების თემაზეა შექმნილი, ხოლო „მენაცვალე“ კი „საყვარელის“ ერთგულებაზე და ამდენად ცოლ-ქმრული ერთგულების ტრადიციულ ზნეობასა და ეთიკურ ნორმას ეწინააღმდეგება (მე ეს ინგლისური ხალხური ლექსი, თუ არ ვცდები, ჟურნალ „განთიადის ფურცელზე მაქვს წაკითხული, რომელიც გამებნა და წელი და ნომერი აღარ მახსოვს) ინგლისური ხალხური ლექსი იმითაა საყურადღებო, რომ მასში მამრობითი სქესის წარმომადგენელი ანუ საქმრო იხსნის სიცოცხლეს ციხისგან, რისთვისაც არაფერს ზოგავს, მაშინ როცა მშობლები და და-ძმები უარს ეუბნებიან, ქალბატონმა თინამ მაშინ გადმომცა სოფელ ხარაულაში ჩაწერილი ხალხური ლექსი „შიმიფარე“, რომლის ავტორი, თუ არ ვცდები უნდა იყოს ჰურმიზ ხარაძე. ეს ლექსი, რომელიც „მენაცვალეს“ აჭარული ფოლკლორული ხალხური ვარიანტია, სამწუხაროდ ველარ მივაგენი ჩემი ქედის ბინაში, როცა 1995-2007 წლებში ბათუმში ვცხოვრობდი. აი ისიც ოდნავ შესწორებებით, სათაურით „შიმიფარე“:

– ბაბი, ბაბი, ბაბა-შვილსა,
სიკვდილისგან შიმიფარე!
– შვილო მე ვერ შიგიფარებ,
ნენეი გყავს და შიგიფარებს!
– ნენი, ნენი, ნენე-შვილსა,
– სიკვდილისგან შიმიფარე!
– შვილო მე ვერ შიგიფარებ,
ძმა გყავს და მან შიგიფაროს!
– ჩემო ძმაო, ჩვენ ძმობასა,
სიკვდილისგან შიმიფარე!
ჩემო ძმავ ვერ შიგიფარებ,
შენ ჩვენმა დამ შიგიფაროს!
– დაო, დაო, დაძმობასა,
სიკვდილისგან შიმიფარე!
– მე ძმაო ვერ შიგიფარებ,
შენმა ცოლმა შიგიფაროს!
– ცოლო, ცოლო ცოლქმრობასა,
სიკვდილისგან შიმიფარე!
– ქმარო მე ვერ შიგიფარებ,
შენმა კახპამ შიგიფაროს,
ჩემო კახპავ, საყვარელო,
სიკვდილისგან შიმიფარე
– შიგიფარებ საყვარელო,
თუ იქაც მეც გეყვარები!

*1998-2015 წწ.*



# ლენიდა სუმბაძე

## ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად

### (ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში)*

მოგეხსენებათ, ებრაელთა დიდი მეფისა და მგოსნის, დავითის ფსალმუნთა კითხვა ერთერთი მთავარი კომპონენტია ქართული მართლმადიდებლური წირვა-ლოცვის რიტუალში. აქ, დავითის ფსალმუნთა ფონზე არაერთგზის ისმის: „ვადიდოთ ღმერთი ისრაელისა!“ და „დიდება ისრაელსა ზედა!“ ღმერთი ისრაელისა, იაჰვე, და ღმერთი ქრისტიანობისა, წმინდა სამება, იგივეობრივი არ არის და აუხსნელიც კია მართლმადიდებლურ წირვა-ლოცვაში დაკანონებული ძველი აღთქმისეული „ვადიდოთ ღმერთი ისრაელისა!“ ევროპამ, მისმა პროტესტანტულმა სულისკვეთებამ, და ეროვნული თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობის გამძაფრებამ, რახანია შეწყვიტა ფსალმუნთა კითხვა და ისრაელის დიდების ძახილი ევროპულ პროტესტანტულ ღვთისმსახურებაში.

„მე კათოლიკე ვარ – ბრძანებს მე-20-ე საუკუნის ერთერთი გამორჩეული მოაზროვნე, ესპანელი ფილოსოფოსი, მიგელ დე უნამუნო – მაგრამ მე მინდა ვიყო ესპანელი კათოლიკე!“ – ასე ჟღერს ეროვნული ინდივიდუალობის, ეროვნული მეობის ჯანსაღი გრძნობის შინაგანი მოთხოვნილება ევროპელი ფილოსოფოსის, მეოცე საუკუნის ეგზისტენციალური ხედვის ერთერთი დიდი წარმომადგენლის განცდაში. სამაგიეროდ, დავით წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნის დიდმა ეკლესიურმა ავტორიტეტმა, საუკუნეთა წინ დანერგილმა დოგმატურ ეკლესიაში, და მიზანმიმართულად საკმაოდ ჭარბად აღზევებულმა ქართული ეკლესიის აღმავლობის დიდ ისტორიულ მონაკვეთში, მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის საწყისებში, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ქართული ეკლესია საერთოდ გადახარა ბაგრატიონთა შესახებ არსებული ქართული მეცნიერული აზრის უარყოფისა და ისტორიოგრაფიულ ცთომილებაზე დამყარებული „წმინდა გადმოცემის“ დაკანონებისაკენ: საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა და საერთოდ ბაგრატიონთა დინასტიის დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად დაკანონებისაკენ. ცხადია, უსათუოდ ისმის კითხვა: რატომ მოხდა ეს მაინცა და მაინც დღეს, ჩვენს თანადროულ ეკლესიურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში?! მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით ანთებულ საქართველოში?

**რატომ აღმოჩნდა საქართველოს ეკლესია ინიციატორი ბაგრატიონთა ვითომ ებრაული წარმომავლობის გაჩირაღდნებისა? რატომ ჩაეჭიდა ეკლესია ამ არამეცნიერულ გადმო-**

---
* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №4, 2015.

**ცემას და რატომ არ მოისურვა ანალიტიკური აზროვნებისა და მეცნიერებისა და რწმენის ერთიანობის მქადაგებელმა საქართველოს ეკლესიამ სამეცნიერო კომისიის შექმნა და რაიმე ტიპის გადამოწმება იმ ისტორიოგრაფიული მონაცემებისა, რომლითაც კატეგორიულ დაპირისპირებაში იყო მოსული ეროვნულ მრწამსთან?!** რატომ არ ისურვა გარკვევა დაპირისპირებისა ქართველ ბაგრატიონთა შესახებ არსებულ ისტორიულ-მეცნიერულსა და ზეპირ გადაცემაზე დამყარებულ, გამარტივებულ, ერთგვარად გაპრიმიტიულებულ და დასახიჩრებულ ეკლესიურ პოზიციათა შორის?! ამისათვის ხომ ეკლესიას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა! რატომ მისცა საქართველოს ეკლესიამ მონარქისტული იდეის გარკვეულ რეალიზაციას დღევანდელ საქართველოში კონსპირაციული ხასიათი? შესაძლოა წინამდებარე სტრიქონების მკითხველს გაუჩნდეს აზრი, რომ ჩვენ ჩვენი მხრიდან გვევალებოდა, განგაში მაშინ აგვეტეხა, როცა გაიოზ მამალაძისა და მამა აკაკის თვალსაზრისები გამოქვეყნდა პრესაში, 2007 წელს. მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ ეს ის პერიოდია, როდესაც გაგვაჩნია შესაძლებლობა მის უწმინდესობასთან სიტყვის თქმის. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, განვუმარტო მკითხველს, რომ ჩემი მორიდებული შეთავაზება მის უწმინდესობასთან, რომ მასთან ბაგრატიონებზე მაქვს საუბრის სურვილი, რეაგირების გარეშე რჩება. ჩემი მცდელობა რომ პატრიარქის თანაშემწესთან გავარკვიო, რა პოზიცია უკავია ეკლესიას გაიოზ მამალაძის „თეორიებთან", დუმილით აღმოჩნდება გასტუმრებული. როდესაც გაიოზ მამალაძე ოფიციალურად განაცხადებს, რომ ის არის საქართველოს საპატრიარქოს კონსულტანტი მონარქიის საკითხებში და კერძოდ მეუფე იობის კონსულტანტი, რომელიც, მისივე უწყებით, საპატრიარქოში ხელმძღვანელობს მონარქიის საკითხებს, და ეს განცხადება მისივე წიგნის ყდაზე განთავსდება დიდი ასოებით, ირკვევა რომ მეუფე იობი მას საერთოდ არ იცნობს. ჩემი შეთავაზება მეუფე იობისადმი, რომ მან განცხადება გააკეთოს ამის შესახებ, მთავრდება უარით. როდესაც ვისარგებლე სრულიად შემთხვევითი შეხვედრით დეკანოზ ზურაბ ცხოვრებაძესთან, საკმაოდ სერიოზულ ფიგურასთან ეკლესიური პოზიციების მართვაში, და მისალმებისთანავე ვუთხარი, რომ ბაგრატიონების დავითიანობას არა აქვს გენეტიკური მნიშვნელობა-მეთქი, გაურკვეველი დუმილი მივიღე, თუმცა უფრო აშკარად უარმყოფელი ჩემი ნაგულისხმარი პოზიციის. როდესაც ცნობილ ისტორიკოსს ქ-ნ **მარიამ ლორთქიფანიძეს**, ფეოდალური საქართველოს სპეციალისტს, შეშფოთებულმა შევჩივლე: – „ქ-ნო მარიამ, რატომ არ ეხმაურებით ბაგრატიონების ამისთანა გაებრაელებას ეკლესიის მხრიდან?!" – ქ-ნი მარიამი პირდაპირ მომახლის: – „ეგ საქმე უკვე იმდენად შორს არის წასული, რომ აზრი არა აქვს. ჩვენ ყველანი ებრაელები ვართ". ამ სიტყვებისათვის ქალბატონ მარიკას ძალიან მწარედ ვუპასუხე და პროტესტის ნიშნად მის საიუბილეო სხდომაზე არ მივედი, მაგრამ ამით, ცხადია, ვერაფერს ვუშველე. უბრალოდ დავრწმუნდი, რომ საქართველოში უკვე ყველა კარი იყო გადარაზული ქართველი ერის ეროვნული მეობისა და ეროვნული ღირსების დასაცავად. ამიტომ ჩემი, როგორც საპატრიარქოს ყოფილი პატროლოგის (1980-1992 წწ) მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადებით, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ბ-ნ **თამაზ გამყრელიძის** მიმართ, ასევე საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, **ილია მეორის** მიმართ, დავადასტურე, რომ საჭიროდ მიმაჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალი სტატუსი „სახელმწიფო მრჩევლისა" ეკლესიასაც გამოეყენებინა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილიყო ბაგრატიონთა დინასტიის შემსწავლელი სამეცნიერო სტრუქტურული ნაწილი, რომელიც მოამზადებდა მეცნიერულ პასუხებს ბაგრატიონების ფენომენთან და-

კავშირებულ, მთელ რიგ აუხსნელ კითხვებზე. აქაც ჩემი განაცხადები უპასუხოდ იქნა დატოვებული და ეს იმ დროს, როდესაც ქართული ეროვნული მოძრაობა ამ მოძრაობის ლიდერთან ერთად იქნა გაძევებული საქართველოდან და ქართველი ხალხის ეროვნულმა სულისკვეთებამ ეკლესიის გუმბათქვეშ შეაფარა თავი!

ეროვნული მოძრაობის გაძევებას საქართველოდან, ამასთან ქართველი ხალხისავე ხელით, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავის ბოლო ინტერვიუში, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა, „სახელმწიფო გადატრიალების" კვალიფიკაცია მისცა და ისიც განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალება დაიგეგმაო ოკეანის გადაღმა (გაზ.: „ნაროდნაია პრავდა" №42, 1992). თუ ლოგიკურად გავაერთიანებთ მოვლენებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დამშლელი ძალაცა და საქართველოში ამ "სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი" ძალაც ოკეანის გადაღმიდან წამოსული ერთიდაიგივე ძალა იყო, რომელსაც დიდი გამორკვევა და მტკიცება არ სჭირდებოდა. იგივ საბჭოთა კავშირის დამშლელმა ძალამ გააძევა ეროვნული მოძრაობა საქართველოდან და ამაში არც არაფერი არ არის საკვირველი, რადგან ყოველგვარი ეროვნულის გაძევება ეს იყო ლოგიკური განგრძობა საბჭოთა კავშირის ე. წ. „განვითარებისა", რაც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელ არც ხალხს და არც ლიდერებს გაცნობიერებული არა ჰქონდათ.

სადღეისოდ უკვე დიდი განმარტებები აღარ არის საჭირო და საქვეყნოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ საბჭოთა კავშირის მთავარი დამშლელი ძალა სიონისტურ-მასონური მოძრაობა იყო და ქართული ეროვნული მოძრაობაც საქართველოდან, პოლიტიკურად შენიღბულმა, ამ ძალამ გააძევა. ჯერ კიდევ შიგ, საბჭოთა სახელმწიფოში ამოქმედებულ სახელმწიფოს დამშლელ მოძრაობას, ე. წ. „პერესტროიკას", რომელსაც იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის განვითარებისა და პროგრესული გარდასახვის ინტერპრეტაცია ჰქონდა მინიჭებული, და რომელმაც მსოფლიო მასშტაბით, სრულიად ღიად, „სიონისტური პერესტროიკის" სახელწოდება დაიკანონა, საქართველოში, ცხადია, თავისი საკუთარი, სრულიად უნიკალური ტენდენციებითა და ჩანაფიქრებით აღმოჩნდა შემოსული. ეს უნიკალურობა მსოფლიოსთვისაც და თვით ქართველი ხალხისათვისაც შეუმეცნებელი, ასევე ქართული ეკლესიისათვისაც შეუმეცნებელი და გაუცნობიერებელი გახლდათ, და ერთი მთავარი საფუძველი ამ შეუმეცნებლობისა იყო ინფორმაციული დამარხულობა ქართულ-ებრაული უძველესი ისტორიული ურთიერთმიმართებისა – ამ ურთიერთმიმართების ბიბლიურ გადმოცემათა გაგების. მხედველობაში მაქვს ქალდეველებისა და ქართველთა იგივეობის საკითხი და ქალდეველებისა და ებრაელების, როგორც ისტორიულად დაპირისპირებულ ხალხთა ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორია. აქვე შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ყოველგვარი ქართულ-ებრაული ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორიის გარეშე, წმინდა ისტორიული ხედვით, ყველაზე დიდი და ყველაზე კომპეტენტური მეცნიერების მიერ აღიარებულია, რომ შუმერებიც და ქალდეველებიც ქართველთა წინაპარნი და წინამორბედნი, ქართველური მოდგმის ხალხები არიან. მართალია, საქართველოს პატრიარქი დღენიადაგ მოგვიწოდებს ანალიტიკური აზროვნების დამკვიდრებისაკენ, მაგრამ თავად ქართულმა ეკლესიამ ვერ მოასწრო ვერც ბიბლიური ისტორიის ანალიტიკური შემეცნება ქართული ცნობიერების გადასახედიდან და ვერც საკუთარი, ანუ ეკლესიური ისტორიის თეოლოგიური ანალიზი. და ამის ერთადერთი მიზეზი გახლდათ ეკლესიის მომწყვდევა საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური იდეოლოგიის მორჩილებაში და გარკვეული ხერხებით სახელმწიფოსმიერი აკრძალვა ქართული თეოლოგიური

აზროვნების წინსვლისა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წიაღში... თუ როგორი სიღრმით შენიღბული მიიმართებოდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ ეკლესიისავე იარაღით, ვითომდაც ეკლესიის ინტერესების დაცვით სახელმწიფოს მხრიდან, როგორი სპეკულაციით მიიმართებოდა ქრისტიანული რწმენის წყურვილით ანთებული ქართველი ხალხის განწყობაზე, ერთი საოცარი ფაქტის გახსენებით მინდა მკითხველისთვის ცხადვყო:

90-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილისავე სახელობის სხდომათა დარბაზში, მთავრობის დავალებით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც უნივერსიტეტის მხრიდან პროფესორი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე უძღვებოდა. კონფერენციის თემა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების განსაზღვრა იყო. ამ კონფერენციის შესახებ ვიცოდი, რომ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ არანაირი შესაძლებლობა დასწრებისა არა მქონდა. სასამართლო პროცესი, რომელზეც მხარის ინტერესები მე უნდა დამეცვა, მაინცადამაინც კონფერენციის საათებს ემთხვეოდა. როგორც კი სასამართლო პროცესიდან გავთავისუფლდი, უნივერსიტეტში გავქანდი და კონფერენციის ფინალს მივუსწარი. რეზოლუცია, რომელიც კონფერენციას უნდა მიეღო, მარიამ ლორთქიფანიძეს უნდა წაეკითხა. როგორც ჩანს ამ კონფერენციის მიზანი სწორედ ეს რეზოლუცია იყო, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი გზავნიდა დადგენილების ფორმით საქართველოს პარლამენტში განხილვისა და მხარდაჭერისათვის. ორი ძირითადი პუნქტი ამ რეზოლუციისა დღემდე არ ამოდის ჩემი გონებიდან: „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების იდეოლოგიად გამოცხადდეს მართლმადიდებლობა და ნებისმიერ დარღვევას მართლმადიდებლური დოგმატური აზროვნებისას მიეცეს სახელმწიფო დანაშაულის კვალიფიკაცია“. რეზოლუციისათვის მთელ დარბაზს უნდა მოეწერა ხელი. დარბაზში ახლად შესულმა და ჯერ ისევ კარებში მდგომმა პრეზიდიუმისაკენ წავიწიე და საჯაროდ ვითხოვე სიტყვა რეზოლუციაზე აზრის გამოსათქმელად. პირდაპირ მივმართე ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძეს: „– ქ-ნო მარიამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მართლმადიდებლობა ჩვენი ეკლესიური ალმსარებლური იდეოლოგიაა, როგორ შეიძლება ის იყოს იმ სახელმწიფოს უშიშროების იდეოლოგია, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებით შენდება და რომლისაგანაც ეკლესია დამოუკიდებელია. ეს გაიგივება ეკლესიისა და უშიშროებისა ხომ ეკლესიისათვის შეურაცხმყოფელია?!“ რეზოლუცია აშკარად ჩაშლისკენ წავიდა. საკონფერენციო დარბაზიდან გამოსულს, მახსოვს ორი ახალგაზრდა დამეწია და მადლობა მითხრა: „როგორ დროზე მოგვისწარით, ქალბატონო დენიზა, რა სისულელეზე ვაწერდით ხელს, დიდი მადლობა“-ო. ცხადია, მაშინ აზრად არ მომსვლია, რომ ის ძალა, რომელიც სახელმწიფო უშიშროების იდეოლოგიად მართლმადიდებლობის გამოცხადებას გვთავაზობდა, ქვეტექსტით ეკლესიასაც სთავაზობდა სახელმწიფო უშიშროების საკუთარი იდეოლოგიის დამკვიდრებას ეკლესიის ინსტიტუციონალურ სისტემაში. როდესაც სახელმწიფოები და უნივერსიტეტები თავთავიანთ სიმაღლეზე დგანან, სახელმწიფო იდეოლოგიებზეც და სახელმწიფო უშიშროების კონცეფციებზეც, ცხადია, უნივერსიტეტებიც უნდა მუშაობდნენ და ინსტიტუტებიც, მაგრამ არა პოლიტიკური თუთიყუშები. მახსოვს, 2004 წლის გაზაფხულზე, ნიუ იორკში გამომავალ ქართულ გაზეთში, „იბერიაში“ გამოქვეყნებულ ერთერთ წერილში, ამერიკელი მაღალჩინოსნები, ჩემი შთაბეჭდილებით, საკმაოდ დამცინავი და უხეში საყვედურით მიმართავდნენ ქართველ პოლიტიკოსებს, რომელთაც თავი ვერ მოაბეს მათ მიერ წარგზავნილ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კონცეფციის დამტკიცებას...

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიის ერთერთი შემოქმედი, ანუ ერთერთი ავტორი ქართველი ერის გარდასახვის თეორიისა ღია სამოქალაქო საზოგადოებად, იგივ „საქართველოელთა ერთობად" (შევარდნაძის ტერმინოლოგიით!), ანუ „მოქალაქეთა კავშირად", ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი, ასევე ცნობილი სიონისტი, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ბ-ნი ჯორჯ სოროსი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე დასტუმრებია საქართველოს, 1989 წელს. სრულიად სანდო ინფორმაციით, მაშინ მას თავისი განსაკუთრებული დაინტერესება გამოუხატავს აბასთუმნის ტერიტორიული მონაცემებით...

ჩვენი ეროვნული მოძრაობის დროს, 90-იან წლებში, როდესაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოთხოვნით ბალღურად გულანთებულნი ვემიჯნებოდით ე. წ. რუსეთის იმპერიას, ჩვენი ინფორმაციული რესურსები მსოფლიოს პოლიტიკურ შიდადინებებზე იმდენად მწირი იყო, რომ საკმაოდ შორს ვიყავით აზრისგან, თუ მთელი ეს პოლიტიკური დინამიკა რუსეთის იმპერიასთან ჩვენი დაპირისპირებისა რეალურად უფრო დიდი, მსოფლიოს ახალი სიონისტური იმპერიის წისქვილზე ასხამდა წყალს. ზედმეტია საუბარი, იმ დროისათვის, ქართულ-ებრაული ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორიის ცოდნაზე, რომელიც თავად მსოფლიო ისტორიოგრაფიაში იყო ტაბუდადებული წრე პრობლემათა კვლევისა. მითუმეტეს ათეისტური სახელმწიფო იდეოლოგიის საგანმანათლებლო სისტემით განათლებულ თაობათა ცოდნაზე, რომელთათვისაც ბიბლიაც და რელიგიაც აკრძალულ ცნებებად იყო მიჩნეული.

მაგრამ, ის, რაც მსოფლიოსთვისაც და ქართველთათვისაც ინფორმაციულად დამარხული იყო, ებრაული გონებისთვისაც როდი იყო დამარხული! ებრაული გონი საქართველოში მსოფლიოს ახალი წესრიგითა და „ანკესის", ანუ მოწინააღმდეგის „მახეში გაბმის" ტექნოლოგიით შემოვიდა... და დედა ეკლესია, აღმავალი და მოზეიმე დედა კალმახივით, მსოფლიო პოლიტიკის მქუხარე დინების საწინააღმდეგოდ ასხლეტილი, ნებიერად გააბა მსოფლიო წესრიგის დიდი მებადურის ოქროსფერი ძაფებით მოქსოვილ ბადეში... მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის მიუღებელი და „დინების საწინააღმდეგო" მარტო მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ეროვნული მოძრაობით მოპოვებული „ნაციონალიზმი" როდი იყო! მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის მიუღებელი და „დინების საწინააღმდეგო" იყო რელიგიური ნაციონალიზმიც, ანუ ქართული სულის ის ეკლესიური აღმავლობა, რომელიც მსოფლიოს ახალი წესრიგის შემოსვლას უნებლიედ დაემთხვა, დაემთხვა საქართველოს საპატრიარქო ტახტზე, მისი უწმინდესობის ილია მეორის მობრძანებით. იმის გამო, რომ ამ ეტაპისათვის უკვე ვერც ზვიად გამსახურდიაზე და ვერც მერაბ კოსტავაზე ანკესის ტექნოლოგია ველარ გამოდგებოდა, ისინი დაუნდობლად იქნენ მოშორებულნი საქართველოსგან. ხოლო ეკლესია, სწორედ თავისი აღმავლობითა და ზეიმით აღმოჩნდა ამჯერად ნამდვილად საიმედო და საჭირო მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის საქართველოში. ეროვნულ მოძრაობას უკვე გაკეთებული ჰქონდა თავისი საქმე მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის: საქართველო უკვე გამოგლეჯილი იყო საბჭოთა კავშირისეული დამცავი მექანიზმისაგან. ამჯერად საჭირო იყო სწორედ ეკლესიური ეროვნული მოძრაობა. ერთი სიტყვით, ეროვნული მოძრაობა უკვე გამოყენებული იყო მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის, ანუ საქართველოს გამოსათავისუფლებლად რუსეთის მფარველობისაგან. ახლა უკვე შიგ საქართველოში იყო საჭირო მსოფლიოს ახალი წესრიგის დამკვიდრება. საჭირო იყო მექანიზმი, რომელიც ეკლესიას, საკუთრივ ეკლესიის ახლად მოპოვებულ დიდ ავტორიტეტს ჩააყენებდა მსოფლიოს ახალი წესრიგის სამსახურში. საჭირო იყო ახალი „მარდოქაი-ესთერის" მექანიზმი, ებრაული ხერხისა და ეშმაკური ჭკუის, რომლითაც სა-

ქართველოს ეკლესია თავისი დიდი სახალხო ავტორიტეტით მსოფლიოს ახალი წესრიგის საქართველოში დამკვიდრებას საქართველოს ისტორიის ლაბირინთებში შეუძლვებოდა... და სანამ ამ შეძლოლის დრამაზე გავაგრძელებდეთ სიტყვას, მეტი სინათლისათვის, მაინც გავუზიაროთ მკითხველს, ჩვენეული გაგება „მარდოქაი-ესთერის მექანიზმის" რაობის... რათა უფრო მწარედ ვიგრძნოთ ტკივილი ჩვენი ეკლესიის თავს დატეხილი უბედურების...

## „ესთერიზმი" ანუ როცა „ანკესი" ბირთვულ იარაღზე ძლიერია

თანამედროვე მსოფლიოს გადარჩენილ ჯანსაღ ცნობიერებაში, უკვე სრულიად მკაფიოდ გამოიკვეთა და დადგინდა აზრი, რომ თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების მიმდინარე პროცესებში (რომელთაც უკვე საკმაოდ გავრცელებული ცოდნით, „მსოფლიოს საიდუმლო მანქანა" მართავს, საჭირო პიროვნებებისა თუ მასების გამოსათაყვანებლად და შემდგომ გამოთაყვანებულის გასანადგურებლად), მთავარი იარაღია საპირისპირო მხარის ანკესზე წამოგების, ანუ ინფორმაციულ მახეში გაბმისა და მოტყუების სტრატეგია. დადგინდა აზრი, რომ თვით 21-ე საუკუნის ტექნიკური აღმოჩენების ეპოქაში, „ანკესზე წამოგების ტექნოლოგიაა" უფრო ეფექტური, ვინემ ბირთვული იარაღის სამხედრო ძალა. პიროვნებისა თუ ხალხის „ანკესზე წამოგების ტექნოლოგიით" შესაძლებელი ხდება, შენმა მოწინააღმდეგემ თავისი ხელით აღასრულოს თავისთავზე ის დარტყმა, რომელიც შენ უნდა მიგეყენებინა მისთვის უფრო დიდი ძალისხმევის მოხმობით. ცხადია, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანასაც სჭირდება დიდი მუშაობა და არც ეს არის იოლი, მაგრამ ამის უნარსა და ხელოვნებას, პიროვნებაც და ხალხიც, ღვთისაგან უნდა ფლობდეს. და მართლაც, თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დასამყარებლად ანკესზე წამოგებულ ჭიაყელებად არ არიან(?) გამოყენებულნი მორალურ-პოლიტიკური იდეები: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაც და სახელმწიფოებრივი გაერთიანებისაც? გაერთიანებულნი დავშალოთ დამოუკიდებლებად, ხოლო დამოუკიდებლებს გაერთიანებისაკენ მოვუწოდოთ. დავშალოთ საბჭოთა კავშირი და შევქმნათ ევროპის კავშირი! ასე გამოიყურება დღეს მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნება.

ცხოვრების გზის სწავლების ყველა სხვა ხერხთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ბიბლია, უფრო ზუსტად პირველი ნაწილი ბიბლიისა, „ძველი აღთქმა", კაცობრიობის წმინდა წიგნად აღიარებული დიდი თხზულება ებრაელი ხალხისა, მოწინააღმდეგე მხარის „ანკესზე წამოგების" ამ უნარის გამოწრთობისა და ამ „ტექნოლოგიის", ანუ ამ ხელოვნების ფლობის სახელმძღვანელოც არის. ამ „ტექნოლოგიის" ფლობისა და გამოვლენის ბრწყინვალე ნიმუშია ბიბლიის ერთერთი კანონიკური წიგნით: „ესთერის წიგნით" გადმოცემული ისტორია, ებრაელი ხალხის ეროვნულ გმირად აღიარებული ქალისა – ესთერის. თვად ის ფაქტიც, რომ ებრაული დღესასწაული: „ესთერობა", ანუ „პურიმი", ისე შეახვიო თავის ტრანსფორმირებულ სახეში, ზოგადად ქალის ღირსების დაცვის სახეში, რომ ესთერი აქციო ქალობის იდეად, ხოლო „ესთერობა" ქალთა ღირსების დაცვის მსოფლიო ხალხების დღესასწაულად, 8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღედ, მეტყველებს იმაზედ, რომ ებრაული ჭკუა-გონების საკუთრივი მახასიათებელი სწორედ ის თვისობრიობაა, რომელსაც შეუძლია ადამიანური უნარი ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედებისა და მიზანდასახული მიმართულებით წარმართვისა, აიყვანოს მსოფლიოს დაპყრობის „ტექნოლოგიური ხელოვნების" ხარისხში, აიყვანოს და იმდენად ცხადყოს, რომ ამ გზით კაცობრიობის ყველაზე თავზარდამცემი ბირთვული იარაღის ძალაც გადაფაროს.

„წიგნი ესთერისა“ ანკესზე მოწინააღმდეგის წამოგების ერთი კონკრეტული ისტორიაა, რომელიც მძაფრად აჩვენებს ებრაელი ხალხის გარე სამყაროსთან და სხვა ქვეყნების ადამიანებთან მიმართების სპეციფიკას, ადამიანებთან და ხალხებთან მიმართების მორალურ კრედოს. ცხადია, ამგვარი შეფასება ბიბლიური გმირისა აყენებს მისი ტიპიურობისა და იმ ხალხის მორალურ-ფსიქოლოგიური პრინციპების საკითხსაც, რომლის წარმომადგენელიც იგი არის.

როგორც ვიცით, ორი დიდი ტყვეობა გამოიარა ებრაელმა ხალხმა თავისი დიდი მოწამებრივი ცხოვრების გზაზე: ეგვიპტური და ბაბილონური. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, უფალმა დააბინავა ებრაელი ხალხი აღთქმულ მიწაზე. აღუთქვა უფალმა, ღმერთმა ისრაელისამ ებრაელებს: თუ ერთგულნი იქნებითო ჩემი, იქ, აღთქმულ მიწაზე დამკვიდრებულ ხალხებს ავყრი და ხელში ჩაგაგდებინებთო მთელს მათ ქონებასა და სიმდიდრეს. ძალზედ საინტერესოა ძველი აღთქმით გადმოცემული ისრაელიანთა ღმერთის დიდაქტიკური პრინციპები, ის ღვთაებრივი სამართალი და მორალი, რომელიც გაცხადებულია ებრაელი ხალხის დიდი წინასწარმეტყველისა და წინამძღოლის, მოსეს პირით:

„როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის გამო ეფიცებოდა აბრაამს, ისაკს და იაკობს, რომ შენ მოგცემდა დიდი და მშვენიერი ქალაქებითურთ, რომლებიც შენ არ აგიშენებია, ყოველნაირი დოვლათით ავსებული სახლებითურთ, რომლებიც შენ არ აგივსია, ამოთხრილი ჭებითურთ, რომლებიც შენ არ ამოგითხრია, ვენახებითა და ზეთისხილის ბაღებით, რომლებიც შენ არ გაგიშენებია, და შენც შეჭამ და გაძღები, ფრთხილად იყავი, რომ არ დაგავიწყდეს უფალი, რომელმაც შენ გამოგიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან“ (2 რჯ. 6, 11-12).

„როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ, და მოგაშორებს მრავალრიცხოვან ხალხებს: ხეთელებს, გირგაშელებს, ამორეველებს, ქანაანელებს, ფერიზელებს, ხიველებს, და იებუსელებს – შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხოვანსა და ძლიერს, ხელში ჩაგაგდებინებს და შენც დაარისხებ მათ, დაარისხე ისინი (= შეწირე უფალს, დ.ს.), არ შეკრა მათთან კავშირი და არც დაინდო!“ (2 რჯ. 7, 1-2). „შენ შთანთქავ ყველა ხალხს, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი!“ (2 რჯ. 6,16).

ხმობილი ფრაგმენტები ნათლად აჩვენებს ეპოქალურსა და მორალურ-ფსიქოლოგიურ პრინციპებს ღვთაებრივი სამართლიანობის ეროვნული კლასიკური გაგებისას, ამასთან უფლის რჩეული ერის ეროვნული კლასიკური გაგებისას. სამართლიანობის ამგვარი გაგებით არიან გამოსულნი ისრაელიანები ოთხასწლოვანი ეგვიპტური ტყვეობიდან. და უფალს, რომელმაც ისინი გამოიყვანა ეგვიპტური მონობის სახლიდან და დაასახლა აღთქმულ მიწაზე, თავისი ცხოვრების ოქროს ხანით, ისრაელიანები უგებენ გრანდიოზულსა და არქიტექტურული მშვენიერებით განთქმულ ტაძარს, „ტაძარს სოლომონისას“, ისრაელის ორი დიდი მეფისა, დავით წინასწარმეტყველისა და მისი ვაჟის, სოლომონ ბრძენისა და თავად უფლის, იაჰვეს წყალობით შექმნილს. მიუხედავად ამ დიდი გამარჯვებისა და თავისი არსებობის ოქროს ხანის შექმნის, ღმერთი ისრაელისა ვერ იხსნის ებრაელ ხალხს მეორე დიდი ტყვეობისაგან. სწორედ ამ მეორე ტყვეობის ისტორიას უკავშირდება ესთერის პიროვნება, როგორც განსახიერება ებრაული ეროვნული გმირული სულისა.

როგორც ბიბლიის მკვლევარები აღნიშნავენ, ესთერის წიგნში, ძველი წელთაღრიცხვის მე-5-ე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული სინამდვილეა ასახული და მიეკუთვნება იმ წიგნებს, რომლებიც გადმოსცემენ ებრაელი ხალხის ცხოვრებას მას შემდეგ, რაც ბაბილონელებმა დაარბიეს იერუსალიმი, დაანგრიეს სოლომონის ტაძარი, ტყვედ აიყვანეს მთელი

ებრაელი ხალხი, და წაასხეს ბაბილონში. ესთერის წიგნში გადმოცემულია პერიოდი, როცა ბაბილონის ტყვეობიდან ჯერ კიდევ არ არის იერუსალიმში დაბრუნებული ეზრა – ებრაელთა დიდი წინასწარმეტყველი და განმანათლებელი, როდესაც ბაბილონის ტყვეობიდან სპარსეთში არიან ისრაელიანები გახიზნულნი და ერთერთი ხიზანი ისრაელიანებისა, ლამაზი ტყვე ქალი, ესთერი, სპარსეთის უდიდესი სამეფოს დედოფალი ხდება.

ესთერი ტიპიური სახეა ებრაელი ქალისა. მას ერთერთი შესანიშნავი წინამორბედი ჰყავს ებრაელი ხალხის ეროვნული გმირი ქალის, იაყელის სახით, რომელიც ესთერთან ერთად უსათუოდ აჩვენებს დაუნდობლობის ძალას ებრაელი ქალისას.

აღთქმულ მიწაზე დაბინავებული ებრაელები სისხლისმღვრელი ომით უპირისპირდებიან აღთქმული მიწის ადგილობრივ მკვიდრებს – ქანაანელებს. ბრძოლაში ქანაანელები მარცხდებიან. ქანაანელთა სარდალი, სისარა, რომელსაც მთელი ეტლიონი გაუნადგურეს, ბრძოლის ველიდან გარბის და გეზს ებრაელი ქალის, იაყელის, ხებერ კენიელის ცოლის კარვისაკენ იღებს, რადგან ქანაანის მეფესა და იაყელის სახლეულობას შორის მშვიდობა ეგულება. ასე იყო ომამდე. სისარამ იცის, რომ ებრაელთა სარდალი, რომელმაც ეტლიონი გაუნადგურა, უკან დადევნებული მოსდევს... მაგრამ ქანაანელი სისარა მიაღწევს მახლობელი ებრაელების კარავს:

„გამოეგება იაყელი სისარას და უთხრა: – მობრძანდი, ბატონო, შემობრძანდი ჩემთან, შიში ნურაფრის გექნება – შეიყვანა კარავში და ხალქვეშ დამალა. უთხრა სისარამ: ცოტა წყალი მომიტანე და დამალევინე, რადგან მწყურია. გაუხსნა ქალმა რძით სავსე ტიკი, დაალევინა და ისევ წააფარა ხალი. უთხრა სისარამ: – კარვის კართან დადექი, თუ ვინმემ ჩამოიაროს და გკითხოს, ვინმე ხომ არ არისო, მანდ, მიუგე, არა-თქო. იაყელმა, ხებერის ცოლმა აიღო კარვის პალო, ხელში ურო დაიკავა, ფეხაკრეფით მიეპარა სისარას და ისე ჩაურჭო პალო საფეთქელში, რომ მიწას დააჭედა. მას კი (სისარას), დაღლილ-დაქანცულს ჩასძინებოდა და მოკვდა“ (მსაჯ. 4, 18-21).

იაყელის ხელით ქანაანელთა სარდლის – სისარას საშინელი განგმირვის ეპიზოდი ეროვნული ჰიმნის, ტრიუმფალური საგალობლის სიუჟეტი ხდება. ისრაელიანთა სახელგანთქმული მსაჯული-ქალი, წინასწარმეტყველი დებორა და ებრაელთა სარდალი ბარაკი, რომელსაც იაყელმა წაართვა სისარას განგმირვის ბედნიერება, ერთად აღავლენენ გალობას ებრაელთა ღმერთის, იაჰვესადმი:

„ისმინეთ, მეფენო, ყური მომაპყარით, მთავარნო: ეს მე ვარ, მე ვუგალობ უფალს, მე ვუმღერი უფალს, ისრაელის ღმერთს... კურთხეულ იყოს იაყელი, დიაცთა შორის, ხებერ კენიელის ცოლი! კარავში მცხოვრებ დიაცთა შორის კურთხეულ იყოს!..

წყალი მოსთხოვა და რძე მიართვა, სეფე თასით მიართვა მოუხდელი რძე.

მარცხენა ხელით პალოს დასწვდა, მარჯვენით უროს. მოუქნია სისარას, თავში დაჰკრა, გაუპო, საფეთქელი შეულეწა...

სარკმლიდან იყურება, კანკლედიდან გაჰკივის სისარას დედა: რატომ იგვიანებს მისი მხედრობა, რამ შეაფერხა სისარას ეტლის თვლები?!...“ (მსაჯ. 5, 3-5, 24-26, 5, 28).

ეს შემზარავი სიუჟეტი იაყელისა და სისარას „სტუმარ-მასპინძლობისა“, რომელსაც უმღერის ებრაელი ხალხი, ჩემს ხედვაში, პირდაპირ ალტერნატიულ ასოციაციას იწვევს ქართული ხალხური სიმღერის სახით შემონახულ ერთ ლეგენდარულ ამბავზე, რომელიც წმინდა ქართული და წმინდა ქრისტიანული ფსიქოლოგიისა და მორალის უჩვეულო გამოვლინებაა. და საერთოდ, ამ ლეგენდარული ამბით, ალბათ, დაბეჯითებით შეიძლება ისიც ითქვას, რომ რაც წმინდა ქართულია, წმინდა ქრისტიანულიც არის. მხედველობაში გვაქვს მოხეურ ფოლკლორში სიმღერად შემონახული ლექსი, ხევში სახელგანთქმული და-ძმისა: ში-

ოლა ლუდუშაურისა და მისი დის. შიოლა მოკლეს და მკვლელს შურისმაძიებლები დაედევნენ. მახლობელ სოფელში თავშესაფრის მაძიებელი მკვლელი უცნობის სახლში შევარდება და თავშესაფარს სთხოვს მასპინძელ ქალს, რომელიც, ალმოჩნდება, რომ მოკლულის დაა. ქალი ძმისმკვლელს ვეღარ გაწირავს, რადგან მან უკვე შეაფარა თავი მოკლულის დის ჭერქვეშ და ღვთისგან თუ ბედისწერის ქარტეხილისგან სტუმარ-მასპინძლის რეალობა შექმნა. შიოლას დაი ახლა უკვე მასპინძელია და ღვთისა და საკუთარი ჭერის ღირსება უნდა დაიცვას პირველ რიგში. იგი მანდილს დააგებს კარის ზღურბლზე, რითაც თავისიანებს შურისძიებას აუკრძალავს. და როცა შურისმაძიებლები, მის კართან შემდრკალნი, იძულებული გახდებიან, უკან დაიხიონ, შორიდან ნასროლი ისრით, ფანჯრიდან შეაღწევენ ჭერქვეშ და მოკლავენ მკვლელს. შეურაცხოფილი შიოლა ლუდუშაურის დაი ახლა უკვე ორმაგად არის ჭირისუფალი და მგლოვიარე. და როგორც შეურაცხოფილი თავისიანთაგან იგი უარს იტყვის ძმის დატირებაზე მათთან ერთად: არ წავა სატირალში, მარტოკა დაიტირებს და მარტო იგლოვს... მდინარის პირას... სტუმარსაც და ძმასაც. იაყელისა და შიოლას დის, ამ ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ქალის ფსიქოლოგიითა და მორალით, ორი სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიისა და მორალის ხალხები იხატებიან ჩვენს თვალწინ. საქმე გვაქვს ორ სრულიად განსხვავებულ, ორ სრულიად ურთიერთალტერნატიულ ეროვნულ ფენომენთან, რომელთაც თავთავიანთი მორალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები გააჩნიათ: ფსიქოლოგია და მორალი დაუნდობლობისა და ფსიქოლოგია და მორალი დანდობისა და მტრის სიყვარულის.

ბიბლიური გმირი ქალის, იაყელის ფსიქოლოგიური და მორალური განგრძობაა ახალი ბიბლიური გმირი ქალი, ესთერი, რომელიც სპარსეთის მეფის ცთუნებით სპარსეთის დედოფალი ხდება. თუმცა ამ მაცთუნებელი სიცრუით ის მარტო არ არის. ის სასახლეში შეგზავნილი დედოფალია იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში დაიცვას ებრაელთა ინტერესები სპარსეთში. შემგზავნი არის ესთერის ბიძაშვილი, სახელად მარდუქაი, რომელიც მუდმივი კონსულტანტია ესთერისა. საქმე გვაქვს მაცთუნებლობის მთელ მექანიზმთან, „ანკესის ტექნოლოგიასთან", რომელიც ორი პიროვნებისაგან შედგება: მარდოქაისა და ესთერისაგან...

სპარსეთის უზარმაზარი სამეფოს მმართველი იყო მეფე ახაშვეროში.ინდოეთიდან ქუშამდე იყო გადაჭიმული მისი სამფლობელო, 127 პროვინციისაგან შემდგარი. თავისი მეფობის მესამე წელს, მეფე ახაშვეროშმა დიდი ნადიმი გადიხადა, მოიწვია თავისი მთავრები, სპარსელთა და მიდიელთა სარდლები, მორჩილნი და მხარეთა განმგებელნი. შვიდ დღეს მიდიოდა ნადიმი სასახლის ბაღში. თავი მოიწონა მეფემ თავისი სამეფოს სიმდიდრითა და ბრწყინვალებით: „მრავალფერი ქსოვილები ეკიდა ბისონისა და ძოწის ძაფებით ვერცხლის რგოლებზე და მარმარილოს სვეტებზე. ოქროსა და ვერცხლის საწოლები იდგა ალებასტრით, მარმარილოთი, სადაფითა და შავი მარმარილოთი მოფენილ იატაკზე. სასმელს ოქროს სასმისებით სვამდნენ, მრავალფერი სასმისებით. უხვად იყო სამეფო ღვინო, მეფეთა საკადრისი. **ვაშთი დედოფალმაც** გადაიხადა ლხინი ბანოვანთათვის მეფე ახაშვეროშის ერთერთ სასახლეში. მეშვიდე დღეს მეფემ თავისი ულამაზესი დედოფლის მშვენიერებით თავმოწონება მოიწადინა და შვიდი მომსახურე საჭურისი გაგზავნა ვაშთი დედოფლის მოსაყვანად... დედოფალმა ბრძანება იუკადრისა და უარი შეუთვალა მეფეს. **ვაშთი დედოფალმა** დედოფლობა დაკარგა. მეფის მხლებლები მეფის დავალებით ახალი დედოფლის კანდიდატურის ძებნას შეუდგნენ.

მარდოქაის მცდელობითა და დარიგებებით ესთერმა, დამალა რა თავისი ებრაელობა,

ვაშთი დედოფლის ადგილი დაიკავა. მარდოქაის სამსახურად კი იქცა დღენიადაგ დგომა სპარსეთის მეფის სასახლის კარიბჭესთან, ინფორმაციის მოკრება და შეგზავნა მეფესთან შესატანად ესთერის გზით. იუდეველმა მარდოქაიმ, რომელიც წარმომავლობით ბენიამინის შტოდან იყო და ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იუდას მეფესთან, იექონიასთან ერთად იყო ბაბილონში გადასახლებული, სპარსეთში გადმოხიზნებით, სასახლის კარიბჭესთან დღენიადაგ დგომით, სპარსეთის მეფის მთავარი ინფორმატორის ადგილი მოიპოვა. სასახლეში არავინ არ იცის, რომ ესთერი იუდეველია. მარდოქაიმ კი, სასახლის კარიბჭესთან, აფიშირება მოახდინა თავისი იუდევლობის, რითაც უფრო მეტად შენიღბა ესთერის ვინაობა. და იმ დროს, როდესაც მეფე ახაშვეროშმა ყველა მთავარს შორის გამოარჩია და როგორც ყველაზე ერთგულსა და ღირსეულს, ჰამანს, „დაუდგა სავარძელი ყველა მთავარზე მაღლა, ვინც კი ჰყავდა“, სასახლის კარიბჭესთან, მარდოქაი შეუდგა ჰამანისადმი უპატივცემულობის საგანგებო გამოცხადების დემონსტრაციას და ჰამანს იუდეველთადმი სიძულვილი ხელოვნურად მოახვია თავს. ნელნელა ესთერის გზით მარდოქაიმ შესძლო განხეთქილების ჩამოგდება სპარსეთის მეფესა და მის რჩეულ მთავარს შორის და ბოლოს და ბოლოს იქამდე გამოათაყვანა მეფე ახაშვეროში ესთერის გზით, რომ ეს ყველაზე რჩეული და ერთგული ჰამანი, სახრჩობელაზე ჩამოაკიდებინა. სახრჩობელაზე ჩამოაკიდებინა მერე ჰამანის ათი ვაჟი, ხოლო ისტორიული სტატისტიკით, გარდა ამ განწირული მთავრის ოჯახისა, მეფე ახაშვეროშს, ესთერის წინადადებით, სპარსთის მეფის ერთგული კიდევ 70 000 (სამოცდაათი ათასი) კაცისთვის მიუსჯია სიკვდილი... ეს კი უკვე ისეთი რიცხვია, რომელიც ესთერს, ებრაელთა ბიბლიური გმირი ქალის, იაყელის მორალურ მემკვიდრეს, ნებისმიერ დროს აპოვნინებდა კარვის პალოსაც და უროსაც, თუ კი ეს თავისი ხალხისათვის დასჭირდებოდა, თავად მეფე ახაშვეროშის საფეთქელზე დასამიზნებლად და მისი გამოთაყვანებული თავის მიწაზე დასაჭედად. ესთერის ბიბლიური წიგნით, ჰამანის ჩამოხრჩობის შემდეგ, ესთერის თხოვნით, სპარსეთის მეფე ახაშვეროშმა სპარსეთში შეხიზნული ყველა ებრაელის ხელშეუხებლობა ბრძანა, ხოლო სახრჩობელამისჯილი ჰამანის სავარძელზე, რომელიც მან, სპარსეთის მეფემ თავის ყველაზე ერთგულ კაცს, ჰამანს დაუდგა, „ყველა მთავარზე მაღლა, ვინც კი ჰყავდა“, უკვე მარდოქაი დასვა.

მარდოქაი-ესთერის ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ სპარსეთის ამ უდიდესი სამეფოს მმართველს, მისი მთავარი საყრდენის, ჰამანის ჩამოცილებით, შეუქმნა ახალი საყრდენი მარდოქაის სახით, რომლითაც სპარსეთის მეფე მთლიანად დამოკიდებული გახადა სასახლის კარიბჭესთან მდგომ მარდოქაიზე და ბაბილონიდან შემოხიზნული ებრაული ეროვნული უმცირესობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაზე... კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენოთ:

ერთერთი ქართველი ებრაელი, ცნობილი პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ებრაელების ისტორიულ დამსახურებად გადმოგვცემს თამარ მეფის დაქორწინებას გიორგი რუსზე, დამსახურებად იმ ქართველი ებრაელებისას, რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე დაწინაურებულნი იყვნენ და შესაძლებლობა ჰქონდათ გავლენა მოეხდინათ სამეფო კარის ცხოვრებაზე... ჩვენს მიერ ბიბლიური „ესთერის წიგნისა“ და ესთერისა და მარდოქაის პიროვნული ფენომენების გადმოცემის შემდეგ, ნათლად წარმოსადგენი ხდება, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო მეფე **თამარი**, რომ უწესო გიორგი რუსიც აელაგმა და ყოველგვარი მცდელობანიც მისი ძალაუფლების შეზღუდვისა ებრაული წარმომავლობის მოხელეთაგან, აელაგმა ყოველგვარი სახრჩობელების გარეშე, უმაღლესი ადამიანური ზნეობითა და სათნოებით.

ებრაელმა ხალხმა ესთერის, როგორც ეროვნული გმირის უკვდავსაყოფად მისი ხსენების დღესასწაული დააწესა „პურიმის“ („წილისყრის დღე“) სახელწოდებით, რომელსაც ებრაელები დღემდე დღესასწაულობენ. დღეისათვის მსოფლიო მეცნიერებისათვის კარგად არის ცნობილი რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში ებრაელ მასონთა დიდი მონაწილეობით იქნა მომზადებული. – „კაპიტალიზმშიცა და სოციალიზმშიც წამყვან ძალას წარმოადგენენ ებრაელები“ – წერს ჯორჯ სოროსი თავის ფუნდამენტალურ წერილში: „ეროვნული დიქტატურები ღია სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ“. დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ გაცნობიერებულია, რომ ჩვენი დღევანდელი მსოფლიოს ცივილურ ისტორიაში რევოლუციებს ებრაელები მართავენ, მაგრამ ცხოვრება ამ რევოლუციებს თავის საკუთარ სახეს აძლევს და ებრაული გონი, მსოფლიო მმართველობაზე მეოცნებე, იძულებული ხდება ჩვენი ცივილიზაციის მთელ მანძილზე უწყვეტი მონიტორინგით იყოს მიმართული მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე და უწყვეტი სულისკვეთებით ეწეოდეს კაცობრიული ცნობიერების ინტეგრაციას, ან ღიად ან ფარულად, ებრაულ ღირებულებებზე. ცხოვრებამ და ისტორიამ იგი, ებრაული გონი გამოაწრთო შენიღბული არსებობისათვის. მან შეიმუშავა უნარი მშვიდობიანად შეფუთოს თავისი სხეულებრივი ყოფიერება სხვა ქვეყნის სხეულებრივ ყოფიერებაში, თავისი სულიერი ინდივიდუალობა – სხვა ხალხის სულიერ ინდივიდუალობაში, თავისი რელიგიური ინდივიდუალობა – სხვა რელიგიების სამოსში, და რაც მთავარია: შეფუთოს თავისი ურყევი ანტიქრისტიანული სულისკვეთება – ქრისტიანულ სამოსში, ანტიქრისტე – ქრისტეში! ამ მეთოდით მას ვირტუოზულად შეუძლია ამათუიმ ქვეყნის გარდაქმნისა და განვითარების იდეაში შეფუთოს იდეა ამ ქვეყნის დაშლისა და განადგურების. **შემთხვევითი არ იყო, რომ მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, ებრაელთა ქრისტიანული ნათლობა აკრძალა...** როდესაც კოპენჰაგენში, ქალთა საერთაშორისო დღე ლენინის მეგობარი ქალის, კლარა ცეტკინის ინიციატივით დაწესდა, შემთხვევითი არ იყო რომ იგი, ქალთა საერთაშორისო დღე, პურიმის დღესასწაულის პირველი აღნიშვნის დღეზე თანხვედრილი აღმოჩნდა. ესთერისა და იაყელის გენეტიკური წარმომავლობის ქალბატონმა თავისი ქვეყნისა და თავისი წინაპრებისადმი სიყვარულით, ისიც შესძლო, რომ პურიმის იდეა, დროისა და ეპოქის შესაბამის ახალ იდეაში, ქალთა საერთაშორისო დღის იდეაში შეეფუთა და მსოფლიოს ქალები პურიმის დღესასწაულზე ეხმო. მილიონობით ქალს ამ დღეს მილიონობით მამაკაცი ულოცავს, მაგრამ გაცნობიერებული არა აქვს, რომ ამ დღესასწაულით იგი ებრაული პურიმის დღესასწაულსაც უერთდება. ასე მოახვია ჩვენმა თანამედროვე მსოფლიომ დღეს თამარ მეფის ქვეყანას თავისი საკუთარი გაგების პრიორიტეტები, მოახვია ისევე, როგორც იდეა ესთერისა, რომელიც თამარ მეფის ფრჩხილადაც არა ღირს.

### ებრაელთა მსოფლიო ბატონობის ბიბლიური საწყისებისა, მსოფლიო დევნისა და ებრაელთა მიერ მსოფლიოზე შურისძიების შესახებ

თავის დროზე, ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნეში, დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ებრაელთა დევნის მიზეზი **პლანეტის** ყველა კონტინენტზე და ყველა ქვეყანაში, აღმოჩნდა არა მათი ფანატიკური რწმენა და წარმოდგენა თავიანთ რჩეულობაზე, არა მათი რელიგიური ფანატიზმი, არამედ მათი უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკა, მიმართული მსოფლიო კაპიტალის ხელში ჩაგდებისაკენ და ამ გზით პოლიტიკური გავლენის მოპოვებისაკენ ყველა ქვეყანაში (იხ. ილია ჭავჭავაძის წერილი „ებრაელთა შესახებ“).

ილია ჭავჭავაძისეულ ინფორმაციაში, რომელშიც ებრაელი ხალხის ცხოვრების გზისა და მიზანდასახულობის შეფასება ევროპული ფორმულირების შთაბეჭდილებას ტოვებს, არაფერი ახალი და დაუჯერებელი არ არის. პირიქით. ეს არის ყველაზე მარტივი გადმოცემა ებრაელი ხალხის წმინდა წიგნით ნაანდერძევი იდეალისა, რომლისაგან გადახვევის უფლება ებრაელ ხალხს არცა აქვს. ეს მისი სჯულიდან, მისი კანონიკური მიზანსწრაფვიდან გამომდინარე სულისკვეთებაა, რომელსაც თავისი საუკუნეებგავლილი შედეგი და სადღეისო სახეობა აქვს სიონისტური მოძრაობის სახით.

უფალი, ღმერთი ისრაელისა ასე ელაპარაკება თავის ხალხს მოსე წინასწარმეტყველის პირით ეგვიპტიდან გამოყვანისა და აღთქმულ მიწაზე შეყვანის წინ:

„...უფლის, შენი ღმერთის წმინდა ერი ხარ, შენ აგირჩია უფალმა, რომ ჰყოლოდი საკუთარ ერად ყველა ხალხს შორის დედამიწის ზურგზე... (2 რჯ. 14, 2) ...არა ჭამოთ არავითარი ლეში. შენს სახლში მცხოვრებ მდგმურს მიეცი იგი, მან შჭამოს, ან უცხოელს მიჰყიდე, რადგან უფლის, თქვენი ღმერთის წმინდა ერი ხართ თქვენ (2 რჯ. 14,21) – ასე მიმართავს და ასე გადასცემს უფლის სიტყვებს თავის მშობლიურ ებრაელ ხალხს მისი წინამძღოლი და ებრაელი ხალხის ყველაზე დიდი წინასწარმეტყველი, მოსე, აღთქმულ ქვეყანაში შესვლის წინ: ებრაელმა არ უნდა შეჭამოს გაუწმინდურებული ხორცი, იმიტომ რომ ის წმინდა ერია, სხვამ – შეიძლება. ასეა გამოხატული ევროპული “ცისფერსისხლიანობის“ ებრაულ-იუდეური პოზიცია ბიბლიაში.

„– გაკურთხებს უფალი, შენი ღმერთი, როგორც ნათქვამი აქვს შენთვის: ბევრ ხალხს ექნება შენი ვალი, შენ კი არ ისესხებ; ბევრ ხალხზე იბატონებ, შენზე კი – არავინ იბატონებს“ (2 რჯ. 15, 6)...

როგორც ვხედავთ, ფულის გასესხება სხვაზე გაბატონების ბიბლიური, ანუ ძველი აღთქმისეული, საკუთრივ ებრაული გზაა. და შემთხვევითი არ არის რომ თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მამოძრავებელი ძალა სწორედ ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკაა და ამ თვალსაზრისით სიონისტური მოძრაობა კლასიკურ იუდაისტურ პრინციპებზე დგას, საკუთარ რელიგიურ ცნობიერებაზე და კანონებზე.

„– როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის გამო ეფიცებოდა აბრაამს, ისაკს და იაკობს, რომ შენ მოგცემდა დიდი და მშვენიერი ქალაქებითურთ, რომლებიც შენ არ აგიშენებია, ყოველნაირი დოვლათით ავსებული სახლებითურთ, რომლებიც შენ არ აგივსია, ამოთხრილი ჭებითურთ, რომლებიც შენ არ ამოგითხრია, ვენახებითა და ზეთისხილის ბაღებით, რომლებიც შენ არ გაგიშენებია, და შენც შეჭამ და გაძღები, ფრთხილად იყავი, რომ არ დაგავიწყდეს უფალი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან.... რადგან **შურისმაძიებელი ღმერთია თქვენში უფალი**...“ (2 რჯ. 6, 10-15).

„როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ და **მოგაშორებს** მრავალრიცხოვან ხალხებს – **ხეთელებს**, გირგაშელებს, ამორეველებს, ქანაანელებს, ფერიზელებს, ხივიელებს, და იებუსელებს – შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხოვანსა და ძლიერს, ხელში ჩაგაგდებინებს და შენც დაამარცხებ მათ, დაარისხე ისინი (= შესაწირავ მსხვერპლად აქციე! დ.ს.), არ შეკრა მათთან კავშირი და არც დაინდო. არ დაუმოყვრდე... ...დაუნგრიეთ მათ სამსხვერპლოები, დაულეწეთ სვეტები, გაუჩეხეთ ხემხვივანები, და ცეცხლში დაწვით მათი კერპები (2 რჯ. 7, 1-5)... **იცოდე, რომ შენი სიმართლის გამო არ გაძლევს უფალი, შენი ღმერთი ამ მადლიან მიწას დასამკვიდრებლად**... (2 რჯ. 9, 6), **სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი...** (2 რჯ. 11, 9)...

„როცა გაწყვეტს უფალი, შენი ღმერთი, ხალხებს, რომელთა ქვეყანას შენ გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, განდევნი მათ და და-

სახლდები მათ ქალაქებსა და სახლებში... (2 რჯ. 19, 1)... წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, **შენი წიაღიდან, შენი მოძმეებიდან** დაგიდგენს უფალი, შენი ღმერთი, მას უსმინე (2 რჯ. 18, 15)...

დაისვი მეფედ ის კაცი, ვისაც უფალი, შენი ღმერთი ამოირჩევს, შენი მოძმეების წრიდან დაისვი მეფე. უფლება არა გაქვს დაისვა უცხო კაცი, რომელიც არ არის შენი მოძმე..." (2 რჯ. 17, 15)...

..................................

„ყველა ხალხი, რომელიც დარჩა ამორეველთაგან, ხეთელთაგან, ფერიზეველთაგან, ხიველთაგან და იებუსეველთაგან, რომელიც არ იყო ისრაელიანთა მოდგმისა, მათი შთამომავლები, მათს შემდეგ რომ დარჩნენ ქვეყანაში, და არ გაუწყვეტიათ ისრაელიანებს, ბეგარაზე მომუშავეებად განაწესა სოლომონმა და ასე არიან დღემდე. ისრაელიანთაგან არავისთვის დაუკისრებია ბეგარა, რადგან მეომრებად ჰყავდა ისინი(სოლომონს), თავის მორჩილებად, მეთაურებად და სარდლებად, თავისი ეტლებისა და მხედრობის მეთაურებად" (4 მეფ. 9, 20-22).

არ იფიქროს მკითხველმა, რომ ჩვენს მიერ ბიბლიიდან მოხმობილი ციტატების ქართულ თარგმანში რაიმე უზუსტობაა დაშვებული და ებრაელთა ღმერთის, იაჰვეს, იგივ იელოვას მეტყველების ჩვენეულ გადმოცემაში რაიმე მორალური ტონალობაა დარღვეული. ის, რაც წარმოუდგენელია ჩვენი მორალისათვის, სრულიად ჩვეულებრივი ამბავია „წმინდა წერილის" ღმერთისათვის, იმ მამა ღმერთისათვის, ვისთვისაც ებრაელი ერი მისი საკუთარი რჩეული ერია. ებრაელთათვის, როგორც რჩეული ერისათვის იმ ხალხების გაჟლეტა, მარტო იმიტომ რომ ისინი ებრაელები არ არიან და სხვა რწმენა აქვთ, მათივე უფლისაგან არის დაშვებულიც და ნაკურთხიც. ეს უფლება არც დაფარულია და არც გასაიდუმლოებული. ეს ყველაფერი ჩვენს მიერ მოხმობილ ციტატებში პირდაპირ და მკაფიოდ არის გაცხადებული.

ჩვენ შეგნებულად და საგანგებოდ მოვიყვანეთ ეს ვრცელი ამონარიდი ებრაელი ხალხის წმინდა წერილიდან. ეს ღმერთი, რომელიც ამ ზემოთხმობილ ციტატებში ელაპარაკება თავის ხალხს, ეს არის ღმერთი აბრაამისაც, ისააკისაც, იაკობისაც, მოსესიც, დავით წინასწარმეტყველისაც და დღევანდელი სიონისტური მოძრაობისაც. აქ არის გამოხატული ებრაელი ხალხის ეროვნული, სიღრმისეული და არსობრივი ფსიქოლოგია, თანდაყოლილი და ბუნებრივი, ეს არის ეროვნული მორალური პრინციპები მომთაბარე თემთაგან შობილი ებრაელი ხალხისა. წარმოვიდგინოთ რა შორს არის ერთმანეთისაგან: ქრისტეს მოძღვრება მოყვასის სიყვარულისა და აქ ხმობილ ციტატებში ასახული ყველა ხალხზე გაბატონების ის მოწოდება, რომელიც ამ ტიპიური ფრაგმენტების იუდაისტურ სულისკვეთებაშია გამოხატული?! აქ ყოველგვარ სამართლიანობაზე წინა დგას ღმერთი ისრაელისა და ღვთისაგან მინიჭებული უფლებამოსილება ებრაელი ერისა ყველა დანარჩენ ხალხზე აღმატებისა და ბატონობის. უფრო მეტი: ჩვენს მიერ ხმობილ ფრაგმენტებში ასახულია ებრაელი ერის, როგორც რჩეული ერის საკუთარი და გამორჩეული უფლებამოსილება, ბოძებული თავად უფლისაგან, თავად უფლის შეწევნით, უპრობლემოდ ამოჟლიტოს ყველა დანარჩენი ხალხი, თუ ამას ებრაელი ერის ინტერესები ითხოვს. ცხადია, ისმის კითხვა: სად მიდის ამ დროს თავად უფლისაგან ნაკარნახევი ერთერთი მთავარი მცნება მოსესი: „არა კაც ჰკლა!" რომელიც ზემოთ ხმობილი ეპიზოდის შემთხვევაში უპასუხოდ რჩება...

პირველი, ზემოთ ჩამონათვალი შვიდი დიდი ხალხიდან, რომლებიც აღთქმული მიწის წინარე, ანუ მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს, და რომლებიც ღვთის კურთხევით ებრაელებს უნდა ამოეჟლიტათ, თავიანთი ღმერთის უშუალო პროცესუალური თანხლებითა და თანადგომით, ე.წ. „აღთქმული მიწის" დასასაკუთრებლად, **ხეთები**, ყოველგვარი მეც-

ნიერული დავის გარეშე, ისტორიოგრაფიული სიცხადით, ჩვენი, ქართველთა მოდგმის წინაპარ ხალხად აღიარებული მოსახლეობაა.

„უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, **ხეთურ-იბერული** გვარტომობის, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს ვრცელი მიწაწყალი ეჭირათ წინა აზიაში... – ვკითხულობთ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში – ეფრატისა და ტიგროსის აუზთა ქვემო ნაწილში **სუმერებმა** ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულში განავითარეს საქალაქო ცხოვრება, საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს და გამოიგონეს **მსოფლიოში** უძველესი დამწერლობა – ჯერ იეროგლიფური, ხოლო შემდეგ ლურსმული...

წინა აზიის მოსახლეობის სიმდიდრე ძველი დროიდანვე იზიდავდა უცხოელ ველურ ტომებს. **ამ მეჯოგე ტომების შემოსევების წყალობით თანდათან შეიზღუდა მკვიდრი, ძველი მოსახლეობის სამფლობელო**. მეორე ათასწლეულის დამდეგს, ძვ.წ.-ით, წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ **ხეთები და სუბარები. ხეთები და სუბარები ქართველების წინაპრები არიან**... ხანგრძლივ ბრძოლას ეგვიპტე-ხეთას შორის მსოფლიო პირველობისათვის ბოლო მოუღო ხეთის მეფემ ხატუშილ მესამემ, რომელმაც 1278 (ძვ. წ.ა.) წელს ფარაონთან ხელშეკრულება დასდო სამუდამო მეგობრობის შესახებ. ეს შესანიშნავი დოკუმენტი მოღწეულია ჩვენამდე და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელ ძეგლად ითვლება“ (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვი;ლი, ს. ჯანაშია „საქართველოს ისტორია“, მესამე გამოცემა, საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი,1948 წ.).

ეს ვრცელი ფრაგმენტი მოვიხმეთ „საქართველოს ისტორიის“ იმ სახელმძღვანელო წიგნიდან, რომელიც საქართველოს ისტორიის უდიდეს მცოდნეთა მიერ არის შექმნილი: **ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის** მიერ. აღსანიშნავია, რომ ეს სახელმძღვანელო, გამოცემული 1943 წელს, როგორც ამას ცნობილი ისტორიკოსი, **ზურაბ რატიანი** ამხელს, **დარბევის საგანი** გახდა **სტალინის გარდაცვალების შემდეგ და მისი ფურცლებიდან სწორედ ის ნაწილი იქნა ამოჭრილი, რომელიც საქართველოს უძველეს ისტორიას გადმოგვცემდა, სულ მცირე, ქრისტესწინარე სამი ათასეული წლის ხანგრძლივობის ისტორიას**. როგორც ვხედავთ, ამ სამი ათასწლეულის საზღვრებშია მოქცეული ებრაელთა მომთაბარე-მეჯოგე ტომების მიერ ხეთური მოსახლეობის ამოხოცვის ლოცვა-კურთხევაც ებრაელთა ღმერთის მიერ: ხეთების, ქართველთა უშუალო წინაპრების.

მაგრამ, დავუშვათ და ხეთები საკუთრივ ჩვენი წინაპრები არ არიან! ვიღაცის წინაპრები ხომ არიან? ხოლო თუ ისე ამოწყვიტეს ეს მშვიდი ხალხი ებრაელებმა, რომ იმათი წვეთი და მისხალიც აღარ დარჩა, საინტრესოა, ეს დიდი ღირსება და მადლია ებრაელი ერისა, სამუდამო ცოდვა, თუ რაღაც სხვა რამ, რომელსაც შეფასება ესაჭიროება, როგორც წმინდა წიგნის მონათხრობს. თუ ძალიან არ გამოვითაყვანებთ თავს და ნორმალური ადამიანური აზროვნებით აღვიქვამთ მოხმობილ ისტორიას აღთქმული ქვეყნის მიღებისას, ხომ უნდა დავსვათ კითხვა: „ის მიწა, რომელმაც შვიდი უცოდველი ხალხის სისხლი შეიშრო, როგორღა არის წმინდა მიწა და ის ხალხი, რომელმაც თავისზე დიდი, საკუთარ მიწა-წყალზე თავისი შრომით მაცხოვრებელი მკვიდრი ხალხები ამოწყვიტა, მარტო იმიტომ რომ ისინი სხვა ეროვნებისანი და სხვა რწმენისანი იყვნენ, როგორღა არიან ღვთის რჩეული ხალხი? ვინ არის მაშინ მათი ღმერთი, ან როგორ, კაცობრიობის რომელი კრიტერიუმებით არის მიჩნეული მათი ეროვნული ბიოგრაფია წმინდა წერილად? და კაცობრიობის წმინდა წიგნად? და რამხელა კოსმიური გამოწვევაა ამ ფონზე იესო ქრისტე, როგორც განკაცება ჭეშმარიტი ღმერთის!.. ამასთან ებრაელი ერის ცოდვათაგან განწმენდისა, გაკეთილშობილებისა და გადარჩენისათვის! როგორც პავლე მოციქული

იტყოდა: ჯერ ებრაელი ერისა და შემდეგ მთელი კაცობრიობის.

„მოსეს წიგნების შესწავლის დროს მე ისრაელის საიდუმლოება ამოვხსენი“ – წერს გრიგოლ რობაქიძე 1952 წელს, ბუნებრივია, მეორე მსოფლიო ომის შედეგების განწყობით და ხუთწიგნეულის ცალკეულ ეპიზოდებთან დაკავშირებით შეშფოთებაში მოსული. ეს მე-20 საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, გერმანიასა და შვეიცარიაში მცხოვრები დიდი ქომაგი ებრაელი ერისა, და მღელვარე გაურკვევლობაში ჩავარდნილი, წამოყვირების ფორმით ეტყვის თავის პირად წერილში მე-20 საუკუნის დიდ ბერძენ მოაზროვნესა და მწერალს – ნიკოს კაზანძაკისს: მოსეს ხუთწიგნეულის პირველი წიგნი – „შესაქმე“ „გაკვრით“ არის წაკითხული!“ და ქართველი კაცისთვის გამაოგნებელი ებრაული ცხოვრების წესთა წარმოჩენით, მთელი ხუთწიგნეულის ამოსავალ წერტილად ციფორას ამოუხსნელ ეპიზოდზე შეაჩერებს ყურადღებას. ჩვენი პრობლემების ფონზე, ღირს ამ ეპიზოდთან შეჩერება ორიოდ სიტყვით მაინც:

მიიღო რა გამოცხადება უფლისა ხორების მთაზე, წინასწარმეტყველმა მოსემ, რომ თავისი ხალხი გამოიყვანოს ეგვიპტელთა ტყვეობიდან, თავისი ცოლ-შვილით გაემართა იგი მიდიელთა ქვეყნიდან ეგვიპტისაკენ. „გზაზე, ღამეს რომ ათევდნენ, დაუხვდა მას უფალი და მოკვლა დაუპირა“ (გამ. 4, 24).

„საგიჟეთში ვართ? – კითხულობს გრიგოლ რობაქიძე – დავალების მიმცემს დავალების აღმსრულებლის მოკვდინება სურს?! ვინ ამოხსნა ეს?“ (გვ. 91).

ის, რაც საგიჟეთი შეიძლება იყოს მავანისათვის, არც მოსე წინასწარმეტყველისათვის და არც მისი ცოლისთვის, ციფორასათვის, როგორც ცხადი გახდება, საგიჟეთი არ არის. მოსემაც და ციფორამაც ზუსტად იციან, რატომ უპირებს უფალი მოსეს მოკვლას. სანამ თავს დაესხმის უფალი მოსეს, მიდიელთა ქვეყნიდან მიმავალს ეგვიპტისაკენ, გააფრთხილებს კიდეც მოსეს: „უთხარი ფარაონს, ასე ამბობს-თქო უფალი: ჩემი პირმშო შვილია ისრაელი. გეუბნება, გაუშვი, რათა თაყვანი მცეს. თუ არ გაუშვებ, მოგიკლავ შვილს, შენს პირმშოს“ (გამ.: 4, 22-23). აქ სამართლებრივი ლოგიკა ისრაელიანთა ღმერთისა დაცულია:თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ქვეტექსტიც ნათელია: თუ არ განახორციელებს ისრაელი თავისი მფარველი ღმერთის მსახურებას, სულიერად მოკვდება და მკვლელი ფარაონი იქნება, რომელიც აბრკოლებს კავშირს ისრაელსა და იაჰვეს შორის. ამიტომ ის დაისჯება იაჰვესავე მიერ კანონიერი სასჯელით: თუ ფარაონი უფალს სულიერად მოუკლავს პირმშო შვილს, ანუ ისრაელს, უფალიც მოუკლავს ფარაონს მის პირმშოს.

გავიხსენოთ აღთქმა უფლისა აბრაამისათვის მიცემული: „ეს მე ვარ, და აჰა, ჩემი აღთქმაც: უამრავ ხალხთა მამა შეიქმნები!... მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი **მდგმურობის** ქვეყანას, ქანაანის მთელს ქვეყანას სამარადისო საკუთრებად და თქვენი ღმერთი ვიქნები, ოღონდ დაიცავით ჩემი აღთქმა შენ და შენმა შთამომავლობამ, თაობიდან თაობამდე... რვა დღისამ დაიცვითოს თქვენში ყოველმა მამაკაცმა... „წინადაუცვეთელი მამაკაცი, რომელსაც არ დაუცვითავს ჩუჩა მერვე დღეს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან, რადგან დაარღვია ჩემი აღთქმა“ (დაბ.: 17, 4-9-14).

როდესაც მოსე მიდიელთა ქვეყნიდან ცოლშვილიანად ეგვიპტისაკენ მიდის და ღამის თევის დროს იაჰვე ესხმის თავს, იმ წამსვე ირკვევა ციფორას საქციელით, რატომაც ესხმის მათ თავს თავად ის უფალი, რომელიც მას, მოსეს, ისრაელის, მისი, ანუ უფლის წინადაცვეთილი პირმშოს გამოყვანას ავალებს ეგვიპტური ტყვეობიდან. ეს ელვის სისწრაფით ხდება. მოსეს ცოლი მიდიელი მღვდლის შვილია,, რომელიც მოსემ ეგვიპტიდან გადახვეწილმა და მალვაში მყოფმა შეირთო. მოსეს და ციფორას მიდიაში არა აქვთ აღსრულებული ის წესი, რომელიც ისრაელიანთა კანონით ევალებოდა

მოსეს. წინადაუცვეთელი შვილით, თავისი უფლის წინაშე, თავისი ხალხის გამოსახსნელად მიმავალი მოსე, თავისივე ხალხის საღმრთო სჯულით, თავის შვილიანად ირაცხებოდა სჯულის დამრღვევად და განკვეთილად თავისი ხალხისგან. ეს მოსემაც იცის და ციფორამაც. უფლისაგან მიღებული დავალების აღსასრულებლად მიმავალი უფლის მფარველობაში ვერ იქნება, თუ წინადაუცვეთლი შვილით უფლის აღთქმა აქვს დარღვეული და მითუმეტეს ვერც იმ დავალების შემსრულებელი ვერ იქნება, რომელიც ხორების მთაზე მიიღო გამოცხადებით უფლისაგან. ამიტომ უფალი თავს ესხმის მოსეს და იმ სასჯელით ემუქრება, რომელიც ამ დანაშაულისთვის არის მისგან დაკანონებული. აღიქვამს თუ არა უფლის თავდასხმას მოსეზე, ციფორა სტაცებს ხელს წვეტიან ქვას, კაჟს, ჩუჩას წააჭრის შვილს, ფეხებთან მიუგდებს მოსეს და უფალიც გაეცლება მას: ეტყვის ციფორა მოსეს: „...სისხლის სიძე ხარ ჩემი... სისხლის სიძე წინდაცვეთითო“ (გამ.: 4, 25-26). აქ უფალი დაუნდობელი ნადირივით არის მოვარდნილი, რომელსაც სისხლის სუნი სცემს და სისხლი სწყურია, მაგრამ ძალა ამ ორივე მხარისა დაუნდობლის მორჩილებაშია. ერთი საინტერესო პარალელი ასოცირდება მეფეთა წიგნებიდან ციფორას ამ ეპიზოდთან. მოგეხსენებათ, მეფენი, ძველთა ძველი გაგებით ნაცვალნი არიან უფლისა თავთავიანთ ქვეყნებში. ისრაელის პირველი მეფე, საული, დავითს, მომავალ მეფესა და წინასწარმეტყველს, დაახლოვებისა და მახეში გაბმის მიზნით, სიძედ გახდომას შესთავაზებს: „მე ერთი უბირი და უპოვარი კაცი ვარ“ – შეუთვლის დავითი მეფეს შუამავალთა პირით. მეფე საული თავისი ასულისათვის დავითისაგან მხოლოდ ასი ფილისტიმელის ჩუჩას ითხოვს, და დავითი სიხარულით ასრულებს ამ თხოვნას. წაიყვანს თავის თანამებრძოლებს, ორასამდე წინადაუცვეთელ ფილისტიმელს ამოხოცავს, დახოცილებს, ასს თუ ორას კაცს წააჭრის ჩუჩებს, და მიართმევს მეფეს. ასე გახდება დავით წინასწარმეტყველი, მეფსალმუნე და ქნარზე დამკვრელი, „ერთი უბირი და უპოვარი კაცი“, სიძე ისრაელიანთა პირველი მეფისა, მეუღლე მეფის ასულისა, მელქოლასი. მაგრამ დავითს მელქოლას მიტოვებაც მოუწევს და საულის ქვეყნიდან გადახვეწაც. მელქოლასაც გაუთხოვებენ სხვა ქმარზე. მაგრამ როცა საული გარდაიცვლება და დავითი დაბრუნდება თავის ქვეყანაში,, მას იმხელა საფასური აქვს გაღებული მელქოლასთვის, რომ მელქოლას დაბრუნებას ითხოვს მეორე ქმრისაგან. შეუთვალა საულ მეფის ძეს: „მომეცი ჩემი ცოლი მელქოლა, რომელიც ასი წინადაუცვეთელი ფილისტიმელით დავწინდე“ (2 მეფ. 3, 14). ვერავინ აუნაზღაურებდა დავითს საწინდარს. „გაგზავნა კაცი იშბოშეთმა მელქოლას წამოსაყვანად ქმრისაგან, ფალტიელ ლაიშის ძისაგან. წამოჰყვა ქმარი ქალს და გამუდმებით მოსტიროდაო ბახურიმამდე“ (2 მეფ. 3, 15-16).

ასი წინადაუცვეთელი ფილისტიმელის ეპიზოდი ერთგვარი განმარტება და ილუსტრაციაა წინადაცვეთის რელიგიური მისტიურობისა. აქ საული თავისი უფლის მიბაძვით ასი ფილისტიმელის სულისა და სიცოცხლის სანაცვლოდ მოითხოვს ასი ფილისტიმელის ჩუჩას. თვითონ ხდება ჯერ მფლობელი მათი, შემდეგ შემწირველი მათი უფლისათვის. წინადაცვეთა არის რიტუალი უფლის კუთვნილებაში გადასვლისა და სამუდამო დაკავშირებულობისა უფალთან.

სრულიად სამართლიანად მიიჩნევს გრიგოლ რობაქიძე ებრაული წინადაცვეთის მისტერიას ამოსავლად მთელი ებრაული რჯულისა და ფსიქოლოგიის გაგებისას.

გრიგოლ რობაქიძის ეს უმნიშვნელოვანესი პირადი წერილები, რომლითაც საოცარი სიღრმითა და ემოციური ლანდშაფტებით იკითხება ავტორის პიროვნული პორტრეტი, შეკრიბა და სულ ახლახანს, 2012 წელში, პირველად გამოაქვეყნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ცნობილმა მეცნიერმა, ქ-ნმა **ეთ-**

ერ ქავთარაძემ. – და, მე ვფიქრობ, გრიგოლ რობაქიძისეული ეს „შესაქმისა“, და „გამოსვლათას“ ბიბლიურ პირველ წიგნებთან დაკავშირებული სრულიად უშუალო შინაგანი განგაში, მთლიანად ბიბლიის სიღრმეში ჩახედვის აუცილებლობისა და ყოველივეს გაშიფრვისა, კაცობრიობის იმავე წყურვილის განგრძობაა, რომელმაც გერმანელი ფილოსოფოსის, შელინგის აზროვნებაში ამოხეთქა, ჯერ კიდევ მე-18-ე საუკუნის დასასრულს, გერმანული უნივერსიტეტის კედლებში: შესწავლილიყო ბიბლია რელიგიის ფილოსოფიის ენაზე. უფრო მეტი: გვიჩნდება სურვილი ჩვენი პირადი შინაგანი განცდის გახმამაღლავებისა, რომ არა თუ ფილოსოფიურად შესწავლილი, ბიბლია საერთოდ არ არის დღემდე სათანადოდ წაკითხული, და რაც მთავარია, იგი ქართული ცნობიერებით არ არის წაკითხული და გაანალიზებული! იმ ქვეყნისა და ხალხის ცნობიერებით, რომელსაც უშუალოდ ეხება ბიბლია, რომელთანაც ყველაზე სიღრმისეულად არის დაკავშირებული ებრაელი ხალხის ბიბლიური ისტორია... ის, რაც არის წაკითხული და გაანალიზებული, მხოლოდ საწყისებია საჭიროებისა და აუცილებლობისათვის. ხოლო თუ ბიბლია სათანადოდ არ არის წაკითხული. ბუნებრივია, ვერც ის კითხვა იქნება დასმული სათანადოდ კაცობრიობის მიერ, რატომ იდევნება ებრაელი ხალხი ყველა ქვეყანაში და ყველა დროს. ეს კითხვა ილია ჭავჭავაძემ დასვა მე-19 საუკუნის ბოლოს, 1886 წელს, ებრაულ ფენომენთან მიმართებაში:

„...აზიასა თუ ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში, ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა ებრაელთა უბედურს ერსა... ამდენი ხანია, ეს ერი მოგზაურობს მთელს დედამიწის ზურგზე და ამ ხნის განმავლობაში არა ყოფილა ისეთი სატანჯველი, რომელიც ებრაელებს არ გამოეცადოს... სდევნიდნენ ებრაელებს, ვითარცა ერს, სდევნიდნენ – ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის რჯულის მაღიარებელთ, **სდევნიდნენ ვითარცა უსამართლო ეკონომიკური წესწყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიკურ მჩაგვრელებს**. მდევნელები ხან ერთს საბუთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასდროს დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი... ეხლაც კი, როდესაც ეგოდენს ჰღაღადებენ კაცთმოყვარეობაზე...

ამის მიზეზი ეროვნული სიძულვილი და რელიგიური ფანატიზმი კი არ არის, არამედ ეკონომიკური ძლიერება ებრაელთა კაპიტალისტებისა, რომელთა ხელშიაც გროვდება აუარებელი სიმდიდრე საფრანგეთისა, გარმანიისა და სხვა სახელმწიფოებისაო... ამ გარემოებას კი ექნება არა მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა, არამდ პოლიტიკურიც.. და თუ ებრაელთა ეკონომიკურ გაძლიერებას თავის დროზე არ შევებრძოლებით, კაპიტალი შეიქმნება ყველა სახელმწიფოებზე უფრო ძლიერი და საშიშიო. კაპიტალის ხელში მოექცევა ბედი და უბედობა ერთა და მეფეთაო...

რასაკვირველია, ეს გარემოება მეტად საფიქრებელია“ (ილია ჭავჭავაძე, 1886 წელი, თხზულებათა მეცხრე ტომი, გვ. 46-50).

როგორც ცნობილია, ებრაელთაგან კაცობრიობის ხსნის მისიად განმარტა ჰიტლერმა გერმანიის მისია და ის საშინელი დევნა ებრაელი ხალხისა, რომელიც მან განახორციელა მეორე მსოფლიო ომის დროს, იყო კულმინაცია ებრაელთა მსოფლიო დევნისა. სპეციალისტები წერენ, რომ მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის წარმომადგენლები, რომლებიც ებრაული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ოცნებობდნენ, დაინტერესებულნი იყვნენ გერმანელთა სისასტიკით, რათა უცხო ქვეყნებში ცხოვრებას მიჩვეული ებრაელებისათვის გაემძაფრებინათ სურვილი თავიანთ ისტორიულ ქვეყანაში დაბრუნების. მეორე მსოფლიო ომში გერმანული ფაშიზმით განხორციელებულმა ებრაელთა დევნა-წამებამ შეცვალა მთელი მსოფლიოს დამოკიდებულება ებრაელი ხალხისადმი და შეცვალა მთელი მსოფლიო. ანტისემიტიზმი გამოცხადდა

დანაშაულად უდანაშაულო ებრაელი ერის მიმართ და მსოფლიო გარდაისახა ებრაელი ერის დამცველად. 1949 წელს ოფიციალურად დაფუძნდა ისრაელის აღდგენილი სახელმწიფო.და აი, მსოფლიოს უდიდესი მეცნიერი, ალბერტ აინშტაინი, ზუსტად 1949 წელს, თავის წერილში სოციალიზმის შესახებ, ერთ თავის მოსაუბრეს შესჩივის ახალი, ანუ მესამე მსოფლიო ომის საშიშროებაზე და დასძენს, რომ ეს ომი მხოლოდ მთელი კაცობრიობის გამანადგურებელი შეიძლება იყოს. ეინშტეინი არ გვიმხელს მოსაუბრის ვინაობას, რომელიც დიდი მეცნიერის შეშფოთებას უდრტვინველი შეკითხვით პასუხობს: „–კი მაგრამ, რატომ გაწუხებთ კაცობრიობის განადგურება?!“

ეინშტეინი შეეცდება ახსნას მოსაუბრის ეს შემაშფოთებელი შეკითხვა და გვეტყვის, რომ მისი მოსაუბრის აზროვნება, ეს იყო შინაგანწონასწორობა დაკარგული ადამიანის აზროვნება. ასე იყო თუ ისე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, საუკუნის დასასრულს, ჩვენ მივიღეთ ეპოქა, რომელზედაც ილია ჭავჭავაძე საუკუნით ადრე გვაფრთხილებდა: ებრაელი კაპიტალისტების ხელში აღმოჩენილი მსოფლიო პოლიტიკური მმართველობა, მივიღეთ მსოფლიოს საიდუმლო ებრაული მთავრობა, ანუ როგორც ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, დოქტორი ჯონ კოლემანი დაწერს: ე.წ. „სამასთა კომიტეტი“ და შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ შურისძიებად იმ მსოფლიო დევნისა, რომელიც გადაიტანა ებრაელმა ხალხმა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. „გახსოვდეთ, შურისმაძიებელი ღმერთია თქვენი ღმერთი“ – არა ერთგზის აფრთხილებს უფალი თავის ხალხს მოსეს ხუთწიგნეულში. ეს შურისძიება მსოფლიოზე კაცობრიობას ევლინება უკვე საუკუნის დასასრულს, მსოფლიოს ახალი წესრიგის სახით, რომლის ნამდვილი არსიც სპონტანურად აყოლილი მთელი კაცობრიობისთვის გაუცნობიერებელია. მოტყუებული მსოფლიო საზოგადოებრიობა თავისი პლანეტა დედამიწით მიჰგავს ურემზე შედგმულ უპატრონო ქვევრში შეყრილ ხორაგს, რომელსაც აზროვნება არა აქვს და ვერ ხვდება, რომ ურემი გადასაბრუნებელ გზაზეა შეყენებული...

მსოფლიოს ახალი წესრიგის გაუცნობიერებლობას საქართველოში უსათუოდ განსაზღვრავს მოწყვეტილობა ქართული ცნობიერებისა მსოფლიოს პოლიტიკური პროცესებიდან და მოწყვეტილობა ბიბლიის ცოდნისაგან ათეისტურ საგანმანათლებლო ეპოქაში, რაც შესანიშნავად აქვთ გათვლილი ალან დალასის მემკვიდრეთა დღევანდელ წარმომადგენლებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## წერილები



# ვახტანგ მაკარაძე

## მარეთი და მართლები

**წერილს ვუძღვნი ოლადაურის საშუალო (საჯარო) სკოლის დაარსების 100 წლისთავს**

მარეთის ხეობა მდებარეობს აჭარის არ სამხეთ-აღმოსავლეთ (შუახევის რაიონი) ნაწილში.

ბუნების ჯადოსნურ ფუნჯს ზღაპრულად მოქარგავს მისი რელიეფი არსიანის ქედიდან სოფელ ოქროპილაურის ბოლომდე, სადაც ჩირუხისწყალი აჭარის წყალს მარცხნიდან შეერთვის.

მარეთის ხეობის რელიეფი (ტერიტორია) წარმოდგენილია დაბალზე, საშუალო და მაღალზე მთა-ხეობათა ეროზიული რელიეფით,საშუალო სიმაღლის მთიანი რელიეფის სიჭარბით.

მარეთის ხეობის ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებია: აღმოსავლეთით – არსიანის ქედი, სამხრეთით – შავშეთის ქედი და ჩრდილოეთიდან ხიხან-ჩირუხის (შერთულის) ქედი.

აჭარა-შავშეთის მთა გრეხილის საშუალო სიმაღლე 2,500 მეტრია. მისი ჩრდილო შტო (განტოტებებია)ქედებია მაჭარული (მისი ბოლო ნაწილი საყვრიის ქედითაა ცნობილი), სანალიის, გუშინარიის, კარაპეტის, ტბეთის, წინაველას.

ხიხან-ჩირუხის (შერთული) ქედი არსიანის მთა გრეხილს დასავლეთით გამოეყოფა და მისი სიგრძე 30 კილომეტრია. იგი მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ბოლოვდება შუახევის რაიონულ ცენტრებთან, მდ.აჭარისწყლისა და მდ. ჩირუხისწყლის ხერთვისში.ხიხან-ჩირხის ქედის რელიეფი მარტივია, არ აქვს შტო-ქედები, მის თხემებზე განვითარებულია მოვაკებული საფეხურების სისტემა, წყება; გამოირჩევა მცირე რაოდენობის შიდაწყლებით.

აჭარა-შავშეთის ქედის მწვერვალებია: სანალია – 2 691მ. კარაპეტი – 2 661მ. შამბალეთი – 2 695მ. ნაომარი – 2 415მ. წინაველა – 2 194მ. ღომა – 2 369მ. უმაღლესი მწვერვალია –ხევა(ჰევა) – 2 812მეტრიი ზ. დ.

აჭარა-შავშეთის ქედის ჩრდილო ფერდობი, მდინარე ჩირუხისწყლის შენაკადებით, დანაწევრებულია უფრო მცირე ორთოგრაფიულ ერთეულებად ხეობები (ტომაშეთი, სანალია, წითელაკლდე, ღრმაღელე, კიდობანა, ხევი, მოდული...) გამოირჩევა ღრმა და ვიწრო ციცაბო ღარტაფებით, კლდე-კანიონებით (გუნდაურიქიძინიძეების, ლომანაურ-წყაროსუბნის, პაპოშვილები-ჯუმუშაურის, დელიკიდობანას, ქუთაურ-დევთაბაგის, დარჩიძები-ტომაშეთის) და მას მარეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს.

ვახუშტი ბაგრატიონი აჭარა-შავშეთის ქედს ასე ახასიათებს: „და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორი-მთიანი, ღელე – ღრანტოიანი,იწრო და მაგარი"... (საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1904 წ. გვ. 225.)

მარეთის აღმოსავლეთით სამხრეთიდან შემოდის არსიანის ქედი, რომლის უმაღლესი მწვერვალია კენჭიანი – 2992 მ. (3002 მ.) მას გამოეყოფა განტოტება ხიხან ჩირუხის (შერითულის) ქედი, წყალგამყოფი მდინარე ჩირუხისწყალსა და მდ. ხიხან-სხალთა შორის, რომლის ფერდობები ნაკლებ დანაწევრებულია. მისი მწვერვალებია მაღალმთა – 2 515 მ. ცხენისაძოვარი – 1 588მ. ფურტიო – 1 560მ. შტვირი – 1 463მ.

მარეთის ხეობის ტერიტორიისათვის გეომორფოლოგიური პროცესებიდან აღსანიშნავია: ეროზიები, მეწყერები, ზვავები, ქვათაცვენა, დენუდაცია, რამაც ბევგან რელიეფის პირველადი სახე მკვეთრად შეცვალა. მეწყრული მოვლენების მკაფიო მაგალითებია: ოლადაურ-ჯუმუშუურ- პაპოშვილების ფლატეების ფორმა სამწუხაროდ, ეს პროცესები ახლაც მეორდება, ამის შედეგია შუბნის, წყაროსუბნის, ქიძინიძეების, ცინარეთის ფლატეები.

რეგიონში მკაფიოდ გამოიყოფა რელიეფის ანტროპოგენური ფორმები, რომელთა გენეზის დაკავშირებულია სამეურნეო და ტექნიკურ საქმიანობასთან. არაგეგმაზომიერმა მიწათმოქმედებამ, მესაქონლეობამ, გზების გაყვანამ ტყის საფარის გაჩეხვამ გამოიწვია სტიქიური მოვლენები, რასაც 1971 წლია 11-12 თებერვალს ოლადაორში, წაბლანაში. ქიძინიძეებში მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი, სახელმწიფო და პირადი შენობა-ნაგებობების ნგრევა, პირუტყვისა და ქონების ზარალი.

მარეთის მდინარეების ნგრევითი ზემოქმედება მეტად დამახასიათებელი მოვლენა, განასაკუთრებით გაზაფხულზე, თოვლის დნობისა და შემოდგომაზე, ინტენსიური წვიმების პერიოდში, რასაც ხელს უწყობს ფერდობთა დიდი დახრილობა, მცენარეთა საფარის გაჩეხვა, დამრეცი ნიადაგების მოხვნა, რაც იწვევს დროებით ღვარცოფებს, რასაც აჭარაში სელგაჰს უწოდებენ.

მარეთის ხეობის გეოგრაფიულმა მდებარეობამ თავისებურმა ოროგრაფიამ(ქედების შემორკალვამ) და შავი ზღის გავლენის შესუსტებამ (100-120 კილომეტრის დაშორებამ) განაპირობა აჭარის ზღვისპირეთის ტენიანი სუბტროპიკული ჰავისაგან განსხვავებული რამდენიმე კონტინენტური სახესხვაობის წარმოქმნა. ჩირუხისწყლის ქვემო წელში ზაფხული ცხელია, შემოდგომა თბილია, ზამთარია კი ცივია. უხვად მოდის თოვლი, რომლის სისქე საშუალოდ მერყეობს ბარში 1-2 მ. მთაში 4-5 მ-ის ფარგლებშია და მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

ნალექების მაქსიმუმი რაოდენობა შემოდგომა-ზამთარში მოდის და მდინარე ჩირუხისწყლის აუზში მისი წლური რაოდენობა ცვალებადობს 1 000-დან 1 700მმ-მდე, ემორჩილება ვერტიკალურ ზონალობას. ზაფხულში, იშვიათად იცის სეტყვა. მარეთის ხეობის ტერიტორია მიეკუთნება სუბტროპიკულ ნოტიოჰავის ოლქს და მოიცავს ჰავის სამ ტიპს: 1. საკმაოდ ტენიანს, მშრალს – ცხელი ზაფხული ზომიერად თბილი ზამთრით. 600-დან 1 000 მეტრამდე ზ.დ; 2. ტენიანი ჰავა, ზომიერად თბილი ხანგძლივი ზაფხულით, ზომიერად ცივი ზამთრით 1 000-დან 2 000 მეტრამდე ზ.დ.; 3. ტენიანი ჰავა,მოკლე, გრილი ზაფხულით, ხანგძლივი ცივი ზამთარით, 2 000 მეტრის ზევით ზ. დ. რეგიონის ჰავისათვის დამახასიათებელია მკაცრად გამოხატული სეზონური ხასიათი.

**შიგა წყლები**

მარეთის ხეობის ერთადერთი და მთავარი მდინარეა ჩირუხისწყალი, რომელიც შავი ზღვის აუზს განეკუთვნება და მდ. აჭარისწყალს შეერთვის მარცხენა მხრიდან სოფელ ოქროპილაურის ბოლოს.

მდინარე ჩირუხისწყალი სათვეს იღებს აჭარა-შავშეთის ქედის საწყისი ჩრდილო ფერდობებიდან და არსიანის ქედის მწვერვალ კენჭაულის დასავლეთი ფერდობის თხემიდან, მოვაკებულ ადგილებიდან, შავწყალა წყაროს სახელწოდებით. ბინული საშუალო სიდიდის ლოდების შორის ხმაურით გამოქუხს ცივი, სუფთა ანკარა წყაროს წყალი, რომლის ნახვა ადამიანს ერთ სიამტკბილბას ანიჭებს.ტერიტორია მთლიანად ალპური მდელოა მრავალი სახეობის ბალახით შემკული. აი, ბუნების ძალა! საინტერესოა მთის უმაღლეს თხემზე საიდან, როგორ იკრიბება ანკარა წყაროს წყალი?! ალბათ, ნალექების სიუხვით. შავწყალას ორივე მხრიდან უერთდება წყაროები მთა ჯინალიდან უმეტესად მთა ჩირუხიდან, ამიტომაცა მდინარემ მიიღო სახელწოდება ჩირუხისწყალი. მდინარე ჩირუხისწყალის სათავე 2 800 მეტრზეა ზ.დ. სიგრძე 37 კილომეტრით აღწევს, აუზის ფართობი 344კვ, კილომეტრია. ვინაიდან აჭარა-შავშეთის ქედი უფრო მაღალია, ტყიანია, შენაკადთა მეტი რაოდენობა მარცხნიდან აქვს. მაგალითად: მეთევზია ღელე, სანალიის წყალი, მახალაკიძეების ღელე, ღრმა ღელე, ლელვანის ღელე, წელათის ღელე, ტომაშეთ-მაჭარულის ღელე, დევთაბაგის ღელე, კარიტყის ღელე, თამარჭალის ღელე, ჩიხურყანის ღელე, ჩარხის ღელე, ნაფეტვრის ღელე, ბალვანის წყალი, სოლისხევის ღელე, მდ. ტაბეთისწყალი.

ჩირუხისწყლის მარჯვენა შენაკადებია: კვესავრის ღელე, კირი ღელე, იაკუბაურისწყალი, კობალათისწყალი, წიფლნარის ღელე, მომწვრის ღელე, გორგივლის ღელე, გუნდაურის ღელე, უმეტესობა წყალმცირე, ან პერიაოდული შენაკადია მდ.ჩირუხისწყლისა.

ყურადღებას იმსახურებს მდ. სანალიისწყალი, რომელიც მთის ტიპის მძლავრი მდინარეა იგი ქმნის 70-80 მეტრის სიმაღლის წყალვარდნილს რომლის შხეფები ულამაზეს სანახაობას შლის. ეს წყალვარდნილი სანალის მთის ჩრდილო-დასავლეთი ფერდობის დამეწყვრვამ წარმოშვა. მთის ფერდობი დენედაციური პროცესებით მკვეთრად გაშიშვლებულია, 120-150 მეტრი

სიმაღლის, 400-500 მეტრი სიგანის სხვადასხვა ფერისა და სიმაგრის ამგები ქანების, ფერდობებიდან მრავალი პატარ-პატარა წყაროები (მინერლური) გადმოედინება, რეცხავს წვრილ მარცლოვან მასალას, რაც ჩამოაქვს მთის ძირას ვაკეზე, რომელიც ყველა მხრიდან შემაღლებული, ამიტომაც პატარა ტბებია წარმოშობილი. ტბები ზოგჯერ შრება ზაფხულობით და ტოვებს თეთრი ფერის, ლაქებს, ამიტომ ამ ტერიტორიას მოსახლეობამ „სამარილო"-ს სახელი შეარქვა. დავაკებაზეა ჩამონგრეული კლდის დიდი ლოდები, რაც წარმოქმნილმა დიდმა ნიაღვარმა ვერ გადაიტანა და ადგილზე დარჩა პატარები ცეკვა-თამაშს მართავენ ლოდების სწორ ზედაპირზე. სანალიის მთიდან წარმოქმნილმა დიდმა მეწყეერმა-ნაშალმა მასალამ, მდინარის წყალუხვობამ, ხეობის მკვეთრმა დახრილობამ განაპირობა – ერთად გადმოეტანა მიწა და ქვალორლი,რაც ვერ დაიტია შუაგორასთან მარჯვნივ მოხვეულმა ვიწრო ხეობამ, გზა პირდაპირ დაბალ სერისკენ გაარღვია იგი დაეშვა მკვეთრად დახრილ ფერდობზე, გადარეცხა მიწის რბილი ქანები, წარმოაჩინა კლდოვანი დაქანება, რაზედაც ყურთისონის ჩანჩქერი „ნავარდობს" მრავალი საუკუნეა და ისვრის შხეფებს. მარჯვნივ დარჩა მდინარის ძველი კალაპოტი და მთელი მთა 900 მეტრის სიმაღლის „შუაგორა".

მდინარე სანაალის ძველ კალაპოტში ბევრ დიდი ზომის ქვის ლოდებია, გაპრიალებულ-მოლესილი ზეპირით, რაც წარსულს ინტენსიურ ეროზიულ მოქმედებაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ლოდები მდინარემ „ზიდა" დაღმართზე, მაგრამ დავაკებაზე ველარ „ზიდა" და იქ დაგვიტოვა თავის „ნამუშევარი".

მარეთის ხეობის მდინარეები მიეკუთნებიან შერეული საზრდოობის ტიპს. ძირითადად საზრდოობენ ნადნობი თოვლისა და წვიმის წყლებით აგრეთვე წყაროებითა და გრუნტის წყლებით.

მთა ჩირუხში მრავალი პატარა ფართობისა და მცირე სიღრმის ტბაა, რომლებიც ცნობილია ჩირუხის იაილების ტბების სახელით. მათგან აღსანიშნავია გასალიანის ტბა, რომელიც ტაფობში ლივლივებს. ირგვლივ წიწვიანი ულამაზესი ტყე აკრავს და საზრდოობს ნალექების წყლებით.ზაფხულობით იაილებიდან მიდიან დამსვენებლები, პიკნიკებს აწყობენ. მოშორებით, ოლადაურ-დღვანის ჩირუხში, პიკნიკებს აწყობენ. ჩირუხში, ჯინალში, სანალიასა თუ სხვა მთებში, ჩადაბლებულ მობტყელებულ ადგილებზე მცირე ფართობის ჭაობებია, ჩირუხისწყალი და სანალიისწყალი გამოყენებულია ჰიდროენერგიის წყაროდ, აგებულია სანალია-ჩირუხის ჰესი. 2014 წელს დაიწყო გვირაბის მშენებლობა ხიხან-ჩირუხის ქედის ქვეშ, სოფელ მახალაკიძეებში რაბათის უბანში, მდ.ჩირუხისწყალი გადავა ხიხანსხალთის ხეობაში 7,5 კილომეტრის სიგრძის გვირაბის მეშვეობით, შემდეგ ორივე მდინარის წყალი 9,6 კილომეტრით შეუერთდება აჭარისწყალს სოფელ დიდაჭარასთან.

## სასარგებლო წიაღისეული

წიაღისეულის სიუხვით და მრავალფეროვნებით საკმაოდ მდიდარია მარეთის ხეობა

აჭარა-შავშეთის ქედის ჩრდილო ფერდობზე,მდინარეების-ტბეთის, მოდულისწყლის, სანალიის, ჩირუხისწყლის, ხეობების ვულკანურ შრეებში გამოვლენილია ფერადი, ძვირფასი, იშვიათი მადნეულის (ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ალუმინის, თუთის, ტყვიის, მოლიბდენის) წიაღისეული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა გუდნა-ზეკარის, მთა ღომას და უჩამბის მადნიანი ველი.

საშენი მასალებიდან აღსანიშნავია სანალიის დაციტი და ანდეზიტი, რაც გამოიყენება შენობის მოსაპირკეთებლად ფილების წარმოებაში.

არსიანის ქედის დასავლეთ ფერდობზე, მთა ჩირუხში არის ოპალიზებული ხის (გაქვავებული წიფლის, ფიჭვის) გამოსავალი, ადგილობრივი მოსახლეობა მას „მასათ" უწოდებს, რაც გამოიყენება ცელის (თირფნის), ნამგლის, ნაჯახის პირის გასალესად, ასაწყობად. ამჟამად მასათი ხელოვნურად, ქარხნული წესით დამზადებულმა, სალესმა ქვამ შეცვალა, მაგარამ იგი ხარისხით ბუნებრივ სალეს ქვას ვერ შედრება. სამშენებლო მასალებიდან აღსანიშნავია კირქვა, რომელიც მოიპოვება სოფელ დარჩიძეების აღმოსავლეთით-კირიღელეში, მისი ხსნარით არის ნაშენი „მყარად მაგარი" XIII საუკუნის შესანიშნავი არქიტექტურიული ძეგლი „სხალთის ეკლესია" (გურამ ხომერიკი, ტარიელ ტუსკია „აჭარიის გეოლოგიური აგებულება და სასარგებლო წიაღისეული", გვ. 55).

ხიხან-ჩირუხის ქედის თერნალის უბანში, სოფელ გორის აღმოსავლეთით, არის სამშენებლო ძვირფასი ქვის კარიერი, რომლის მასალითაც, ჩვენი აზრით აგებულია სხალთის ეკლესი. ადგილზე, თერნალში, დღესაც შემონახულია ქვის ლოდების ნათალი ნარჩენი წვრილი მასა.

## მინერალური წყლები

მარეთის ხეობა მდიდარია მინერალური წყლებით. უმეტესობა პერსპექტიულია სამკურნალო-პროფილაქტიკური გამოყენების თვალსაზრისით.

მათგან აღსანიშნავია:

უჩამბა – სოფელ სამოლეთის ტერიტორიაზე არის უბანი ჭალისხევი, სადაც გამოედინება სულფატური-კალციუმინიანი, მე-6 ჯგუფის, მინერალური წყარო. 1989წ. დაიწყო მისი ჩამოსხმა და რეალიზაცია, დღიურად საამქროში ასხამდნენ 400 ლიტრ წყალს. იგი გამოიყენება ქრონიკულ გასტრითა და შარდმჟავა დიათეზით დაავადებულთა სამკურნალოდ.

წყალამპარა – გამოედინება სოფელ პაპოშვილების სამხრეთით, მდინარე ჩირუხის წყლის მარჯვენა მხარეს. წყაროს დებეტი 87 000 ლიტრია. იგი განეკუთვნება რკინის შემცველ ჰიდრიკარბონატულ, ნატრიუმ-კალციუმიან წყლებს. მოსახლეობა ოდითგანვე იყენებს საკურნალოდ, როგორც ღია აბაზანების მისაღებად, ასევე დასალევად.

ტომაშეთი – მდინარე ჩირუხისწყლის ხეობაში, მარცხენა მხარეს აბანოღელის ვიწრო ხეობაში გამოედინება თბილი წყლები,რომელთა ტემპერატურა 30,5 C. აღსანიშნავია ოთხი მსხვილი ათამდე წვრილი გამოსავალი ვულკანური კლდის ნაპრალებიდან წყაროების ჯამური დებეტი დღე-ღამეში 10 000 ლიტრია. პირველ და მეორე წყაროებში ჩადგმულია ორი მეტრის სიგრძის ხის ჯარა, რომლებშიც ახლომდებარე სოფლების მაცხოვრებლები იღებენ აბაზანებს.იგი კარგია რევმატიზმით დაავადებულთა სამკურნალოდ, საუკეთესო შედეგის გამო ტომაშეთის მინერალური წყარო დიდი პოპულარულობით სარგებლობს. ორჯერ, პირადად მეც მიმიღია ტომაშეთის მინერალური წყლის აბაზანები.

მარეთის ხეობაში სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის სხვა წყაროებიცაა: იაკუბაურის, ქუთაურის, დევთაბაგის (ფერდობზე ცივი, ხოლო მდინარის პირას ცხელი წყლები გამოედინება) ბოგილის, შამბალეთის, ბათალვაკის, ტყემალთის, ბოსტანას, გუდნის, აბანოვაკის, თელისძირის, გორგივლის, ჭაბურღილის, მტირალაქვის, ღომას... ამ წყლებში, ძირითადა, ჭარბობს რკინა და რკინა-გოგირდი. მოსახლეობა მათ უხსოვარი დროიდან სამკურნალოდ იყენებს... ამ და სხვა წყლების სამრეწველო გამოყენების საკითხებზე არაერათი წერილი დაიწერა, მაგრამ, რატომღაც ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია, არავინ დაინტერესებულა პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა ძვირფასი მინერალური წყლების ხალხის, მოსახლეობის სამსახურში ჩასაყენებლად, მაშინ როცა სხვა რეგიონებში (წყალტუპო, საირმე, ბორჯომი...) საკურნალოდ წასვლის ეკონომიკური საშუალება ბევრს არ აქვს.

## ბუნებრივი სიმდიდრეები ადამიანთა ჯანმთელობის სამსახურში

აჭარა და მისი ერთერთი რეგიონი-მარეთის ხეობა ყურადღებას იქცევს ჯანსაღი ჰავით, ცივი, ანკარა წყაროებით, მინერალური წყლების სიუხვით, მდიდარი წიწვიან და ფოთლოვანი ტყეებითა და ალპური მდელოებით, რაც ადამიანის ჯანმთელობის დაცვის, პროფილაქტიკის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. არსიანისა და აჭარაშავშეთის ქედებზე არის მთები: ჩირუხი, ჯინალი, მაჭარული, სანალია, მაწყვალთის, საბერწია, ღომა და მრავალი სხვა, სადაც მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ატარებ ზაფხულის სეზონს და ამ მთებმა დაიმკვიდრეს კურორტის სახელი.

1952-1971 წლებში შუახევის რაიონის მოსახლეობამ, ინტელიგენციამ, ხელისუფლების ორგანოებს თხოვნით მიმართეს – მთა ჩირუხში გაეხსნათ მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკი. „აჭარა ბუნების მიერ შექმნილი სანატორიუმი“ – უთქვამს ნიკო მარს. მთა ჩირუხი კი, ამ სანატორიუმის საუკეთესო ნაწილია, რომელიც სუფთა ჰაერით, ხასხასა კორდიანი ალპური ბალახეული მცენარეულობით, ანკარა წყაროებით, წიწვიანი ტყეებით, ტბებით, საუკეთესო პირობებს ქმნის ადამიანის ორგანიზმის გაკაჟებისათვის.

1971 წლია 6 ივლისს შუბნის საშუალო სკოლაში პიონერულ ბანაკი მუშაობას შეუდგა. დირექტორად დაინიშნა ფრიად ენერგიული მარეთელი პედაგოგი რეზო ფუტკარაძე. ბანაკის პერსონალი დაკომპლექტდა კვალიფიციური კადრებით, ყველაფერი გაკეთდა ბავშვთა გაჯანსაღების ამ კერის ნორმალური მუშაობისათვის. შუბნის ბანაკმა ოთხწლამდე იარსება.

1974 წლის გაზაფხულზე უჩამბის საშუალო სკოლის ხის შენობა, 24 ოთახი, მთა ჩირუხში გადავიტანეთ. ამოქმედდა საზაფხულო ბანაკი, მოზარდი თაობისთვის საკმაოდ კეთილმოწყობილი ბაზა შეიქმნა. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ქიძინიძეებიდან, ოლადაურიდან, მახალაკიძებიდან,

ჩანჩხალოდან, სამოლეთიდან და ჯაბნიძეებიდან გაგზავნილმა მშენებლებმა. ბანაკის შენობა სასადილო-სამზარეულოს ნაგებობა დაიდგა ზღვის დონიდან 2 200 მეტრის სიმღლეზე ახალნაზარდი წიწვოვანი ტყით შემორგულ ადგილას, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში ფრანგ ორიენტალისტ ჟან შურიეს, ხოლო იმავე, საუკუნის ბოლოს თედო სახოკიას მოუნახულებია და დამტკბარა მისი სილამაზით. 500 მეტრი მანძილიდან გამოყვანილი იქნა წყროს წყალი. მაგრამ საჭირო იყო მაგარი და რბილი ინვეტარის შეძენა 100 მოსწავლეზე, რომლის ფული რაიონის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული, დრო კი არ ითმენდა.

რაიონის ხელძღვანელობამ მიხმო მე, განათლების განყოფილების გამგედ ვმუშაობდი და კატეგორიული დავალება მომცა: შენი მონდომების შედეგად ბანაკი გაიხსნა, ახლა თავად იზრუნე და ინვენტარით მოამარაგეთო. რაღა მექნა, სათანადო საბუთებით ვეწვიე აჭარის პროფსაბჭოს მაშინდელ ხელმძღვანელს, მართლაც საქმიან კაცს, ბატონ მიხეილ ეკიზაშვილს. გულიანად დაგვეხმარა, საქმის კურსში ჩააყენა საქართველოს პროფსაბჭოს ხელძღვანელობა, შემდეგ მოსკოვის თანხმობასაც მიაღწიეს და იმავე დღეს ჩვენს ანგარიშზე 100 ათასი მანეთი ჩაგვირიცხა. ეს თანხა „აჭარკოპკავშირის" გამგეობამ თანხის მიღებამდე მოგვცა საჭირო თეთრეული, ინვეტარი, სამზარეულოს მოწყობილობა, ახალგაზრდობაზე ზრუნვისთვის არავითარი ბიუროკრატიზმი,ზოგს წარსული რომ მხოლოდ ბოროტად წარმოუდგენია....

მთა ჩირუხში მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკმა 1994 წლამდე იმუშავა. განუკითხავობის პერიოდში ის შენობები გაყიდეს, თანხა ვის მოხმარდა არავინ უწყის, „ქონება განიავდა". აი ბედი ქართლისა!

1975 წელს იყო ცდა აჭარის მთავრობისაგან, რომ ბანაკის ხის შენობა კაპიტალურით შეცვლილიყო, შედგა პროექტიც, რისთვისაც გათვალისწინებული იყო 400 ათასი მანეთი, ჩატარდა ადგილის გეოლოგიური ანალიზი, მაგრამ შემდგეგ წლებში ინტერესმა იკლო, შეიცვალა ქვეყნის ვითარება და რაიონის ხელმძღვანელი კადრები, დაწინაურდნენ კომკავშირულ ორგანოებში „ნაღვაწი" პირები, მე სხვა სამუშოზე გადავედი, 1981 წლის დეკემბრიდან მუდმივ საცოვრებლად ბათუმში გადმოვსახლდი, კარგი წამოწყება დღესაც მოუგვარებელია, რაც მეტად სამწუხაროა, ბანაკის ადგილას შუბნელმა ბიზნესმენმა ლევან ქიძინიძემ 12 კოტეჯი ჩადგა. მაგრამ მაშინდელმა ხელისუფლებამ ქიძინიძე ეკონომიკურად დააყაჩაღა და იძულებული გახადა გერმანიაში გადახვეწილიყო. ეს შენობები გაიყიდა.

მთა ჩირუხში მოზარდთა დასასვენებელი ბანაკის განვითარების პრობლემებს მრავალი წერილი მიუძღვნეს რამაზ სურმანიძემ, ოთარ ფუტკარაძემ, რაჟდენ, ავთანდილ დიასამიძეებმა და სხვებმა. ხოლო გაზეთ „ბათუმელების" 2013 წლის 19-25აგვისტოს ნომერში მე გამოვაქვეყნე წერილი „რატომ აღარ ფუნქციონირებს კურორტები?"

წერილებში ფიქსირებულია, რომ მთა ჩირუხში ხასხასა მდელოები და დაბურული ტყეები კორომები, კამკამა ტბები, ანკარა წყაროები, ჯანსაღი ჰავა, კალმით მოქარგული რელიეფი-ყველაფერი ეს ჩავაყენოთ ადამიანის ჯანმთელობის სამსახურში. ვიმედოვნებთ, რომ შუახევის რაიონის განახლებული, ახალგაზდა კადრებით არჩეულ-დაკომპლექტებული ხელმძღვანელობა აღადგენს მთა ჩირუხში კურორტისთვის საჭირო შენობა-ნაგებობებს, რითაც დაიმსახურებს მშრომელი მოსახლეობისაგან ისტორიულ-სამართლიან პატივისცემას.

## გვიყვარდეს ბუნება

სამართლიანად ამბობენ, რომ ადამიანს ისე არაფერი არ ამაღლებს, როგორც სამშობლოსა და ბუნების სიყვარული. ბუნება და სამშობლო ხომ ტოლფასოვანი ცნებებია. ასევე ტოლფასოვანი ცნებებია ბუნება და ადამიანი, რამეთუ ადამიანი ბუნების ნაწილილია, მისი შვილი, ამიტომ დედაშვილური უნდა იყოს მისი დამოკიდებლება დედაბუნებისადმი.

ჩვენ, ამ წერილით, განვიხილავთ, წარმოვაჩენთ მარეთის ხეობის ტყის დაცვა-გამრავლებას, იმას თუ როგორ ვიყენებთ ამ ოქროს ფონდს, თავიდანვე ვიტყვი არც ისე გონივრულად და მიზნობრივად!

მეცნიერული გამოკლევებით დადგენილია, რომ არსეიანის ქედის დასავლეთი ფერდობზე, სანამ მილიონი წლის წინათ მისი შტოქედებიწარმოიშობოდა, ხარობდა პალმები, დაფნა, ლეღვი, მუხა, წიფელი, წითელი ხე, უამრავი სხვა ჯიშები. შემდგომ კლიმატური პირობების, ზედაპირის ფორმების შეცვლით, ვულკანური ლავების მოქმედებამ შეცვალა არსებული მცენარეული საფარი, ფლორა-ფაუნა. ბორჯომის ზოგიერთი სანატორიუმში 24 საათით დასვენება 50-დან 205

დოლარამდეა, ხოლო საირმეში 100 დოლარამდე. საქართველოს პატიოსანმა მოქალაქემ, პედაგოგმა, რომლის თვიური ხელფასი 200-300 ლარია, პენსია კი 150 ლარი, დასვენებისთის როგორ უნდა გაიმეტოს ეს თანხა და ოჯახის საარსებო საშუალება მოაკლოს? თუმცა გვყავს ისეთი ჩინოვნიკები, ჯიბესქელი მედროვები, რომლებიც ისვენებენ ვირჯინიის, ბარბადოსის, ანტილიის, ფლორიდის კურორტებზე, სადაც 24 საათი დასვენება ერთი დამსვენებლისთვის 3 000 დოლარი ღირს, მაგრამ ყველა მათგანი მიშიკო სააკიანივით სახელწიფო ბიუჯეტიდან ვერ ჩარიცხავს დასვენება-გართობის ფულს?!

ვიმედოვნებთ, საქართველოს ახალი ხელისუფლება დაფიქრდება, მოიცალოს პენსიონერების, ომის მონაწილების დაცვისა და უფლებების აღდგენისათვის და მათ ადგილებზე, აჭარის კურორტებზე, შეუქმნის დასვენების პირობებს, მაგრამ არა საუკუნის ბოლოს, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით.

### არსებული მცენარეული საფარი

მარეთის ხეობის სამივე ქედზე მრავლადაა ენდემური და რელიქტური მცენარეები... მეოთხეული პერიოდის მცენარეულობის ტიპი-კოლხეთის მაღალბალახეულობა (მურმან დავითაძე, ნინო ბერიძე „მარეთის ხეობა" გვ.17) მარეთის ხეობის სამივედასავლეთურ ექსპოზიციის ქედების ფერდობზე მცენარეთა ტყის სახეობები საკმაოდ განსხვავებულია. ხიხან-ჩირუხის ქედის სამხრეთი ფერდობის ტყის მცენარულობა, ძირითადად, იფანი, დათვამსხალა, თხმელა (მდინარეთა გასწვრივ სანაპიროზე), შერეული ტყეები წარმოდგენილია: ნაძვით, ფიჭვით, სოჭით, იშვიათად წითელი ხე ქვეტყეს ქმნის მრავალი ფოთოლმცვენი ბუჩქები: თხილი, ასკილი, ზღმარტლი, თრიმლი (ქვედა საზღვარზე), ხეჭრელა, ანწლი, ძმერხლი, შქერი, გვიმრა, ეკალბარდი და მრავალი სხვა.

აჭარა-შავშეთის ქედის ჩრდილო ფერდობები წარმოდგენილია ძირითადად, წიწვიანად შერეული ტიპის ტყეთა მცენარეულობით: ნაძვი (ტყის დედოფალი), სოჭი, ფიჭვი, იშვიათად წითელი ხე, ცაცხვი, თელა, წიფელი, რცხილა, ლეკის ხე, მდინარეთა გასწვრივ თხმელა, არყი (ზედა საზღვარზე, ალპურ საძოვრებთნ) ვერხვი და სხვა.

ქვეტყე წარმოდგენილია უფრო ხშირი და მრავალგვარი მცენარეულობით, ვიდრე პირველი ზონა, ნალექების სიუხვისა და ტერიტორიის ვერტიკალური ზონალობის გამო.აქ არის შქერი, წყავი, მოცვი, ძმერხლი,ჭყორი, გვიმრების მრავალსახეობა, იელი, ანწლი, ხავსები და სხვა.

მესამე ზონა, არსიანის ქედის დასავლეთი ფერდობები, წარმოდგენილია უფრო მეტად წიწვოვანი, მარადმწვანე მცენარეულობით. ესენია: ნაძვი, გაბატონებულია ვრცელ ტერიტორიაზე, სოჭი ფიჭვი, წიფელი, რცხილა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, იშვიათად ვერხვი და თელა, დეკიანები, არყი. ტყეების ზევით წარმოდგენილია სუბალპური და ალპური მცენარეულობის ზონა, სადაც გაბატონებული მდგომარეობა ყვავილოვნებს და შხამას უჭირავს. ტყე საქართველოს უდიდესი სიმდიდრეა. ამიტომ მისი დაცვა-გამრავლება და რესურსების გონივრულად, მიზნობრივად გამოყენება ერთ-ერთი დიდი მნიშნელოვანი ამოცანაა.

1946 წლის შემოდგომამდე, სანამ გორგივლიდან შუბნამდე საავტომობილო გზას გაიყვანდნენ, მარეთის ხეობის მდიდარი, ულამაზესი მუხნარი, წიფლნარი, რცხილნარი, შერეული და წიწვიანი ტყეები კარგად იყო დაცული, ხოლო 1947-1950-იანი წლებში გორგივლის, მომწვრის ნაჭეურის, გამონათლევის, მოდულის, მახალაკიძეების, სანალიის ქვედა ნაწილის ტყეები მასობრივად გაიჩეხა სამასალე მერქანისა და შეშისათვის.

მარეთის ხეობაში ხე-ტყის დამამუშავებელი ძირითადი საწარმო იყო წელათის სახერხი ქარხანა. იგი 1950-იანი წლებში ამოქმედდა და 1980-იან წლებამდე მუშაობდა. 1954წელს ჩამოყალიბდა დღვანის საკოლმეურნეობათაშორისო საწარმო, შემდეგ მათ მიემატა შუახევის, შუბნის, ტომაშეთის, მაწყვალთის, მახალაკიძეების, სამოლეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანები.

მარეთის ხეობის ტყეებიდან შუახევის აგურკრამიტის ქარხანას სათბობად გაქონდა შეშა, ყოველწლიურად მრავალი ასეული კუბური მეტრი მერქანი იწვებოდა, რაიონის ხემძღვანელობას გონივრულად რომ ემოქმედა, შეიძლებოდა შეშა ქვანახშირით შეეცვალათ და ამით ტყეებისთვის დიდი ზიანი აეცილებინათ. ხე-ტყე ადრე გამოიყენებოდა მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კლუბ-კანტორების ასაშენებლად, სახურავად, ნაძვისა და სოჭის მერქნისაგან ყავრის დასამზადებლად. რეგიონის ყველა სოფელში, 1940-2000 წლამდე, წამყვანი ტექნიკური კულტურა იყო თამბაქო, რომლის ფოთლის ანემსილი სხმულები მოითხოვდა ფარდულების

აშენებას, ვაგონეტკების დამზადებას, გზის გაყვანას. ამისთვის იყენებდნენ ახლადმზარდი ნაძვის ულამაზეს ხეებს, რამაც აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა სოფლების შემოგარენ ტყეებს.

მუხის მასალით 1946-1947 წლებში აშენდა მდინარე ჩირუხისწყალზე და მოდულისწყალზე 6 ხიდი, წლების განმავლობაში ხდებოდა მათი რემონტი, რამაც ძვირფასი, უნიკალური ჯიშის ხე-მცენარე შეიწირა. 1970 წლიდან ხის ხიდები კაპიტალურით შეცვალა, მაგრამ მოჭრილი ხეები აღარ ცოცხლდებოდა.

მარეთის ხეობის მოსახლეობის, სკოლების საზამთროდ შეშით მომარაგება პრობლემა იყო (და არის), რასაც დიდი რაოდენობით ტყის საფარი ეწირება. გამოსავალი, ნაწილობრივ მაინც, ისაა, რომ სათბობად ჩავანაცვლოთ ელექტროენერგია, გაზი და ქვანახშირი.

1980-იანი წლებიდან ტყის გაჩეხვას მასობრივი ხასიათი მიეცა, როცა ხე-ტყე ყიდვა-გაყიდვისა და ბიზნესის ხელობად იქცა. გაუკაცრიელდა ღელვანის, პანტების, მთა ჩირუხის, ტომაშეთის, სანალიას, საყავრიის, ჭკენარის, ჩანჩხის, მაწყვალთა-კარაპეტის, კვიახიძების, ტბეთ-გოგაძეების წიწვიანი, ხიხან-ჩირუხის (შერთულის) ქედის სამხრეთ-ჩრდილოეთის ფერდობის მუხნარ-წაბლნარ-წიფნარი ტყეები, ამგვარი საშინელი მდგომარეობა მთელ აჭარისა და საქართველოოს ტყეებში არასდროს ყოფილა. ტყეები, მოუვლელი და გაჩანაგებულია, ვინაა მთავარი დამნაშავე? ქვეყნის ხელისუფლება, მისი პირველი პირები!ისინი იძლევიან ქვეყნიდან -ტყის უცხოეთში გატანის ლიცენზიას. ამით ჯიბეებს ისქელებენ, ვინ არის პასუხის მომთხოვნი? იმ ადგილებში ხეები იწონებდა თავს, ახლა ჯირეკებია მხოლოდ. ამ პრობლემებზე ადრეც არაერთხელ დამიწერია, მაგალითად: „ყური დაუგდეთ, ტყე ტირის“ (გაზეთი „დროშა“ 1958) „დაიცავი ჩვენი სიუხვის წყარო“ (გაზეთი „დროშა“ 1959 წელი, ივლისი), „ჩავაქროთ ტყესმოდებული ცივი ხანძარი“ (გაზ. „აჭარა“1963 წ. 15 იანვარი), „ეს სიმდიდრე შთამომავლობას ეკუთნის“ (გაზ. „აჭარა“ 6 მარტი, 1998), „გიყვარდეს ბუნება“ (გაზ. „ქვემო ქართლი“ 2006 წელი, მაისი) ა.შ.

გარდა საგაზეთო წერილებისა, რომელსაც ტყის მრავალი გულშემატკივარი წერს, მაგრამ ხელისუფლება მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევს, წერილობით მივმართეთ, საქართველოს სატყეო მეურნეობის კომიტეტს (თავჯდომარე გ. გიგაური), საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს (დირექტორი ა. იოსელიანი), საქართველოს ეკოლოგიის პოლიციის მთავარ სამმართველოს (უფროსი – დ. მიქაძე), საქართველოს გენერალურ პროკურატურას (პროკურორი – გ. ღაღიაშვილი), ყველასგან მივიღე წერილობითი პასუხი, აი ერთი მათგანი: „ბატონო ვახტანგ! შსს ეკოლოგიის პოლიციის მთავარი სამმართველო იზიარებს თქვენს აღშფოთებას საქართველოს ტერიტორიიდან ხე-ტყის უკანონ გაჩეხვისა და მისი საზღვარგარეთ გატანის ფაქტებთან დაკავშირებით... ყოველწლიურად საზღვარგარეთ გადის საშუალოდ 50 ათასი კბ.მ. ხე-ტყე, რომლის გატანაზეც ლიცენზიებს იძლევა საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტრო, სავაჭრო პალატა, საბაჟო დეპარტამენტი. ათასი ჯურის საქმოსნები ეწევიან ტყით სარგებლობის წესების დაღვევით მოპოვებულ ხე-ტყის რეალიზაციას...“ ამ შავბნელ საქმიანობის, საქმოსნების მიმართ სად იყო და სად არის სახელმწიფო კანონი?! პასუხი მხოლოდ ერთია:ჯიბეს ისქელებენ დიდი-პატარა მინისტრიდან დაწყებული, რიგითი ტყის მჭრელით დამთავრებული. ქვემოთ მოყვანილ პასუხში ეს აზრი იკითხება: ჩვენ რა ვქნათ ასე გვავალებენ... წაყრუებით განადგურდა საქართველოს, მათ შორის მარეთის ხეობის ბუნება, დაშრა წყაროები, მომრავლდა, გახშირდა სტიქიური მოვლენები, შემცირდა ფაუნა, დაგვჩა მთების ხრიოკი ფერდობები, გადანაჭარი ჯირეკები!

ეს პრობლემა საერთოა მთელი საქართველოსთვის, მათ შორის, რა თქმა უნდა, მარეთის ხეობისთვისაც, ამიტომაც, ჩემი თვალსაზრისით მარეთის ხეობაში უნდა შეიქმნას ნაკრძალი, მდინარე ჩირუხისწყლის ორივე მხარეს. განსაკუთრებით იქ სადაც სოფლის მოსახლეობა ნაკლებადაა დასახლებული, ამჟამად საქართველოს 22 ნაკრძალს მიემატოს აღნიშნული ნაკრძალის ფართობიც, რომ შემცირდეს ზვავებისა და მეწყერული მოვლენების შემთხვევები. ადამიანის თვალსა და გულს ახარებს მარეთის ხეობაში სრულიად ხელუხლებელი ტყის მასივები: ქიძინიძეები, ჯაბნიძეების ბოლოს, დროს აღმოსავლეთით, სოფელ ლომანაურის ბოლოს, სადაც მიუვალი ადგილებია მდ. ჩირუხისწყლის მარცხენა სანაპიროს შერეული ტიპის ტყის მასივები. აგრეთვე სოფელ პაპოშვილების საფარი ტყე, სადაც „უნებურად ჩიტიც ვერ შეფრინდება“, ამიტომაც გამოედინება ანკარა წყაროები, რომელთაც მოსახლეობა ლაღად იყენებს. ასეთი ტყის საფარები ხეობის სოფლის თავშია. მაგრამ ზოგან აქაც „იპარებიან“ ხე-ტყის გამოსატანად.

დავფიქრდეთ, რა ჩავიბარეთ წინა მორბედებისაგან, მამა-პაპისაგან და რას ვუტოვებთ მომავალ თაობას?...

### ახლა, ცოტა ხეობის ისტორიიდანაც

მარეთის ხეობაში ადამიანი მრავალი საუკუნის წინ დასახლებულა, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მოძიებული მასალები: სოფელ წაბლანაში, ცინარეთში, სამოლეთში, მთა მაჭარულში... სხვაგან უფრო მეტიც, სახლების მშენებლობისას საძირკველის, ფუნდამენტის შესაქმნელად, მიწის დამუშავებისას გამოვლინდა საბრძოლო სამიწათმოქმედო იარაღები, ქვევრები, დოქები, დერგები და ა.შ. მაგალითად: გორგოშაულში, სინდაურში, ნაჩამურებში, ჯუმუშაურში, ფლატეში, კვიახიძეებში, დღვანში, ქიძინიძეებში, ბელელთაში და სხვაგან.

მარეთის ტერიტორიაზე, X საუკუნიდან მოყოლებული, ფართოდ გაიშალა ციხესიმაგრეებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. „დღემდე ამჟამად დგანან ხეობის თავს და ბოლოში, გოგოლაურის (დარჩიძეების) და ოქროპილაურის (ყალაბოინის) ციხეები“ ვ. მაკარაძე, ბ, დიასამიძე „მარეთის ხეობა“ (გვ. 50). ხეობაში შემორჩენილია ისტორიული ძეგლები: კუნტიჯვარი, ნაომარი, რაბათი (მახალაკიძეები), „რკინიჯვარი“ და „კილდიქვაბი“ (მთა მაჭარულში), ნალობიევი და გამონათლევი (ოლადაურში), ნათლისცემლის გორა (წაბლანა), ქაშვეთი (ჯაბნიძეები), კვიახიძეებში, დღვანში, ქიძინეძეებში, ტბეთისა და ცინარეთის ციხეები. ჩირუხში პატარა ტერიტორიაზე, დადასტურებულია უძველესი ნამოსახლევი (ნაომარი). მდ. ჩირუხისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

მათგან, მარჯვენა ნაპირზე დასავლეთით, იგი ძველ დროში ციხე-ქალაქი ყოფილა. შემორჩენილია პურისაცხობი (თონე) და ციხის ნანგრევები, მოვაკებული ადგილებს ახლაც ამჩნევია ანთროპოგენური ნაკვალევი. მოჰყავდათ ხორბალი და ქერი, გაშენებული იყო მსხლის, პანტების ხეები, რომლებიც ახლაც შემორჩენილია საოცრებას იწვევს მისი სიმაღლე, უხვი, მსხვილი ნაყოფით, მისდევდნენ მესაქონლეობას და მეცხვარეობას. გოგოლაურის, დარჩიძეების, მთისუბნის ციხე მდინარე ჩირუხისწყლის მარჯვენა მხარეს, მაღალ კლდეზეა აგებული და XII-XIII საუკუნეებს განეკუთნება, მისი ფართობი 190 კვ.მ. შეადგენს. ციხეს ძირითადად საყარაულო ფუნქცია ჰქონდა. იგი ჩირუხის, წელათი, ტომაშეთის წყლების ხეობებში გამავალ გზებს აკონტროლებდა. ოქროპილაურის (ყალაბოინის) ციხე აგებულია ჩირუხის წყლის და ტბეთის წყლების მარცხენა მხარეს კლდეზე მისი ძირითადი დანიშნულება იყო იგივე, რაც გოგოლაურის ციხისა. მშენებლობა XI-XIII საუკუნეებით თარიღდება. სამეცნიერო ლიტერატურაში „მარეთის“ სახელწოდება სხვადასხვა ფორმითაა დამოწმებული. მაგალითად, მირეთისხევი (ყაზბეგი), მარატი (სახოკია), მირატის კუთხე, მარიტი (ჭიჭინაძე), მირატი (გაზეთი „ივერია“), მარითი (რუსიძე, ქამადაძე), მარეთი (მამულაძე, გოგიტიძე, ნადიმ ნიჟარაძე, ნ. ჯიბუტი, ბ. დიასამიძე, ი. სიხარულიძე, ვაჟა მაკარაძე, რ. ზოსიძე, გია დავითაძე, მ. ფუტკარაძე, შ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, ტ. ფუტკარაძე...), მისი (შ.ფუტკარაძე), ყარადერე ოსმალეთი (თურქულად შავიხეობა),ეს სიტყვა (ტერმინი) იმისდა მიხედვით, ვინ (ზოგმა მოგზაურმა) როგორ გაიგონა მთხრობლისაგან, ზოგჯერ არქართველმა ჩაიწერა. 2013 წ გამოცემულ 900 გვერდიან წიგნში, „ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია“ სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად წარმოდგენილია ბუზმარეთის მამათა მონასტერი, რომელიც მდებარეობს ადიგენის რაიონში, ზღვის დონიდან 1123მ. სიმაღლეზე, არსიანის ქედის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე. აქვე 1600-1800მ. ზ.დ. მდებარეობს „ბუხარეთის“ ველი, მთები, სამ სოფელს ერქვა სახელი ბუხმარეთი. თურქულ ენაზე „ბუზ“ ნიშნავს „ცივს“, ე.ი. ცივი ველი, ცივი მთები,ეკლესიის სახელი კი მარეთის მამათა მონასტერი. რომლის აღმოსავლეთით, იმავე გრძედზე, არსიანის ქედის აღმოსავლეთით მარეთის ხეობას, პერიოდული პრესა, მწერლობა სწერს-მარეთის ხეობა გვახარებს, რომ დაიბეჭდა (გამოიცა) სამეცნიერო და მხატვრული პუბლიცისტურ წერილების კრებულის გამონათლევი – I. ღვთიური დიდი მადლობა წიგნის სახელის ინიციატორებს და სახელოვან ავტორებს.

მკითხველი გამიგებს: გამონათლევმა გამოანათაა, გამოანათაა, გამოანათაა!!!

„ქართველ მკვლევართა შორის გიორგი ყაზბეგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მარეთის ხეობის მოკლე დახასითება მოგვცა, იგი წერს: „მცხოვრებთა გადმოცემით შევიტყვეთ, რომ სხალთის წყლის პარალელურად, სამხრეთით, მდებარეობს მირეთის ხევი, სადაც სახლობს ზემო აჭარის სამი დიდი თემი. ეს ჩვენთვის აღმოჩენა იყო, რადგან ხუთვერსიან რუკაზე ეს

ხეობა სრულიად გამოტოვებულია, ამ ქედს, შეცდომით ქვია იმერხევი... მირეთის ხევის ხეობა სიგრძით არ ჩამორჩება სხალთის ხეობას, იგი მხოლოდ უფრო ვიწროა. მდინარე მირეთისხევისწყალი გამოდის ჭირუხის მთიდან (არსიანის ქედზე), მის ორივე ნაპირზე გაშენებული 11 სოფელი („მარეთის ხეობა“ გვ. 66) საგულისხმოა, რომ გ. ყაზბეგი თავის დღიურში არ ასახელებს შერთულის (ხიხან-ჩირუხის) და ვერც აჭარა-შავშეთის ქედებს და მდინარე ჩირუხისწყალს, ვინაიდან იგი არ, ან ვერ დაუსახელეს. ასევე საეჭვოა, სოფლების რაოდენობა-11, აუცილებლად მეტია (20-მდე) სოფელი მაინც იყო მარეთში. მარეთის ხეობის მოკლე დახასითებას იძლევიან მოგზაური-მკლევარები თედო სახოკია, ზაქარია ჭიჭინაძე, ვლადიმერ მგელაძე. დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აჭარაში, გაქრისტიანება დაიწყო IV საუკუნის პირველ ნახევარში . აჭარაში ჯერ პატარა საკულტო ეკლესიებს აშენებდნენ, შემდეგ კი უფრო დიდ ნატიფ ტაძრებს, ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ. მათ ამკობდნენ ჩუქურთმებით, სვეტებით, გუმბათებით, წარწერებით, ხატებით. ასეთი ეკლესია-მონასტრები იყო ოქროპილაურის ახლოს, ჩირუხისწყლისა და აჭარიწყლის შესართავთან, ტბეთში, წაბლანაში, უჩამბაში, ჯაბნიძეებში (ქაშვეთი), დღვანში, კვიახიძეებში, გამონათლევში, ოლადაურში (საყდრიკარი), მახალაკიძეები, შუბანში, დარჩიძეებში, კუნტიჯვარი, რკინიჯვარი (მაჭარულში), ა.შ. ხანგძლივი ომების დროს ოსმალეთმა შეძლო ქართველების შევიწროება და სამხრეთ საქართველოს, მათ შორის აჭარის, მიტაცება (1545-1555 წ.წ.) ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, ოსმალებმა თავს მოახვიეს დაპყრობილ ქართულ მოსახლეობას უცხო, ოსმალური რეჟიმი, ცეცხლითა და მახვილით დანერგეს ისლამი. ოკუპანტები ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რათა მოესპოთ ქართული კულტურა, ზნე-ჩვეულებანი, ქრისტიანულ მართმადიდებლური ღვთისმსახურება. აჭარელ ქალს დაეკისრა ჩადრის ტადება.

აჭარაში თურქთა საამას წლიან ბატონობას ბოლო მოუღო რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის მხედრობისა და ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებამ. 1878 წლის 25 აგვისტის აჭარა დედასამშობლო-საქართველოს დაუბრუნდა.

სამწუხაროდ, თურქეთის ხელისუფლება ამჟამად აჭარის და აფხაზეთს მიიჩნევს „თურქეთის პრობლემად“. კიდევ მეტი, სტამბულელმა პროფესორმა მემედ სარიამ, 1996 წლის 17 აპრილს, ბათუმის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში თავს უფლება მისცა, განეცხადებინა, რომ აჭარლები უიღურთა ტომს მიეკუთნება და ამდენად ისინიც თურქები არიანო. აჭარლები წარმოშობით, ენით, კულტურით, მენტალიტეტით ისეთივე ქართველები არიან, როგორც გურულები, იმერლები, კახელები და სხვა.

### მარეთელი სწავლულები

ისტორიას ადამიანები ქმნიან, ის ადამიანები, რომელთაც შემდგომ თავად უმკვიდრდებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამორჩეული და საპატიო ადგილი.

მარეთს მრავალთაგან გამორჩეული დიდი სასახელო შვილები ჰყავს, რომლებიც XIX საუკუნეებში საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტების), სასულიერო თუ საერო განათლებას იღებდნენ. („მარეთის ხეობა“ გვ. 281) და შემდეგ სამოღვაწეოდ სამშობლოში ბრუნდებოდნენ.

1. ლომან-ეფენდი ალისძე ქარცივაძე-სოფელი ოლადაურის მკვიდრი. დაიბადა 1812 წ. და გარდაიცვალა 1889 წელს. სასულიერო და საერო უმაღლესი განათლების მქონე, ასტრონომი, გეოგრაფი, სამხედრო საქმის სპეციალისტი, ბრწყინვალედ იცოდა არაბული, ლათინური, სპარსული და თურქული ენები; ღრმა ცოდნით და სახელმწიფო მოღვაწეობით თურქეთის სულთნის მრჩევლობას მიაღწია, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდი ავტორიტეტით ასობით ოჯახი გადაარჩინა მუჰაჯირობას, მას მოიხსეენებდნენ, როგორც დიდ პროფესორს.

2. ნური-ახმედისძე ბერიძე დაიბადა 1845წ. სოფელ ფურტიოში, 1907 წ. ოჯახით ოლადაურში გადმოსახლდა. იგი მეგზურობდა თედო ებოკიას და სხვა მოგზაურ-ეთნოგრაფებს. გარდაიცვალა 1919 წელს.

3. ახმედი-ეფენდი რეჯებისძე მაკარაძე-სოფელ ოლადაურის მკვიდრი (1812-1897წ.წ.)

4. ხუსინ-ეფენდი თავდგირიძე. დაიბადა სოფელ ჯაბნიძეებში, 1863 წ. გარდაიცვალა 1941 წელს.

5. სულეიმან მუხამედ ბერიძე, დაიბადა სოფელ მოფრინეთში 1869 წელს, დააპატიმრეს 1937 წელს.

6. ხუსეინ სულეიმანისძე ფუტკარაძე, სოფელ დღვანიდან, დაიბადა 1864 წელს, გარდაიცვალა 1947 წელს.

7. ხასან ლომანისძე ჯაფარიძე, დაიბადა სოფელ ტბეთში 1894 წელს, გარდაიცვალა 1942 წელს. ქ. სვერდლოვსკში დაიღუპა.

8. რიზა ეუბისძე დავითაძე დაიბადა სოფელ ტბეთში 1864 წელს, გარდაიცვალა 1937 წელს.

9. ემინ-ეფენდი ახმედისძე ცეცხლაძე, დაიბადა სოფელ დარჩიძეებში 1812 წელს, ტრაგიკულად დაიღუპა 1881 წელს.

10. იბრამ მაკარისძე (მაკარაშვილი) სოფელ მაწყვალთიდან, სასულიერო და იურდიული განათლება მიიღო სტამბულის უნივერსტიტში, მუშაობდა ქალაქ ტროპიზონის ლიცეუმში მასწავლებლად.

11. ნური-ეფენდი ახმედისძე თავდგრიძე, დაიბადა 1880 წელს სოფელ ლომანაურში, გარდაიცვალა 1941 წელს. ფილოლოგი, პოეტი, მეცნიერი.

## განათლება

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების და ქ. ბათუმში საზოგადოების მიერ 1881წ. პირველი ქართული სკოლის გახსნის შემდეგ,ახალი პერსპექტივა გაჩნდა განათლების ასაღორძნებლად და მათ შორის, მარეთის ხეობაშიც. 1915 წლის პირველ ოქტომბერს, ნური ბერიძის სახლში დაწყებითი სკოლა გაიხსნა. პირველი მასწავლებელი იყო ილიკო ნაცვალაძე. სკოლის გახსნის ინიციატორი იყო ნური ბერიძე. პირველ, 1915-1916 სასწავლო წელს სკოლაში 17 ახალგაზრდა სწავლობდა. ორკლასიანი სასწავლებელი 1917 წლის შემოდგომაზე დაიხურა და 1922-1923 სასწავლო წელს განახლდა საქმიანობა.

1995 წლის 18 ნოემბერს ოლადაურში დიდი ზეიმით აღინიშნა პირველი ქართული სკოლის 80 წლისთავი, 2015 წელს კი აღინიშნება 100 წლისთავი.

სამწუხაროდ, გამოჩდნენ ვაი მეცნიერები, რომლებმაც ოლადაურის დაწყებითი ოთხწლიანი სკოლის 1915 წლის ოქტომბერში გახსნის თარიღი საეჭვოდ მიიჩნიეს. მათ ვურჩევთ, წაიკითხონ ჩვენი წერილი, „ოლადაურის სკოლის ისტორია", წიგნში „გამონათლევის გამონათება" (გვ.305-320) ზემოთ აჭარაში, მათშორის მარეთში, 1918-1921წლებში სკოლების გახსნას აფერხებდა მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი: ცუდი გზები, უტრანსპორტობა, კავშირგაბმულობის უქონლობა, უშუქობა, არ იყო სკოლის შენობები და ინვენტარი, არცერთ სოფელში არ იყო ადგილობრივი მკვიდრი მასწავლებელი. ამიტომ საჭირო იყო გურიის, იმერეთის, სამეგრელოს რეგიონებიდან ახალგაზრდა, ენთუზიასტი კადრების მოწვევა-მოვლინება, რაც დიდი შრომი შედეგად დადებითად გადაწყდა,

1922-1923 წ.წ. მარეთში გაიხსნა ორი დაწყებითი სკოლა-უჩამბასა და ოლადაურში, მომდევნო წელს ტბეთსა და დღვანში.

1933 წლის 23 აგვისტოს აჭარის მთავრობამ მიიღო დადგენილება აჭარაში საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ.

აჭარის მოსახლეობა სწავლის საქმეს დიდი ხალისით ეკიდებოდა, მზად იყვნენ, აეგოთ შენობები შრომითი მონაწილეობით, დაემზადებინათ ინვენტარი საკუთარი საშუალებებით, აგრეთვე, რეგიონებიდან მოწვეულ მასწავლებლებს უფასოდ აბინავებდნენ საკუთარ ოჯახებში, უზრუნველყოფდნენ კვებით, გათბობა-განათებით. აღნიშნული დადგენილების განხორციელების შედეგად მალე გაიზარდა სკოლებისა და მოსწავლეების რიცხვი.

მშრომელთა მოთხოვნით, მარეთში, 1933-1934 სასწავლო წელს ოლადაურის დაწყებითი სკოლა გადაკეთა შვიდწლიანად და მეხუთე კლასში მიღებული იქნა 17 მოსწავლე. სკოლის დირექტორად დაინიშნა შალვა ანთიმოსიძე ჯღარკავა, ეს იყო მარეთსა და ახლანდელ შუახევის რაიონის ტერიტორიაზე პირველი შვიდწლიანი სკოლა, ამ სკოლაში სწავლობდნენ მეზობელი სოფლების ახალგაზრდები: ფურტიოდან, მელიქწმინდიდან – ქამადაძე, ალი ხიმშიაშვილი, რასიყ ხილაძე, ბუთურაულიდან – მეჯიდ და სეიფო მიქელაძეები, ნენიიდან – მიქაილ მამულაძე და იუსუფ მიქელაძე, ჩანჩხალოდან – ბინალ მიქელაძე და ვალერი დარჩიძე, დაბაძველიდან – ამირან, მიხეილ და ლევან ზოიძეები, შუახევიდან – დურსუნ, რეჯებ და დურსუნ დავითაძეები, გუნდაურიდან – ნური გუნდაძე, ტბეთიდან – დურსუნ და შახმურად (შოთა) დავითაძეები, დღვანიდან – ხულუს ფუტკარაძე, გოგინაურიდან (წყაროსუბანი) – ასლან გოგიტიძე, კვიახიძეებიდან – ნეჯეთ და ჯეფერ ფუტკარაძეები, შუბნიდან – ზიხნი და ისრაფილ ბერიძეები, ბინალ და თოფუზ ბაკურიძეები, ქამილ, ჯელალ, ზექერია, იუსუფ ფუტკარაძეები. დარჩიძეებიდან – ყურშეშ სირაძე, ტომაშეთიდან – ზიხნინ და რეჯებ ფუტკარაძეები, კობალთიდან – სიმონ და ჯელალ თავდგირიძეები.

1941-1942 სასწავლო წლისთვის ოლადაურში გათვალისწინებული იყო შვიდ წლიანი სკოლის

ბაზაზე საშუალო სკოლის გახსნა, მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყების გამო ეს საშვილიშვილო საქმე არ განხორციელდა, რადგან პედაგოგიური კადრები გაწვეული იქნა სამხედრო სამსახურში.

1930-1931 სასწავლო წელს ოთხწლიანი შრომის სკოლები, ფუნქციონირებდა გოგაძეებში (ანტონ გოგიჩაშვილი), ტბეთში (შალვა ურუშაძე), უჩამბაში (გრიშა ბაბილოძე, ანა ინაშვილი), ჯაბნიძეებში (შალვა გეგიაძე), ქიძინიძეებში (ბარნაბ ანთაძე), წაბლანაში (შალვა კეკელიძე), ცინარეთში (ბენია სვანიძე), ოლადაურში (ირაკლი ბოლქვაძე, ივლიანე სიხარულიძე), შუბანში (ვალერიან ქვილორია), დღვანში (დიმიტრი სამსონია), ქუთაურ-კობალთაში (სიმონ სამსონია), დარჩიძეებში (სერგო უჯმაჯურიძე), გოგინაურში (ბენია კვაჭაძე), კვიხიძეებში (ვლადიმერ კვინტრაძე), ლომანაურში (სიმონ სამსონია), ტომაშეთში (გრიშა გოგუაძე), კარაპეტში (კლიმენტი მამალაძე).

აჭარაში მთლიანად და მარეთის ხეობის სოფლებშიც, მოსახლეობაშიც უწიგნურობის დაძლევასა და განათლების აღორძინებაში, სკოლების გახსნა-დაფუძნებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოვლინებულ ახალგაზრდა პედაგოგებს, რომლებმაც მიუხედავათ ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობისათვის მძიმე პირობისა (უგზოობა, ხანგრძლივი ზამთარი, უშუქობა...), პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი და მოკლე დროში შეძლეს ოსმალთა ხანგძლივი ბატონობის გამო ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით ჩამორჩენილი თანამოძმეების კულტურული დაწინაურება, ადგილობრივი კადრების მომზადება.

მარეთლები და საერთოდ, აჭარის მოსახლეობა დიდ მადლიერებას გამოთქვამენ მათ მიმართ. ბევრ მათგანს მიენიჭა აჭარისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებული იქნენ ორდენებით, მედლებით, დიპლომებით...

მარეთის სოფლებში მოვლინებულ მასწავლებელთაგან 15-მა მანდილოსანმა გულისწორი მონახა და გათხოვდა ადგილობრივ ვაჟებზე, შექმნეს სანიმუშო ქართული ოჯახი. 1952 წელს, შუახევის რაიონის შექმნისას, მხოლოდ ერთიუჩამბის საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა (1949-1950 სასწავლო წლიდან), რომლის პირველი დირექტორი იყო ივანე ბარბაძე, ისტორიკოსი,. დაწყებითი სკოლა იყო 38, რვაწლიანი 8.

2014 წლისთვის მარეთის ხეობის სოფლებში ფუნქციონირებს: ექვსწლიანი – 17, ცხრაწლიანი – 6, 12 წლიანი – 13 სკოლა, სულ – 36.

**კულტურა და ხელოვნება**

ახლა მარეთის კულტურული ცხოვრების შესახებ გვინდა გიამბოთ, რამაც ამ მხარის მოსახლეობას ქართული ეროვნული თვითმყოფადობა განაპირობა. 1953 წლიდან, შუახევის რაინის შექმნის შემდეგ, სამოლეთის, გოგაძეების, ჯაბნიძეების, დღვანის, ოლადაურის, შუბნის სასოფლო კლუბები შემდეგ კულტურის სახლებად გადაკეთდა: 1965-1970 წლეებში 12 სოფელში გაიხსნა სასოფლო კლუბი და ყველა სოფელში – ბიბლიოთეკა. ისინი დაკომპლექტდა კვალიფიციური, შემოქმედებითი პოტენციალის მქონე კადრებით. სწორედ მათ შრომის შედეგად მოხდა უძველესი მხატრული თვითმოქმედებების აღორძინება, ცეკვების, სიმღერების და ზეპირსიტყვეობის სხვა ნიმუშთა წარმოჩენა-პოპულარიზაცია. მანამდე კი საცეკვავო და სასიმღერო ნიმუშები სრულდებოდა ქორწილებში, წვეულებებში, შუამთობის, გუშინაურობის ტრადიციულ დღესასწაულზე. ადრეულ რეპერტუარში დამკვიდრებული იყო „ყოლსამა“, „ჯაყდანანა“, ქურბანი“, „ხორუმი“, „ლეკური“, „მაყრული“, „ევრო მასპინძლისა“, შაირები, კაფიები სხვა ნიმუშები. თანდათან გამოიკვეთნენ ენთუზიასტები, ხელოვნების მოტრფიალენი, რომლებიც კრებდნენ ძველ ხალხურ ცეკვებსა და აჩვენებდნენ მაყურებლებს, წარმაჩენდნენ მათ პირვალდენ სახეს, 1940წელს ოლადაურში ჩამოყალიბდა აჭარის მთიანეთში პირველი მოცეკვავე ქალთა ანსამბლი, რომელმაც კონცერტი გამართა ქ.ბათუმში. ქ. თბილისში გამართულ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე წარმატებულ გამოსვლისთვის ანსამბლი 1941 წელს მოსკოვში საკავშირო დათვალიერებაზე მიიწვიეს, მაგრამ დიდი სამამულო ომი დაიწყო და გამგზავრება ველარ შეძლეს.

ოლადაურში ქალთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ჩამოაყალიბა და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა შადიმან ქარცივაძე, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა სოფლის, ხეობის კულტურულ ცხოვრებაში. „თარიანინო“ სატრფიალო ხასიათის ძველთაძველი ქალთა სიმღერაა, რომელიც კომპოზიციურად გამარ-

თა და დასრულებული სახე მისცა ქორეოგრაფმა ბადრი დარჩიძემ. სიმღერა „ჰიდაინანო“ გარმონზე დაკვრით და ცეკვით დღესაც თავს იწონებს პედაგოგი, 80 წელს მიტანებული ტარიელ მაკარაძე, რომელსაც2014 წლის 20 სექტემბერს გადაეცა საპატიო სიგელი.

შემოქმედებითი წარმატებები ჰქონდათ უჩამბის, წაბლანის, დღვანის, კვიახიძეების, გოგინაურის, მაწყვალთის, შუბნის, ჯაბნიძეების... კულტურიის სახელებთან არსებული ქორეოგრაფიულ და ფოლკლორულ ანსამბლებს, ჯგუფებს (ხელმძღვანელები: ნ. ფევაძე, თ. ბერიძე, შ. ბერიძე, კ. ფუტკარაძეები, ოთარ გოგიტიძე, ალექსანდრე და ალი სურმანიძეები, ლ. ნიჟარაძე, შ. უსტიაშვილი, ფუტკარაძე). განსაკუთრებით აღსანიშნავია როლან ივანისძის დამსახურება. დამკვრელი, ქორეოგრაფი, ლოტბარი! ასევე ითქმის ცნობილ, ხალხში განთქმულ ბინალ ფუტკარაძეზე, ოთარ გოგიტიძეზე, შაქრო და სიმონ ფუტკარაძეებზე, ლევან, ავთანდილ და ბადრი დარჩიძეებზე. აკორდიონზე დაკვრის დიდოსტატებზე: შედ ფუტკარაძე (კვიახიძეები), მურად და სერგო ზოიძეები, ვახტანგ ფუტკარაძე (მაწყვალთა), რ. ივანაძე (ჯაბნიძეები).

1921 წლამდე მარეთის ხეობის სოფლებში არ იყო კულტურის არცერთი დაწესებულება. კულტურის პირველი კერები,ბიბლიოთეკები გაიხსნა უჩამბაში, ტბეთში, ოლადაურში, დღვანში, ჯაბნიძეებში, მაწყვალთაში, შუბანში და დარჩიძეებში...

1953 წლიდან კულტურის კერების დაწესებულებების გახსნა ინტესიურად დაიწყო (შუახევის რ-ს გახსნის – 1952 წ. 21 დეკემბერი). არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ კულტურის დარგში ღვაწმოსილი ადამიანები: შადიამნა ქარცივაძე, ოთარ გოგიტიძე, შაქრო, აბესალომ,სიმონ, ლევან, ვიქტორ ფუტკარაძეები, არჩილ აბაშიძე, ლენა ნიჟარაძე, შადიმან უსტიაშვილი, ტარიელ მაკარაძე, ნოდარ და რეზო ფევაძეები, ანდრო ცეხლაძე, ლევან თავდგირიძე, გულო და დაუთ მაკარაძეები, ა. დავითაძე, ა. ნატარიძე. 2014 წლის მდგომარეობით მარეთში 4 შემოქმედებითი ცენტრი ფუნქციონირებს: უჩამბის, დღვანის, ოლადაურის და შუბნის. ბევრმა მარეთელმა მამულიშვილმა კულტურის აღორძინებისა და განვითარებისთვის დიდი შემოქმედებითი შრომა გასწია. წერილის ფორმატის გამო ყველა მათგანის წარმოჩენა ვერ შევძელით და გთხოვთ გვაპატიოთ.

### სახელოვანი მარეთელები

მარეთელ ახალგაზრდებს სამაგალითოდ ჰყავთ ცნობილი სპორტსმენი, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი და მსოფლიო ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძე, ბათუმის სპორტსკოლის დირექტორი.

„კაცთა მსახურება დიდი საქმეა, მაგრამ ღვთისმსახურება უფრო დიდი“. მეუფე ეფრემი (ელგუჯა) გამრეკელიძე-ეპისკოპოსი ბოლნისისა, დაიბადა ქ.ბათუმში, 1975 წლის 24 ოქტომბერს მამისეულ სამყოფელი სოფელ სამოლეთში. 1922 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1997 წელს. მას შემდეგ თავი ღვთისმსახურებას მიუძღვნა.

2004 წლის 31 დეკემბერს აირჩიეს ბოლნისელ მღვდელმთავარად, დაჯილდოებულია წმ. გიორგის I ხარისხის ორდერით.

დეკანოზი ანდრია, ერიკაცობაში ლევან თურმანიძე, დაიბადა 1984 წლის 30 ივლისს ქ. ბათუმში. 2001 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის მე-17 საშუალო სკოლა. 2004 წელს ჩაირიცხა ბათუმის სახემწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტზე.

დეკანოზი ანდრია ამჟამად საკათედრო ტაძარში მოღვაწეობს. გამონათლევის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმთავარია სოფელ მახალაკიძეების მკვიდრი გ. ფუტკარაძე.

### მუზეუმები

საქართველოში სიძველეთა, მატერილურ და სულიერი კულტურის ძეგლების, წერილობითი წყაროების შენახვა და შესწავლა-გამოფენის ტრდიციები უძველესი დროიდან არსებობდა.

ოლადაურის საშუალო სკოლაში ენთნოგრაფიულ მუზეუმის დაარსებას საფუძველი 1964წელს ჩაეყარა, როდესაც სკოლის ისტორიის შესწავლის და ნარკვევის დასაწერად ემზადება პედაგოგიური კოლექტივი. დაიწერა წერილები „სინათლე მთაში“, ჟურნალ „ჭოროხში“ (ვახტანგ მაკარაძე)და „სკოლა მთაში“ გაზ. „აჭარა“-ში (შ. მიქელაძე), „ისინი აშენებდნენ ახალ ცხოვრებას“, (გაზ. „დროშა“ 1967წ. 4 ნოემბერი, ნოე დუმბაძე), ჟურნალისტი ოთარ ფუტკარაძის

წერილი „შუქი აჭარის მთიანეთში“, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1977წ.

მოვიძიეთ 1915 წლიდან 1990 წლამდე საარქივო მასალები, სკოლის ყოფილი მასწავლებლების ავტობიოგრაფიები და სურათები. 1985 წლიდან სკოლაში ენთნოგრაფიული მუზეუმის გახსნის საქმეს სათავეში ჩაუდგა მასწავლებელი არჩილ მაკარაძე, რომელმაც ენერგიული შრომით მიაღწია მიზანს – 1996 წლის 31 მაისს სოფელ ოლადაურში ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნა. იგი ამოქმედდა ყოფილმაღაზიის კაპიტალურ შენობაში, რომელსაც ჩაუტარდა რემონტი, მოეწყო საგამოფენო დარბაზის სათავსოები, სამუშაო ოთახები. საქმიანობა ძირითადად ენთუზიაზმზეა დაფუძნებული და მნახველიც ბევრი ჰყავს. მარეთის ხეობაში , აჭარა-შავშეთის ქედის ჩრდილო ფერდობზე, შეფენილია უძველესი ტრადიციებით გამორჩეული სოფელი კვიახიძეები, დილის ამომავალი მზე პირველ სხივებს უგზავნის მის მიწა-წყალს, ხალხს, სამშობლოს ერთგულს, კაცურ-კაცობით გამორჩეულ ადამიანებს.

სოფელს ჰყავს ადგილობრივი ინტელიგენცია, მეცნიერები, პედაგოგები, სხვა დარგების სპეციალისტები, ფუნქციონირებს ცხრაწლიანი საჯარო სკოლა, რომელსაც 30 წელი სათავეში უდგას ცნობილი მათემატიკოსი აკაკი თავდგირიძე. მუყაით ადამიანებს უფრო წარმოვაჩენთ, თუ ენთნოგრაფიულ მუზეუმს შექმნითო, ბრძანა სოფლის მკვიდრმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბიჭიკო დიასამიძემ. ინიციატივას საქმის ხორცშესხმა მოჰყვა. სოფლის ცენტრში ყოფილი მაღაზიის შენობა გაარემონტეს და საფუძველი დაუდეს კულტურის კიდევ ერთ კერას მარეთში,რომლის გახსნა აღინიშნა დიდი ხალხმრავლობით, საზეიმო ვითარებაში 1998 წელს. მუზეუმს ისტორიის მასწავლებელი ვიქტორ ფუტკარაძე ხელმძღვანელობს.

### მეცნიერება და ხელმძღვანელობა

მეცხამეტ საუკუნის 70-იანი წლების აჭარას ასე ახასიათებდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ყაზბეგი: „ახლა აჭარაში ქართული წერა-კითხვის მცოდნენი თითზე ჩამოსათვლელია... სკოლები, ცოდნის წყარო თურქეთის საქართველოში არ არის. მედრესებში მხოლოდ ყურანს და მაჰმადიანური საეკლესიო დისციპლინას ასწავლიან მექანიკურად. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო მთიან აჭარაში, კერძოდ მარეთის ხეობაში, მის სოფლებში.

ფაზისი, გელათის და იყალთოს აკადემიების, სვეტიცხოველისა და ნიკორწმინდის , ვარძიის და უფლიცხის, „ქართლის ცხოვრების“ და „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედ ქართველ ხალხს სრული უფლება აქვს იამაყოს იმით, რაც მსოფლიო კულტურისა და მეცნირების საგანძურში აქვს შეტანილი.

წარსულში, XVI საუკუნემდე, ვიდრე ოსმალო დამპყრობლები გაბატონდნებოდნენ, იგებოდა ტაძრები, ციხეები და ხიდეები, იწერებოდა სამეცნიერო და მხატრული წიგნები, აქ იზრდებოდნენ სახელოვანი ქართველი შვილები. მაგრამ ეს იყო წარსულში, მე-16 საუკუნის შუა ხანებამდე. სამი საუკუნის განმავლობაში აქ ღირსეული შენობა არ აუშენებიათ, ქართულ ენაზე წიგნი არ დაუწერიათ. ქართული წერა-კითხვის მცოდნენი თითზე ჩამოსათვლელია (ყაზბეგი). მაგრამ მთიელი კაცის სწრაფვა სისხლისაკენ, ცოდნისკენ, მეცნიერებისაკენ არ შეჩერებულა. მე-20 საუკუნის 50-იან წლების შემდეგ მარეთელები თავიანთ სიტყვას ამბობენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. რასაც საფუძველი საშუალო სკოლებში ეყრებოდა. მაგალითად, 1951-დან 1975 წლამდე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა 12-მა, ხოლო ვერცხლის მედალზე 9 მარეთელმა მოსწავლემ. მაშინ, 60 წლის წინათ, ძნელად იყო წარმოსადგენი, რომ მარეთს 2015 წლისთვის ეყოლებიდა 60-ზე მეტი მეცნიერებათ კანდიდატი და დოქტორი, დარგობრივ აკადემიკოსიც კი ეყოლებოდა.

პირველი მარეთელი ვინც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა, ოთარი თურმანიძეა, ხოლო ქალთაგან შუშანა ფუტკარაძეა. სულ მარეთელთგან ამჟამად-2015 წლისთვის 32 მეცნიერებათა დოქტორი, 24 მეცნიერებათა კანდიდატი, 5 აკადემიური დოქტორია. საამაყოა, რომ საქართველში ხეობას მეცნიერი კადრების რაოდენობით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მცირე (ხეობათა) რეგიონებს შორის. მარეთის ხეობელებს ჩვენდა-საქართველოს სასახელოდ, ჰყავს „გულანთებული კალმოსანები!“ (მ. ზოსიძე), რომლებიც ჩვენი ქვეყნისა და მეზობელი სახელმწიფოთა ხალხების სიყვარულსა და პატივისცემას, აღიარებას იმსახურებენ. მათგან, შუშანა ფუტკარაძე, დოქტორი, პროფესორი, რომელიც 200-ზე მეტი სტატიის, წერილის და შრომის, 30-მდე წიგნის ავტორი – პედაგოგი, სკოლის დირექტორი, ლექტორი, მოძღვარი, ახალგაზრდობის აღმზრდელი, დედა,

სახელოვანი წინაპართა წარმომჩენი და დამფასებელი. ემენ დავითაძე-ქართული სიტყვის, ლექსის მოტრფიალე, მეცნიერი, გამორჩეული ეთნოგრაფი, 30-ზე მეტი წიგნის ავტორი, მრავალი ჯილდოს და პრემიის მქონე, სახემწფო მოღვაწე.

*წიგნების ავტორები:*

შოთა ცეცხლაძე – გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი პუბლიკაცია, ათამდე წიგნი;

თემურ თურმანიძე – პედაგოგი, მათემატიკი, სკოლის დირექტორის მოადგილე, ალიარებულიორიგინარული თამადა. გამოქვეყნებული აქვს ოთხი წიგნი და 30-ზე მეტი წერილი.

ბიჭიკი დიასამიძე – არის 20 წიგნის, 200-მდე მეცნიერული ნარკვევის, წერილის ავტორი.

აკაკი ბერიძე – არის 24 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ტარიელ ფუტკარაძე, ანზორ დიასამიძე, რეზო და რომან ზოსიძეები, მურმან დავითაძე არიან ათობით წიგნის და მეც. შრომის ავტორები.

თამაზ დიასამიძე, ზაური მაკარაძე, აკაკი მახარაძე, ზაქრო კეჟერაძე, ოთარ ფუტკარაძე, არჩილ თავდგირიძე, მიხეილ ზოიძე, მიხეილ ზოსიძე, ზურაბ გოგიტიძე და ნიაზ ზოსიძე არიან წიგნების ავტორები.

**პატარა ათონი მარეთში**

ჩვენს რეგიონში (მარეთში), როგორც ვიცით, ქრისტიანული რელიგია პირველ საუკუნეში შემოვიდა.

მარეთელი ახალგაზრდობის სურვილი იყო აღედგინა ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ძირძველ მამაპაპისეული რელიგიისკენ შემობრუნების საშუალება ჰქონდა... გადაწყდა ხეობის შუა სოფელში-ოლადაუში, ეკლესიის აგება.

ამ საშვილიშვილო საქმის დაწყების დაგვიანებას მომავალი თაობა, ისტორია არ გვაპატიებდა, იყო ერთიანი შემოძახილი, პირველ რიგში სოლომონ ფუტკარაძისგან.

შეიქმნა პირველი ხელმძღვანილი მუშა-ჯგუფი ხუთეულის: სოლომონ და ოთარ ფუტკარაძეების, ვახტანგ მაკარაძის, ნოდარ და გივი ცეცხლაძეების შემადგენლობა. ეს იყო 1998 წელი. ეკლესიის მშენებლობისათვის პირველი რიგში, საჭირო იყო ადგილის შერჩევა, რომელსაც მრავალი მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა, იყო ოთხი ვარიანტი, მათგან შევთანხმდით სოფელ ოლადაურის უბანზე-გამონათლევში, მდ. ჩირუხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ულამაზეს ვაკეზე, რომელიც აკურთხა ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრა საბჭოს დადგენილებით (1998 წ. №171)გამონათლევში წმ. გიორგის სახელობის ეკლესის მშენებლობისთვის გამოეყო მიწის ნაკვეთი. 1998 წლის 2 აპრილს გაითხარა საძირკველი, ხოლო ხელმძღვანელობა გაგვიწიეს ბიჭიკო დიასამიძემ, ი. ხიმშიაშვილმა, ფუტკარაძემ, რ. დავითაძემ, ვ. მამულაძემ, რ. სურმანიძემ, ზ. დ. ფუტკარაძემ, ჯ. ბერიძემ, მეუფე დიმიტრიმ, თეიმურაზ ყურაძემ, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსნი არიან ძმები – ვლადიმერ და შოთა მახარაძეების ფულადი დახმარება, ეკლესის მშენებლობისთვის გაიხარჯა 96 000 ლარი. აქედან 20 ათასი ლარი გაიღო იდეის ავტორმა სოლომონ ფუტკარაძემ. 2005 წლის 7 მაისს საზეიმოდ გაიხსნა გამონათლევის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია შუახევის რაიონში და წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრობის შესანიშნავ ძეგლს, რომელსაც ძალუძს, ღვთის მადლი მოჰფინოს ხეობას და საერთოდ მაღალმთიან აჭარის მოსახლეობის სულიერებას.

გამონათლევის წმ. გიორგის ეკლესია მთელი საქართველოსია, აჭარისაა, შუახეველებისა და მარეთელებისაა! გამონათლევის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი არის დიდი სანერგე, საიდანაც წაღებულმა ნერგებმა იხარეს სამოლეთში, ჭვანაში, მახალაკიძეებში, შუახევში, დანდალოში, გულებში...

2005 წლის 7 მაისის დიდი ზეიმის შესახებ გაზეთი „სხალთის ზარები" წერს: „მრევლს ესალმებიან ხეობის უხუცესი ვახტან მაკარაძე, პოეტი ფრიდონ ხალვაში, ოთარ ცინარიძე, ვლადიმერ მახარაძე, ვლადიმერ მიქელაძე, მიხეილ მახარაძე, ნაზი მიქელაძე, ვახტანგ ღლონტი, იოსებ ხიმშიაშვილი, ოთარ ფუტკარაძე, გივი ცეცხლაძე, რ. მაკარაძე, ლევან ვარშალომიძე".

ღმერთმა ქნას, კარგი სკის მართვესავით იმრავლოს საქართველოში ქრისტიანულმა ეკლესია-ტაძრებმა, რაც სამშობლოს ერთიანობის საფუძველია.

ლამაზდება ეკლესიის შემოგარენი, გამოიყვანეს წყაროს წყალი, დაირგო დეკორატიული ნერგები, ახლო ფართობი გამოცხადდა ნაკრძალად და ფართობის სიდიდე, ჰორიზონტის ხილვადობა ქმნის ყველა პირობას, რომ გამონათლევის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, მისი შემოგარენი პატარა ათონად იქცეს აჭარაში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

### მეორე მსოფიო ომში მონაწილენი

ომის დაწყებისთანავე მარტო მარეთის ხეობიდან 104 წარგზანილი საომარ მოქმედებებში ჩაერთო. სოფელ ჯაბნიძეებიდან ომში მონაწილეობდნენ ძმები – დურსუნ და ჯემალ ზოიძეები, დურსუნი დაეცა ბრძოლის ველზე ქერჩში, ხოლო ჯემალი სტალინგრადის მისადგომებთან უგზო-უკვალოდ დაიკარგა.

მფრინავები იყვნენ გოგნაურელი სადეტინ გოგიტიძე და ტბეთელი ბინალ მემიძე, ორივენი დაიღუპნენ საბრძოლო დაფრენის დროს.

სმოლენსკის ოლქის სოფელ დემუდაროვში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი ოლადაურელმა ფაიყ მაკარაძემ.

„ტექსელიის ტრაგედიის" მონაწილეა პაპოშვილებელი შოთა ფუტკარაძე.

დიდება მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გმირებს! სოხუმის დაცვისთვის ბძოლაში მონაწილე ფრიდონ მახარაძე (მახალაკიძეები) სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხის ორდენით.

კარაპეტელი რომან ზოიძე, რუსეთის აგრესის დროს, ქ. ცხინვალში გმირულ სიკვდილით დაიღუპა და სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის ორდენით.

### საზოგადოებრივი კავშირი „მარეთი"

საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კავშირი „მარეთი" 2005 წლის 17 თებერვალს დარეგისტრირდა, როგორც კერძო სამართლის არასამეწარმეო იურდიული პირი, რომელმაც მიზნად დაისახა შემდეგი ამოცანების განხორციელება:

ხეობის ისტორიულ-არქელოგიურ და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ შესწავლა, საქველმოქმედო საქმიანობა, ნიჭიერებით გამორჩეული მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისთვის დახმარება და სხვა სადღეისო საქმეების მოგვარება. „მარეთის" გამგეობის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ფუტკარაძე, მოადგილებად კი პროფესორები სოლომონ ფუტკარაძე და ბიჭიკო დიასამიძე.

სამი წლის შემდეგ „მარეთის"-ს სათავეში ჩაუდგა პროფესორი შოთა მახარაძე. მისი ხელმძღვანელობით ახალი იმპულსი შეიძინა საზოგადოების საქმიანობამ. საფუძველი ჩაეყარა „მარეთის ხეობის წლის გამორჩეული ქველმოქმედის ტიტულის დაწესებას, ეს საპატიო ნდობა მოიპოვეს: ზურაბ ფუტკარაძემ, ვლადიმერ მახარაძემ, შოთა მახარაძემ, ზაურ დავითაძემ და სხვა. ბიზნესმენ ოთარ მახარაძის (მახალაკიძეები) ქველმოქმედებით სოფელ სამოლეთში, მახალაკიძეებსა და ოლადაურში დაიდგა ჯვარი.

საზოგადოება „მარეთის" გამგეობის გადაწყვეტილებით შემოღებული იქნა „მარეთის ხეობის წლის ფალავანი" – ხელმძღვანელი ოთარ მიქელაძე და „საპატიო მარეთელის" წოდება. 2015 წლისთვის ამ საპატიო წოდებას ატარებენ საპატიო ადამიანები – 14 კაცი.

2014 წლიდან საზოგადოება „მარეთის" კავშირის თავჯდომარედ არჩეულა აკაკი მახარაძე, რომელიც ზრუნავს წმ. გიორგის სახელობის გამონათლევის ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობისა და წყარო წყლის გამოყვანის საქმიანობის მოსაგვარებლად.

საზოგადოებრივმა „მარეთმა" არსებობის პერიოდში თავის წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით განახორციელა.

მარეთის ხეობის ბუნების, ისტორიის, მოსახლეობის, ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის შესახებ არაერთი წიგნი, სტატია და წერილია დაწერილი და დაბეჭდილი. საჭიროდ ვცანით მკითხველთა ფართო მასისთვის კიდევ ერთხელ გაგვეცნო-შეგვეხსენებია რანი ვიყავით და რანი ვართ ამჟამად მარეთელები.

ზოგიც სხვამ თქვას...

### გამოყენებული ლიტერეტურა:


1. პროფ. ლ. მარუაშვილი – საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია.
2. პროფ. ნ. ნიჟარაძე – აჭარიის ასს რესპუბლიკა.
3. პროფ. მ. ფუტკარაძე – აჭარა.
4. ვახტანგ მაკარაძე, პედაგოგი – გამონათლევის გამონათება.
5. ვ. მაკარაძე, პროფ. ბ. დიასამიძე – მარეთის ხეობა.
6. პერიოდული პრესა.


*2015 წლის ივლისი*

ჭოროხი 5 2015

# ჭოროხი




5 2015

ISSN 0134-3459
15005
9 770134 345001

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2015
malkhaz.pagava@mail.ru